

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნაილე მიქელაძე

ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები აჭარაში

ს ა დ ი ს ე რ ტ ა ც ი ო ნ ა შ რ ო მ ი  
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად  
სპეციალობა: ლიტერატურათმცოდნეობა

მეცნიერ-ხელმძღვანელები:  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ემერიტუსი პროფესორი ზურაბ კიკნაძე  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
სრული პროფესორი რამაზ ხალვაში

ბათუმი 2013 წ.

## შინაარსი

შესავალი -----	3
თავი I. უძველესი რელიგიურ-საკულტო წარმომავლობის ტოპონიმები და მათთან დაკავშირებული თქმულებები -----	9
თავი II. დიდ და მცირე წარღვნასთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები -----	36
2.1 მცირე წარღვნის ლეგენდები (ხარის, შვლისა და ირმის კულტი აჭარაში -----	41
თავი III. ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები -----	53
3.1. წმ. ანდრია პირველწოდებული და მასთან დაკავშირებული თქმულებები -----	53
3.2. წმინდა გიორგის თაყვანისცემის კვალი ტოპონიმურ თქმულება-გადმოცემებში -----	57
3.3. ქრისტიანობასთან დაკავშირებული მაკრო-ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები. -----	68
თავი IV. თამარ მეფის ციკლის ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები -----	81
თავი V. ოსმალეთის აგრესიასთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულება- გადმოცემები -----	99
თავი VI. სელიმ ხიმშიაშვილი და მასთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემა -----	114
ძირითადი დასკვნები -----	123
ტექსტები -----	130
ტექსტთა წყაროები-----	198
ლექსიკონი-----	212
გამოყენებული ლიტერატურა -----	239

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარის) ტოპონიმურ თქმულება-გადმოცემებს.

ტოპონიმია, როგორც ვიცით, ლექსიკოლოგიის დარგია, რომელიც გეოგრაფიულ სახელებს გეოგრაფიული, ისტორიული და ლინგვისტური ასპექტით იკვლევს. ტოპონიმური გადმოცემების დანიშნულება კი ისაა, რომ ახსნას, რატომ წარმოიშვა ამა თუ იმ ადგილის სახელწოდება. მათ ახასიათებთ ისეთი ნიშნები, რითაც არსებითად განსხვავდებიან ჩვეულებრივი თქმულებებისაგან: წარსულთან მიმართება, ნამდვილობის პრეტენზია, მიმაგრება ადგილთან. ზოგჯერ ტოპონიმურ თქმულებათა შექმნას საფუძვლად ედებოდა რეალური ფაქტები, მაგრამ არაიშვიათად მათი წარმოქმნის მიზეზი თავად დასახლებები იყო (სოკოლოვა 1972: 202).

აჭარა, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე, გამორჩეულია ავბედითი ისტორიით, სტრატეგიული მნიშვნელობით, ფოლკლორული მასალების სიუხვით. აჭარაში დაცული ტოპონიმური გადმოცემები ლიტერატურულად ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში დაფიქსირდა. XIII საუკუნის ცნობილმა ქართველმა მწერალმა წმ. ტბელ აბუსერისძემ ზოგიერთი მათგანი (ცხმორისისა და ხიხათა წმ. გიორგის ეკლესიებთან დაკავშირებული სასწაულები) შეიტანა ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისი“.

ტოპონიმური გადმოცემების ჩაწერის შემდგომ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს წმ. ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგების ამსახველი მესხური გადმოცემის ლიტერატურული ვარიანტი, რომელიც ეძღვნება დიდაჭარის მოქცევას, პირველი ეკლესიის მშენებლობას, აწყურის ღვთისმშობლის ხატის ხელთუქმნელი ასლის გამოსახვას და სხვა სასწაულებს. გადმოცემის ლიტერატურული ვარიანტი დაცულია „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში (XVIII ს.).

დ. ბაქრაძემ აჭარაში 1873 წელს იმოგზაურა მაშინ, აქ ჯერ კიდევ ოსმალები ბატონობდნენ. მან არაერთი ხალხური თქმულება-გადმოცემა ჩაიწერა, რომელთაგან ზოგიერთი ადგილის სახელდებასთანაა დაკავშირებული. მოგზაური მეცნიერის მასალებში წარმოდგენილია თამარ მეფის სახელთან, სხალთის ეტიმოლოგიასთან, კავიანის ციხის მშენებლობასთან დაკავშირებული თქმულებები (ბაქრაძე 1874: 51-54).

XIX საუკუნეში ოსმალთა იმპერიის მფლობელობაში მყოფი აჭარა, მძიმე და აუტანელი პირობების გამო, ეკონომიურად და კულტურულად დაქვეითდა. ამ კუთხის შესწავლა მე-19 საუკუნის 70-იან წლებში გიორგი ყაზბეგმა და დიმიტრი ბაქრაძემ დაიწყეს. შემდგომში კი ეს საქმე ზ. ჭიჭინაძემ, თ. სახოკიამ, ა. მიქელაძემ, ა. ფრენკელმა, ვ. ლისოვსკიმ და სხვა ქართველმა და უცხოელმა მოგზაურ-მკვლევრებმა გააგრძელეს. მათ ნაშრომებში მრავალი აჭარული ტოპონიმური თქმულება-გადმოცემაა განხილული.

აჭარის მიმართ ინტერესი რუსეთ-ოსმალეთის ომის წინა პერიოდში გაძლიერდა. გააქტიურდა ქართული პროგრესული პრესა, განსაკუთრებით კი „დროება“, რომელსაც იმ დროს სერგეი მესხი რედაქტორობდა, მის თანამშრომელთა შორის გამორჩეული ადგილი ეჭირათ ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, გ. წერეთელსა და სხვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც ცხოველ ინტერესს იჩენდნენ აჭარის მიმართ.

აჭარის ტოპონიმებზე ყურადღებას ამახვილებს რუსეთის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ვ. ლისოვსკი. მან ამ მხარის სამხედრო-სტატისტიკური თვალსაზრისით აღწერისას ყურადღება გაამახვილა გეოგრაფიულ სახელებზე და არა ერთი საინტერესო ცნობა შემოგვინახა თავის ნარკვევში „ჭოროხის მხარე“ (ლისოვსკი 1887: 5).

XIX საუკუნის 80-იან წლებში აჭარაში იმოგზაურა ფრანგმა ორიენტალისტმა ჟან მურიემ, რომელმაც ამ მხარის აღწერას მიუძღვნა ნაშრომი „ბათუმი და ჭოროხის აუზი“, (გამოქვეყნდა 1886 წელს ფრანგულ ენაზე). მისი შენიშვნით, „ჭოროხის ხეობის ქართველები ღაზებთან ერთად ამ მხარის ყველაზე ძველი მკვიდრნი არიან... ჭოროხისა და მისი მრავალრიცხოვანი შენაკადების მიდამოებში მთებმა, მდინარეებმა და საერთოდ, მთლიანად ამ კუთხემ მიიღო სახელწოდებები, რომლებმაც შემდეგ მცირე ცვლილებები განიცადეს და რაც მათ ქართულ წარმოშობას მოწმობს“ (მურიე 1962: 11-12).

გიორგი ყაზბეგმა აჭარაში 1874 წელს იმოგზაურა. მისი ყურადღება მიუქცევია აჭარის რამდენიმე ტოპონიმს, რომლებზეც გარკვეული მოსაზრებაც გამოუთქვამს. კერძოდ, სოფელ დიაკონიძეების ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით. მისი აზრით, სოფელმა ეს სახელი ქრისტიანობის დროს აქ მცხოვრები დიაკონისაგან მიიღო. მის მასალებში საინტერესო საკვლევე თემატიკას წარმოადგენს რელიგიასთან, მცირე წარღვნასთან (ყარაგოლის ტბის შესახებ) დაკავშირებული გადმოცემები და სხვა (ყაზბეგი 1995: 71).

1879 წელს გაზ. „დროებაში“ გამოქვეყნდა ლეგენდა კარჩხალის მთაზე თამარ მეფის მიერ ეკლესიის აშენების შესახებ. ასევე დაიბეჭდა, ეფერატის, ინკაკლიეთისა და ხერთვისის სახელწოდებასთან დაკავშირებული თქმულებები (წერეთელი 1879: №141, №187).

აჭარის ტოპონიმური თქმულება-გადმოცემების შეკრება-გამოცემის საქმეს დიდი ღვაწლი დასდო ზ. ჭიჭინაძემ, რომელმაც რამდენიმე მცირე ფოლკლორული კრებული გამოაქვეყნა. მათში შესულია როგორც მისი, ასევე პ. უმიკაშვილის, გ. წერეთლისა და სხვათა ჩაწერილი ფოლკლორული ნიმუშები. 1911 წელს მანვე გამოსცა წიგნი „თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანთა ზეპირი ცნობებით“. მასში შესულია თამარ მეფის შესახებ აჭარაში ჩაწერილი ბევრი გადმოცემა, ლეგენდა და ლექსი (ჭიჭინაძე 1911); ზ. ჭიჭინაძემ ყველაზე უხვი მასალა შემოგვინახა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკაზე. იგი საინტერესო ცნობებს გვაწვდის ოსმალთა აგრესიასთან დაკავშირებულ ტოპონიმებზე, რომლებშიც კარგად ჩანს აჭარლების უტეხი სული (ჭიჭინაძე 1913: 145).

აჭარის ტოპონიმური თქმულებების შესწავლაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ცნობილ ქართველ ეთნოგრაფ თ. სახოკიას, რომელმაც წიგნში „მოგზაურობანი“ თავი მოუყარა აჭარაში მოგზაურობის დღიურებს (სახოკია 1985: 138-305).

აჭარაში ხალხური შემოქმედების შეკრებისათვის საუკეთესო პირობები შეიქმნა XX საუკუნეში. ამ მხრივ მეტად ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს აჭარის ყოფილმა სამხარეთმცოდნეო სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა და აჭარის სახელმწიფო მუზეუმმა.

ხალხური ნიმუშების შეგროვება და კვლევა-ძიება ახალ სიმაღლეზე აიყვანა აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა.

აღნიშნულ კვლევით ცენტრებში დაცული მასალები შეკრიბეს: ჯ. ნოღაიდელმა, ჯ. ჩხეიძემ, ა. ახვლედიანმა, მ. ქამადაძემ და სხვებმა. მრავალი ტოპონიმური გადმოცემაა შეტანილი ჯ. ნოღაიდელის წიგნში „აჭარული ზეპირსიტყვიერება“, რომელიც 1959 წელს დაიბეჭდა. საინტერესო მასალებია წარმოდგენილი აგრეთვე ა. მსხალაძის ნაშრომში „მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკისათვის“ (მსხალაძე 1954: 17-29).

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან აჭარაში ზეპირსიტყვიერი მასალების შეგროვება-კვლევას ინტენსიური ხასიათი მიეცა. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორისტა მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგებს ეძღვნება ათზე მეტი სერიული თემატიკური კრებული „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“, ინსტიტუტის თანამშრომელთა ასზე მეტი მონოგრაფია, ნაშრომი, სტატია და წერილი (შამილაძე 2008: 24).

აღნიშნული სამეცნიერო პროდუქციიდან დავასახელებთ ნაშრომებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საკითხის კვლევისათვის. ესენია: „ხინოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა“ (ქათამაძე 1940); „ხიხადირის ანუ სხალთის ხეობის აღწერა“ (ახვლედიანი 1948); „ხარის კულტი აჭარულ ფოლკლორში“ (ახვლედიანი 1964); „ძვირფასი საგანძური“ (სურმანიძე 1966); „ლაზარობა და ქვაკაცები აჭარაში“ (თანდილავა 1974: 23-24); „ლეგენდა სოფელ ვერნებზე“ (თანდილავა 1978: 58-67); „ტოპონიმიკური ძიებანი“ (დლონტი 1978: 5); „განმარტება მკითხველთა თხოვნით. ტოპონომი მედიქწმინდა-ჯანივრი“ (სურმანიძე 1981: 80-84); „ზემო აჭარის ზოგიერთი სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიისათვის“ (ქამადაძე 1982: 46-47); „ერთი წარმართული რიტუალის შესახებ ღორჯომის ხეობაში“ (მგელაძე 1984: 105); „თედო სახოკიას ფოლკლორისტული მოღვაწეობა“ (შიოშვილი 1987); „ხარის კულტის ამსახველი ერთი საწესჩვეულებო ლექსის შესახებ“ (გიორგაძე 1988: 53-54); „ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმები, კულტები და დღესასწაულები“ (ბეჭირიშვილი 1991: 56-88); „ზ. ჭიჭინაძის მიერ ჩაწერილი ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაციისათვის“ (ქამადაძე 1996: 10-11); „უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ტოპონიმები აჭარაში“ (ქამადაძე 1997: 41); „აჭარაში ოსმალთა ბატონობის ამსახველი ზეპირსიტყვიერების ზნეობრივი კრედი“ (შიოშვილი 1999: 125-130); „ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმები აჭარაში“ (ქამადაძე 2000: 124-125); „ტოპონიმ „მახინჯაური“-ს ეტიმოლოგიისათვის“ (ახვლედიანი 2001: 21-22); „კეთილისა და ბოროტის პრობლემისათვის (აჭარული წარღვნის ლეგენდის - „ნოვეს გემის“ მიხედვით)“ (შიოშვილი 2001: 119); „მითოლოგიური გადმოცემები აჭარაში“ (თავდგირიძე 2001); „თამარ მეფის ციკლის ხალხური ლეგენდა“ (მახარაშვილი 2002: 90-91); „მცირე წარღვნის ტოპონიმიკური თქმულებები და გადმოცემები ზემო აჭარის ფოლკლორში“ (მიქელაძე 2005: 107-115); „ქვემო აჭარის ტოპონიმიიდან“ (კუკულაძე 2006); „XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მკვლევართა აჭარაში შეკრებილი ტოპონიმიური გადმოცემები“

(ბერიძე 2006: 102-112); „ტოპონიმია“ (ქამადაძე 2007: 63). „ხალხური სიტყვიერება“ (შიოშვილი 2007: 51-53) „წარღვნის მიზეზი (დიდი წარღვნის ლეგენდის აჭარული ვარიანტების მიხედვით)“ (მახარაშვილი 2008: 74-75); „ქრისტიანობისათვის ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“ (ფუტყარაძე 2008: 86-87); „ქრისტიანობის ამსახველი ტოპონიმები“ (ბერიძე 2009: 366-368); „ქრისტიანული ძეგლების ტოპონიმია და ძველი საეკლესიო მოღვაწენი“ (სურმანიძე 2009: 25-40) და სხვა.

აჭარის ზეპირსიტყვიერების ნიმუშების უდიდესი ნაწილი ჯერჯერობით გამოუცემელია და სხვადასხვა არქივსა და ხელნაწერთა ფონდში ინახება...

აჭარის ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები დღემდე არ გამხდარა ფოლკლორისტთა მონოგრაფიული კვლევის საგანი. ანალოგიური თემა დაამუშავა გულქან ქურასბედიანმა სადისერტაციო ნაშრომში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (სამცხის) ტოპონიმური თქმულებები“. საინტერესო წყაროების, თქმულებების მოშველიებით ავტორი მრავალმხრივ ანალიზებს სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმურ გადმოცემებს, რის გამოც მისმა ნაშრომმა ხალხური სიტყვიერების მკვლევართა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ფოლკლორისტიკას, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანი კავშირი აქვს დიალექტოლოგიასთან. დიალექტოლოგია ფოლკლორისტიკის ერთ-ერთ მომიჯნავე დისციპლინაა. ტოპონიმური კვლევა-ძიების დროს არსებითი მნიშვნელობა აქვს დიალექტთა მონაცემებს. „გეოგრაფიულ“ სახელთა ანალიზისას ირკვევა მრავალი სიტყვის ეტიმოლოგია და ენის სიტყვათწარმოების საშუალებანი. აჭარის ონომასტიკის განხრით მნიშვნელოვან კვლევასა და მასალებს გვაწვდის მ. ქამადაძე მონოგრაფიაში „ზემო აჭარის ტოპონიმია“ (ქამადაძე 1992).

რელიგიურ-ისტორიული თქმულება-გადმოცემების კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც აჭარის ფოლკლორის, ასევე საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, რელიგიისა და ენის ისტორიის შესწავლაში. ამგვარი კვლევა საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ ქართული ფოლკლორის, საქართველოს ისტორიის, ენათმეცნიერების, კერძოდ, ლექსიკოლოგიის არა ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა. ფოლკლორული წყაროს ყოველი ახალი მიგნება-აღნუსხვა და მისი მეცნიერული ანალიზი აჭარის ისტორიის უკეთ შესწავლაში დაგვეხმარება.

ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილი თქმულებები ხალხის კუთვნილებაა. აჭარაში ტოპონიმური თქმულება-გადმოცემების სიჭარბე მხარის მკვიდრთა თავგადასავალმა განაპირობა. თითოეულ ტოპონიმს აქვს თავისი დასაბამი, ცხოვრება და ისტორია. ზოგიერთი შეიქმნა გარკვეულ ისტორიულ მოვლენათა ფონზე. ზოგიერთმა კი სათავე დაუდო თქმულებას, ან პირიქით, ამბავმა დაუდო სათავე ტოპონიმს და გეოგრაფიული სახელის ხალხურ ეტიმოლოგიას.

ტოპონიმები მრავალმხრივ არეკლავენ ისტორიულ სინამდვილეს, რაშიც ქვემოთ განხილული თქმულება-გადმოცემები დაგვარწმუნებენ. ეს არის ცოცხალი მასალა, რომლის ნაწილიც ჯერ კიდევ წარმართული ხანიდან მოდის. ტოპონიმების დიდი ნაწილი სხვადასხვა ეპოქისა და რელიგიის (ქრისტიანობა, ისლამი) ნიშნებით არის აღბეჭდილი.

სადისერტაციო ნაშრომში აღძრული პრობლემები განხილულია თანამედროვე ფოლკლორისტიკის, ისტორიოგრაფიის და ლინგვისტიკის მიღწევების გათვალისწინებით. ჩვენი გამოკვლევა ემყარება ზემოთ დასახელებულ პუბლიკაციებსა და ნაშრომებს, საარქივო მასალას, რომლებშიც დაცულია ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისა და აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდები. ვიყენებთ, აგრეთვე, საველე-ფოლკლორული ექსპედიციის დროს ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებს, რომლებიც ჩაწერილია ხელვაჩაურის (მაჭახლის ხეობა), ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების სოფლებში.



## თავი I. უძველესი რელიგიურ-საკულტო წარმომავლობის ტოპონიმები და მათთან დაკავშირებული თქმულებები

ქართველები ქვას ადრეული საუკუნეებიდანვე სცემდნენ თაყვანს: „ქართველები ღმერთებს ბოჩსა და სხვათა ქვების გროვაში გულისხმობდნენ და ბომონებიც ქვისა ჰქონდათ“ - წერს თეიმურაზ ბატონიშვილი (ბატონიშვილი 1848: 75). კლდე და ქვა უძველესი დროიდან სულიერი ძალების სამყოფელად იყო მიჩნეული.

ქვებისადმი თაყვანისცემის ტრადიცია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში გვხვდება. ქრისტიანობის დამკვიდრებამდე საქართველოში კერპთაყვანისმცემლები ცხოვრობდნენ. ისინი ხშირად კერპებს თავად ჰქმნიდნენ, ან უჩვეულო ზომისა და ფორმის ქვას რაცხდნენ ღვთაებად. მიდიოდნენ მათთან და სწირავდნენ მსხვერპლს, სანოვაგეს, პურს და საკულტო რიტუალებს ასრულებდნენ. მათი რწმენით, ზოომორფულ და ანთროპომორფულ ქვებს მაგიური ძალა ჰქონდათ.

ქვათა თაყვანისცემის შესახებ საინტერესო დაკვირვებებს გვთავაზობს ვახტანგ კოტეტიშვილი: „უძველეს დროსა და დღესაც, უკულტურო მოდგმათა შორის, ღვთაებათა ჩვეულებრივი სიმბოლოები ქვები იყვნენ. ზოგი – ციდან ჩამოცვენილი აეროლითები, რომელთაც ციდან გამოგზავნილად თვლიდნენ და თაყვანს სცემდნენ. ქვათა თაყვანისცემა გავრცელებული ყოფილა ყველგან – აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ამ თაყვანისცემის ნიშნები ჩვენში დღემდე შემორჩენილა, თუნდაც იმავე ჯავახეთში. ფარავნის ტბის არემარეში დღესაც გვიჩვენებენ გაქვავებულ ცხვრის ფორმას თავისი მწყემსებით, ნეფე-დედოფალს და სხვა ფორმებს, რასთანაც მრავალი თქმულებაა დაკავშირებული და საკულტო ნიშნებიც ჩანს. ასეთივე ხასიათის ძეგლია მანგლისის მთაში, სოფელ ახოტილას თავზე, ე. წ. „ამინდის ქვა, რომელიც დაკავშირებულია ამინდთან გვალვისა თუ წვიმების დროს, დღესაც ამ ქვებისაკენ მიემართება პროცესია და ლოცვა-ვედრებით ან მხარს უბრუნებენ ქვას, ასწვენ თუ დასწვენ. თვითონ ქვას კი ადამიანების კონტურები აქვს. მსგავსი კულტის ნაშთები სხვა ადგილებშიც გვხვდება, მაგალითად, კოპალას ქვა ფშავში. ეს სალოცავი ქვა დღემდე შემონახულია არაგვის ხეობაში უინგალის ზემოთ, ქსნის სათავეში, მეჯუდის ხეობაში“ (კოტეტიშვილი 1961: 335).

ქრისტიანობამ მიზნად დაისახა წარმართული კულტის უარყოფა და მისი გადაფარვა ახალი საკრალური შინაარსით. ამის დასტურია უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტი „ნინოს ცხოვრება“, რომლის შესახებაც ჯერ

კიდევ თ. ჟორდანიას წერდა: „ქადაგება დაწერილია იმ დროს, როდესაც ქართველნი მზეს თაყვანს სცემდნენ: მქადაგებელი ცდილობს ქრისტიანობა დაუახლოვოს ცეცხლისა და მზის თაყვანისმცემელთა სარწმუნოების უმთავრეს დოგმატებს და ამ მიზნით ქრისტეს ჰსახავს მზედ, ცეცხლად, სითბოდ, ნათელად, რომელიც გამობრწყინდა აღმოსავლეთით და განანათლებს ყოველს მისს მოსავს, ხოლო ურჩთა და უსჯულოთა დასწავს – ამნაირად მქადაგებელი არა თუ არ არღვევს ხალხის ცეცხლთაყვანისცემლობითს აზრებს და დოგმატებს, არამედ უახლოებს მას თითქმის ერთნაყოფამდე ქრისტიანობას“ (ჟორდანიას 1892: 4).

სწორედ ეს საკითხებია გაშუქებული რ. სირაძის სპეციალურ გამოკვლევაში „წმინდა ნინო და დედა-უფალი“ (სირაძე 1987). თვით სვეტი-ცხოველიც კი, თავდაპირველად, დედა-ბოდის წარმართულ კულტს დაუკავშირეს ახლადმოქცეულმა ქართველებმა (ხალვაში).

შემთხვევითი არ არის, რომ მირიან მეფე საგანგებოდ აფრთხილებდა თავის შთამომავლებს: „აჰა ესერა იცვალა ბნელი ჩუენი ნათლად და სიკუდილი ჩუენი ცხორებად. აწ სადაცა ჰპოვნე ქუეყანასა შინა შენსა ვნებანი იგი ქართლისანი, მაცთურნი კერპნი, ცეცხლითა დაწუენ და ნაცარი მათი შეასუ მათ, ვინ მათ ეგლოვდეს! და ესე ამცენ შვილთა შენთა, რამეთუ მე ვიცი იგი, მწრაფლ კავკასიასა შინა ვერ დაიღვევიან“ (შატბერდის კრებული 1979: 355).

შესაძლებელია, ქვის წარმართული კულტის სიძლიერემ განაპირობა ტბელ აბუსერისძის ჰაგიოგრაფიულ ტექსტში „სასწაულნი წმინდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ ქვის ქრისტიანული სიმბოლიკის ამგვარი ხაზგასმა. როგორც რ. ხალვაში წერს, „სასწაულნი წმინდისა გიორგისნის“ სახისმეტყველებაში ქვის ქრისტიანულ სიმბოლიკას წამყვანი ადგილი უჭირავს. ასე ერთიანდება ტექსტში „სვეტი ქერივისაი“, „სვეტი ქვისაი“, „ქვაი დიდი და მძიმე ფრიად“ – „სასწაული ერთისა ქვისათვის“, „შუარტყლის წმ. გიორგის „ტაძარი საკვირველი“ – „დიდად მშვენიერი და წმინდა გებული ქვებითა, ფრიად დიდთა და მრავლათა მიერ სატვირთავადცა ძნიად შესაძლებელითა“, „სასანთლე ქვისაი“ „ჯუარი ქვისაი“. ქართულ ჰაგიოგრაფიაში მხოლოდ ასურულ მამათა ჰაგიოგრაფიულ ციკლს ახასიათებს ქვის სიმბოლიკის ამგვარი აქცენტირება. „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ გადმოცემულია სამი ქვის სასწაული: წმინდა მიწის მოსანახულებლად წასულმა დავით გარეჯელმა „მადლოვნების“ ქელიდან „ადიხუნა სამნი ქვანი და შთაისხნა მახალაკსა ეგლოგიად და უკუნიქცა“.

იერუსალიმის პატრიარქ ელიას ხილვაში ეუწყება, რომ დავითმა „სარწმუნოებითა მისითა წარიღო სრულიად მაღლი იერუსალიმისა(ასურელი მამები 1955) ამ სასწაულის სიმბოლური მნიშვნელობა ცნაურდება „ლოდის“ სიმბოლოსთან ქვის მიმართებით: „მოუხუნენ მახალაკისაგან ლოდნი იგი“, „ლოდი ეგე ერთი იყოს მოსახსენებელი ჟამისა ამისა“. მოცემული ბიბლიური სიმბოლიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ტბელ აბუსერისძის ნაწარმოებში (ხალვაში 1998: 49-51).

„ქვა“ ბიბლიაში – როგორც ძველ, ასევე ახალ აღთქმაში, ღრმა სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს და განასახიფებს ყოველადწმინდა ღვთისმშობელსა და მაცხოვარს. მთისა და კლდის ბიბლიური სიმბოლიკის გასაგებად ა. ბაქრაძეს „დანიელის წინასწარმეტყველება“ მოჰყავს (თავი 2, მუხლი 2-49). დანიელის წინასწარმეტყველების სიმბოლიკა ჯერ კიდევ პავლე მოციქულმა განმარტა პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ (თავი 10, მუხლი 4); „ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე“. თუ ქრისტე ლოდია, მაშინ მთა, რომელსაც ეს ლოდი გამოეკვეთა, წმ. მარიამია. ამიტომ მიმართავს ღმრთისმშობელს ჰიმნოგრაფოსი – „წინადავუე გქადაგებდეს, უბიწოო, წინასწარმეტყუელნი გამოგსახვიდეს მთად გამოუკუეთელად“ (ბაქრაძე 2004: 170-171).

ქართულ ფოლკლორში დღესაც ცოცხლობს გადმოცემები ქვაკაცების შესახებ. ზოგიერთმა მათგანმა მხატვრულ ლიტერატურაშიც შეაღწია: „კლდოვან ნაპირზე მაღლა აშოტილი ქვაკაცა იდგა. სხივი ზედ ჯერ კიდევ აჩენდა ტვიფრულ ასოებსა და ბურცულ ნიშნებს. ეს ქვაკაცა ღმერთის გამოსახულება არ იყო, თუმცა ამდაგვარად ზღვისპირეთის ქართველი და ქართველური ტომები კერპებად რაცხდნენ, ბერძნები კი მათი მიბაძვით – კვირბებს უწოდებდნენ. ყველას საქართველოს თვისტომსა და უცხოს, სწამდა ქვაკაცთა იღუმალი ძალა და ზეგარდმო წარმომავლობა“ (გოთუა 1982: 5).

ამ მხრე გამონაკლისს არც აჭარა წარმოადგენს, სადაც მრავლად გვხვდება ქვის ანიმისტურ კულტთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები. ქვაკაცების ადგილსამყოფელი მაღალი მთებია: კარჩხალი, პერანგა, არსიანის მთა და სხვა. რომელთა შემოგარენი სახნავ-სათესებსა და უმთავრესად, საძოვრებს წარმოადგენს. მეცნიერთა ერთი ნაწილი მათ „ვეშაპოიდებს“ უწოდებს. ხალხის მოსაზრებით კი, ისინი წმინდა დანიშნულების ქვებია, რომლებსაც რუდუნებითა და პატივისცემით ეპყრობიან.

აჭარის ხეობებში რამდენიმე ადგილას დამოწმებულია სხვადასხვა სახეობის ქვაკაცა. „ქვაკაცა“ დანდალოს საკრებულოს სოფელ ტაკიძეების ადგილის სახელწოდებაა. აღსანიშნავია ჭვანის ხეობის სათავეებთან, მაღალ მთაზე, წმინდანების მთის მახლობლად აღმართული ქვაკაცები. ამავე სახელწოდების ადგილია, აგრეთვე, ხიხაძირის ხეობის ს. ვერნებსა და მარეთის ხეობის მთებში. იგი გვხდება კურორტ ბეშუმის ნასახლარის მახლობლადაც. აქ ამ ადგილსაც ქვაკაცა ჰქვია. ქვაკაცები დაფიქსირდა, აგრეთვე კინტრიშის ხეობის სათავეებში, მთა სარბიელაზე. აქაც რამდენიმე ქვაკაცაა აღმართული, რომელსაც მოსახლეობა სიძე-რძალს ეძახის. კაცის გამოსახულებიანი კი აჭარაში დღემდე მხოლოდ ორი ქვაკაცაა მიკვლეული – დანდალოსა და ბეშუმში. ქვაკაცებს უდიდეს ყურადღებას აქცევენ: „ვინც ქვაკაციდან ქვას გადააგდებს, ცოდვას შეიძენს. აქ მომსვლელმა უნდა გაასწოროს ქვაკაცებზე ქვები, ჩამოვარდნილი ქვა ზედ დადოს (თანდილავა 1974: 17 - იხილეთ დანართი №1).

ქვაკაცების თაყვანისცემის მდიდარი მასალა ჭვანის ხეობაში დასტურდება. პატარა ქვებისგან ნაგები ქვაკაცების მიდამოები წმინდა ადგილად ითვლება. აქ იმართებოდა სხვადასხვა სარიტუალო ცერემონიალი და წარმოებდა მსხვერპლის შეწირვა, უმთავრესად, გვალვების ან დიდი წვიმების დროს.

ტოპონიმური, ისტორიულ-არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები ტოპონიმ ქვაკაცასა და კერპ-ქვაკაცების შესახებ. ბევრგან ქვაკაცები აღარ გვხდება, მაგრამ მათი სახელი მაინც შემორჩა (დიასამიძე 1981: 99-101).

ქართველ მთიელთა ყოფასა და სარწმუნოებრივ ტრადიციებში მტკიცედ დამკვიდრებული სამლოცველო ნიშნების მსგავსად, მაღალმთიანი ხულოს რაიონის ხიხაძირის საკრებულოს ალპურ ზონაში გვხდება ე. წ. ქვაკაცები, რომლებიც მეტრ-ნახევარი სიმაღლის კონუსისმაგვარი ნაშენებია. აგების პრინციპით მთლიანად ჰგავს ცნობილ სამლოცველო ნიშებს. აქ სრულდებოდა საჯარო ლოცვა, მსხვერპლთშეწირვა და სხვა: „ვერნებს რომ გადმოდგომია, „მაღალთი“ ჰქვია... იქ მეიყრებოდა ხალხი ყარადერედან, სხალთიდელედან, შუბნიდან, დარჩიძეებიდან, კობალთიდან... იქ ყოფილა შესაწირის დაკვლა. მორიგეობით იკითხავდნენ ლოცვას. ხალხი ამინს იტყოდა. შესაწირს ყველას დუურიგებდნენ... ქვაკაცებს ახლაც ვაკეთებთ (მთქ. შ. აბაშიძე, 75 წ. ხულოს რაიონი, სოფელი ვერნები. ჩაიწერა ჯ. ჯაყელმა 1972) - იხილეთ დანართი № 2).

ჟ. ჯაყელი ამასთან დაკავშირებით თვლის, რომ ეს წეს-ჩვეულება ახლოსაა უძველეს ქართულ ტრადიციებთან და აღნიშნავს: „ფოლკლორმა ლექსის სახით ვერაფერი შემოგვინახა ქვაკაცებზე, მაგრამ თქმულება-გადმოცემები მათი წარმოშობის მიზეზად მექორწილეთა, ნეფე-დედოფლის გაქვავებას ასახელებენ. ამიტომ, იცოდნენ რა, ღმერთთან ისაა მანძილით ახლოს, ვინც მაღალ მთაზე აგაო, სწორედ აქ ქმნიდნენ სამლოცველო კერპებს, სწირავდნენ შესაწირებს, ლოცულობდნენ და ევედრებოდნენ. სწორედ ამისი დადასტურება და რეალური მაგალითი უნდა იყოს ქვაკაცების არსებობა, რომელთა ფესვებიც უფრო შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ, ვიდრე სამლოცველო ნიშნებისა (ჯაყელი 1975: 63) - იხილეთ დანართი №3).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, სოფელ ვერნების მკვიდრ ხასან ზეკერიას ძე აბაშიძის ნაამბობი: „ერთი კაცი წასულა ჰაჯ. მისთვის უთქვამთ, – ჰაჯ წასვლას აგერ წელათში რომ დიდგორია, იქ ასულიყავ და გელოცა, უფრო დიდ მადლს მეიგებდიო. დაბრუნებულს ყველაფერი აქაურებისთვის უთქვამს. მის მერე ჰაჯ არავინ არ მიდიოდა. ამ სოფლიდან ყველა დიდგორზე ადიოდა. აქაურები ზიარეთ იჯება და მაღლი მოსაგებად დიდგორზე წელიწადში ერთჯერ ადიოდნენ. იქ ილოცავს, ღმერთს შეეხვეწება, – კარგად მიმყოფე ჩემი ოჯახი, კარგი მოსავალი მომეცი, კარგი ამინდები წიყვანე მოსავლისთვისო. კტრებსაც ასხენებენ“ (თანდილავა 1974: 17) –იხილეთ დანართი №4).

ინფორმატორი ასევე ხაზს უსვამს და ერთმანეთისგან მიჯნავს მუსლიმანური რელიგიის მსახურებისა და წმინდა მთაზე ასვლის დანიშნულებას, იგი ამბობს: „ეს ლოცვა რომ კაცმა ჯამეში შეასრულოს არ იქნება. ჯამეში ხოჯა ლოცვილობს და სხვა ამინ იტყვის. შენ რა გინდა, ხოჯამ რა იცის; ის ერთნაირად ლოცვილობს ყუელთვინ. ცალკე კაცს კი როცა უნდა, დიდგორაზე ეხვეწება გამჩენელ ღმერთ“ (იქვე). მოქმელს დასტურად ასეთ ფაქტი მოუტანია: „აქ ამოსული და მლოცავი ბარსამი მინახავს. გუშინ ტომაშეთელი ორი კაცი ამოვდა და ილოცაო“. ეს გადმოცემა უთუოდ სინამდვილეს წარმოადგენს და ეჭვი არ არის, „ქვაკაცები“ ადრე სალოცავ კერპებს წარმოადგენდნენ და გარკვეული ფუნქციაც ჰქონდათ... (თანდილავა 1974: 17).

XX საუკუნის 70-იან წლებში, ჩაწერილი ხალხური მასალის მიხედვით, შუბანში, ზაფხულში სოფელ დარჩიძეების მკვიდრნი ადიოდნენ მაღალ მთაზე, რომელსაც „სამეღია სერი“ ერქვა. ამ მთას ზაფხულობით სტუმრობდნენ, მიჰყავდათ ცხვარი ან სხვა შესაწირი, იქ კლავდნენ და ღმერთს ამინდის

გამოსვლას, ოჯახურ ბედნიერებასა და ღვთის წყალობას ევედრებოდნენ (მთქ. ნ. ცეცხლაძე, დაბ 1942 წ. სოფ. დარჩიძეებში და მცხ. ქ. ბათუმში. შ. ცეცხლაძე, დაბ 1940 წ. სოფ. შუბანი და მცხ. ქ. ბათუმში ჩავ. 2012 წ. პირადი არქივი - იხილეთ დანართი №5).

მკვლევართა ერთი ნაწილი აღნიშნულ რიტუალს ლაზარობის ქრისტიანულ დღესასწაულთან აკავშირებს: „აჭარაში გავრცელებული წეს-ჩვეულებებიდან განსაკუთრებით ლაზარობის რიტუალი უნდა გამოვეყნოთ. მართალია, ეს ხალხური წეს-ჩვეულება დიდი არქაულობით გამოირჩევა და წარმართული და ქრისტიანული ტრადიციების ერთგვარ სიმბიოზს წარმოადგენს, მაგრამ საქართველოშიც და სხვა ქრისტიანულ (ვრცელ ბალკანურ-სლავურ არეალში) იგი განსაკუთრებით ლაზარეს სახელს დაუკავშირდა. ეს, შესაძლოა, იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ლაზარეს ხსენების დღე, ქრისტიანული კალენდრით, საგაზაფხულო დღეობების ციკლში შედის (აღდგომის წინა კვირის შაბათი). გაზაფხულზე ზამთრის ძილიდან „მკვდრეთით აღმდგარი“ ბუნების განახლების, აღორძინების ხალხური წეს-ჩვეულებების დაკავშირება გარდაცვლილი და მკვდრეთით აღმდგარი წმინდანის სახელთან, რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს შემთხვევითი და ღრმა სიმბოლურ ქვეტექსტს შეიცავს. უეჭველია, ხალხური ლაზარობის მთავარი პერსონაჟი, იოანეს სახარების ლაზარეს უკავშირდება (იოანე 11)“ (გიორგაძე 1989: 125-127). მ. გიორგაძეს, თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად, ასევე მოჰყავს მესხეთში ჩაწერილი აპოკრიფული ხასიათის ლეგენდა, რომელიც „ლაზარობის“ წეს-ჩვეულების დაწესებას შემდეგნაირად ხსნის: „მეი ვყოფილვარ ღარიბი, მორწმუნე. იესო ქრისტე დადის და ხალიჩებს უფენენ, პატივი დასდეს. მე ვიფიქრე, რომე ხალიჩები არა მაქ, ზეზე ავედი, მალლა. იესო ქრისტე ზის ჯორიკაზე, რო გამოიარა, მე მალლიდან ვარ. ლაზარეო, შენ უფრო დიდი პატივი მეციო. შენაო იცი, რა ძალას მოგცემო? ძალიან გვალვა რო იქნება, წმინდა ლაზარს დაგარქმევენ და ივლიან (გიორგაძე 1989: 125-127).

მართლაც, ლაზარობას ხალხში დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. მათთვის ამ რიტუალს დღესასწაულის დანიშნულება ჰქონდა. როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, აჭარაშიც, სადაც გამაჰმადიანების შემდეგაც შემორჩა ძველი კალენდარული ჩვეულებები, ლაზარობის რიტუალის შესრულებისას დედოფალას დაატარებდნენ სიმღერით:

„ლაზარ მოდგა კარსაო,

იღორღოშებს თავსაო,  
 აბრიალებს თვალსაო,  
**პატივს სცემს მამა უფალსაო**  
 ცხრილი აგორებულაო,  
 წვიმაც გაჩერებულაო“.

აჭარაში ანალოგიური ხასიათის ამინდის რიტუალი სრულდებოდა ელიობის დღესასწაულზეც: „ელიაობის წეს-ჩვეულებების აღწერისას ხშირადაა ხაზგასმული, რომ ამ დღეს (ძვ. სტილით 20 ივლისი) აღიოდნენ მადლა სერზე, მთაზე, და ა. შ. მთაზე მასობრივი ასვლის და ამინდის რიტუალის შესრულების ტრადიცია, როგორც აღვნიშნეთ, შუამთობის დროსაც იცოდნენ აჭარაში, რაც კალენდარულად თითქმის ემთხვევა ელიაობას“ (გიორგაძე 1989: 128) - იხილეთ დანართი №6).

„რიტუალური ჩამოვლის ჩვეულება და შესაბამისი ლექს-სიმღერების წარმოთქმა კალენდარული საწესჩვეულებო პოეზიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტექსტები სრულდებოდა სხვადასხვა კალენდარული დღესასწაულების თუ წეს-ჩვეულებების შესრულებისას (ბერიკაობა, დედოფლობა, ხარება, აღდგომის კვირა, ლაზარობა და ა.შ.), მათ ერთი ფუნქცია, ერთგვარი დანიშნულება ჰქონდა, რამაც განაპირობა ჩამოვლის ტექსტების ერთგვაროვნებაც“ (გიორგაძე 1993: 23).

ამავე მოსაზრებას იზიარებენ მკვლევრები მამია ფაღავა და ნუგზარ მგელაძე: „აჭარაში ჩვეულებათა ერთი ნაწილი წარმართობის წიაღშია ჩასახული, თუმცა, როგორც ეკლესია, ასევე ქართული ტრადიციული ეთიკა მუდამ სუბორდინაციის დაცვას ცდილობდა და შემწყნარებლობის ფონზე ტრადიციულისა და საეკლესიო ნორმების შესატყვისობაში მოყვანასაც არ გამორიცხავდა. ამის დასასაბუთებლად აჭარაში მრავალი კონკრეტული წყარო არსებობს, მაგრამ ამჯერად საკმარისია „ლაზარობის“ ტრადიცია დავასახელოთ, რომელიც თავისი შინაარსითა და არსით ძირითად მონახაზებში წარმართულია, მაგრამ ასევე ცალკეული ნიშნით ქრისტიანულ ელემენტებს ინარჩუნებს და თვით ამ ჩვეულების სახელწოდებაც ქრისტიანი წმინდანის ლაზარეს სახელს ატარებს“ (მგელაძე, ფაღავა 1999: 142).

მკვლევარ ზ. თანდილაგას ქვაკაცებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი კვლევები უწარმოებია. ჩაუტარებია სავსე ექსპედიციები, რის შედეგადაც ასკვნის: „ქვაკაცების“ თავდაპირველი ფუნქცია უშუალო კავშირში უნდა

ყოფილიყო ლაზარობის წეს-ჩვეულებებთან, ამინდის მაგიური მართვის რიტუალებთან. თუ ეს ასეა, ეგებ ქვაკაცები ღვთაბადაც იყო მიჩნეული, ან ამინდის თუ წყლის გამგებლის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენდა, ისე როგორც ვეშაპ-ვეშაპოიდი. თუმცა ავტორი იქვე დასძენს: „არც ისაა გამორიცხული, რომ „ქვაკაცა“ უკავშირდებოდეს ქვის კულტს, რასაც ლაზარობის რიტუალებში გარკვეული ადგილი უჭირავს“ (თანდილავა 1974: 18).

ფაქტია ისიც, რომ აჭარაში რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული თქმულებები კონტამინირებული სახით გვხვდება.

საინტერესოა გადმოცემა „სარმიყელის“ მთაზე არსებულ ქვაკაცებზე, რომელიც სიძე-რძალს უკავშირდება. ამ გადმოცემის მიხედვით, მთა გვანცას ასული, კარჩხალის ვაჟზე დაწინდული, ხინოსათვის მიუთხოვებიათ. კარჩხალამ ეს ვერ აიტანა და ღმერთს სიძე-პატარძლისა და მაყრიონის გაქვავება შესთხოვა, რაც ვითომ აღსრულდა კიდევ – გვაუწყებს ალ. ქათამაძისა და სხვათა ჩანაწერები (ქათამაძე 1940: 13 - იხილეთ დანართი №7).

თქმულების უფრო ადრეული ვერსიაა დაცული ჟ. მურიეს ჩანაწერებში. ქედის რაიონის სოფელ დანდალოს „ხიდის ერთ-ერთ ბურჯზე თითქოს ადამიანის ფეხის კვალი ჩანს“. აი, რას ყვებიან ამის შესახებ აჭარლები. შენიშნავდა ჟ. მურიე თავის ნაშრომში „ბათუმი და ჭოროხის აუზი“ – „კარჩხალის ერთ მოსახლეს უნდა შეერთო გვანცელი ქალიშვილი, პატარძალი საქმროს სახლში ერთი გვანცელი ვაჟკაცის ცოლის თანხლებით მოვიდა, რომელიც მასავით ღამაზი იყო. დედამთილს, რომელიც მათ კარის ზღურბლზე შეხვდა, ცუდად ენიშნა ეს ამბავი და ორივე დასწყევლა, ორივე უმაღლ გაქვავდა. ისინი არიან სწორედ ის ორი ქვის კონუსი, რომელიც კარჩხალის მაღლობზეა აღმართული. „იაველად“ წოდებული პატარძლის ამხანაგის ქმარი ვერ შეურიგდა მეუღლის დაკარგვას, იგი ყოველდღე ადიოდა, გვანცას მთის მწვერვალზე უყურებდა თავის გაქვავებულ ცოლს და გოდებდა. ვაჟკაცის მოთქმა არყევდა მთასა და ბარს, მოსვენებას არ აძლევდა მოსახლეობას. შეშინებული დედაკაცები მშობიარობის უნარს კარგავდნენ, ხოლო მამაკაცები უძლურდებოდნენ. მაშინ გამოჩნდა „ქედელაურად“ წოდებული ვაჟკაცი, რომელმაც დაავლო ხელი იაველას (კაცი რომელიც ვალალებს), ჯაჭვით შეკრა, გადაიყვანა ხიდზე და იქ ერთ ადგილს მიაჯაჭვა, რომელსაც დღესაც „საბელაურს“ ეძახიან. „იაველა“ დაჰპირდა გმირ ქედელაურს, ამ ქვეყანას აღარ შევაწუხებ გოდებითო და ჯაჭვის ახსნისთანავე დაჰკრა ფეხი ხიდის ბურჯს,



გადაახტა გვანცას მთას და სამუდამოდ დაიკარგა. მისი ნატერფალი კი ქვაზე დარჩა. მეორე გმირის სახელი სოფელმა ქედელაურმა შემოინახა“ (მურიე 1962: 40 - იხილეთ დანართი №8).

დღეისათვის ეს თქმულება სახეცვლილი სახითაა შემორჩენილი. მთქმელი კონტამინირებული ფორმით წარმოგვიდგენს გვანცა-ლელას ფოლკლორულ სახეს. ინფორმატორის თხრობით: „გვანცა-ლელას იმხელა გუდუდგამია ფეხი, რომ ერთი ფეხი გვანცას მთაზე და იქიდან მეორე ფეხი საბელაურში დუდგამს. საბელაურში მისი ფეხდანადგამი ახლაც ეტყობაო (მთქმ. ე. ცინცაძე. ქედის რაიონის მკვიდრი, 67 წ. ჩავიწერე 2007 წ. პირადი არქივი - იხილეთ დანართი №9).

„გვანცა-ლელა“ ეწოდება, ადგილს, რომელიც ქედის რაიონის სოფლების, დანდალოსა და ბალაძეების ტყეში მაღალ ქედზე მდებარეობს. თქმულების სხვა ვერსიით, გვანცა და ლელა ბალაძეების მთის ფერდობზე დადუპულან. ისინი დები ყოფილან. თავიანთი რაზმით თავს ესხმოდნენ მომხვედურებს. თანასოფლელებს რწმენასა და იმედს უნერგავდნენ, თავად აცხობდნენ მჭადს და ტრადიციულად ჯვარს ასვამდნენ. ადგილას, სადაც გადაიხეხნენ თანასოფლელებმა სამშობლოს ერთგული დების სახელი შეარქვეს” (ტაკიძე დარიკო, დაბ. სოფ. დანდალოში და მცხ. დაბა ხელვაჩაურში. 43 წ. 2009 წ. პირადი არქივი).

ამავე ციკლის თქმულების ერთ-ერთი ვარიანტი უკავშირდება **ნაჯვარევს**, რომელიც გვანცას მთასთან ახლოს მდებარეობს – ქედის რაიონის სოფელ ტაკიძეებში, ივანესა და ბაგრატაულის უბნებს შორის. ოსმალთა ბატონობის ხანაში აქაურები საიდუმლოდ, ღამით დადიოდნენ და გამჩენს გადარჩენას შესთხოვდნენ. ოსმალომ ვერ გაიგო, ვინ აკეთებდა ამას. ბოლოს ჩაუსაფრდნენ, დაადგინეს, რომ მათ ყოველთვის მზეთუნახავი გვანცა და ლელა მიუძღოდნენ და თავად ასრულებდნენ რიტუალებს. რაც შეეხება მათ ისტორიას, გვანცასა და ლელას მშობლები უთანასწორო ბრძოლაში ადრე დაუხოცავთ, თავად კი მთაში მიიმალნენ და მოსახლეობას იცავდნენ. ოსმალებმა ოქრო-ვერცხლი არ დაიშურეს, ოღონდ გვანცა და ლელა თავიდან მოეშორებინათ, მაგრამ ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდათ, ვინაიდან გვანცა და ლელა ხალხს ძალიან ყვარებიათ. ბოლოს ისინი თურმე ერთმა პირშავმა დედაბერმა გასცა. დები თავდამსხმელებს ვერ გაუმკლავდნენ, მაგრამ არც დანებდნენ და კლდეზე

გადაიჩეხენო. ამიტომ აქაურობას „გვანცა-ლელა“ დაერქვა. ამ კლდეს ისინი დღესაც პატივს სცემენ (ქათამაძე 1940: 13 – იხილეთ დანართი №10).

ქედის რაიონის სოფელ ნამონასტრევის ქედზე, კლდიან ადგილს „გვანცა-ლელას“ გაქვავებულ მაყრიონს ეძახიან. როგორც სოფელ დანდალოს მკვიდრი სურიე ავალიანი მოგვითხრობს: „დედამთილის ქმარს თურმე მეორე ცოლი მოყავდა, ეს ამბავი მისი სახლის რძალს ძალიან უხაროდა. დედამთილს დუშუყვევლია მისი რძალი და მაყრიონი ღმერთმა გაგაქვავოსო. ღმერთს შუუსმენია და იქ მოსული მაყრიონი გუუქვავებია (მთქმ. ს. ავალიანი, დაბ. და მცხ. სოფელ დანდალოში, 77 წ. ჩავიწერე 2011 წ. პირადი არქივი – იხილეთ დანართი №11).

ანალოგიურია თურქეთში მცხოვრები მუჰაჯირების ნაამბობიც: „ანაი (დედა – ნ. მ.) იტყოდა: კარხხალელამ ბანცალელას (<გვანცა-ლელას – ნ. მ.) ქალი მიცეს. მოვდენ მაყრები კარხხალზე. დოდოფალმა გულში გეირუნია: ღმერთო, ჩემ მიყუანამდი დედამთილი მოკალიო. მეგომ დედამთილი ევლია (გულთმისანი – ნ. მ.) იყო და შეიტყვა. იმანაც დაწყევლა: – ჰაცა ხართ, ღმერთმა იქ ქუასევით გაქხადონო. გერჩექ (მართლაც – ნ. მ.) გაქუავდენ დადიები და დოდოფალი ტყვიან, ახლაც დგარან ქვანსნებო (მთქმ. სულტან და საბრი იაგუზები (ფუტკარაძეები), სულტან სეზერი (ტაკიძე) – ფუტკარაძე 1993: 144 – იხილეთ დანართი №12).

ჭვანის ხეობის სოფელ ჭალაში, მკვლევარ რამაზ სურმანიძის ცნობით, ამ სოფლის ზემოთ, ტყეში, გომარდულისკენ მიმავალ ბილიკთან ახლოს, მდინარის პირას არის დიდი ქვა, რომელსაც ადამიანის ფეხის მსგავსი ფორმა აქვს. ამ ქვასთან ხშირად მივდიოდით და გვიხაროდა იქ მისვლა. ბებიას მონათხრობით ამ ქვაზე „წმინდანს“ ცალი ფეხი რომ დაუკრია იქეთა ხეობის მეორე მხარეს გადასულა და იქ ხელის ჩამონაკრავიც – აჩნდაო“. ამ ადგილის სახელს ავტორი ვერ იხსენებს. მაგრამ ის კი იცის, რომ „აქ წმინდანმა გადაიქროლა ზღაპრული რაშითო“ (იხილეთ დანართი №13).

იქვე მკვლევარი იხსენებს, **ჭვანელები** გვალვის დროს როგორ ეხვეწებოდნენ წმ. გიორგის, გააწვიმეო: „დიდი გვალვების დროს ჭვანელები საერთო ფულით შეიძენდნენ საკლავს, ჩაიყვანდნენ ჭვანის „თაღოვან ხიდზე“, ხიდის ქვეშ ჩამოკიდებდნენ და წმ. გიორგის ევედრებოდნენ – „წმ. გიორგი წვიმა მოგვივლინეო“. დაკლულს კი ხიდზე ჩამოკიდებულს ტოვებდნენ (მთქ. პროფ. რ. სურმანიძე, დანართი №14 (ა) ხელნაწერთა უფლებით). იმავე ვერსიაზე საუბრობს

სოფელ ზემოხევში მცხოვრები თენზილე ქარცივაძე-ჭაღალიძისა. ამ თქმულებებში, ჩვენი აზრით, ამინდის მართვის დეოტაბა „ელიაზეა“ საუბარი, მაგრამ ის, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აქაც წმ. გიორგის ჩაუნაცვლებია (იხილეთ დანართი №14 (ბ). მაგალითად, თრიალეთში ხარს, მთელი სოფელი ყიდულობდა და წვიმის გამოსათხოვრად წმ. გიორგის სწირავდა (სიხარულიძე 1972: 33).

აჭარაში ჩაწერილ ტოპონიმურ გადმოცემათა განხილულ ციკლში ზოგჯერ ფიგურირებენ მაჰმადიანური მითოლოგიის გმირები და პერსონაჟები.

შუახვეის რაიონის სოფელ ქიძინიძეების თავში, თურქეთ-საქართველოს საზღვრის ნეიტრალურ ზონაში, არის მთა, რომელსაც „წმინდისერს“ ეძახიან. ამ მთის გვერდით, დაახლოებით ერთ კილომეტრში, არის დიდი ზომის ქვა – „გორის კილდე“ (გომანის ქვა, გორის ქვა), რომელიც გომანის ტერიტორიას მიეკუთვნება. ქვასთან დაკავშირებით აქაურები საინტერესო ამბებს ყვებიან: „ამ ქვაზე უწინდელ დროს, დედაკაცები ადიოდნენ და ლოცულობდნენ, მაგრამ რას, არ ვიცო... ამ ქვის დასავლეთით, „წმინდისერია“, ხოლო მის ქვემოთ ამავე სოფლის მოსახლეობას საზაფხულო იაილები აქვს. „ისინი იალაღებიდან დაახლოებით 3-4 კილომეტრს ადიოდნენ და ქვასთან, ან ქვის თავზე ლოცულობდნენო. თურმე ამ ქვაზე ხეზრეთი ალის გადაუვლია თავისი ცხენიანად, კლდე შუაზე გაუპია და ისე გაუგრძელებია გზა „წმინდისერისკენ“. კლდეზე ახლაც ატყვია ცხენის ნაფეხურები და ცხენის კუდის მიერ გაპობილი ნაპრალი (კუდი რომ გაათრია, იმან დატოვა ნაპრალი“ მოსახლეობა ამ ადგილს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა – ქალები, კაცები, ბავშვები იმ ცხენის ნაფეხურებში კენჭებს ტოვებენ, სურვილს ჩაუთქვამენ და უკანმოუხედავად ტოვებენ იმ ადგილს. მათ სჯერათ, რომ ეს ქვა სურვილებს აუსრულებს“ (მთქმელი შ. გოგიტიძე დაბ. სოფელ ქიძინიძეებში და მცხ. ქალაქ ბათუმში. 2012. პირადი არქივი – იხილეთ დანართი №15; 16).

ზემოთ მოყვანილი თქმულება მთქმელის, შალვა გოგიტიძის აზრით, მაჰმადიანური რელიგიის მსახურ „ხეზრეთი ალის“ ეხება. აჭარაში ხეზრეთი ალის შესახებ მრავალი გადმოცემაა ჩაწერილი, მაგრამ ისინი განსხვავდებიან ამ ამბისგან. თანაც საყურადღებოა ერთი გარემოებაც, იქ დადიან დედაკაცები და ბავშვები და რიტუალსაც ისინი ასრულებენ. მამაკაცები რატომღაც პასიურობენ. გომანის მიდამოებში დღესაც მუსლიმები ცხოვრობენ და თუ

ამდენად მნიშვნელოვანია ეს ადგილი მათთვის, თანაც „ხეზრეთი ალი“ მაჰმადიანის წმინდანია, ამ საკითხით რატომ არ დაინტერესდნენ მამაკაცები?

მსგავსი ციკლის თქმულებები და ხეზრეთი ალის სახე აჭარულ ფოლკლორში წარმოდგენილია. წიგნში „ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში“. მკვლევარი თინა შიოშვილი წერს: „ძნელი არ არის... ხეზრეთი ალის სახით დავინახოთ ვეშაპთმებრძოლი გმირი, რომლის გენეზის მითოსური ეპოსია, საიდანაც ეს პერსონაჟი გადავიდა საზღაპრო ეპოსში. ვეშაპთმებრძოლის გმირის, ანუ ეგრეთწოდებული კულტუროლოგიური გმირის სახეს კარგად იცნობს როგორც მსოფლიოს ყველა უძველესი ხალხის, ისე ქართველთა ფოლკლორულ-მითოლოგიური შემოქმედება, რომლის უშუალო გავლენითაც უნდა მომხდარიყო წმინდანის სახის ტრანსფორმირება ჯადოსნური ზღაპრის გმირად“ (შიოშვილი 2010: 174).

„ხეზრეთი ალის ციკლის აჭარული ლეგენდების მიხედვით, ალი უძლეველი, ყოვლისშემძლე და უფლის რჩეულია. მის საქმეებს განაგებს უფალი. ის პირველი დაწინაურებული პირია ცათა სასუფეველში (ხოხატაური რაიონი ტაშტან პაქსაძე (ნბიფა, საქმე №219, გვ. 13-16). თქმულებებში გაზვიადებულია, როგორც გმირის ასევე მისი ცხენის მაგიური ძალაც: „ხეზრეთი ალის ისეთი ცხენი ჰყავდა, რომ ჰაეროპლანივით ფრინევდა. ცხვირიდან იმფერ ფუტ უშვებდა, რომ ნახევარი ჯარი იმით წყდებოდა“ (ნბიფა, საქმე №257, გვ. 44 - იხილეთ დანართი №17). ან კიდევ „ხეზრეთი ალის ცხენი ფეხებს რუმ გადაადგამს, სერი სერს ეხუტება და ისე მიდიან, რუმ სერიდან სერზე ფეხს გადაადგმენ და მემრე ისევ შორავდება სერები ერთიმეორეს“ (ნბიფა, საქმე №194, გვ. 62); (შიოშვილი 2010: 174 – იხილეთ დანართი №18).

ხულოს რაიონში შემორჩენილ თქმულებაში, წმინდა მხედრის იარაღი „მათრახია“, მისი მეშვეობით ამარცხებს მტერს, საასპარეზო ადგილი კი აქაც მაღალი მთაა „იალაღი“. მას მოსახლეობა „ფეიღამბრის ფეხს“ // „ფეიღამბრის ქვას“ - უწოდებს. ასევე გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, აქაც, როგორც ზემოთ აღნიშნულ თქმულებაში (გორის კილდე) აღიოდნენ და დღესაც ადიან მლოცველები, ააქვთ ცოტაოდენი შესაწირი: პური, საჭმელი, ხილი და სხვა. სანოვაგეს ტოვებენ ან ადგილზევე მიირთმევენ და სხვასაც უმასპინძლდებიან. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ამ ქვას, იმ ნატერფალს, სასწაულ ძალას მიაწერენ. მსგავსად თურქეთში ჩაწერილი თქმულებისა, აქაც, ამ ადგილსაც იძინებენ, სურვილებს ჩაუთქვამენ, თუ

ნაფეხურში წყალია იმით პირ-სახეს დაიბანენ – „მას კურნებადი ძალა გააჩნიაო“ და მერე უკან ბრუნდებიან. მთქმელები მოგვითხრობენ: „ხალხის გასანადგურებლად მოსულ დევებსა და ვეშაპებს ამ მთაზე ჩამოუსწრო ფეიღამბერმა და ისინი მათრახით შუაზე გააპო და ლოდებად აქციაო. ეს ის ლოდებია, რომელიც „ფეიღამბრის ნატერფალის“ ქვემოთ მიწაშია ჩაზრდილი (მთქმელი: ჯაყელი – მელაძე, სოფ. აღმეს მკვიდრი, 80 წ. პირადი არქივი, 2008 წ. – იხილეთ დანართი №19).

წმინდა ადგილის გვერდით არის მოზრდილი ქვა, რაზეც ადამიანის დიდი ნაფეხურია. ხალხის წარმოდგენით ეს ადგილი წმინდაა, „ზიარეთია“, – ვინაიდან აქ „ფეიღამბრის ფეხდანადგამია“ და ამ ადგილს ისინი დიდი პატივითა და მოწიწებით ეპყრობიან. რაც შეეხება კითხვას თუ რომელი „ფეიღამბერის ფეხის ნატერფალია“? ამ კითხვაზე პასუხობენ და ამბობენ: „ღმერთ–გამჩენელის მოციქულიო“. რა თქმა უნდა, ძნელი გასარკვევია, თუ რომელ წმინდანს გულისხმობს მთქმელი, მაგრამ სავარაუდოა, რომ ეს იყოს წმინდა გიორგი.

ანალოგიისთვის მოვიყვანთ ფერეიდნელ ქართველებში დაცულ გადმოცემას წმ. გიორგის ლოდის შესახებ. შაჰ-აბასის მიერ XVII საუკუნის 10-იან წლებში ირანის შიდა პროვინციაში – ფერეიდანში გადასახლებული ქართველების გადმოცემით: „როდესაც ავღანელები ირანს თავს დაესხნენ და ფერეიდანს მიაღწენ, უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას მფარველად მოველინა უზარმაზარ ქვის ლოდიდან გადმოსული თეთრ ცხენზე ამხედრებული ხმალშემართული კაცი, რომლის წყალობით ფერეიდნელი ქართველები დამარცხებას გადაურჩნენ. გადმოცემით, ომის დამთავრების შემდეგ მხედარი ისევ ლოდში გაუჩინარებულა. აღნიშნულ ლოდს დღესაც მოსახლეობა „**თამზის ცხენს**“ ეძახის და მასთან ახლოს სანთლებს ანთებს. ამ გადმოცემით დასტურდება ის ფაქტი, რომ XVII საუკუნეში საქართველოდან ფერეიდანში გადასახლებულმა გამუსლუმანებულმა ქართველებმა მაინც შემოინახეს წმ. გიორგისადმი თაყვანისცემა (ბუბულაშვილი 2009: 94 – იხილეთ დანართი №20).

ანალოგიური შინაარსის თქმულებას ვხდებით პროფესორ შ. ფუტყარაძის მიერ ჩაწერილ ფოლკლორულ მასალებში, კერძოდ, სოფელ ფორთას მცხოვრებლების გადმოცემით, წმ. გიორგი კლდეში ცხოვრობს და გაჭირვების უამს გამოდის და ადამიანებს ეხმარება. მკვლევარი ასევე შენიშნავს, აქაურების ხსოვნაში დღესაცაა წმ. გიორგის სასწაულების ელემენტები, რომელსაც თავისებური ახსნა მოეძებნება, კერძოდ – „წმინდა სალოცავის ქვემოთ, მთის

კალთაზე ცნობილი ტაძარია, რომელიც ვახტანგ გორგასლის მეფობისას V საუკუნეშია აგებული. იგი დღეს ნანგრევების სახითაა წარმოდგენილი – მიწისძვრას ჩაუქცევია. „ჩვენებურების“ გადმოცემით, „ეკლესიის ახლოს არსებულ კლდეებში ურჩხულები, გველეშაპები იმალებოდნენ და ადამიანებს ხშირად თავს ესხმოდნენ. ერთ-ერთი თქმულებით, ერთ გოგოს ოპიზაში, საცალფეხო ბილიკით საჭმელი ტაბლით მიჰქონდა, ტაბლა თავზე ჰქონია შედგმული. უცებ კლდის ნაპრალიდან გამოსულა ურჩხული, მის დანახვაზე გოგონა წმინდანს შევედრებია, ქვად გადამაქციეო, წმ. გიორგის ის მართლაც ქვად უქცევია“. მოქმელი ამტიცებდა. ასეთი ქანდაკება დღესაც დგას იმ ადგილასო. ღვთის რჩეული ურჩხულებს ჰკლავდა და ხალხს ამით ეხმარებოდა, ამიტომ შეარქვეს მას **წმ. გიორგიო**, მას თეთრი მფრინავი რაში ჰყოლია და სადაც ხალხს გაუჭირდებოდა, იქ გადაფრინდებოდა. წმ. გიორგის გარდაცვალების შემდეგ რაში ცაში გაფრენილა, წმინდანი კი აქაა დასაფლავებულიო (ფუტკარაძე ხელნაწერის უფლებით. 28. 08. 2012) მკვლევრის აზრით, აღნიშნულ თქმულებაში ჩანს წმ. გიორგის ყოვლისშემძლეობა, რომელიც მუჰაჯირთა ცნობიერებაში დღესაცაა შემორჩენილი (იხილეთ დანართი №21; 22; 23).

„ღვთაება–წმინდანთა ფუნქციების შეკვეცა-გაფართოება, მათი ურთიერთშენაცვლება თუ შერწყმა რელიგიურ სისტემებსა და მითოლოგიაში ფართოდ დასტურდება (თანდილავა 1988: 54). ე. თაყაიშვილის აზრით, „რელიგიურ იდეოლოგიურ გარდაქმნის პერიოდში ძველი სარწმუნოება ახალს ერევა, ძველი ღმერთების ფუნქციები ახალ ღმერთებზე ან წმინდანებზე გადმოდის, მაგრამ ძველი მოძღვრება და წარმოდგენა არსებითად უცვლელი რჩება (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, №757, გვ. 1).

სხვადასხვა რელიგიური ნაკადის კონტამინაციის შესანიშნავი მაგალითია ტოპონიმური გადმოცემები ე. წ. „ზიარეთობის“ („წმინდა ადგილების“) მონახულების შესახებ. თურქული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით Ziyaretgan–სალოცავები, სალოცავი ადგილი (თურქულ-ქართული ლექსიკონი 2001: 1530).

თურქეთის საქართველოში ტრადიციებზე არა ერთ მკვლევარს (ნ. მარს, ე. თაყაიშვილს, მ. ბერიძეს, რ. გუჯეჯიანისა და სხვა) გაუმახვილებია ყურადღება. მ. ბერიძისა და რ. გუჯეჯიანის დაკვირვებით, „ტრადიციული ქართული

მენტალობის უმთავრესი ელემენტები, მათ შორის ქრისტიანული მოტივებიც, ხშირად შენიღბული, მაგრამ მაინც შემონახული და თუნდაც გაუცნობიერებელ დონეზე არსებული, აღწერილია XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის მკვლევარ-მოგზაურთა ნაშრომებში ტრადიციულ ქართულ კულტურასთან დაკავშირებული. ყოფაში ფიქსირებულია „ზიარეთობის“ ტრადიციაც (ბერიძე, გუჯეჯიანი 2010: 176).

„ზიარეთობის“ ტრადიციასა და მისი სახელის ეტიმოლოგიას ეხება ნიკო მარი: „თეთრაქედელები//თეთრაკეთელები, ცხადია, მუსლიმები, მიყვებოდნენ, თუ როგორ დადიოდნენ სალოცავად (ზიარეთი) ქრისტიანულ ეკლესიაში, რომელიც ახლა ნანგრევებადაა ქცეული: ზიარეთში წავალთ, მუმს გავაკეთებთ, გავადნობთ, ძაფს ჩავყობთ და ამევიღებთ, წავიღებთ, ზიარეთათ ფორტას წავალთ და მერის, აჭარას. ფორთის ზემოთ არის ჩვენი „ზიარეთი“, ერთ საათს გოუწევს. ზიარეთზე მარტოდ მოშენებული სახლი არი ქვიდან, ყულაი მოშენებული, ყულანდელი, მაშინდელი. ზიარეთში დაწვებიან. სიზმარში ნახვენ. ეტყვის სიზმარში, ეს დაკალი, და ფული აჩუქეო, შინ დაკალიო, და აქ დაკალიო, რაცხასაც რომ ეტყვის, დაკლავს. ყოჩი (მამალი ცხვარი), ცხვარ ეტყვის, ხარ, ზროხას ეტყვის. ქათამი გაგვიგონია, სხვა ჩიტი არ გაგვიგონია (მარი: 1911: 79 – იხილეთ დანართი №24).

თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა, ნიკო მარს „ზიარეთში“ სიარულის მიზეზიც აუხსნეს: „ზიარეთში მიდიან ფორთას, ჭკუა რომენ დაკარგული ექნება, შვილი არ ეყოლის, კარი არა აქ, შევა შიგ კაცი და ქალი, პერანგს ჩაიცვამს მარტო, ოქრო ვერცხლი არ იქნება. მარტო პერანგი და ნიფხავი (ფიშტონი), რომ აანთებს. სამ, შვიდ. ხუთ, ცხრას. ჩემი დერდი რაცხა არიო. ვნახო სიზმარიო. და დაწვება. თუ არ ნახა სიზმარი, არ მოუხდა. თუ ნახა, თვალს დააბანიებს სიზმარში (მოუტონს რაცხას, ისე ეჩვენება) ასვამს და ეტყვის ყურბანიო (ქართ. ყურბანდიო) სანთლებს ქვაზე აკრავენ. მლოცველები იქ რჩებიან 1-3 დღე, შორიდან მოსულები უფრო ხანგრძლივი დროითაც. საზიარეთოდ მიემართებიან მაისსა და ივნისში, მიდიან ფეხით (იქვე: 80 – იხილეთ დანართი №25).

მკვლევარი ექ. თაყაიშვილი დაინტერესებულა ამ მასალებით, იგი ამავე დროს იმოწმებს ნ. მარის ნაშრომს „სამუსლიმანო საქართველოში ჩვეულებადაა ზიარეთში წასვლა. ეს უდრის ჩვენებურ ხატობას. ზიარეთი სამლოცველო ადგილს ქვია და ისეთი ადგილებია, სადაც ძველი ეკლესიების ნანგრევებია, ან ყოფილი საჯვარეა. აქ მოდიან სხვადასხვა ადგილებიდან, ნამეტნავად ქალები;

მოაქვთ ჩამოქნილი თაფლის სანთლები, აანთებენ სანთლებს და ლოცულობენ. აქ რჩებიან ერთ-ორ ღამეს; თუ შორიდან მოსული არიან, უფრო მეტსაც. და ამათ უნდა დაესიზმრონ ღამე, თუ რა ცხოველი დაკლან სამსხვერპლოდ, ცხვარი, თხა, ხბო, ძროხა თუ ხარი, და რაც დაესიზმრებათ, იმას დაკლავენ ხოლმე. ასეთ ჩვეულებას ასრულებენ პორტას (ძველი შატბერდის) მონასტრის ნანგრევებში და ბევრ სხვა ადგილას. მოლები უშლიან, რასაკვირველია, ასეთ ქცევას ხალხს, მაგრამ ვერაფერს ხდებიან. ასეთი ზიარეთი აქვთ ხახულის მცხოვრებთაც, მათი ხევის სათავეში, მთაზე, სადაც ეკლესიების ნანგრევებია დაცული“ (თაყაიშვილი 1991: 220 – იხილეთ დანართი №26).

თავად ნიკო მარიც შესწრებია ამ ფაქტს, სალოცავად მიმავალთა პროცესიას იქვე, იმერხევის სოფელ იფრხევლში. „საზიარეთოდ“ მიმავალ მლოცველთა ჯგუფი საკმაოდ დიდი ყოფილა. ადგილობრივმა მცხოვრებმა მოსიძემ მკვლევარს აუხსნა, რომ ეს ქალები და მათი ქმრები 3 დღეს დარჩებოდნენ მთაში სალოცავად, ხოჯები ძალიან ებრძვიან ამ ჩვეულებას და ამბობენ, რომ მთებში არავითარი „ზიარეთი“ არ არისო, მაგრამ მოსახლეობა ეწინააღმდეგება მოლებს, არ უჯერებს მათ და აგრძელებს თავისი ძველი წეს-ჩვეულების შესრულებას (მარი: 1911: 45).

საინტერესოა, XXI საუკუნის მასალები, რომელებიც მკვლევარ მაღსაზ ჩოხარაძეს ჩაუწერია და წარმოდგენილი აქვს ნაშრომში: „კლარჯეთის „ათორმეტ სავანეთა მხარე“ და წმინდა გიორგის ეკლესია“ – ავტორი ეხება წმ. გიორგის სახელობის ე. წ. „ძეგლის“ ანუ „ნუკას საყდარის“ ტოპონიმთან დაკავშირებულ გადმოცემას: „ძეგლი ფორთას თავზეა. შავშეთის გზატკეცილიდან ფირნარლის გზაზე თუ აუხვევ, ასახვევიდან ძეგლამდე 22 კილომეტრია. ზემო ფორთასთან მისვლამდე მარჯვნივ უნდა მიუყვებ და ახვიდე ფორთის იაილამდე. მას „ზიარეთი იაილას“ უწოდებენ, რაც მოსალოდნელიცაა, იმიტომ ძეგლი ზიარეთია და იგი იაილიდან ნახევარ კილომეტრზე მდებარეობს. ეს ადგილი ადმინისტრაციულად ფორთას ეკუთვნის, თუმცა უფრო ოპიზის მხარესაა.

თურქეთის ტერიტორიის ამ ნაწილში ჯერ კიდევ უცნობი ეკლესიის ნანგრევებია, ეკლესიის წინ ორი საფლავია, იქაურების გადმოცემით, შეიძების, ანუ წმინდანებისა. საფლავები განახლებული და მოვლილია. ეკლესიისა და საფლავების გვერდით აუცილებლად ე. წ. დასაძინებელი, ფარდაგით დაფარული ფიცრული საწოლი, რომელიც შემოდლობილია და გადახურული. შეიძების



შესახებ ლეგენდებსაც ყვებიან: უხსოვარ დროში აქ ხეზრეთი ალი მოსულა. მას ბერთის მხრიდან გადმოუვლია და თან ორი წმინდა კაცი (შეიდი) ხლებია. მსლებლები „ძეგლად“ წოდებულ ადგილას, გამოქვაბულში დაუტოვებია, თავად სადღაც წასულა და როცა დაბრუნებულა, ორივე დახოცილი, დაკლული დახვედრია და იქვე დაუსაფლავებია (იხილეთ დანართი №27).

ეს თქმულებები მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მუსლიმანთა გმირის-ხეზრეთი ალის გვერდით, მთქმელი ქართველთა მეფეს-თამარს მოიხსენიებს, სადაც თამარის სახე თითქოსდა მეორეხარისხოვანია, მაგრამ, თუ თურქული პოზიციიდან ვიმსჯელებთ, ეს ბუნებრივიცაა. ინფორმატორი ასევე ხაზს უსვამს თამარის, როგორც მორწმუნის პოზიციას რელიგიურ მრწამსთან დაკავშირებით. „უხსოვარ დროში აქ ხეზრეთი ალი მოსულა, აქ ერთი თამარაი ყოფილა, თამარასთვის უთქვამს, გამუსლიმანდიო. ან საკუთარი სურვილით უნდა გამუსლიმანდე, ან სისხლს დავეფრინო, თავებს დავაჭრი ყველას და ასე გავამუსლიმანებო. თამარას უთქვამს – სად მედინა და სად ფორთაო, შუაში ექვსი თვის გზაა. ეს რომ გაიგონა, ხეზრეთი ალი შეჯდა ფრთოსან რაშზე, გაიქროლა და თამარას ჰკითხა: შენი სარწმუნოება უფრო ჭეშმარიტია, თუ ჩემიო. თამარამ უთხრა – ჩემიო. რატომ შენიო? – აქ სალოცავია, იქ ღმერთის სახლიო, – თავისებურად აუხსნა თამარამ და თან დასძინა, – თუ შენი სარწმუნოებაა მართალი, მთებში რომ გველეშაპია, ის მოკალიო. ამ გველეშაპს, თურმე, ყოველდღე ერთი კაცი მიჰყავდა არტანუჯის ტყეში და ჭამდა. ხეზრეთი ალი ავიდა მთაში (მთხრობელი ძეგლის მიმართულებას მიუთითებს) და დაუძახა გველეშაპს. ის კიდევ გამოხტა და გაიქცა ართვინის მიმართულებით. ხეზრეთი ალიმ ქვა ესროლა და ვერ დააწია. მერე აიღო და ხმალი ესროლა. მთა შუაზე გადაიხსნა, ხმალს გზა უტია. ხმალი გველეშაპს ჩაერჭო და მოჰკლა. ხეზრეთი ალიმ გამარჯვების ყიჟინა დასცა. თამარამ ღუა (ლოცვა) წარმოთქვა. თამარამ იცოდა, რომ ხეზრეთი ალი უნდა მოსულიყო და მიუვალ კლდეზე თავისი ოქროსა და სიმდიდრის დასამალად ააშენა ნუკა ქილისა. იქედან არის დარჩენილი სახელწოდება „ნუკა-საყდარ“ ანუ „ნუქი-სახლი“. ნუქი-ოქროს ნიშნავს, პატარა ოქროს, „სახლა“ იგივეა რაც „დამალე“, „შეინახე“ (ჩოხარაძე 2012: 4)– იხილეთ დანართი №28).

აჭარაში დღესაცაა შემორჩენილი ანალოგიური წმინდა ადგილები, რომელთა მნიშვნელობასა და დანიშნულებას, ცვლილებების მიუხედავად, დრომ ვერაფერი დააკლო და არქაულ პლასტებს შეფარებული ისევ მნიშვნელოვანია

ხალხთა ნაწილისთვის. ეს ადგილები „ზიარეთის“ სახელწოდებითაა ცნობილი. მაგალითად, პირველი მაისის საკრებულოში (ქედა) დასტურდება ტოპონიმი „ზიარეთი“. ადგილობრივთა თქმით, ამ ადგილას ევლიების (წმინდანების) საფლავია. თურქობის დროს იქ აღიოდნენ და ზიარობდნენ, როცა რამე გაუჭირდებოდათ: „იქ მისული ხალხი საფლავზე იძინებს და ნახულობს სიზმარს. საფლავი იმასაც გიცხადებს, გეხმარება თუ არა. თუ დაგეხმარება, ისევ საფლავზე გაიდვიძებ, თუ არ შეგიძლია დახმარება, საფლავი გვერდზე მოგისვრის, მაგრამ შენ ვერ იგრძნობ, ისე გაგედვიძება სხვა ადგილას“ (მთქმ. თ. სურმანიძე); (ჩოხარაძე 2012: 4).

ზემო მოყვანილ თქმულებებს მკვლევარი მ. ჩოხარაძე, ისევე როგორც ე. თაყაიშვილი აკავშირებს, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს–ასევე აღმოსავლეთ საქართველოს უძველეს ტრადიციებთან: „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არსებული ტრადიციის ზოგიერთი მოტივი – სალოცავში წასვლა, ავადმყოფის მიყვანა სალოცავზე, ვალდებულების დაკისრება-დაკანონება (ძეგლის დადება), მსხვერპლის შეწირვა, ჭოროხის აუზში ცნობილ ზიარეთობასთან დაკავშირებითაც თვალსაჩინოა. ნიშანდობლივია, რომ ორივეგან ფიგურირებს „ძეგლი“ ერთგან როგორც გარკვეული რიტუალის, წესის, ვალდებულებების აღმნიშვნელი ტერმინი, მეორეგან – როგორც ტოპონიმი –სახელწოდება ადგილისა, რომელიც კლარჯეთში ასოცირდება ზემოთ აღწერილის არა იდენტურ, მაგრამ ასე თუ ისე მსგავსს რიტუალთან: „ზიარეთში ვიარებოდით, დავითეთში (სვირევანის მეჭვლა), დღვაბეთში. ნისლათაა იქ ახლოს, იქაც იყო ზიარეთი. ფორთაშიც... ფეხით წვედოდენ, ევდოდენ იქა, სიზმარ ნახავდენ. რაცხას ჩეიფიქრებდა (შეპირდებოდა), იმაზე ნახავდა სიზმარს; „აგზე, ზეით, მოყორილივით იქნება მეზერი (საფლავი) იმგვარ ადგილზე, დარჯს თუ რამეის ეშინია, ან თუ ვერ გათხოვდა ბახალა, რამე თუ ჭირს, ზიარეთში წველენ, დაწვებიან. თუ იმაზე დეიძინებს და ჩეიფიქრებს, უუსრუდდება, თუ ვერ დეიძინებს და ჩეიფიქრებს, უუსრუდდება, თუ ვერ დეიძინებს, არ უუსრუდდება; უსტამის გედეიარ, მოჰობნურ იაილას ეტყვიან, თაა, იგზე ერთი ადგილი იყო, ყორე იყო, მეზერი. იგზე წვებოდნენ. ერთი ზიარეთიც ფორთას ყოფილა. იქ დაჰა კაიიო, იტყვიან“ (ჩოხარაძე 2012: 6)–იხილეთ დანართი № 29).

ქვათა და „ზიარეთის“ ადგილები ტაბუირებულია. აჭარაში ჩაწერილი მასალის მიხედვით, ერთმა კაცმა გადაწყვიტა წმინდა ადგილიდან „ფეილაბრის

ქვა”//„ფეილაბრის ფეხი” წმინდა ქვა, იმ ადგილიდან მის სახლთან ჩამოეტანა და დაეცვა, რათა ხალხისთვისაც გაეადვილებია მისვლა და ღოცვა. ამ კაცმა ეს ქვა მართლაც ჩამოიტანა ხარებით სოფელ ალმის იაილაში. წმინდა ქვა თავის ეზოში დადო და შემოღობა კიდევ. იმ ღამის შემდეგ მთელი ზაფხული ისეთი წვიმები ყოფილა, გეგონებოდა, წარდენაო (დუნის დაქცევაო). წვიმას სახლის ირგვლივ დიდი ღარები გაუკეთებია. ხალხს უთქვამს – „წმინდა ქვამ“ არ მიიღო ახალი ადგილი, მისი ადგილი მაღალ მთაზეაო. სანამ უბედურება მოხდება, უკან აიტანეო. იმ ღამეს კაცს სიზმარში ვიდაც გამოცხადებია და უთქვამს: „ეს ქვა ეიტანე და იქ დადე თუ არა, მოგსპობთო. მეორე დღეს იმ კაცს იმავე ხარებით ის ღოდი უკან აუტანია და მის ადგილას დაუდვია (მთქ. ხ. ჯაყელი – მელაძე, 80 წ, დაბ. და მცხ. სოფელ ალმეში. 2002. პირადი არქივი – იხილეთ დანართი №30).

ტოპონიმი „ზიარეთი“ არც სამცხე-ჯავახეთისათვის არის უცხო. აქ ზიარეთი არის მთა ერუშეთში (ბერიძე 1992: 13). დღევანდელი ასპინძის რაიონში ერუშეთის ფერდობზე არის ნასოფლარი „დადეში და ერკოტა“. ისინი XX საუკუნის პირველ ნახევარში სიცოცხლით სავსე სოფლები იყო. მათ ჰქონდათ საერთო მთა ზიარეთი, რომელსაც „უნაგირასაც“ ეძახიან. იქ, მთის წვერზე, იდგა ამაღლების ეკლესია, სადაც ზიარეთობას ანუ ამაღლებას აღიოდნენ, არა მხოლოდ ქრისტიანები, არამედ მუსლიმანებიც, რომლებიც ცხოვრობდნენ ვარნეთში. ეს სოფელი დღეს ნასოფლარია. მუსლიმანთა ზიარეთობა გამოიხატებოდა სანთლების დანთებით და პურ-მარილში მონაწილეობით. ქრისტიანები კი ამაღლების დღესასწაულს ზეიმობდნენ. იქვე ახლოს იყო მეორე ზიარეთიც, ისიც მთა ოლონდ ნასოფლარ **როკეთისა**. აქ როკეთელებთან ერთად ამოდოდნენა: აწვიტელები და ქუნცელები. ამ მთას ეძახდნენ „ზიარეთსაც და „ამაღლებასაც“. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს სოფლები სარო და ხიზაბავრა ამ ადგილს ამაღლებას და საკვირიკეს უწოდებდნენ. დიდი ზიარეთია მითითებული იმავე ასპინძის რაიონში ერთ-ერთი მწვერვალის სახელად ძველ რუსულ რუკაზე. ტოპონიმი „ზიარეთი“ გვაქვს სამცხეთშიც“ (ბერიძე, გუჯეჯიანი 2010: 179). დღევანდელი მასალით ტოპონიმი ზიარეთი და მასთან დაკავშირებული ტრადიციული ჩვეულებები კვლავ შემონახულია ტაო-კლარჯეთის ქართულ სოფლებში, ასევე დღევანდელ საქართველოს ზოგიერთ მხარეში. მთავარი მახასიათებელი ზიარეთად მიჩნეული ადგილისა, არის იქვე **ნაეკლესიარისა და**

ქრისტიანული სასაფლაოს არსებობა“ (ბერიძე 2010: 179). „ზიარეთები“ დაფიქსირებულია აჭარაშიც (იხილეთ დანართი №31; 32).

როგორც დავინახეთ, სამცხეში წმინდა ადგილმა ორმაგი ფუნქცია შეიძინა. ანალოგიური ვითარებაა აღმოსავლეთი საქართველოს მთაშიც, სადაც წმინდა ადგილის თაყვანისცემის წარმართული ტრადიცია ქრისტიანული ნიშნით არის აღბეჭდილი. მაგალითად, ფშავის ერთ-ერთ საყმოს – ქისტაურთა მფარველი ღვთისშვილია იახსარი (რომელიც ოსურად „ძლიერს“ ნიშნავს). იგი თავდაპირველად, ხორციელი ყოფილა, წმინდა ბერი, ღვთის მლოცველი და ღვთისაგან ძალამიცემული დევების წინააღმდეგ საბრძოლველად. როშკაში დღესაც გაჩვენებენ კლდეს, რომელიც დევებთან ბრძოლისას ლახტით გააპო იახსარმა. იახსარმა ადამიანები დევებისგან დაიცვა. ისინი სრულად ამოულიტაო...“ (მითოლოგიური ენციკლოპედია 2004: 42 - იხილეთ დანართი №33 ფშავში ეს ადგილი დღესაც წმინდა ადგილად მიიჩნევა, ხოლო იახსარი კოპალასთან ერთად ღვთისშვილებად მოიხსენიებიან. მათ სახელზე „ხატის სასანთლე“ აქვთ აგებული.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რ. ერისთავის ცნობა, რომელიც წარსული საუკუნის შუა ხანებში ლენხუმის მაზრის აღწერისას ჩაუწერია. მკვლევარი იუწყება, რომ „სოფელ ალპანას იციან გიორგობა. ვითარ იგი 23 აპრილს სასწაულმოქმედის წმინდის გიორგის დღესასწაული. ამ სოფლებს ასხია მთელი ხალხნი ალპანის სოფლისა, ხორცსაც ჭამენ. ხოლო აჭარის მხლოდ პურ-ღვინო-ლობიოს შეექცევიან „ურა, მრავალჯამიერთ“. იციან აგრეთვე წირვა, მარხვა და გალობა, თაყვანს სცემენ ჯვარს ნასაყდარში, მღერაიან „ნადურს“ და სხვა (ერისთავი 1986: 29 – იხილეთ დანართი №34).

მსგავს სურათს ვაწყდებით თურქეთში–ხახულში. გ. თურმანიძეს „ჩვენებურებისგან“ ჩაუწერია **ხახულის ეკლესიასთან** დაკავშირებული თქმულება, რომელიც „ხახულისწყალზე“ ტაძართან ახლოს მომხდარ ამბავს გადმოგვცემს: „ამ ადგილას, ერთ დიასახლისს საოჯახო ჭურჭელი გამოეტანა და რეცხავდა. დაღლილი წელში აიმართა და ტაძარს შეხედა. ღვთის ძალით დაინახა, რომ ტაძარი ღოცულობდა, წელში იხრებოდა და იმართებოდა. გაიფიქრა, ალბათ, საჭიროა კვლავ გავადოთ ტაძრის კარები და ღოცვა აღვასრულოთ. დაე, თუნდაც ეს იყოს მუსლიმანური ღოცვა, ღმერთი ღმერთიაო. მერე სოფლელებიც დარწმუნდნენ ღვთის ნებაში, რომ უფალს სურდა შეეღოთ ტაძრის კარები და ელოცათ. აქედან მოყოლებული ოთხ საუკუნეზე მეტია თავიანთ სულებს ამ

ტაძარში ავედრებდნენ უფალს დღესაც ტაძრის მცველი, ხოჯა, აქ ლოცულობს. მან თქვა: ვიფიქრე, აქ მეტს აღარ ვილოცებ-მეთქი. მის მერე სიზმარი ვნახე. დავიფიცე, სანამ ცოცხალი ვარ, ტაძარს არ მივატოვებო“ (თურმანიძე 1999: 5 - იხილეთ დანართი №35).

მთაზე ასვლა და პატივის მიგება ამ კუთხეში სხვადასხვა ფორმით გამოიხატებოდა. დიდაჭარაში დიდხანს მოქმედებდა ეკლესია. აქ დღემდე შემონახულია ტოპონიმები და ადგილები, სადაც მოსახლეობა ეკლესიის არსებობას ვარაუდობს. „ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე დიდაჭარაში შავაძეთა საგვარეულოში (ბუდე-ნათესაობის სახელწოდება ფითნანთი) გამოთხოვილი ხანდაზმული ქალები მამაკაცებისაგან მალულად, მისტიკურ გარემოში, საკრალურ ადგილს ესტუმრებოდნენ. იკრიბებოდნენ სოფლის განაპირა ამალღებულ ბორცვზე, ე. წ. „ნაკაფის სერზე“ მდებარე ნაეკლესიარის მიდამოებში და დაბალ ხმაზე გალობდნენ (მთხრობელთა განმარტებით გალობდნენ). ამ ადგილს „თარანგელოზის ყელი“ (მთავარანგელოზის ყელი) ეწოდება“ (მგელაძე, ფაღავა 1999: 139). ეს მორწმუნეები, რა თქმა უნდა, ძირძველ ქრისტიანულ ტრადიციებს ემსახურებოდნენ ანუ, როგორც თავად ამბობებენ „წინაპრისეულ ადათებს“. ისინი ამას ზოგჯერ გააზრებულად, ხშირ შემთხვევაში წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე ასრულებდნენ.

ანალოგიური ხასიათის წეს-ჩვეულებას აჭარის სხვა სოფლებშიც ვხვდებით. ზიარეთებში სრულდებოდა არა მარტო წარმართული, არამედ წმინდა ქრისტიანული ღვთისმსახურება. „გომანის ქვასთან“ ახლოს ფიქსირდება მრავალი ქრისტიანული ტოპონიმი: „წმინდი სერი“, „საჯვარებო“, „საყდარი“, „ნაწირვალი“, აქ, გადმოცემის თანახმად, წმინდა ბერები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. მთქმელები დღესაც გიჩვენებენ „წმინდა მამების ნასიარულევი ბილიკებს, რომლებიც არ ტყვედება და იმ ბილიკზე ბალახიც კი არ ამოდის, ვინაიდან აქ წმინდა ბერები მოღვაწეობდნენ და დადიოდნენო“ (მთქ. შალვა გოგიტიძე). „ნასაყდრალზე“ დღესაც მრავლადა თლილი ქვის ნაშთები. ეს ყველაფერი ერთხელ კიდევ მიუთითებს, რომ ამ მხარეში, მართლაც ყოფილა სამონასტრო კომპლექსი.

თქმულების მეორე ვერსიის მიხედვით, „ეს ქვა, კლდე წმინდაა, მას რასაც სთხოვ, შეგისრულებსო, ოღონდაც ადგილზე უნდა მიხვიდე, კენჭები აიღო, წმინდანის ნაფეხურებში ჩააწყო და უკან მოუხედავად დატოვო იქაურობა“. მთქმელს ვერ გაურკვევია, არ ახსოვს, რომელი წმინდანია, რომელი რელიგიის

ადმსარებელი. მთქმელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ცხენზე ამხედრებულ პირზე, რომელიც გამოირჩეოდა სიძლიერით, ის მტერს მიჰყვებოდა და ამარცხებდა კიდევ, ხელში ხმალი ეჭირა (ერთნი ლახტსაც მოიაზრებენ) და ირგვლივ ყველანი დაამარცხა და კლდეც შუაზე გააპო და ზედ გადაიარაო. მის მერე ეს ადგილი წმინდაა და აქ მოსული რასაც სთხოვს, „გამჩენელი“ შეუსრულებს. რიტუალს თან ახლავს ტაბუ – კენჭების ჩაწყობის მერე უკანმოუხედავად უნდა გააგრძელო გზა, თუ გინდა სურვილი შეგისრულდესო (მთქ. ნანული გოგიტიძე, ნათელა მიქელაძე). ამიტომაც თვლიან, რომ ეს კლდე სასწაულებრივი ძალით გამოირჩევა. მათ სჯერათ ცხენზე ამხედრებული რაინდის ყოვლისშემძლეობა... (მიქელაძე ნაილე, „ქვაკაცების“ თავდაპირველი ფუნქცია და გენეზისი აჭარულ ფოლკლორში“, ლიტერატურული ჟურნალი, „ჭოროხი“, №4 - იხილეთ დანართი №36; 37).

მთაზე (კლდეზე) ასულებს, დღესაც დაგხვდებათ ჩვეულებრივი ცხენის ფეხის ზომაზე დიდი ნაკვალევი, რომელიც პატარ-პატარა კენჭებით არის ამოვსებული. იქაურები ამ რიტუალს დღესაც ასრულებენ და სჯერათ, რომ ეს კლდე (ცხენის ნაფეხურებში ჩაწყობილი კენჭები) მათ სურვილს ასრულებს.

ანალოგიური მასალები ჩაწერილია საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ისინი ერთმანეთისგან ცოტათი განსხვავდება, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ხალხური სიტყვიერებაში. ჩვენი აზრით, აჭარულ თქმულებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცხენზე ამხედრებული რაინდის – „მხედარმთავრის“ სასწაულებრივი ძალა და შემძლეობაა. მთქმელები მას უფალთანაც კი აიგივებენ, მიდიან ქვასთან, ლოცულობენ და სურვილის შესრულებას სთხოვენ“ – ვინ გამოჯამთელებას, ვინ ხვავს, ვინ ბარაქას და ა. შ. (მთქმელები: ნანული გოგიტიძე, დაბ და მცხ. სოფ ქიძინიძეებში, 57 წ. მიქელაძე ნათელა, დაბადებული სოფელ ნენიაში და მცხ სოფ ქიძინიძეებში, 55 წ. ჩავიწერე 2010 წ. პირადი არქივი. იხილეთ დანართი №38).

თურქეთში, სოფელ ზემო ფორთაში, (ზემო ხანძთა) პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ ჩაწერილ თქმულებაში ვხვდებით წმინდა გიორგის კულტის ნაშთებს: „ფორთაში, კარხლის მთების გადმოდმა, არის „სერთი ზიარეთი“ – ადგილი „წმინდა ადგილი“. იმ მიდამოებში, ასევე ყოფილა ეკლესიის ნანგრევი. რაც შეეხება „წმინდა ადგილს“ – ესაა ბაზილიკური ტიპის პატარა ოთხკუთხედი შენობა. ის ეზოში 2,20-მეტრიანი საფლაავია. მათი გადმოცემით, ეს საფლაავი წმინდა გიორგისაა, რომელიც ამ მხარეში სასწაულებით გამოირჩეოდა.

„ჩვენებურები“ ამ ადგილზე გასაკურნებლად, სურვილების შესასრულებლად ქვემო სოფლებიდან ამოდიოდნენ. მოსულები, სანამ „წმინდანის სასაფლაოზე“ დაიძინებენ, მანამდე აუცილებელია თეთრი პერანგით შეიმოსონ, ყოველგვარი სამკაულებისა და ნივთების გარეშე. ამის შემდეგ საფლაოზე დაწვებიან და იძინებენ – ინვალიდები, ავადმყოფები, დავრდომილები, უშვილო დედაკაცები. სასაფლაოზე დაიძინებულებს კი, მათი რწმენით, სიზმარში ვიღაც თეთრწვერა მოხუცი ეცხადება და ურჩევს თუ როგორ განიკურნონ“ (ფუტკარაძე 2012: ხელნაწერთა უფლებით. პირადი არქივი).

ქვას, თქმულების თანახმად, ზებუნებრივი ძალა აქვს, მასთან ქალი ან კაცი, თუ გულით შეევედრება და ზედ ქვაზე დაიძინებს, შვილი მიეცემაო. ანალოგიურია ფორთას **წმინდა გიორგის საფლავის** ქვაც, სადაც მორწმუნე თეთრი ჩაუცმელი პერანგით უნდა დაწვეს და დაიძინოს, მაგრამ აქ მას სიზმარში მოხუცი გამოეცხადება და ასწავლის თუ რა უნდა ეწამლოსო. აჭარული გადმოცემის საგანი, წმინდა ქვა – **„ფეიღამბრის ფეხი“** ახალგაზრდებს მომავალი საბედოს სახელის გაგებაშიც ეხმარება „აქ დაიძინებულებს გამჩენელი სიზმარში დაასიზმრებს, ვინ არის მისი საბედლო“.

აჭარის მაღალმთიანეთში დღესაცაა შემორჩენილი „წმინდა ადგილის“ მითი, სადაც მორწმუნეებში, „ზიარეთი“ ადგილების მსგავსად, ეს ადგილიც წმინდანის სასაფლაოდ აღიქმება, მაგრამ აქ რიტუალი მკურნალობასთან კი არა, სიკეთის ქმედებასთან ასოცირდება. „შეიდის ტბა“//„შეიდის სასაფლაო“ მხოლოდ ლოცვასთანაა დაკავშირებული (მთქმელები: ასიე კილაძე, დაბად. და მცხ. სოფელ ზემოხევში. 75 წ. ჩავიწერე 2005 წ. ვ. ვაშაყმაძე დაბადებული და მცხოვრები სოფელ ჭალაში, 70 წ. ჩავიწერე 2004 წ. პირადი არქივი). (იხილეთ დანართი №39(ა); (ბ);).

მკვლევარი რ. მაღაყმაძე წიგნში „ლიგანის ხეობა“, სხვა მასალებთან ერთად, „წმინდა ადგილების“ მონახულების ტრადიციასაც ეხება, წმ. გიორგის საფლავის“ ნაცვლად „წმინდა ადგილად ამ შემთხვევაში „გოგო მეზერის“ – სახით გვხვდება, კერძოდ: „საყურადღებოა, მემხლიანობის პერიოდში წმინდა ადგილების მონახულებაც, რასაც თან სდევდა განკურნებისა და შვილიერების ვედრება. განსაკუთრებით საინტერესოა, უშვილო ქალების სვლა დევესქელის მთის საძოვრებიდან „გოგო მეზერის“, ანუ წმინდანის საფლავის მოსანახულებლად. აქ მეოფი ქალები რამდენიმე საათით იძინებდნენ და სიზმრის აკარგიანობის მიხედვით მსჯელობდნენ მომავალზე. ადგილობრივი

მოსახლეობა „გოგო მეზერს“ შვილიერების ფუნქციას მიაწერს (მაღაყმაძე 2008: 143 – იხილეთ დანართი №40).

როგორც ცნობილია, ქართული წარმართული პანთეონი მეტწილად მთასთანაა დაკავშირებული. მთები იყო წარმართული პანთეონის საუფლო. გავისხენოთ, ბერძნულ ღვთაებათა სამყოფელილიც ხომ ოლიმპოს მთაა. საქართველოში ფშავის ხევის მთავარ სალოცავს სწორედ „ლაშარის ჯვარი“ წარმოადგენს. „ანდრეხის თანახმად, ლაშა-გიორგის დაუარსებია თავისი მოსახელის, წმინდა გიორგის სახელზე. აქ ხმელგორზე ოქროს ჯვარი შეუწირავს და ამ ჯვარზე აღმოცენებულა სალოცავი. ვახუშტი ბატონიშვილი ლაშას-ჯვრის სახელით მოიხსენიებს ფშავისხევის მთავარ სალოცავს. ლაშარის ჯვრის წარსულ დიდებას გვაუწყებს ეს ლექსი:

„ბრძანებდა ლაშარის ჯვარი: ცას ვები ოქროს შიბითა,  
ხმელგორზე მედგა ბერმუხა, ზედ ავდიოდი კიბითა,  
ჩემ საყმით შემონადგენი, ღმერთთან ამქონდა იქითა“.

ამ ლექსის მეორე ვარიანტიცაა, სადაც პირდაპირ მიუთითებს შუამავლის სახელს:

„ბერი გიორგი მეც ვიყავ, ცას ვები ოქროს შიბითა,  
ხმელგორზე მედგა ბერმუხა, ზედ ავდიოდი კიბითა,  
ჩემ საყმით შემონადგენი, ღმერთთან ამქონდა იქითა“.

(მითოლოგიური ენციკლოპედია ყმაწვილთათვის 2004: 53-55).

ფშაველთა რწმენით, წმინდა ადგილად, სწორედ „ხმელ გორი“ ითვლებოდა. დღეს კი ეს ის წმინდა ადგილები, სადაც ჩვენ წინაპართ წმინდა სალოცავები დაუმკვიდრებიათ – მკვლევარი ზ. კიკნაძე შენიშნავს: „ეკლესია-მონასტრები უნდა აგებულიყო განსაკუთრებით წმინდა ადგილზე. ასეთ ადგილს კვრივს უწოდებენ (კიკნაძე 1985: 27 - იხილეთ დანართი №41; 42; 43)

ქართული და უცხოური ფოლკლორის მიხედვით – „მითოლოგიაში მთა ზეცისა და მიწის შემაერთებელი კიბეა, მიწიერების ზეცასთან კავშირის გამომხატველია. ცისა და მიწის კავშირი მკაფიოდ იყო განხორციელებული შუმერული ტაძრების შენობებში, ე. წ. ზიქურათებში (კიკნაძე 1976: 119-122). ეს მოტივი ძველ აღთქმაში გვაქვს (შესაქ. 28, 12-13). იგი ქრისტიანიზებული სახით სხვა ადგილასაც შეინიშნება „ნინოს ცხოვრებაში“. წმ ნინო იხსენებს მის ჯავახეთში შემოსვლისას უცნაურ ხილვის ამბავს: „დაიდვა ლოდი სასთუნად, დაწვა და დაიძინა გარდასადინელსა მის ტბისასა. ვითარ ეძინა მოვიდა კაცი



ერთი ჩუენებით... და მოსცა მან წიგნი დაბეჭდული“... (ქართლის ცხოვრება 1955: 86). სწორედ ამ მონაკვეთშიც მთასა და ლოდთანაა კავშირი.

ანალოგიურ გმირად და ხალხის ქომაგად გვევლინება ფშავის ერთ-ერთ საყმოს-ქისტაურთა მფარველი ღვთისშვილი კოპალა. „კოპალა – იგივე წმ. გიორგი, ამ ზედწოდებით, რომელიც მის საკუთარ სახელად იქცა, ფშავის (უბილაურთის) და ხევსურეთის (ლიქოკის) საყმთა პატრონი და სალოცავია. კოპალა ყოფილა ხორციელი, ხორციელის შვილი. ერთხელ, როცა შინ არავინ ჰყავდა, პატარ კოპალა დევეებს გაუტაცნიათ და მათთან ტყვედ ჰყოლიათ. მათგან გამოპარული კოპალა წმ. ბერებთან მისულა. კოპალას უფიქრია: „ვილოცებ და დამბადებელს ძალას ვთხოვ. ბერებს კარგად მიუღიათ, ღვთის შეწევნით კი კოპალას დევეები დაუმარცხებია (მითოლოგიური ენციკლოპედია 2004: 49-50).

წარმართულ პანთეონში იახსარიც და კოპალაც ღვთისგან ძალამიცემული, საბრძოლველად დევეების წინაარმდეგ გამოდიან და ამარცხებენ. თითქმის ყველა თქმულებაში დევეები, ხალხის ამაწიოკებელი გამანადგურებელი მტერია.

ფშავ-ხევსურეთში ჩაწერილი მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ორივე თქმულების ფაბულა ერთი და იგივეა. ორივე მხარეში ხალხი მათ – „ღვთისშვილებად, მოციქულად ან, კიდევ, უფალთან აიგივებენ. მათ სჯერათ მათი წმინდანების ყოვლისშემძლეობა.

თქმულებაში „**კოპალა და ცხრათავიანი დევის დედაბერი**“, გადმოცემულია: „კოპალამ დევთა მთავარი ფალანგები მუსა და ავთანდილი რომ დახოცა, ხოლო ხაშრელი ბედელა იახსარმა მოკლა, კოპალა ახლა ამ დევეების ოჯახების ამოსაწყვეტად გაეშურა. გორის ბოლოში რომ მივიდა, დაინახა, რომ ერთი ცხრათავიანი დევის დედაბერი ჯარას უზის და რაღაც მკლავის სისხო ნართსა ზახს. დევის დედაბერმა კოპალა რომ დაინახა, თვალში ეპატარავა, გაიხარა და ჯარაზე დაამდერა: „ჩემი შვილის ვახშამიც მოდისო“. კოპალამ აიმაღლა საგმირო ლახტი, დაჰკრა ბებერს და იქვე მოკლა. მერე ავიდა მიგრიაულთ გორის ბოლოში. აქ დევეებს ქორწილი ჰქონდათ და კოპალაც სტუმრულად მოვიდა, უნდოდა გაეგო, სად როგორ იყვნენ და რა გზით შეიძლებოდა მათი ამოწყვეტა, რომ აღარავინ გადარჩენოდა. დევეებმა კოპალა რო დაინახეს, ერთიმეორეს უთხრეს: „ოჰ, რა კარგია, რომ ნეფე-დედაფალთან სუფრაზე მოსატანი საკლავი თავისი ფეხით მოგვივიდაო“. დევეებს კოპალა უბრალო ხორციელი ეგონათ და მაშინ ისინი ხორციელთ ჭამდნენ, სადაც ვის წააწყდებოდნენ. კოპალამ შეურჩია დრო, როცა ერთად მოქუჩდნენ, აიმაღლა

საგმირო და ყველანი ამოწვიტა (ხევსურის სიტყვით: ამობრასტნა). ერთ დევი თვალწამოთხრილი გაიქცა და აბუდელაურის ტბაში ჩავიდა. მას იახსარი ჩაჰყვა ტბაში და მოკლა (კიკნაძე 2008: 97-98).

აჭარული თქმულება „ფეიდამბრის ფეხის“ ანალოგიური შინაარსის გადმოცემაა ფშავში შემონახული, რომელ ადგილსაც „კოპალას ქვას“-ეძახიან. „ღვთის შვილს კოპალას ქვის სკამი ჰქონია, რომლის მოტაცება დევებს – ავთანდილსა და მუსას გადაუწვევტიათ. მუსას სკამი შეუკრია საბელით, ზურგზე მოუკიდია და წაუღია მაშინ, როცა კოპალა სახლში არ ყოფილა. გაუგია კოპალას და თავისი ლახტით დადევნებია. უსროლია ლახტი და მის ქვასთან მოუკლია დევი. „კოპალას ქვას“ ახლაც ატყვია, დევის ნახელარი და ნასაბლარი. იქვე ახლოს კლდესაც ეტყობა კოპალას ნალახტარი“ (მითოლოგიური ენციკლოპედია 2004: 50).

როგორც ცნობილია, დევები მტრებისა და უარყოფითი ძალების გამოსატყულებაა. მათი დამმარცხებელი კი ყოველთვის ღვთის რჩეულია – შუამდინარულ თქმულებებში მარდუქი, ქრისტიანულში – წმინდა გიორგი.

მკვლევარ ბ. ბეჟანიძის აზრით: „ბორცვის ადგილი „ქართლის მოქცევის ისტორიაში“ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, ბორცვი შემადღებული ადგილია, იგივე მთაა, მთა კი ვიცით, რომ ანტიკურ ქვეყნებში ღმერთის თაყვანისცემის ადგილად იყო მიჩნეული, ხოლო თაყვანისცემის ადგილს ბორცვი შეარქვეს“ (ბეჟანიძე 1991: 247).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად – „მკვრივი არის „მჭიდრო და მყარი, მტკიცე, მაგარი (ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი 1981: 308). ეს სიტყვა სამყაროს საკრალურ ლექსიკონში ნიშნავს როგორც ფიზიკურ შეუღწევადობას, ასევე ზნეობრივ შეუვალობას.

მკვლევარ ზურაბ კიკნაძის აზრით: „კვრივი არის ჯვრის კვალი მიწაზე. ჯვარი ქმნის კვრივ ადგილს თავისი დაარსებით, როგორც მეტეორი, რომელიც დაღს ასვამს მიწას, სადაც ის დაეცემა (კიკნაძე 1985: 28).

ჯვარი ავსებს სუბსტანციის იმ ადგილს, რომელსაც ის საარსოდ ირჩევს. ჯვარჩენით ის აკვრივებს ადგილს და „უხრწნს“ ხდის მას (იქვე 1985: 28). და მართლაც, კვრივი არის წმინდა ადგილი. ადგილი კვრივად რომ მივიჩნიოთ, ამისათვის საჭიროა, მას კვრივის ან სიწმინდის დალი დაესვას. ეს შეიძლება ჯვარის ნიშნით იყოს გამოხატული. ამ ძირძველ, კუთხეში შემორჩენილ თქმულებებში, შესაძლოა, ძირძველი მთის//ბორცვის დანიშნულებამ სახე

იცვალა და დამკვიდრდა იმ ფორმით, როგორცაა წარმოდგენილი არსებულ ნაშრომში.

ზემო აღნიშნულ თქმულებებისაგან განსხვავებით, აჭარაში შემორჩენილ გადმოცემებში, წარმართულ წეს-ჩვეულებებთან ერთად მუსლიმური ელემენტებიც გვხვდება, რაც ართულებს ფოლკლორული მასალების კვლევას. ამ სირთულის მიუხედავად, აჭარულ თქმულებებში ნათლად ჩანს, ქრისტიანული სარწმუნოების ელემენტები. რა თქმა უნდა, აჭარაში, მუსლიმური რელიგიის ზეგავლენით, ოსმალური ელემენტები ნაწილობრივ შეეზარდა ზოგად ქართულ ტრადიციებს და დღეს ისინი კონტამინირებული თქმულებების სახით გვხვდება.

## თავი II. დიდ და მცირე წარღვნასთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები

დიდი წარღვნის ლეგენდას მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხი იცნობს. იგი გვხდება როგორც მაღალგანვითარებულ, ისე განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ტომთა ფოლკლორში (ჩიქოვანი 1946: 280). როგორც ცნობილია, ამჟამად ცნობილ ვერსიებს შორის ყველაზე უძველესია შუმერული (ფრეხერი 1931: 75). წარღვნის ლეგენდის თავისებურ ვერსიას წარმოადგენს გილგამეშის ეპოსის მეთერთმეტე ფირფიტა, მეთერთმეტე დაფა. ამ ეპოსში დეტალურადაა წარმოდგენილი დიდი წარღვნის ამბავი (გილგამეში 1963: 86). ბაბილონური ვერსიის მიხედვით, ნოეს კიდობანი არარატის მთაზე გაჩერდა. ხოლო იმ ფისს, რომლითაც ხომალდი იყო გამაგრებული, სომხები აგროვებენ და სამკითხაოდ იყენებენო (ფრეხერი 1931: 81).

მკვლევართა აზრით, წარღვნის ლეგენდის ვერსიებიდან ყველაზე უფრო ცნობილი ებრაული, ანუ ბიბლიური ვერსიაა, რომელიც დაწერილი უნდა იყოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX ან X საუკუნეში (ფრეხერი 1931: 75). ბიბლიის მიხედვით, ნოეს კიდობანი არარატის მთაზე ჩერდება: „ორმოც დღეს იყო წარღვნა ქვეყანაზე. აღიდა წყალი და ასწია კიდობანი, მოექცა იგი მიწის ზემოთ... მეშვიდე თვეს, თვის მეჩვიდმეტე დღეს არარატის მთებს მიადგა კიდობანი... თანდათან იკლებდა წყალი მეათე თვემდე. მეათე თვის პირველ დღეს გამოჩნდა მთათა მწვერვალები. ორმოცი დღის შემდეგ გააღო ნოემ სარკმელი, კიდობნისთვის რომ ჰქონდა დატანებული“ (ბიბლია 1989: 18).

აღ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიაში“ დაბეჭდილი ლეგენდის მიხედვით, წარღვნა ქალთა ამორალურმა საქციელმა გამოიწვია. „კაენის შთამომავალნი ფრიად განმრავლდნენ, ასე რომ ერთი კაცი ას ქალზედ მოდიოდა. დედაკაცები შეებრძოლნენ მამაკაცთათვის და ართმევდნენ ქმარს ერთმანეთს. როცა მამაკაცთა რიცხვი შემცირდა, მაშინ ქალებმა გამოიგონეს საშუალება: გააკეთეს სტვირი და ჭიანური, სახე ფერუმარლით მოიკაზმეს, გავიდნენ მთაზე და იქ დაუკრეს, დაამღერეს. ამით შეაცდინეს მამაკაცი ქვემოთ მლოცველნი და მხოლოდ ერთმა ნოემ დაიჭირა თავი“ (ხახანაშვილი 1914: 118).

ქართულ გადმოცემებში არსად არ ფიგურირებს სომხეთი და მისი მთები. მკვლევარ ი. მეგრელიძისეულ ვარიანტში კიდობანი ბრუტსაბძელასთან ჩერდება (მეგრელიძე 1960: 108). ფშაური ფოლკლორული მასალების მიხედვით – კოპალა მყინვარწვერთან გააჩერებს ხომალდს (ფ. არქივი, კ. 165, გვ. 243). აჭარაში

„გემისამბავის“ ადგილს რამდენიმე მთაზე მიგვითითებენ: კარჩხალი, არგინეთის მთა, ხინოს მთა, კარასერი. „ნოვემ კიდობანი კარჩხლებზე გააჩერა. იქ ჯენჯირები ახლაცაო“, ამ კლდეზე დიდი ნახვრეტია, რაზეც გემებს ამბავდნენო“. კარჩხლებს შორის მოგაკებულ ადგილს „ჯვარი მინდორი“ ჰქვია. მათ რწმენა-წარმოდგენებში, ეს ადგილი წმინდაა და აქ ჯვარი აღუმართავთ. ამიტომაც ამ ადგილს „ჯვარი მინდორი“ ჰქვია (მთქ. ა. კილაძე, დაბადებული შუახევის რაიონის სოფელ ცეკვაში და მცხ. სოფელ ზემოსევში, ჩავ. 2002 წ. პირადი არქივი – იხილეთ დანართი №44).

დიდი და მცირე წარღვნის ქართული ხალხური ლეგენდები ნოდარ შამანაძემ შეისწავლა. მკვლევარმა გაანალიზა იმ დროისთვის ცნობილი და მის ხელთ არსებული ლეგენდები და გამოჰყო შემდეგი თემატური ჯგუფები: I. კოსმოგონური ლეგენდები (1. სამყაროს წარმოშობა და პირველი ადამიანის გაჩენა, 2. პირველი ადამიანების შეცოდება და მათი დასჯა); II. აპოკრიფული ლეგენდები; III. წარღვნის ლეგენდები (1. დიდი წარღვნის ლეგენდა, 2. მცირე წარღვნის ლეგენდა) (შამანაძე 1973).

დიდი წარღვნის აჭარული ვარიანტის, კერძოდ კი წარღვნის მოტივის, მეცნიერული შესწავლის წარმატებული მცდელობაა 2006 წელს ნაილა ჩელებაძის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი „წარღვნის მოტივი აჭარაში ფოლკლორულ–ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით“ (ჩელებაძე 2006: 212-235).

აჭარის ფოლკლორში მრავად ვხდებით, როგორც დიდი, ასევე მცირე წარღვნის ლეგენდებსაც. ერთი მათგანი სახელწოდებით „ნოვეს გემი“, მკვლევარმა ზურაბ თანდილაშვილმა 1974 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ზენითში ხუსეინ სულეიმანის ძე ქათამაძისგან ჩაიწერა (თანდილაშვილი 1990: 95-98). ასევე საინტერესოა თქმულება „რატომ დეიქცა დუნია“, რომელიც 1981 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვაში რეზო ანანიძის ჩაუწერია (მთქმ. რ. ანანიძე. ბსკიფა საქმე №242, 39-42).

ტოპონიმური თქმულება კარას სერის შესახებ იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ ნოეს კიდობნის გაჩერების ადგილად ხინოს მთის ერთ-ერთ მწვერვალს მიიჩნევს, რაც, ზემოგანხილული შუახევიური დიდი წარღვნის ლეგენდასთან ერთად (რომლის თანახმადაც, ნოეს კიდობანი გაჩერდა არგინეთის//არგინეთის მთაზე), ბიბლიური კიდობნის ნავსაყუდლად საქართველოს აღიარებას უჭერს მხარს.

დიდი წარღვნის სხვა ვარიანტის მიხედვით, ნოეს კიდობანი // გემი მუხულის ახლოს, ჯუდის მთაზე შეჩერებულა აშურა დღეს (გ. მახარაშვილი გვ 120) ჯუდის მთაზე კიდობნის შეჩერების წყარო, უსათუოდ, ყურანისეული ცნობაა, რომლის თანახმადაც „კიდობანი აღ-ჯუდას მთაზე შედგა (ყურანი, 11,46).

ამდენად, არგენტის // არგინეთის, თუ კარა სერზე ნოეს კიდობნის გაჩერების შესახებ აჭარაში გავრცელებული დიდი წარღვნის ლეგენდათა ვარიანტებში დაცული ცნობები ზოგადქართულ რწმენა-წარმოდგენათა კიდევ ერთი დასტურია. ლეგენდის ამ ვარიანტთა მიხედვით, ნოეს კიდობნის შეჩერების ადგილი წმინდა, ანუ კვრივი ადგილია.

დიდი წარღვნის ამ ლეგენდის მიხედვით, წარღვნის დასრულების შემდეგ ნოეს კიდობანი შეჩერდა არგინეთის მთაზე. ლეგენდა იმასაც გვაუწყებს რომ, თურმე, ნოეს გემის ამ მთაზე აუშენებია და ბოლო დრომდე იქ არსებული ჯაჭვიც თურმე მას მიუბამს: მტრედმა რომ ნუშის ტოტი მიუტანა, „ნოემ გადმოვიდა და გემი მიაბა მთაზე. ბაბოი იტყოდა: არგინეთის მთაზე, რომ ჯაჭვია, იქ მიაბაო ნოვემ, მეგემ, გემიც ამ მთაზე უშენებია. მერე უცურვია გემს, უცურვია და ისევ აქ დაბრუნებულა. ხალხში არსებული თქმულების თანახმად, ვინც არგენტის // არგინეთის მთაზე ავა და იქ დაბმულ ჯაჭვს ნახავს, გამდიდრდება. ეს რწმენა უკავშირდება დიდი წარღვნის ლეგენდას, რომლის მიხედვითაც, „ღუნია რომ მეისვარა, აქ ერთი ანგელოზის გემი მოსულა, იი გემი მის მსახურებს მთებზე დოუბამთ, მემრე იმ კაცს დოუწვია ლოცვა-ვედრება გამჩენელო, მზე და სითბოვო, თუ არა და, აქ რაც ჯელები მყავს, ესენიც დიმიწყდებაო.

გამჩენელს შეუსმენია იმის ლოცვა-ვედრება და წვიმა გუუხერებია, მერე თანდათან დუუწვია წყალს კლება და სულ დაწეულა ძირში, იი ანგელოზის სახლი მთებზე დარჩენილა და ხალხი ძირში ჩამოსულა და დუუწვია ცხოვრება. „ანგელოზს კი (ამ შემთხვევაში მთქმელს ადარც ადარ ახსოვს სახელი) ნოეს ულოცია, უფლისთვის უთხოვია, რაკი, შენი დავალება შევასრულე, წამიყვანე შენთან, ცაშიო. მუბარექს მუუსმენია და სავსე მთვარებას ცაში წაუყვანია. იმ დღიდან მოყოლებული „ყველა ღუნიაზე გაჩენილ კაცს იქ ასვლა უნდა. ამბობენ, ვინცხაი დილას, მზის სხივის მოკიდებაზე. იქ ავა და არგანის ჯოხს დაკრავს იმ ჯაჭვებს, სულ ოქროს წვიმა წამუა და გაამდიდრებს იმ კაცსო” (ავტორის პირდი არქივიდან, მთქმელი ჯემალ ქამადაძე, 67 წ, მცხოვრები შუახევის

რაიონის სოფელ ნენიაში, ჩაიწერა ბსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა თეონა ქამადაძემ, 2003; მასალა მოგვაწოდა ჩამწერმა).

ლეგენდის მეორე ნაწილი მოგვითხრობს, როგორ ააღწია არგინეთის მთაზე ერთმა კაცმა, რომელმაც მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, დაჰკრა ჯოხი ჯაჭვებს და გამდიდრდა.

არგინეთის მთის სასწაულმოქმედი ჯაჭვის შესახებ ხალხში დარჩენია ლექსიც:

არგინეთის თას თუ წახვალ,  
გზა გექნება დიღია.  
არღანს დუუკრავ სალამად,  
ჯავრი ნუ გექნება დიღია.  
არგინის ჯოხს თუ დაჰკრავ ჯაჭვებს,  
ოქრო მექნება ძვირია,  
შინ რომ შემობრუნდები,  
ცოლ-შვილი დაგიხვდება წვრილია.

ასევე საინტერესოა: როცა ნოეს ცაში ასვლის დრო მოვიდა, ვარსკლავებმა სიმღერა დაიწყეს, ციდან კი ოქროს წვიმა წამოვიდა და ნოეს კიდობანი ერთიანად დაფარა. დიღას, ვიდრე მზე ამოვიდოდა, ამოვარდა ქარი და ყველაფერი გაქრა, კიდობნის ჯაჭვების გარდა (მახარაშვილი 2008: 113-115) – იხილეთ დანართი №46).

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში დიდი წარღვნის ლეგენდები მრავლად მოიპოვება. ამათგან ეტიმოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თქმულება „**კარა სერის**“ შესახებ. სადაც გადმოცემულია დიდი წარღვნისა და ნოეს კიდობნის ამბავი: „ქვეყანა ექვსჯერ ავისილა და დავისილა, მაგრამ საბოლოო მეშვიდეაო. დუნის მეექვსედ დავსების დროს ნოევს გამოცხადებია მელაიქები და უთქმიან ყველაფერი. ნოე კიდობანს // გემს „**კარა სერზე**“ ორ წელწადს აშენებდა. ზოვლი დიდი კიდობანი უუშენებია მშენებლობის დროს ერთ დედაბერს უხვეწნია ნოესთვის, მეც წამიყვანე და გადამარჩინე, სანაცვლოდ ერთი ძროხა მყავს და იმის რძეს ყველა დღეს შენ და შენ უსტიებს მოუტანო. ნოე დაპირებია, მაგრამ წარღვნის დროს დედაბერის წაყვანა დავიწყებია. ქვეყანა რომ დაქცეულა და მერე გამოდრილა, ყველაფერი მის ადგილზე დამდგარა, ნოეს უნანია მისი საქციელი და დედაბერი მუუძებნია. დედაბერი კი ამ დროს ისევ მის ქოხში ყოფილა. ნოეს უკითხავს – ნენი აქ ახიშერი არ ყოფილაო? რაო,

უთქვამს ნენეს. პაწაი წვიმა იყო, იმდენი, რომ ძროხა დასველდაო, სხვა არაფერიო. დედაბერი ისევ ეხვეწებოდა ნოეს, არ დამტოლო. ნოეს გაუკვირდა, მარა მიხვდა, რომ მოხუცი გამჩენელმა მისი მადლის გამო გადაარჩინა და დედაბერს უთხრა, აწი, ქვეყანა აღარ დეიქცევაო. ამ ადგილს კი „კარა სერი“ იმიტომ დარქმევია, რომ ნოეს (ფეილაბბერს) გემის კარი წარღვნის მერე პირველად აქ გაუღია (მთქ. თ. ქარცივაძე, დაბ. სოფ ჭალაში და მცხ. სოფ. ზემოსევში. 78 წ. პირადი არქივი, 2004წ) - იხილეთ დანართი №47; 48; 49; 50).

„კარა სერის“ შესახებ ლეგენდა 1988 წელს ჩაუწერია მკვლევარ მარინა გიორგაძეს (მთქმელი 90 წლის შალვა მახარაზე, ბსიკვა №242, გვ. 95), მასში, მთქმელის გადმოცემით, „კარა კილდეა. ეს ქვეყანა წყალსა აქვს წადებული. პარახოდი გააკეთებებს, დედალ-მამალიდა შეიყვანეს, დანარჩენი დეირჩო. მემრე ხელახლა გამრავლდა ხალხი. იი პარახოდი იქ კარა სერზე ყოფილა დაბმული მსხვილი ჯაჭვით. ჯაჭვი ახლაცაა დარჩენილი“ (ბსიკვა, №259 – იხილეთ დანართი №51).

„კარა სერი“ შუახვევისა და ხულოს რაიონების გამყოფი მთაა, რომელიც სოფელ ნენის მოპირდაპირედ მდებარეობს. ასევე საინტერესოა ხალხური თქმულება, რომელიც თეონა ქამადაძეს ნენიაში შორენა ქამადაძისგან ჩაუწერია. ეს თქმულება სოფლის სახელდებას უკავშირდება: „ამ სოფელში დიდი წვიმა მოსულა და მთელი სოფელი წაუღია. ერთი მოხუცი ქალი გადარჩენილა „ნენეი //ბებია“ და იმის გამო, მისი სახელიდან გამომდინარე დაურქმევიათ სოფლისათვის ნენია“. შესაძლოა, ეს თქმულება რაღაც კავშირში იყოს „კარა სერის“ თქმულებასთან. ანუ დიდი წარღვნის გადმოცემა უკავშირდება მცირე წარღვნის ლეგენდას (მიქელაძე 2013: 96-99).

თქმულებათა ანალოგიურ ციკლს მიეკუთვნება დიდი წარღვნისა და ნოეს კიდობნის მშენებლობის ამბები, რომელთა შინაარსით ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება. ერთ თქმულებაში ნოეს ურწმუნო შვილზეა საუბარი, რომელსაც უფალი, ურწმუნოების მიუხედავად, მაინც მიუტევებს. წარღვნამდე შთაბეჭდილებებს ნოეს, რომ წარღვნის მოახლოების დროს ისიც თან წაიყვანოს: „ნოემ გადაწყვიტა, დიდი კიდობანი აეგო და შით ყველა სულიერი ცოტ-ცოტა შეეყვანა. კიდობანზე აიტანეს საჭმელ-სასმელი, ორმოცი დღის მარაგი. მისი შვილი კი ურწმუნო იყო. ის მანამ არ გახდა მორწმუნე, სანამ წყალი არ წამეიწია, მას ნოე ურწმუნოებაში არ უშვებდა კიდობანში. ის კიდობანში ბოლო დღეს უშვავაო. წარღვნის მერე ბოლო დღეს ხალხს კიდობანში საჭმელი



გამოელიათ. ნოემ, ხალხი მშიერი რომ არ დარჩენილი შვიდი სახის მარცვალი უურია, რაც იყო მოხარშა და ხალხს აჭამა” (მოქმელი ნოდარ გაბაიძე 44 წ. დაბ. სოფელ სკვანაში, მცხოვრები დაბა ხელვაჩაურში. გაუგონია დედისგან. ჩაიწერა ნიკა გაბაიძემ 2009 წ. პირადი არქივი). დიდი წარღვნის ელემენტების დაყოფაც კი შეიძლება: ქრისტიანობის კვალი აქაურთა ფოლკლორში; მუსლიმანობის ელემენტებით შეჯერებული ქართული თქმულებები. თუმცა ეს თქმულება, ამკარა გამოხატულებაა ქრისტიანობისა და მისი წეს-ჩვეულებებისა (იხილეთ დანართი №52).

## 2.1. მცირე წარღვნის ლეგენდები (ხარის, შველისა და ირმის კულტი აჭარაში)

ქართულ ფოლკლორში ისეთი ლეგენდებიცაა, რომლებშიც წარღვნა შედარებით მცირე მაშტაბისაა და დედამიწის გარკვეულ მონაკვეთს მოიცავს. ნ. შამანაძის განმარტებით, „ამგვარი ლეგენდების თავისებურება ის არის, რომ წარღვნა ზესკნელიდან კი არ ხდება წვიმების გზით, არამედ ქვესკნელიდან – მიწისქვეშა წყლების ამოხეთქვისა და დატბორვის მეოხებით. მიწისქვეშა წყლების ამოხეთქვა და ქალაქის, სოფლის თუ სხვა დასახლებული პუნქტის ტბად ქცევის ამბებს დიდი წარღვნის ლეგენდათა ანალოგიით „მცირე წარღვნის“ ლეგენდებს ვუწოდებთ“ (შამანაძე 1973: 94).

მკვლევრის აზრით: „ხარი, ვერძი და ღორი ხალხს რომ მფარველობენ და სოფლებს წარღვნისგან იხსნიან, შემთხვევითი არ უნდა იყოს. აქ იმ უშორესი ეპოქის გამოძახილია, როცა ჩვენი წინაპრების შეგნებაში ტოტემისტური რწმენა ბატონობდა და ზოგიერთ ცხოველს ღვთიურ არსებად მიიჩნევდნენ. „ქართლის ცხოვრებაში“ ამის თაობაზე ნათქვამია: „რომელნიმე უგდებდეს ცასა და სხვანი მზესა და რომელნიმე მთვარეს, რომელნიმე ვარსკვლავთა და რომელნიმე მფრინველთა და რომელნიმე ქვეყანასა და მხეცთა და ნადირთა ხეთა“ (შამანაძე 1973: 100).

ქართულ ხალხურ მასალებში მცირე წარღვნა ღვთიურ ცხოველებს (ხარი, ირემი, შველი და სხვა) და ცოდვა-მადლს უკავშირდება (იხილეთ დანართი №53; 54).

აჭარის ფოლკლორში, რატომღაც, ირემზე წინ შვლის კულტია წამოწეული. აქაურთა წარმოდგენით შველი და ხარი, ღვთიური ცხოველებია და მათი მოკვლა შეიძლება გახდეს მცირე წარდენის მიზეზი.

აჭარაში შვლის მოკვლა უდიდეს ცოდვად ითვლება: „რა შველი მოგიკლავს და რა შვილიო“ (იხილეთ დანართი №55; თ. შიოშვილი, ავტორის პირადი არქივიდან).

აჭარელთა რწმენითა და წარმოდგენით, შვლის მოკვლის გამო შეიძლება მთელი სოფელი ან ხეობა დაისაჯოს: „სოფელ გეგელიძეებში თურმე შველი წყალს სვამდა და ვიღაც კაცს მოუკლავს. ამის გამო იგი ღმერთს სასტიკად დაუსჯია. ამ კაცს სანამ გატყავებული ხორცი სახლში აუტანია, მის მისვლამდე, სახლში მის ორ ვაჟს ერთმანეთი დაუხოციათ ე. ი. ვინც შველს მოკლავს, კაი დღე არ დაადგებაო“ (მთქმელი ემინე ხორავა. 67 წლის. მცხ სარფში, გამოთხოვილი სოფ. ურეხიდან. პირადი არქივი. ჩავ. 2005 წ–იხილეთ დანართი №56).

ზოგიერთ აჭარულ თქმულებაში მუსლიმური ელემენტიც შეჭრილა, რაც არ არის გასაკვირი. ერთი ასეთი თქმულების მიხედვით „ფეიღამბერი რომ დაიჭირეს ქრისტიანებმა, ფეიღამბერს არ უშვებდნენ, ტყიდან თუ შველი ჩამუაო, მაშინ გაგიშვებთო, იმათ ეგონათ, შველმა რა იცის და რას ჩამუაო, რას გეიგებსო, საიდან იგრძნობსო. ფეიღამბერს უთქვამს: რომ ჩამოვიდეს, მართლა გამიშვებთო? - კიო. შველი მთიდან მართლაც წამოსულა, მაგრამ იმათ გზაში მისთვის ხაფანგი დაუგიათ და შველი იქ ჩაუგდიათ, მოდიოდა და დიება, მარა მოგლიჯა თურმე ხაფანგი და ფეიღამბერთან მაინც მივიდა. ფეიღამბერმა გახსნა ხაფანგი და ჩლიქში (შველს უკანა ფეხებთან, ჩლიქებთან თეთრი აქვს) იოდიანი ბამბა ჩაუდო, შუუხვია და გუშვა და თქვა–ვინც ამ ცხოველს მოკლავს, ამ წუთისოფელში ჰარამი მიქნიაო“, ანუ ამ ცხოველის ხორცის ჭამა აუკრძალია, ვინაიდან ის ჩვენს სიცოცხლეს ეწირებოდაო“ (თ. ხოზრევანიძე, დაბ. და მცხ. სოფ. კვატიაში. პირადი არქივი, 2005 წ – იხილეთ დანართი №57). ამ თქმულების მიხედვით, უფლის ცხოველი მზადაა, ბატონისთვის თავი გასწიროს. ის თავისით მიდის და მზადაა შეეწიროს, მაგრამ უფალი აქაც გადაარჩენს მის ცხოველს.

ამავე შინაარსის ამბებს გადმოგვცემენ შუახევის რაიონის მკვიდრნიც: „ერთხელ შველი დაუჭერიათ, შველი როცა უნდა დაეკლათ, ენაზე მოსულა და უთქვამს: პატარა ნუკრი მყავსო, მშიერი მოკვდება, ახლა წავალ, ვაჭმევ და მერე მოვალო. ამ კაცებს გაუშვიათ. შველს სიტყვა შუუსრულებია და უკან

დაბრუნებულა. მუბარეკ ღმერთს ხელი უკანა ფეხზე მურტყმია (შველს უკანა ფეხზე თეთრი ნიშანი იმიტომ აქვს) და „წაიო“, უთქვამს: „შენ იმდენი დაგვიჯერე, ნუკრს აჭამე და უკან მოხვედიო, რომ არ მოგვატყუე და დაბრუნდი, ახლა ადექი და წადი შენ შვილებთან შენ იყავიო“ (მთქმ. თ ჭაღალიძე, 76 წლის. დაბადებული და გათხოვილი სოფელ ჭაღლაში, პირადი არქივი 2005წ). „შველს მუბარეკის ხელი აქვს გადასმული უკანა ფეხზე, ამიტომაცაა ჩლიქებთან თეთრი რომ აქვსო“ (ბერიძე ხემიდ შაქირისძე ბრილი 78წ, პირადი არქივი 2012 - იხილეთ დანართი №58; 59).

აჭარულ თქმულებებში შველის მფარველი ფეიღამბერია. შველი „ფეიღამბრის“ ცხოველია და მისი მოკვლა „მცირე წარღვნას“ იწვევს. ხალხი ამგვარად გაიაზრებს თვით ჩვენს დროში მომხდარ სტიქიურ უბედურებასაც, რის დასტურიცაა გადმოცემა ხულოს რაიონის სოფელ **წაბლანაზე**, ამ სოფლის მახლობლად, ხეობაში მეწყერმა 1989 წლის 19 აპრილს 20 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ეს უბედურება, ხალხური რწმენით, შველის მოკვლამ გამოიწვია: „შველი ღმერთის ცხოველია და არ უნდა მოეკლათ. ალბათ ღმერთმა შური მაგიტომ იძიაო“ (მთქ. ხოზრევანიძე ნურიფე, დაბადებული და მცხოვრები სოფელ კვატიაში, 74 წ. პირადი არქივი, 2005 წ).

გულნარა ცეცხლადის თქმით, მეწყერის ჩამოწოლამდე სოფელ წაბლანაში ერთ ქალს წინასწარმეტყველება დაუწვია. შინაურებს ჩაუთვლიათ, გაგიჟდით და დაუბამთ. მის სამკურნალოდ, 19 აპრილს, დილას, ხოჯები მიუყვანიათ, მაგრამ ქალს უფრო ხმამაღლა დაუწვია ყვირილი: „წადით, თავს უშველეთ, „სოლგომანი“ მოდისო. ბოლოს ტირილსა და ხვეწნაზე გადასულა, ორსული ქალი მაინც გაიყვანეთ, დროზე წავიდეს, დაიღუპებაო. მოლებს თავი მიუნებებიათ და წასულან. იმ დღეს მართლაც ჩამოქცეულა „სოლგომანი“ და ეს უბედურება დატრიალებულა (მთქ. გ. ცეცხლაძე, დაბ. სოფ. ხიხაძირში. მცხ. სოფ. ზემოხევში, 70 წ. 2004, პირადი არქივი – იხილეთ დანართები: №60; 61; 62; 63; 64; 65; 66; 67; 68; 69; 70).

მოცემულ გადმოცემებში რამდენიმე არქაული მოტივი გვაქვს. ასეთია „წმინდა კაცის“ გაფთხილების, წარღვნის წინასწარი უწყების მოტივი, რომელიც ფიქსირდება, აგრეთვე, **ვერნებთან** დაკავშირებულ მცირე წარღვნის ლეგენდაში: „ტბის გასკლომამდე ადრე ამ სოფელში ერთ მოხუც კაცს უნახავს სიზმარი, რომ სოფელი უნდა წყალმა წეიღოსო. ვისაც დაუჯერია ამ მოხუცისათვის, დაუცლია სოფელი და წასულა ზოგი მახალაკურში, ზოგი ოშანახევში. ვისაც არ

დაუჯერიათ დარჩენილა და დაღუპულა“ (ბსკიფა, №171, 1972 წ. გვ. 127). მოხუცი ამ შემთხვევაში სოფლის რჩეულსა და წმინდა კაცს განასახიერებდა, რომელსაც უფალმა აუწყა მოსალოდნელი განსაცდელი (იხილეთ დანართი №71).

„სოლგომანის“ თქმულება მოსალოდნელი წარღვნისა და ღვთის სასჯელის მოტივებით პალიასტომის ტბის ლეგენდას გვაგონებს: „ამ ტბის ადგილას ოდესღაც იყო ქალაქი პალეოსტომი. ამ ქალაქში ყოფილა ეკლესია, სადაც იმყოფებოდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ანდრია პირველწოდებულის მოტანილი ყოფილა“ – ასე იწყება პალიასტომის ლეგენდა. შემდეგ მოთხრობილია ქალაქის მცხოვრებთა შეცოდებებზე. ერთადერთი კაცი, ვისაც ღვთის სიყვარული არ შენელებია, ყოფილა კიკო. მას სიზმარში ღმერთი გამოცხადებია და გაუფრთხილებია: წაიღე ღვთისმშობლის ხატი შემოქმედში, პალეოსტომი უნდა დაიღუპოსო. კიკო როგორც კი გაშორებია პალეოსტომს, ამოუხეთქავს წყალს და ქალაქი დაუტბორავს.“ ეს ვარიანტი ფ. მგელაძეს ჩაუწერია და 1892 წელს რუსულ ენაზე გამოუქვეყნებია (СМОНПК, 1892, выпуск. XIII, отдел II, გვ. 72). განსხვავება ამ ორ გადმოცემას შორის ისაა, რომ „სოლგომანის“ ლეგენდაში, გასაგები მიზეზების გამო, გაფერმკრთალებულია ქრისტიანული მოტივები, თუმცა მათი კვალი მაინც შეინიშნება: 1. თავად ტოპონიმი „სოლგომანი“ ქრისტიანულ პერიოდში ჩანს გაჩენილი, რადგან ეტიმოლოგიურად ეს სახელწოდება ბიბლიურ „სოდომ-გომორს“ უკავშირდება: სოლგომანი<სომგომორი<სოდომ-გომორი; 2. მთქმელების ნაწილი მთის ჩამოქცევას ქრისტიანობის უარყოფას უკავშირებს: „ეს ხეობა ყველაზე ქრისტიანული მხარე ყოფილა. თურქების შემოსვლას აქაურების გამუსლიმანება მოჰყოლია. მტერს აქაური არა ერთი ქრისტიანი ბერი და მორწმუნე უწამებია. წინაპრისეული წესები უარუფიან და ყველფერ ამის გამო ეს ადგილი დაწყევლილია და 40 წელში ერთხელ იღლა ჩამეიქცევა, ასეა გამხენელიდან დაკანონებული“. სოლგომანიც მაგიტომ დარქმევია... მოხეთქის დროს მთელი სოლგო (გროვა) ჩამოვდაო (მთქ. ა. მიქელაძე. დაბ და მცხ. სოფ. ნენიაში. ჩაიწერე 1992 წ. პირადი არქივი). აქაურები იმასაც ამბობენ – ეს ღმერთის დაწყევლილიაო და ორმოც წელში ერთხელ ჩამეიქცევაო (მ. დავითაძე, სოფელ ფახის მკვიდრი, 75 წ. ჩაიწერა გ. დავითაძემ. მომაწოდა ჩამწერმა (იხილეთ დანართები №60; 61; 62; 63; 64; 65; 66; 67; 68; 69; 70).

ქრისტიანული მოტივების ნათელი გამოხატულებაა ფახის კლდის ლეგენდა, რომელიც მე-19 საუკუნის დამლევს ჩაუწერია დევრიშ-ბეგ ბეჟანიძეს:

„წაბლანა-ფახის ეკლესია მომხდურებმა დაანგრეს, ჯვრებგამოსახული ლოდები დაუგორებიათ, რათა გადაკარგულიყო და აქაურებს დაევიწყებინათ. ისე მოხდა, რომ ერთ-ერთი ლოდის ჯვრის მხარე პირით მიწისკენ იყო დაგდებული. ქალებმა ეს არ იცოდნენ და ლოდზე სარეცხს რეცხდნენ. ერთხელ შემოესმათ: „წადით თორემ მთა დაგორდებაო, მაგრამ არ დაიჯერეს. მალე ისევ იგივე ხმა გაისმა. ერთი მაინც არ წავიდა, მთა კი მართლაც მოსკდა და კიდევ ჩაიყოლია; აქედან მოდის ხატოვანი გამოთქმა: „რას იბახი ფახის კლდესავითო“ (ბექირიშვილი 1996: 66). ფახის ლეგენდას მსგავსი შინაარსი აქვს თედო სახოკიას ჩანაწერშიც – ეს სოფელი ფახმატელებმა გააშენეს. იმ დაგორებულ ლოდზე ჯვარცმული ქრისტე იყო გამოსახული... (სახოკია 1985: 234). ანალოგიური შინაარსის თქმულება გვხვდება ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერებში.

ფახისა და წაბლანის ლეგენდებში ქრისტიანული მოტივების არსებობა, ალბათ, იმითაც არის გამოწვეული, რომ ორივე სოფელი სხალთის ეკლესიასთან ახლოს მდებარეობს. სხვათა შორის, ამაზე მეტყველებს ფახის შესახებ არსებული მეორე გადმოცემაც, რომლის მიხედვითაც, სხალთის ეკლესია და მისი ეპარქია, სოფელ ფახხაში დაწურული ღვინით სარგებლობდნენ. იქ იმდენი ყურძენი მოდიოდა, ეპარქიას წლიდან-წლამდე ჰყოფნიდაო. რაც შეეხება მის ჩამოტანას, მთქმელის გადმოცემით: „სოფელ ფახიდან სხალთის მარნამდე დიდი ხის ღარები ჰქონიათ. ყურძენს ფახხაში წურავდნენ და ღარების საშუალებით პირდაპირ სხალთის მარნის ჭურებში ჩაედინებოდაო“ (მთქ. ქ. აბაშიძე, დაბ. და მცხ. სოფ. ვერნებში. 50 წ. პირადი არქივი, 2005 წ – იხილეთ დანართი №75; 76).

აჭარაში მცირე წარღვნის ლეგენდებს ქრისტიანულ და მაჰმადიანურ ეპოქებში მრავალი ცვლილება განუცდიათ, მაგრამ თითქმის ყველგან ფიქსირდება წარმართულ-მითოსური პლასტები. მრავალ მათგანში ფიგურირებს ხართა შერკინების არქაული მოტივები.

როგორც ცნობილია, წარმართულ ეპოქაში შინაურ ცხოველთა შორის განსაკუთრებით ხარს აღმერთებდნენ (ოქროშიძე 1969: 35). მარტო, პირველყოფილი შეხედულებებისა და წარმართობის ეპოქაში კი არა, არამედ ქრისტიანობის ხანაში კი მრავლად გვხვდება ხარის გამოსახულებანი, განსაკუთრებით უძველეს ტაძრებსა და ეკლესიებში. მაგალითად, მესხეთე საუკუნის ტაძარში – ბოლნისის სიონში ხარის თავის გამოსახულებათა, რაც ქრისტიანობამდელი სარწმუნოების გამოძახილი უნდა იყოს (ჩუბინაშვილი 1940: 158). ა. სოხაძის მოსაზრებით, საქართველოში შემორჩენილი ხარის კულტის

ელემენტები – „ჩვეულებიდან ნათლად ჩანს, რომ ლექსებში ნიკორა ხარის მიმართ, სხვა მუშა ხარებისაგან განსხვავებით, დამატებითი მაგიურ-რელიგიური რიტუალი სრულდებოდა, რაც იმას მოწმობს, რომ ნიკორა ხარს ლექსზემი მიწათმოქმედები „მუშა ხარის გამჩენი: ღმერთის ანუ „დიდი ღმერთის“ მიერ ნიშანდებულ ცხოველად მიიჩნევდა... “ დიდი ღმერთის“ ცნებაში კი წარმართული ღვთაება უნდა იგულისხმებოდეს“ (სოხაძე 1964: 110-112).

ბ. თავდგირიძის აზრით, აჭარაში ხარის კულტის „დასაბამისეული ფესვები“, ისევე როგორც ყველა ხალხის მითოსში, წყლიდან არის აღმოცენებული. წყალი აჭარის მითოსურ ცნობიერებაში პირველშესაქმისეული ქალის ეკვივალენტად მოიაზრება:

„ქვეყანა ხარზე დგასო,  
ხარი თევზზე დგასო,  
თევზი წყალზე დგასო“...

მკვლევრის აზრით, ღვთაებრივი, მადლიანი ხარი, რომლის რქებზეც დედამიწა გაჩერებულა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ლეგენდა-თქმულების გმირი - წყლის კუროა (გადმოცემები ჭინჭაოს ტბაზე, ვერნებზე, ბუდა-გოლზე და სხვა.. (იხილეთ დანართი №72; 73; 74. ამგვარი არაჩვეულებრივი ხარი წყალში ცხოვრობს და ფესვები თევზზე უდგას. წყლის ხარი „წყლის ურჩხულია“, რომელმაც ვერნების განადგურება გამოიწვია – „აჭარულ თქმულებებში ხმელეთის ხარისა და წყლის ურჩხულის ბრძოლა „მცირე წარღვნას“ იწვევს და სოფელ ვერნებს ანადგურებს. ეს არის ორი უძლიერესი სტიქიის – წყლისა და მიწის შებრძოლება, შეიძლება ვთქვათ – „მცირე შესაქმე“ (თავდგირიძე 2000: 94-96).

აჭარელთა რწმენით, „დედამიწა ხარის რქებზე დგას, როცა ბუზი დააჯდება და თავს გაიქნევს, მიწა შეყანყალდება, ძალიან რომ გააქანოს თავი, ქვეყანა მთლიანად დეიქცევაო. ამიტომაც, ძველების გადმოცემით, ხარი გამჩენელის ცხოველია“ (მთქ. ე. მამულაძე. დაბ. და მცხ. სოფელ ნენიაში. პირადი არქივი, 2005).

ზოგიერთ აჭარულ გადმოცემაში გამჭრალია ხსოვნა წყლის ბინადარი მითოსური არსების შესახებ. ამის დასტურია თქმულება „ტბიყელის“ შესახებ (ტბიყელი ხინოს აღმოსავლეთით, მთის ფერდობზე მდებარეობს). ლეგენდის თანახმად: „ტბაში ყოფილა ერთი რაღაც ცხოველი, რომელიც ყოველდღე ამოდებდა წყლიდან და იქვე მინდორზე გადიოდა. მინდორზე შეხვდებოდა

სოფლის ხარი და დაეტაკებოდა მას. სადამომდი ჭიდაობდნენ, ხოლო სადამოს განშორდებოდნენ ერთმანეთს და დადლილ-დაქანცული, მშიერი ხარი სახლში ბრუნდებოდა. ასე რამდენჯერმე განმეორდა. ეს შენიშნა ხარის პატრონმა, გაიგო მთელმა სოფელმაც. დაინტერესდნენ ყველანი. საბაღახოდ გასულ ხარს დილით გაჰყვნენ ტბასთან. ცოტა ხნის შემდეგ დაინახეს, რომ წყლიდან ამოვიდა **რადაც შავი ცხოველი** და მაშინვე ეტაკა ხარს... ხმელეთის ხარი ისევ დამარცხდა. ხარის პატრონი ყოფილა მოლა-დედე მახარაძე, რომელიც მჭედელი ყოფილა. მან თავის ხარს რქებზე რკინის მახვილი გაუკეთა და გაუშვა საბაღახოდ. იმ დღეს წყლიდან ამოსულმა ცხოველმა ხარი ვერ დაამარცხა, ხარმა კი რკინის მახვილით მოკლა ის ცხოველი. მის მერე ხარი ნორმალურად ძოვდა და სახლშიც მაძღარი ბრუნდებოდა. გასულა ხანი და ხალხი ძალიან დაინტერესებულა, რა იყო ამ ტბაში. გადაუწყვეტიათ ამ ტბის დაშრობა. ერთ მშვენიერ დღეს აუღიათ ხელთ სამუშაო იარაღები და სოფლის მცხოვრებნი წასულან ტბასთან. დაუწყიათ მუშაობა თუ არა ტბიდან წყლის გადმოსაშვებად, უცებ ცა მოღრუბლულა, ამტყდარა ჭექა-ქუხილი, მოსულა კოკისპირული წვიმა და დაშინებული ხალხი იძულებული გამხდარა, თავი დაენებებინა დაწყებული საქმისთვის. მეორეჯერ წასულან, მაგრამ მაშინაც ასეთი საშინელი ამინდი შექმნილა. ამ გარემოებას ხალხი დაუშინებია და ამიტომ ხელი აუღიათ ამ იდეაზე (ქათამაძე 1940: 19-20 – იხილეთ დანართი №77)

წყლის მითოსური არსების ვინაობა უცნობია ყარაგოლის ტბის შესახებ არსებულ გადმოცემაშიც: „ყარაგოლი ხიხაძირის ზევითაა, ძალიან დიდი ტბაა და თან საშიში. იმ ტბაში ბევრი ხალხია დამხვარი. ამ ტბას შით თვალები ჰქონია. მიწის შით, იქ გვედინება. ის ტბა ხმელეთზე არ გადმოდის. ჩვენი წინაპრები ამბობდნენ, რომ ამ ტბაში რაცხა შავი ცხოველი ცხოვრობს, ვინც ახლოს მივა, წყლის ცხოველი მისგან (ყურბანს) შესაწირს ითხოვს და ამიტომაც ყველაფერს შით იტაცებსო. აქ ხალხი ხშირად ირჩობოდა, მარა დამხვალს ვერავინ ნახულობდა. ტბა სულ შავი ფერისაა, ამიტომაც „ყარაგოლი“ დაარქვეს. ამ ტბაში სულ სილაა და ფეხს რომ შედგამ, შიგნით გეკიდება და გითრევს და გახრჩობს. ამ ტბაში შესვლას მისდღემში ერიდებიან“ (მოქმ. გულნარა ცეცხლაძე, დაბ. სოფელ სკვანაში, ამჟამად მცხ. შუახევში, ჩავიწერე გომის მთაში 2005 წ. –პირადი არქივი).

წყლის არსების ვინაობას უფრო აკონკრეტებს „მწვანე ტბის“ ლეგენდა (მწვანე ტბა მდებარეობს გოდერძის უღელტეხილის სამხრეთ-დასავლეთით,

აღმეს მთის მახლობლად). აქაურთა გადმოცემით, ამ ტბაში რაღაც გარეული „ხელიკისებური ცხოველი“ ცხოვრობს, რომელიც შით შესულ საქონელსა თუ ადამიანს ითრევს. მაგრამ მისი კვალის მიგნება ძნელია“ (მთქ. ი. მელაძე. დაბ. და მცხ. დაბა ხელვაჩაურში, 2004 წ. პირადი არქივი – იხილეთ დანართი №78; 79; 80; 81; )

მწვანე ტბის მსგავსი „ხელიკისებური ცხოველის“ არსებობა კარგად ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დაცულ გადმოცემებში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „საყდრიონის ეკლესიის“ ლეგენდა, რომელიც მოგვითხრობს ერწოთიანეთის დიდი ტბის ამბავს: „ეს ტბა ერთ გველეშაპს გაუჩენია. თურმე, ყოველდღე წავიდოდა ზღვაზე, ჩაიგუბებდა წყალს და აქ ასხამდა. ტბა თანდათან იზრდებოდა და მთებზე მოსახლე ხალხს წალეკვას უქადდა. გველეშაპთან შებმას, აბა, ვინ გაბედავდა. ჰოდა, ერთ კაცს საოცარი მოზვერი ჰყოლია. რქები დანასავეთ ჰქონია გალესილი. ერთ მშვენიერ დღეს გაპარულა ეს მოზვერი, შეჭიდებია გველეშაპს და სულ დაუფატრია, მხოლოდ კუდი დარჩენია.

ის კუდი არის ჩვენი იორი, ახლაც რომ ჩაგვიდის და არ გვიწყდება“ (ფოლკ. არქ. კ. 165, გვ. 75 - იხილეთ დანართი №82)

დუშეთში ჩაწერილი ლეგენდის მიხედვით, გველეშაპი არაგვს აგუბებს. წარღვნის შიშით შეძრწუნებული ხალხი ვეშაპთან ბრძოლის გზას სახავს. იმედს ამყარებენ ნაიალაღარ ხარებზე. ჯერ ერთს გამოიყვანენ და შეაბრძოლებენ, მერე მეორეს, შემდეგ მესამეს... მაგრამ ვეშაპი ყველას ამარცხებს. მისნის რჩევით, ბოლოს ნიკორა მოზვერს მონახავენ. იგი გველეშაპს რქით მუცელს გაუფატრავს. არაგვს გზას გაუხსნის და სოფლებს გადაარჩენს (ფოლკ. არქ. კ. 165, გვ. 89).

ზოგიერთ გადმოცემაში წყლის ბინადარი გველეშაპი ტრანსფორმირდება უჩვეულო გარეგნობის ხარად. ერთ-ერთი ასეთი გადმოცემაა ჭინჭაოს ტბის ლეგენდა, რომელშიც თვალშისაცემია წყლის კულტის ელემენტები და ხარის გამანაყოფიერებელ ფუნქციაზე მინიშნებები. ჭინჭაოს ტბა გომის მთაზე მდებარეობს. გადმოცემის მიხედვით, „უძველეს დროს ამ ტბაში შავი ხარი ცხოვრობდა, რომელსაც წითელი თვალები ჰქონია. ხარი ამ წყლის პატრონს ეკუთვნოდა. ამ წყალში პირუტყვი ან ადამიანი თუ შევიდოდა, უკან იშვიათად ბრუნდებოდა. ეს წყალი მბრუნავი ყოფილა და შიგ ყველა შემსვლელს ძირავდა. ჩაძირულს იშვიათად ნახულობდნენ. ადგილობრივების გადმოცემით, ამ ტბას სიღრმეში ხვრელები ჰქონია, რომლებიც „ფოთის ზღვას“ უერთდებოდა.



გადმოცემის სხვა ვარიანტის მიხედვით, „ამ ტბაში შავი ხარი კილდესთან ცხოვრობდა და მზის ამოსვლისას გამოდიოდა და ბალახს ძოვდა, ხმელეთის ხარს ებრძოდა და სადამოს, მზის ჩასვლისას, წყალში ჩადიოდა. ამ ხარს ჰყოლია რაცხა პატრონი (გამჩენელი), რომელიც მის ადგილში გასულებს ძირავდა. ის ხარი ხან ჩდება, ხან არა, გააჩნია, ვის გამუხრდება. ეს ტბა ადრე უფრო დიდი ყოფილა, ახლა თანდათან პაწავდება. კლდის ძირში ზოგილი ღმაა და თანაც იქ ბრუნავსო და ხალხს სძირავსო. შორი და მწვანეა აქ წყალი“ (მთქ. ასიე კილაძე-კონცელიძე, მცხ. სოფელ ზემოხევში, 78 წლის, ჩაწ. 2005 წ. პირადი არქივი – იხილეთ დანართი №83). გადმოცემაში გაცხადებულია ცხოველის მფარველის - მზის ვინაობა.

ამ თქმულების სხვა ვარიანტში ვკითხულობთ: „ჭინჭაოს ტბაში ბინადრობს წყლის ხარი, რომელიც ზოგჯერ ნაპირზე გამოდის და მუდამ ერთ ადგილზე წევს. მის დანაწოლ საქონელს სიჯანსაღე ემატება. ჭინჭაოს ტბის წყალს სამკურნალო თვისებებიც გააჩნია. უშვილო ქალები სპეციალურად მიდიოდნენ და ბანაობდნენ ამ ტბაში“ (შამილაძე 1964: 133). ამ ვარიანტის თქმულებაში პირდაპირაა გაცხადებული „წყლის ცხოველის“ გამანაყოფიერებელი ფუნქცია.

გადმოცემის სხვა ვარიანტში ხართა შერკინების ტრადიცია თითქმის დაცლილია მითოლოგიური შინაარსისგან: ჭინჭაოს ტბასთან ახლოს არის გომის მთის საზაფხულო იაილები, მის ერთ-ერთ უბანს სახელად „ხარიათალი“ ჰქვია, სადაც ზაფხულობით 100-მდე კომლი იყრის თავს. აქაურთა გადმოცემით, ამ ადგილის სახელწოდება წარმოდგება უძველესი ტრადიციიდან, კერძოდ, „ამ ადგილას ხარების შესაჯიბრი ადგილი ყოფილა. აქ მოდიოდა უცხო „შავწამწამა ხარი და აქაურ ხარებს სულ ამარცხებდაო. ერთხელ აქაურებს სპეციალურად გაუზრდიათ კარგი ხარი და შეუჯიბრებიათ ამ ხარისთვის. მოსახლეობის ხარს უჯობნებია და ის ხარი (ღვთის ცხოველი) იმ დღიდან აღარ გამოჩენილა. აქაურებს კი ამ ადგილისთვის ეს სახელი დაურქმევიათ. იმ დღესასწაულიდან დღესაცაა შემორჩენილი ერთი უცნაური ჩვევა, როგორც ყოველთვის, გამარჯვებულს ხარს წითელ ბაფთას, ხოლო დამარცხებულს შავ ბაფთას დააბნევდნენო. ამიტომაცაა დღეს საქონელს, ხარს რქებზე წითელ ბაფთას, ნაჭერს უკეთებენ, რომ გამარჯვებულის ფერია და თვალი ვერ ძღვეს, თვალს არ ეცემაო“ (მთქ. ფ. ჭაღალიძე, დაბ. სოფელ ინწიკურეთში და მცხ. სოფ. ვარჯენაულში. პირადი არქივი. 2010 – იხილეთ დანართი №84).

სხვაგვარად, ხარიათადი (ხარის საწოლი) აჭარაშიც (მაგ. სანალიის მთაზე) და იმერხევიში (თურქ) იაილებზეც მრავლად გვხვდება. აქ ხარებს ფურებისგან განცალკევებით აბალახებდნენ და სახელწოდებაც აქედან მოდის. ზემო მოყვანილი ლეგენდა კი უფრო ტბებს უკავშირდება.

ტრანსფორმირებული გამგებელი წყლისა კარგად ჩანს ვერნების// „ტბიყელის“ გადმოცემაში: „სოფელ ვერნებს ადრე „ტბიყელი“ ერქვა. სოფლის ზემოთ მთაზე, ყოფილა მოზრდილი ტბა, რომელიც გამსკდარა, მოხეთქილა და სოფელი „ტბიყელი“ წაუღეკავს. მის შემდეგ იქაურობას „ვერნები“ დარქმევია“... (თანდილავა 1996: 84-85). ამავე გადმოცემის სხვა ვარიანტში, სოფლის „ჩამოქცევის“ ამბავი დაკავშირებულია ხმელეთის ხართან, რომელსაც პატრონმა „რკინის რქები“ გაუკეთა, რითაც წყლის ხარი დაამარცხა: „წყლის ხარის პატრონი ტბის ზემოთ არსებული ეკლესიის მეპატრონე ყოფილა. ხარების ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ, გასისხლიანებული, დამარცხებული წყლის ხარი ტბაში გადაშვებულა, რის შემდეგაც ტბა აბობოქრებულა და გადმოსულა, სოფელი წაუღეკავს და მისი მიმდებარე ეკლესიაც. ამ სოფელს „ვერნები“ დარქმევია (მთქ. ბიჭიკო აბაშიძე, დაბ. და მცხ. სოფ ვერნები, 2003 წ. პირადი არქივი). აღნიშნულ სოფელში ძველად მომხდარ სტიქიურ უბედურებაზე მიუთითებენ ისტორიკოსებიც: „სოფელ ვერნებისა და მისი შემოგარენის რელიეფი, შუა სოფელში მიწაში ჩაფლული სამლოცველოს ნაშთები გვაფიქრებინებენ, რომ წარსულში ამ სოფელს მართლაც განუცდია სტიქიური უბედურება. სოფლის ზემოთ ტბის არსებობაც თითქოს ეჭვს არ იწვევს (ლეგენდა სოფელ ვერნებზე, „მაცნე“ ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბ. 1978). ამ ლეგენდაში ნახსენები ეკლესიის არსებობა დადასტურდა არქეოლოგიური გათხრებითაც, რომელიც არქეოლოგებმა ა. კახიძემ და შ. მამულაძემ ჩაატარეს (კახიძე, მამულაძე 1993).

სოფლის სახელწოდების განმარტებას ისხავს მიზნად ნაღვარევის ტბის ლეგენდაც: „ამ ტბაში, თურმე, ცხოვრობდა ხარი, „ტბის ხარი“. ამ სოფლის მცხოვრებლები ყოველ წელწადს აჭიდავებდნენ სოფლის საუკეთესო ხარს. წყლის ხარი ხმელეთის ხართან ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა და წყალში მშვიდად ცხოვრობდა. ერთ წელწადს სოფლებმა საჭიდაოდ გაყვანილ ხარს რკინის რქები დაადგეს და საბრძოლველად წყლის ხართან გაუშვეს. ამ ბრძოლაში სოფლის ხარმა დაჭრა წყლის ხარი, დაჭრილი წყლის ხარი წყალში შევარდნილა, ამიტომაც ტბა აბობოქრებულა, გადმოსულა ნაპირზე და სოფელი

დუფლვრია, ამის მერე ამ სოფელს „ნაღვარევი“ დარქმევია“ (მთქ. მემედ ნაგერვაძე-გაუგონი დედისაგან. ჩაიწერა თამარ ნაგერვაძე 2006 წ. პირადი არქივი – იხილეთ დანართი №85; 86; 87; 88).

ხარის კულტს რომ საქართველოში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, ამას მოწმობს მდიდარი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალებიც.

როგორც აღვნიშნეთ, აჭარის ტოპონიმებში ხარის კულტთან დაკავშირებით მრავალ თქმულებას ვხვდებით. კერძოდ, ტოპონიმ „ხარი-დათაღ“-თან დაკავშირებით. ერთი ვერსიით, „ხარი-დათაღი“ ბიბლიურ ისტორიასთან ასოცირდება. მთქმელის, ჟუჟუნა ზოიძის, ინფორმაციით, „ხარი-დათაღი“ სწორედ ის მთაა, სადაც ნოეს კიდობანი გაჩერებულა. ანალოგიურად სახელდება „კარას მთა“ (მთქმელი თენზილე ქარცივაძე). სხვა ვერსიით „ხარიათაღი“ წმინდა (გარეული) ხარისა და ჩვეულებრივი ხარის საასპარეზო ადგილად ითვლებოდა, სადაც გამარჯვებული წითელი ანუ წმინდა ხარი რჩება. მთავარი და მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ორივე შემთხვევაში მთა წმინდა ადგილია, ანუ „კვრივი“ ადგილი, რომელიც სიწმინდესთან ასოცირდება.

ხარის კულტს სხვადასხვა ასპექტში განიხილავენ. ქედის რაიონის მკვიდრთა გადმოცემებში საარსებო წყლის უზრუნველყოფა „წმინდა ხარისთვის“ დაუკისრებიან: „სოფელ გეგელიძეებში, სადაც ეხლა წყაროა, იმ ადგილას წყალი არ ყოფილა, ხალხი წყლის უკმარისობას განიცდიდა. ერთხელაც ერთ ბუღა ხარს უბუღრაგია და ამგვარად გამოუდენია წყალი. გახარებულ ხალხს ეს ხარი „წმინდა ხარად მიუჩნევია, იმავე წყაროს წყლისათვის შეუწირავს – დაუკლავთ, ხორცი ხალხისთვის დაურიგებიან და სისხლი წყალში ჩაუსხამთ. მის მერე ყოველი წლის ივლისის თვეში ტრადიციულად კლავდნენ ხარს“ (ბსკიფ, საქმე №199, გვ. 59 – იხილეთ დანართი №89).

ამ თქმულებაში საინტერესოა როგორც ხარის, ასევე მისი შეწირვის რიტუალიც – „კულტი თავის გამოხატულებას დებულობს სხვადასხვა შესაწირავში – მსხვერპლში. თავდაპირველად მსხვერპლი საესეებით რეალურია, დროთა ვითარებაში კი ის თითქმის მარტო სიმბოლური ხდება“ (კოსვენნი 1971: 179).

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ ღვთაებისადმი მსხვერპლთშეწირვა და ლოცვა-ვედრება სათავეს იღებს ანიმიზმის პერიოდიდან. საზოგადოებრივი განვითარებისა და შემოქმედებითი აზროვნების შესაბამისად

რელიგიურ-იდეოლოგიური, ცვლილებების საფუძველზე, გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდიდა მსხვერპლშეწირვის ადრინდელი ფორმებიც. ასე შეიცვალა თანდათან ადამიანის მსხვერპლად შეწირვის წესიც და მისი ადგილი სხვა ცოცხალმა არსებამ დაიკავა. შეიცვალა მათი დამოკიდებულებაც და ადამიანის ნაცვლად ცხოველების შეწირვა დაიწყო.

თქმულებებში ვხვდებით როგორც ანიმისტურ, ასევე ზოომორფულ რწმენა-წარმოდგენებს. საკვლევი მასალების საფუძველზე, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ხარი, შველი, ცხვარი აქაურთა რწმენაში „ღვთის ცხოველებად“ ითვლებოდა. ისინი ასრულებდნენ მთელ რიგ ფუნქციებს, რომელთაც ასახვა ჰპოვეს რწმენა-წარმოდგენებსა და ნივთიერ კულტურაში.

### თავი III. ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები

#### 3. 1. წმ. ანდრია პირველწოდებული და მასთან დაკავშირებული თქმულებები

აჭარა ერთ-ერთი ძირძველი ქრისტიანული კუთხეა საქართველოში. როგორც მკვლევარი ს. გოგიტიძე წერს: „აჭარის მრავალტანჯულ მიწაზე ფეხი დაუდგამს ჯერ კიდევ ქრისტიანული რელიგიის ხანაში, იესო ქრისტეს თორმეტ მოწაფეთაგან რამდენიმეს: ანდრია პირველწოდებულს (სახარებაში პირველ მოციქულად ანდრიაა დასახელებული, ამიტომაც მას „პირველწოდებული“ ეწოდა), სიმონ მოშურნეს (ასე ეწოდება „საქმე მოციქულთაში“) იგივე კანანელს, მატათას (მათეოსი) და ფილიპეს. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამათგან ქრისტიანობის გავრცელებისათვის აჭარაში შრომა არ დაუშურებიათ ანდრიასა და მატათას. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II თვლის, რომ ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა „უფლის სიტყვის ქადაგებით განვლეს საქართველოში ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში“ (გოგიტიძე 1990: 78).

ქრისტიანული სარწმუნოების პირველი ქადაგება საქართველოში, წერილობითი წყაროების მიხედვით, იესო ქრისტეს თორმეტთაგან ერთ-ერთმა მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა, სწორედ აჭარიდან დაიწყო. წყაროს ცნობით, „მოვიდა... ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა, სადა-იგი დაჰყო ჟამი მცირედი, და იხილა უგუნურება პირუტყუებრივი მკვდრთა შორის მის ქალაქისათა, განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგებად სახარებისა. რამეთუ კაცნი პირუტყუთა უგუნურეს იყვნეს და არა იცნობდეს შემოქმედსა ღმერთსა, და ყოველსა საძაგელსა და არაწმიდასა წესსა აღასრულებდეს, რომელი სათქმელადცა უჯერო არს. და მრავალნი ჭირნი და განსაცდელნი დაითმინნა ურწმუნოთაგან, და შეწევნითა ღმრთისათა და წმიდისა მის ხატისათა ყოველნივე მადლობით მოითმინნა, ვიდრემდის ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანნა სარწმუნოებად. რამეთუ ადგილსა, რომელსა დაასვენა ხატი ყოვლად-წმიდისა ღმრთისმშობლისა, აღმოეცენა წყარო ფრიად შუენიერი და დიდი, რომელი-იგი ვიდრე დღესცა დაუწყუედელად აღმოსდის. და შემოკრბეს ყოველნივე ყოვლით-კერძო მკვდრნი მის ქუეყანისანი, და ნათელ-სცა ყოველთა

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, და დაადგინნა მღუდელნი და დიაკონნი, და დაუდვა წესი და საზღუარი სარწმუნოებისა. და აღაშენეს ეკლესია შუენიერი სახელსა ზედა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისასა. და ვითარცა ენება წმიდასა მოციქულსა მიერ წარსლვა, ევედრებოდეს და არა უტევებდეს წარსლვად, არამედ ეტყოდეს: „უკეთუ შენ წარხვალ, ხატი ეგე ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა აქა დაგვსვენე, სასოდ და მცველად ჩუენდა“. ხოლო წმიდამან მოციქულმან ანდრია შექმნა ფიცარი მსგავსი ზომისა და დასდვა ხატსა მას ზედა. და მეყუსეულად გამოისახა სახე უცვალებელი ხატისა მის და მისცა იგი მათ. ხოლო მათ სინარულით შეიწყნარეს და დაისვენეს ეკლესიასა შინა თვისსა პატივით, რომელი-იგი ვიდრე დღეს-აქამომდე ჰგოეს. ხოლო წმიდასა მოციქულსა მისცეს მშუდობა და მოწლედ მოიკითხეს, ამბორს უყვეს და წარმოგზავნეს” (ქცა I: 39).

„ანდრია პირველწოდებულმა სამივე მისიონერული მოგზაურობის დროს იქადაგა საქართველოში, ამიტომ გიორგი მთაწმინდელმა 1009-1065), თევდოსი ანტიოქიელ პატრიარქთან დისპუტის დროს (1057წ), „მომოსვლის ბერძნული ტექსტი („მომოსვლა ანდრია მოციქულისა“) გამოიყენა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასაცავად, როგორც მოციქულთა ქადაგების უტყუარი დოკუმენტი: „პირველ წარკითხვისა ჰრქუა ბერძან პატრეაქსა: წმინდაო მეუფევე შენ იტყვ, ვითარმედ თავისა მოციქულთაისა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისსა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი; და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი – სიმონს ვიტყვი კანანელსა – ქუეყანასა ჩუენსა მოციქულთა განათლებულნი ვართ”(გიორგი მცირე: 154) (ხალვაში 2009: 50).

ექვთიმე იბერიელმა მოციქულთა მოღვაწეობას საქართველოში სპეციალური შრომა უძღვნა, საბოლოოდ განამტკიცა და კანონიზაცია მიანიჭა დებულებას, რომ ქართული ქრისტიანობა თავისი წარმოშობით დაკავშირებული იყო მოციქულთა ხანასთან. ამ შრომას ეწოდება „მოსახსენებელი მიმოსვლათათვის და ქადაგებათა მოციქულისა ანდრეასი.“ ავტორს თავისი შრომის საფუძვლიან დებულების მისაღებად გამოუყენებია ეპიფანე კონსტანტინეპოლისა და ნიკიტა პაფლაგონიელის ტექსტები. ევთიმეს ქართული ვერსიის თანახმად, ანდრია ყოფილა ტრაპიზონში, მეგრელთა ქვეყანაში, შემდეგ ქართველთა ქვეყანაში მდინარე ჭოროხამდე, აქედან გადასულა სოსინავეთში...( მთაწმინდელის: 1982 24-25).

ამგვარად, წმ. ანდრია პირველწოდებულმა დიდაჭარაში მაკურნებელი წყარო აღმოაცენა, რომელშიც ხალხი მონათლა, ამავე სოფელში ღვთისმშობლის ეკლესია ააგო, აკურთხა მღვდლები და დიაკვნები, ბოლოს კი საქართველოს პირველ ქრისტიანულ ტაძარში დედა ღვთისას ხელთუქმნელი ხატის – აწყურის ღვთისმშობლის ხატის ასლი დაასვენა.

სანამ ანდრია პირველწოდებული იქადაგებდა, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, დიდაჭარლები წარმართები ყოფილან, შემდეგ კი გაქრისტიანებულან. ოსმალის შემოსვლის მერე ძალით გაუქმესლიმანებიანთ, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ისინი მაინც ქრისტიანულ მსახურებას აგრძელებდნენ, რასაც არსებული მასალები ადასტურებს: „დიდაჭარაში ხანგძლივი დროის მანძილზე არსებობდა ეკლესია. აქ დღემდე შემონახულია ტოპონიმები და ადგილი, სადაც მოსახლეობა ეკლესიის არსებობას ვარაუდობს. ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე დიდაჭარაში შავაძეთა საგვარეულოში (ბუდე-ნათესაობის სახელწოდება ფითნანთი) გამოთხოვილი ხანდაზმული ქალები მამაკაცებისაგან მალულად, მისტიკურ გარემოში, საკრალურ ადგილს ესტუმრებოდნენ. იკრიბებოდნენ სოფლის განაპირა ამალეებულ ბორცვზე, ე. წ. „ნაკაფის სერზე“ მდებარე ნაეკლესიარის მიდამოებში და დაბალ ხმაზე გალობდნენ (მთხრობელთა განმარტებით მღეროდნენ). ამ ადგილს „თარანგელოზის ყელი“ (მთავარანგელოზის ყელი) ეწოდება (მგელაძე, ფაღავა 1999: 139).

როგორც დიდაჭარის მკვიდრი თ. წულუკიძე წერს: „დიდაჭარა ძველთაძველი სოფელია, ამიტომაც იყო, რომ I საუკუნეში ანდრია პირველწოდებულმა სწორედ სავანე ამ სოფელში ჰპოვა... ადგილს, სადაც სავარაუდოდ, უნდა აგებულიყო პირველი ეკლესია საქართველოში და არა მარტო საქართველოში, ამჟამად „თარანგელოს“ ეუწოდებთ. ვფიქრობ, რომ ანდრია პირველწოდებულის მიერ აგებული ტაძარი ძელისა უნდა ყოფილიყო და შემდგომად იმ ადგილას უნდა აღმართულიყო ახალი ტაძარი მთავარანგელოზის სახელობისა“ (წულუკიძე 2009: 12).

„ქართლის ცხოვრებიდან“ ასევე ვგებულობთ, რომ ანდრია პირველწოდებულმა დიდაჭარის შემდეგ „გარდამოვლო მთა, რომელსა ეწოდების რკინის ჯუარი და თქმულ არს, ვითარმედ ჯუარი. იგი თვთ ნეტარისა ანდრიას მიერ აღმართულ არს. ხოლო ვითარცა შთავლო ხევი ოძრახისა და მოვიდა

საზღვართა სამცხისათა, დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენ-გორა“ (ქართლის ცხოვრება 1955: 38).

შუახვევის რაიონის მარეთის ხეობაში „სანალიას მთაზე არის ადგილი, რომელსაც „რკინის ჯვარს“ ეძახიან. ჟურნალისტ ოთარ ფუტკარაძეს ტოპონიმ „რკინის ჯვართან“ დაკავშირებით მნიშვნელოვანი კვლევები უწარმოებია, ავტორი სვამს კითხვას – აქ ხომ არ იგულისხმება მდინარე სანალიისწყლის სათავესთან ახლომდებარე რკინისჯვრის გადასასვლელი, რომელიც სანალიის საიალადო სადგომს გადმოჰყურებს. მით უმეტეს, რომ მასზე გამავალი გზა ოდითგანვე აჭარას შავშეთ-ერუშეთთან და ტაო-კლარჯეთთან, აქედან ფოცხოვის ხეობით კი მესხეთთან აკავშირებდა.

ამ ზეკარზე ამახვილებს ყურადღებას პროფესორი იური სიხარულიძე და აღნიშნავს, რომ დაბალი გადასასვლელის გამო იგი მგზავრთათვის ზამთარ-ზაფხულ მოსახერხებელი იყო. მის ნაშრომში “შავშეთ-იმერხევი” ვკითხულობთ: „ყვირალას უღელტეხილი – შავშეთის ქედზე. აქედან ერთი გზა დემურ-ყაფით მიდის (მარეთის ხეობა), ხოლო მეორე ყარა-გოლზე (სხალთის ხეობისკენ). თურქული სახელწოდება დემურ-ყაფი – რკინის კარი – აქ რკინის ჯვრის სახენაცვალი ფორმა ხომ არ არის?

რკინისჯვართან ახლომდებარე კიდეის ქვაბები არქეოლოგებმა გამოიკვლიეს და აქ უძველესი ადამიანების (ენეოლითიდან ნეოლითზე გარდამავალი პერიოდის ცხოვრების კვალი აღმოაჩინეს. ახლობელ სერებზე კი ქვაკაცებია აღმართული ფუტკარაძე, „სად მდებარეობს მთა, რომელზეც ანდრია პირველწოდებულმა რკინის ჯვარი აღმართა“ (ფუტკარაძე 2013: 84 - იხილეთ დანართი №90; 91). ამ ადგილებში, 2001-სა და 2002 -წლებში მოეწყო ექსპედიციები, რომელთა კვლევებმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ამ ადგილებს უძველეს დროს მნიშვნელოვანი დანიშნულება ჰქონია (დიასამიძე, ებრაღიძე 2011: 54-55).

ბიბლიური ამბის მიხედვით, მოსეს მიერ სინაის უდაბნოში რეფიდიმში გაყვანილი ისრაელები, უფლის შემწეობით მოსემ წყურვილისგან იხსნა: „უფლის ბრძანებით, ისრაელთაგან იახლა უხუცესი, ხორების კლდეზე დაჰკრა კვერთხი, საიდანაც მართლაც გადმოვიდა წყალი და ისრაელთ მოუკლა წყურვილი (გამოსვლა, თ. 16-18) (ბიბლია 1989: 73).

შუახვევის რაიონის, სოფელ შუბნის მკვიდრი იოსებ ებრაღიძის (70წ) გადმოცემით, „სანალიის მთაზე არის ადგილი, რომელსაც „ყვილამბრის წყალს“



უწოდებენ. ფეილამბერს, მთასთან კლდეზე ხელი მიუდვია და იქედან (კლდის შუა ნაწილიდან) გადმოსულა წყალი. მის მერე ამ ადგილს „ფეილამბერის წყალს“ უწოდებენ (მთქ. ებრალიძე იოსებ, დაბადებული და მცხოვრები სოფ. შუბანში, ჩაიწერა და მასალა მოგვაწოდა ნათია ებრალიძემ, 2005 – იხილეთ დანართი №92).

ძველი აღთქმის მიხედვით, უფლის რჩეული – მოსე წინასწარმეტყველი, ასევე ახალი აღთქმის მოციქულთაგანი ანდრია პირველწოდებული, რომელმაც დიდაჭარის მკვიდრთათვის, სასწაულებრივი ძალით წყალი აღმოაცენა.

აჭარული თქმულების ამ ვარიანტში მთავარი სასწაულმოქმედი ფეილამბერია, მაგრამ მთქმელი ვერ აკონკრეტებს თუ რომელ მოციქულზეა საუბრი. საფიქრებელია, „რკინი ჯვრისა და „ფეილამბერის წყლის“ – სასწაულმოქმედი პიროვნება ერთი და იგივე წმინდანი იყო, ანუ წმინდა ანდრია, რომელმაც ამ მხარეში იმოგზაურა, ღვთის შეწევნითა და მადლით–მრავალი სასწაული მოახდინა.

### 3. 2. წმინდა გიორგის თაყვანისცემის კვალი ტოპონიმურ თქმულება-გადმოცემებში

ქრისტიანულ სამყაროში, კერძოდ კი საქართველოში არ მოიძებნება წმინდანი, მოწამე იქნება იგი თუ ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე, რომელიც პოპულარობით. წმ. გიორგის შეედრებოდეს. აჭარაში რაც კი შემორჩენილია ნანგრევი თუ ეკლესია, თითქმის ყველა წმ. გიორგის სახელზეა აშენებული. ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კოლონიზაცია სწორედ წმ. გიორგის სახელობის ტაძრის აგებით დაიწყო – ეს იყო „ხანძთა – საყოფელი დიდისა მოწამისა გიორგისა“, რომელიც იქცა არა უბრალოდ პირველ, არამედ მთავარ ტაძრად ტაო-კლარჯეთში. ნიშანდობლივია, რომ გ. მერჩულე კლარჯეთის მეუდაბნოებს წმ. გიორგის აღარებს (სირაძე 1987: 154).

წმ. გიორგის თაყვანისცემა განსაკუთრებით ძლიერდება X-XI ს-ში, რასაც ფეოდალური მონარქიის აღმავლობასა და სამხედრო იდეოლოგიის დამკვიდრებას უკავშირებენ (გამსახურდია 1991: 172).

XI საუკუნის ლიტერატურაში მკვიდრდება ტრადიცია – წმ. გიორგი, როგორც საქართველოს ზეციური მფარველი. არსენ ბერი მის შესახებ წერს: „მეოხი და მფარველი და ხელისაღმპყრობელი ყოველთა მორწმუნეთაი და უფროისად ნათესავისა ჩვენისაი (არსენ ბერი 1971: 11).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ქართველი მხედრობის გამარჯვებას წმ. გიორგის შემწეობით ხსნის: „წმინდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თვისთა მოსრვიდა ზედამოწვენულთა უსჯულთა მათ წარმართთა, რომელი თვით იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგვითხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ-მოწამისა გიორგისსა“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 341). ანალოგიური შინაარსის ლეგენდა არსებობს ჯვაროსნების შესახებ (ავარინცივი 1991: 275).

წმინდანის შესახებ ჩვენამდე მოღწეულია მრავალი თხზულება, რომლებიც ქართველ მწიგნობრებს უთარგმნით X-XIII ს-ში. ისტორიულად წმ. გიორგისათვის საგალობელი მიუძღვნია იოანე მინჩხს (მინჩხი 1987: 335-348).

საქართველოს დანარჩენ კუთხეებთან ერთად არც აჭარა წარმოადგენდა გამონაკლისს. ამ კუთხეში შეიქმნა აბუსერისძე ტბელის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები „ახალი სასწაულნი წმინდისა გიორგისანი“

შუა საუკუნეებში აჭარა ქრისტიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის აჭარის ერისთავთ-ერისთავების – აბუსერისძეების საგვარეულოს. აბუსერისძეთა ფეოდალური სახლი განსაკუთრებით დაწინაურდა XIII საუკუნის პირველ ნახევარში, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ცნობილი მოღვაწე ტბელ აბუსერისძე.

ტბელ აბუსერისძე (დაახლ. 1190-1240) დიდი რუსთველის უმცროსი თანამედროვე, მწერალი და ასტრონომი იყო. მას ეკუთვნის რელიგიურ-ისტორიული თხზულება „სასწაულნი წმინდისა მთავარმოწამისა გიორგისანი“ და ვრცელი ქრონოლოგიურ-ასტრონომიული ტრაქტატი „ქორნიკონი სრული მისითა საუწყებლითა განგებითა“, რომელმაც 350 წლით ადრე მიახვედრა მეცნიერნი იმხანად მოქმედ წელთაღრიცხვათა სისტემების ასტროლოგიურ ცდომილებებზე და, 1582 წელს, თვით რომის პაპი გრიგოლ მეორემეტე აიძულა, ქართული მონაპოვრის მიბაძვით რომაული კალენდრის შესწორება ებრძანებინა. ტბელს ეკუთვნის, აგრეთვე, „გალობანი სამთა იოანეთანი: წინამორბედისა, ღვთისმეტყველისა და ოქროპირისა“ და „გალობანი მწვალებელთა შეჩვენებისანი“.

ჩვენი საკითხის კვლევისთვის ფასდაუდებელი მასალაა დაცული ტბელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში “სასწაულნი წმინდისა მთავარმოწამისა

გიორგისნი“, რომელშიც საინტერესო გადმოცემებია დაცული ხიხანის და ცხმორისის წმინდა გიორგის ეკლესიების მშენებლობის შესახებ.

**„სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“** შეეხება ხიხათა ციხესიმაგრესთან ახლოს, ფოცხოვში, დაბა შუარტელის წმ. გიორგის ეკლესიის სასწაულებრივ მშენებლობას – ტაძარს მარტო, სხვების დახმარების გარეშე აგებს დახელოვნებული ქვითხურო ბასილი. ტექსტში აღწერილი სასწაულები უკავშირდება მშენებარე ეკლესიის ეზოში დაბრძანებულ ჯვარს, რომელიც „სახელსა ზედა არს ალავერდისა მთავარმოწამისსა“. ნაწარმოების ბოლოს ტბელ აბუსერისძე წერს: „ესევეითართა საკურველებითა დაესვენა ნამუშავესა თვისსა წმიდასა“. „ნამუშავეი თვისი“ აღნიშნავს ჯვარს, წმ. გიორგის ნამუშავეს. ეს არის ალავერდის მთავარმოწამე, რადგან ჯვარი მისი სახელობისა იყო. ასეა გაშინაარსებული ნაწარმოებში საღვთო მადლის განფენა ერთი ტაძრიდან მეორეში, რითაც ვითარდება „იოანე ზედაზნელის ცხოვრებასა“ და „აბიბოს ნეკრესელის წამებაში“ მოცემული თემა: „ხოლო ამის ნეტარის იოვანეს მოწაფეთაგანმან (იგულისხმება იოანე ზედაზნელის მოწაფე იოსებ ალავერდელი) აღაშენა ალავერდი, რომლისაგან გამოვლენ დიდნი საკურველებანი, ვიდრე დღენდელად დღედმდე“ (ხალვაში 1998).

წმ. გიორგი “სწავებით განაძლიერებს“ მთავარ პერსონაჟს – ბასილს. თითოეული სასწაული კი ზნეობრივი მაგალითის ხასიათს იღებს და არც თუ იშვიათად მთავრდება მორალური შეგონებით, რითაც ნაწარმოები ფოლკლორულ ტექსტებს უახლოვდება. “წმ. გიორგის ახალ სასწაულთა“ ავტორის ხალხურ სამყაროსთან სიახლოვე იმდენად დიდია, რომ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ჩნდება კარნავალიზების ელემენტები. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მოქმედ პირთა ნართაული სახელები - ბოლოკ-ბასილი (შდრ. : „ბოლოკა“), „პონილი“, „კუანილი“, ხარის სახელები - „პირქუში“ და „ქურდა“. ნაწარმოებში ვხვდებით წმ. გიორგის ხუმრობასაც („ლაღობა“): ის ქვის განაპობში ჩააყენებს ბოლოკ-ბასილის და იქეთ-აქეთიდან ქვებს შემოაჭერს, ბოლოს კი გაუშვებს და შეაგონებს მას: „წმიდამან, რეცა სიცილის სახედ და ლაღობისა, განზიდნა მას განაპებსა ქვათასა და ჰრქუა: აღმოხედ და ნუ ხარ მოწყინარე მსახურებისა ჩემისა და სრულ-ქმენ ტაძარი ჩემიო“. სხვა ეპიზოდში წმ. გიორგი ენამოხლექილ ხელოსანს გამოაჯავრებს და პატარა ბავშვივით დაუძახებს: „ბაჩილო!“, რითაც ავტორი წმ. გიორგის ფამილარობას “ქრისტეში ჩვილებთან“ (1 კორ. 3. 1-3) ქადაგების მნიშვნელობას ანიჭებს (ხალვაში 1998).

თხზულებაზე დართულ „ანდერძში“ ტბელ აბუსერისძე ერთიან საქართველოს „სრულ საქართველოს“ უწოდებს, რომელსაც ხვარაზმელთა სახით „კაცის მჭამელნი მგელნი“ შემოესივნენ. ნიშანდობლივია, რომ მათ განდევნას, ჩვეული პროვიდენციალიზმიდან გამომდინარე, მწერალი საქართველოს ზეციური მფარველის - წმიდა გიორგის მეოხებას მიაწერს.

„ანდერძი“ წარმოადგენს აბუსერისძეების საგვარეულო მატრიანეს და მოგვითხრობს ხიხანის ციხისა და ეკლესიის სასწაულებრივი მშენებლობის შესახებ. მთავარი მოქმედი პირი ამ შემთხვევაშიც წმ. გიორგია, რადგან ხიხანის წმ. გიორგის ეკლესია მისი სახელობის იყო. ეკლესიის მშენებლობის დროს „მრავალთა კაცთა ფათერაკთაგან ჳსნასა“ თუ „სრულისა საქართველოს“ მტრებისაგან გათავისუფლებას ტბელ აბუსერისძე სასწაულების კვალიფიკაციას აძლევს და გულმოდგინედ ჩამოთვლის ამგვარ ფაქტებს: „ქვისა დასაცემელად განმზადებულისა მრავალთა არღარა მოსაწყუედელად გარეუკუქცევანი; და წამოქცეულთა კლდეთაგან მშვიდობით ჳსნანი მრავალთანი; და ზარის განსაჭდელად მაღალსა და ტიალსა ადგილსა შთასაჭრელად განმზადებულთა კაცთა და ფერკჩაცთუმილთა აღმოყვანებით ჳსნანი; და მრავალთა მუშაკობით მოქმედთა ქვისმქნელთა და თანაშემწეთა მათთა ხანგძლად სასწაულოდ განმზადებულთა მეყსეულნი კურნებანი; და კაცის მჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოსათა წინაშე მისსა ლიტანიობითა“ (აბუსერისძე 1998: 67).

უფრო ადრე, გუზან აბულასანისძის განდგომის დროს, „მტერთა ზედა გაცემულნი ხიხანის“ გამოსხნაშიც უშუალოდ წმ. გიორგი მონაწილეობდა: „წმიდა იგი ახოანი გიორგი ღამით ვარსკულავის სახედ გამოუჩნდის და ხმაუყვის, ვითარცა ხორციელმან და ასწავის გზაი შესასულელი. ესრეთ დაიცვნა ამას საზარელსა კლდესა ჩაჭრისაგან და გვიბოძნა ხიხანი ხელთავე“ – წერს ტბელ აბუსერისძე. ეს სასწაული გვაგონებს დიდგორის ომისა და ბახტრიონის აჯანყების ცნობილ ეპიზოდებს, როცა ქართველთა ღაშქარს წმ. გიორგი შეეწეოდა მტერთან ბრძოლის დროს.

დიდგორის ომის დროს, როგორც მემატრიანე გადმოგვცემს: „წმინდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თვისითა მოსრვიდა ზედ ამოწევენულთა ურჯულთა მათ წარმართთა, რომელ თვთ იგი ურჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და

მოგვთხრობდეს სასწაულსა ამას მთავარმოწამის გიორგისსა“ (ქართლის ცხოვრება 1955: 341).

ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის (1724-1737) მონათხრობის მიხედვით კი, სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში „ქართველი ქრისტიანი ჯარის წინ პაერში იხილვებოდა თეთრ ბედაურზე ამხედრებული ღამაზი ჭაბუკი, რომელიც მუსრს ავლებდა მტერს“. ბახტრიონის აჯანყების დროს, 1660 წელს, გადმოცემით, ხილულად ქართველთა ჯარს წინ მიუძღოდა თეთრ ბედაურზე ამხედრებული მხედარი: „ცხენსა ზედა სპეტაკსა ელვის სახედ მიმომსროლი წინამძღოლად მათდა“ (ბუბულაშვილი 2009: 93).

ტბელ აბუსერისძის ჰაგიოგრაფიული მოთხრობა ეძღვნება, წმ. გიორგის ქართულ სასწაულთმოქმედ ტაძრებს, რომელთა შორის ცენტრალური ადგილი უკავია შუარტყლის წმ. გიორგის ეკლესიის სასწაულებრივ მშენებლობას. შუარტყლის ტაძარს მკვლევარები XII საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებენ, რადგან ვერც ბასილს და ვერც მის შვილ ივანეს (იოვანეს) ტბელ აბუსერისძე ცოცხლებს ვერ მოსწრებია. იგი მხოლოდ ივანეს შვილს – მღვდელმონაზონ იოსებს იცნობდა, რომელიც მოთხრობის დაწერის დროს უკვე გარდაცვლილი იყო. იოსები მოსწრებია ხვარაზმელთა საქართველოში შემოსევას (1225–1230 წ.) და მალევე გარდაცვლილა. ტბელ აბუსერისძისთვის მასვე უამბნია შუარტყლის წმ. გიორგის ტაძრის მშენებლობის ამბები: „მომითხრობდეს რომელსამე ნეტარი იოსებ, ძე ივანესი... და რომელსამე მახლობელი მისნი“ – წერს იგი.

ცხმორისის წმ. გიორგი შუარტყლის ტაძარზე ძველი ყოფილა. კუანილისა და პონილის სასწაულიც XII საუკუნემდე მომხდარა, როგორც ამას ტბელ აბუსერისძე გვაუწყებს: „რომელი იყო ესე სასწაული უწინარეს ამის საკვირველისა (ე. ი. შუარტყალის ტაძრის) აღშენებისა“. აქედან გამომდინარე, ცხმორისის ტაძარს XI საუკუნით ათარიღებენ.

**ცხმორისი** უძველესი ქართული სოფელია. მისი სახელწოდება უკავშირდება ფლორონიმ ცხემლის ღაზურ შესატყვისს „ცხემურ–ს“ და წარმოადგენს მისგან ნაწარმოებ ნაგენტივარ სახელს, რომელსაც დართული აქვს სახელობითი ბრუნვის ნიშანი: ცხმორ–ის–ი. ანალოგიური შინაარსის ტოპონიმია ცხემლ–ის–ი, თუმცა მას საფუძვლად უდევს ფლორონიმის ქართული სახელწოდება. ამავე ფლორონიმის სვანური შესატყვისისგან, ცხუმ–ისგან, წარმოსდგება ტოპონიმი სოხუმი (ღაზური ფუძეები აჭარის ტოპონიმიკაში ხშირად გვხვდება. მაგალითად, ცხმირისის მსგავსად, ღაზური ფუძის ნაგენტივარი ფორმა დასტურდება

ცხმორისის მეზობელი სოფლის ჭყანიშის დასახელებაში (ფუძე „ჭყონ“ მუხას აღნიშნავს), თანაც მასში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანიც ღაზურია: ჭყან-იშ).

შუა საუკუნეებში ცხმორისი განთქმული ყოფილა წმ. გიორგის სახელობის ეკლესიით, რომელსაც მრავალ სასწაულს უკავშირებდნენ. ერთ-ერთი ასეთი სასწაული ცნობილ მწერალ ტბელ აბუსერისძეს (1190–1250) აქვს აღწერილი ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“. ამ თხზულებაში პირველად გვხვდება სოფელ ცხმორისის სახელწოდება: „დაბასა ერთსა, რომელსა ეწოდების ცხმორისი“. ასევე რაჭაშიცაა სოფელი, რომელსაც ცხმორი ჰქვია.

ცხმორისის წმ. გიორგის ეკლესია იერარქიულად ექვემდებარებოდა ქუთაისის მიტროპოლიტს, როგორც ამას XVI საუკუნის მესხური დოკუმენტი „სამცხე-საათაბაგოს მღვდელთ-მთავარნი და მწყემსნი“ გვამცნობს: „აჭარა დანდალოს ქვემოთი ქუთათლის სამწყსო ყოფილა“.

ტბელ აბუსერისძის თხზულებიდან ვგებულობთ, რომ მწერალი თავად სტუმრობდა ცხმორისის წმ. გიორგის ეკლესიას და სასწაულიც აქვე ჩაუწერია. ჩანს ისიც, რომ ცხმორისის მკვიდრები ყოველთვის დიდ იმედს ამყარებდნენ თავიანთ მფარველ წმინდანზე და ამაყოფნენ წმ. გიორგის სასწაულთმოქმედი ტაძრით, რომლის წინაც ორი ცხმორისელი ხელოსნის, კუანილისა და პონილის, ტყვეობიდან თავდახსნის სახსოვრად ბორკილებს ინახავდნენ.

ცხმორისელ კუანილს ბორკილები მადლიერების ნიშნად შეუწირავს წმ. გიორგის ტაძრისთვის და ეს რელიქვია ტბელ აბუსერისძის დროსაც ეკლესიის წინ თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოფენილი: „აწცა ჰკიდვან ბორკილნი იგი წინაშე მისსა“ – გვაუწყებს მწერალი.

ვინ იქყვნენ კუანილი და პონილი?

მკვლევართა აზრით, ორივე მათგანის სახელი ნართაულია. ასეთი შერქმეული სახელი აქვს ტბელ აბუსერისძის მოთხრობის მთავარ პერსონაჟსაც: ბასილს „ბოლოკი“ ერქვა (შდრ.: ცნობილი ქართული ფილმის „ღიმილის ბიჭების“ მოქმედი გმირის ბაადურის ნართაული სახელი – „ბოლოკა“), ხანდახან კი მას პატარა ბავშვის მსგავსად ენამოხლეკით „ბაჩილოსაც“ ეძახდნენ, რადგან „ბასილიცა ნეტარი მცირედ ენაბრგუნვილი იყო“.

ტბელ აბუსერისძის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ნართაული სახელების ამგვარი სიმრავლე ნიშანდობლივ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რადგან ავტორი

ხალხური გადმოცემებით სარგებლობდა, ხალხურ-კარნავალურ სამყაროში კი ყველაფერი სასაცილოდ გაიაზრებოდა.

ი. სიხარულიძე მიიჩნევს, რომ „კუანილი“ გამკილავი სახელი უნდა იყოს, რაც არაა გამორიცხული, ხოლო პონილი უნდა მომდინარეობდეს აჭარაში გავრცელებული ვაზის ჯიშისაგან. ზ. კიკნაძის დაკვირვებით, ეს ორი ნართაული სახელი შეიძლება განვიხილოთ „ბაჩილოს“ ანალოგიურად, იუმორისტულ ასპექტში, როგორც „(გამო)ყვანილისა“ და „პო(ვ)ნილის“ ენამოხლექითი ვარიანტები. ამ მოსაზრებას სასწაულის შინაარსიც უჭერს მხარს, რადგან კუანილი მართლაც გამოსხნილია (ანუ ძველ ქართულად – „გამოყვანილი“).

წმ. გიორგის მიერ ტყვეთა გამოსხნის სასწაულები მთელ მსოფლიოში იყო ცნობილი. ამის გამო დიდ კაპადოკიელ წმინდანს „ტყვეთა მხსნელსაც“ უწოდებდნენ და ტროპარში ამგვარად მიმართავდნენ:

„ტყვეთა განმათავისუფლებელო  
და გლახაკთა ხელის აღმპყრობელო,  
სნეულთა მკურნალო  
და მეფეთა უძლეველო წინამბრძოლო,  
ღვაწლით შემოსილო, დიდო მოწამეო, გიორგი,  
ევედრე ქრისტესა ღმერთსა  
შეწყალებად სულთა ჩვენთათვის“.

ცხმორისის მკვიდრი ხელოსნები კუანილიც და პონილიც, როცა სიღარიბისგან თავდასაღწევად („ღონედ სიგლახაკისა თვისისა“) სპარსეთის საზღვართან ახლოს საშოვარზე („მოსარეწლად“) იყვნენ წასულნი და მაჰმადიანებმა („აგარიანთა“) დაატყვევეს, წმ. გიორგის შეევედრნენ განთავისუფლებას: კუანილი გულმოდგინედ მარხულობდა, პონილი „მცირედ ურწმუნო იქმნა“, თუმცა ისიც ევედრებოდა წმინდანს და როცა გიორგობის დღესასწაული დადგა, წმ. გიორგი გამოეცხადა მათ, ორივე აღიტაცა და კუანილი („რომელმან უმეტესი აჩვენა სარწმუნოება“) უმაღლე („მეყსა“) ცხმორისის ეკლესიის კართან დასვა, პონილი კი („ურწმუნო ქმნისათვის“) მხოლოდ საქართველოს საზღვართან მოიყვანა. ამ უკანასკნელმა დიდი გაჭირვებით, „ძლითღა სლვით“, მოაღწია მშობლიურ სოფლამდე.

კუანილის და პონილის ამბის პოპულარობის მიზეზი ნათელია. გარდა იმისა, რომ იგი ცხმორისის წმ. გიორგის სასწაულთმოქმედებას შეეხებოდა, მორალურ სწავლებასაც შეიცავდა. იგი ჯერ ცხმორისის ტაძრის

მომლოცველებს, ხოლო შემდეგ ტბელ აბუსერისძის მოთხრობის ყველა მკითხველს მარტივ ჭეშმარიტებას შთააგონებდა, რომ ღვთის რწმენა და ქრისტიანული მსახურება გულმოდგინებას საჭიროებდა.

ჩვენ არ ვიცით, რა პროფესიის ადამიანები იყვნენ კუანილი და პონილი, მაგრამ ცხადია, რომ ისინი ამ ხელობით გასამრჯელოს ღებულობდნენ, ოჯახს არჩენდნენ და სამუშაოდ საქართველოს შორეულ რეგიონებშიც დადიოდნენ. ხელოსანი იყო ტბელ აბუსერისძის მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ბოლოკ-ბასილიც და მასაც შუარტყალიდან შორს – ქვემო ქართლში („ქვეყანასა სომხითისასა, მახლობელად თფილისისასა“) უხდებოდა „მოსარეწლად“ სიარული. სწორედ სომხითში გამოეცხადა მას წმ. გიორგი და შუარტყალში ეკლესიის აგება დაავალა. ბასილი ქვითხურო იყო, შესაძლებელია, ქვითხუროები იყვნენ კუანილი და პონილიც. „ნაპირი წარმართთა“, სადაც ისინი დატყვევებამდე მუშაობდნენ, საქართველოს აღმოსავლეთ საზღვარს გულისხმობს. აქედან ისინი სპარსელებს გაუტაცებიათ და „შინაგან სპარსეთში“ წაუყვანიათ, შირვანში, განძაში ან აზერბაიჯანში, საიდანაც სასწაულებრივად დაუხსნიათ თავი.

საგულისხმოა, ცხმორისის მკვიდრთა კუანილთან შეხვედრის ეპიზოდი. გიორგობის დღესასწაულზე მთელი სოფელი წმ. გიორგის ტაძარში იმყოფებოდა, როცა მათ ტყვეობიდან გამოსხნილი კუანილი გამოეცხადა: „იხილეს რა მუნ შემოკრებულთა დღესასწაულობად, ადიდებდეს ყოველნივე დიდსა მას მოწამესა გიორგის“.

ღვთისა და მისი წმინდანების მადიდებელი ცხმორისის დაბაში ყოველთვის მრავლად ყოფილან, 1570–იანი წლების შემდეგაც, როცა აჭარის სხვა სოფლებთან ერთად ცხმორისიც ოსმალებმა დაიპყრეს და ისლამის გავრცელება დაიწყეს. ცხმორისის წმ. გიორგის ეკლესიამ XVIII საუკუნის 30–იან წლებამდე იარსება და ამ პერიოდში, უმრევლოდ და უფუნქციოდ დარჩენილი, ნანგრევებად იქცა: „ძველათ აქ დიდი ეკლესია ყოფილა. 1730–იან წლებში დაუქცევიათ“ – წერს ზ. ჭიჭინაძე. ასე ტრაგიკულად დასრულდა ერთი დიდი პერიოდი ამ პატარა ქართული სოფლის ისტორიაში (აბაშიძე 2012: 33).

ცხმორისში დღესაც არის ადგილი - „ნაოშვარი“ // ნასაყდრალი – რომლის ეტიმოლოგიას წმ. გიორგის სასწაულსა და ოსმალურ აგრესიას უკავშირებენ. გადმოცემის თანახმად „XVI ს. -ში ჩვენმა წინაპრებმა სძლიეს ოსმალებს. მათი შთამაგონებელი ძალა კი წმ. გიორგი ყოფილა. მომხდურებმა გაიგეს ქართველი



ვაუკაცების „საიდუმლოება“, რის გამოც მიწასთან გაასწორეს ეკლესია და საყდარი, ნანგრევები დელეში გადაყარეს. ამ ადგილს ახლა ნასაყდრალი ჰქვია. (გაზეთი „კოლმეურნე“ ქედა, დ. ანანიძე 24. 5. 1977 წ – იხილეთ დანართი №93). ცხადია, ოსმალებს სწორედ ის ცნობილი ეკლესია გაუსწორებიათ მიწასთან, რომელიც ტბელ აბუსერისძის „სასწაულნი წმინდისა მოწამისანში“ ვხდებით.

ცხმორისის წმ. გიორგის სასწაული დაცულია სხვა ხალხურ თქმულებაშიც, რომელიც „ნაომგარს // ნაომგალს“ შეეხება: „თურქობის უამს წინდახედულ ცხმორისელებს ამ ფერდობზე, მთის მეორე ფერდამდე, გვირაბი გაუთხრიათ ისე, რომ მეორე ბოლომდე არ გასულან. მტრის ერთ-ერთი შემოსევის დროს ქართველებს თავი გვირაბისთვის შეუფარებიათ. ოსმალებს მიდამო დაუთვალიერებიათ და სხვა გასასვლელი რომ ვერ უნახავთ, გვირაბის თავში დაბანაკებულან იმის იმედით, რომ ქართველები წყურვილსა და შიმშილს ვერ გაუძლებდნენ და გვირაბიდან გამოვიდოდნენ. ამასობაში ქართველებს გვირაბი ბოლომდე გაუთხრიათ, მთის მეორე ფერდობზე გასულან და მტერს ზურგიდან დასხმიან თავს. მხოლოდ ერთი ასკერი გადარჩენილა და სულთანთან ამბავი მიუტანია, ქართველებს ვიღაც „წმინდა გიორგი“ ეხმარებოდათ და ამიტომაც გეძლიესო. სულთანს ახალი ლაშქარი გამოუგზავნია ცხმორისისაკენ. ამ ლაშქარს გზად სამი ძმა შეუპყრია და მათთვის მეგზურობა დაუვალებია. ძმებს იმდენი მოუხერხებიათ, რომ მტერი შორ-შორი გზით უტარებია. ამასობაში ქართველებს შეუტყვიათ მტრის შემოსევის ამბავი, შეკრებილან და მტერს სათანადოდ დახვედრიან. მართალია, ოსმალებს სამივე ძმა დაუხოცავთ, მაგრამ ქართველებს არც მათგან დაუტოვებიათ ამბის წამლები. ბრძოლის ადგილისათვის ხალხს „ნაომგარი/ნაომგალი უწოდებია“ (ნოღაიდელი 2010: 242 - იხილეთ დანართი №94).

წმ. გიორგი დიდად პოპულარული ყოფილა აჭარაში, წმინდანის სახელობის ეკლესიები იყო – ხიხანში, ცხმორისში, ჭვანაში, ჯიხანჯურში, ხინოში, შუბანში, გვარაში, ხუცუბანში, დაგვაში, აჭყვაში, ხალაში, ხულოში. მათს ჩამონათვალს შეიცავს S-1702 ხელნაწერი (1744 წ.): „ლოცვაი ყოვლისა სენისა მკურნალი... წმიდაო გიორგი ჩხარისაო... ხონისაო... ილორისაო... სუჯუნისაო... ჭინათისაო... ამაღლებისაო... გორისაო... დვაბზუისაო... ჭვანისაო... ვაკისჯვრისაო... გოგორეთისაო... კონჭკათისაო... ჯიხანჯურისაო... შუშანეთისაო... გვარამეთისაო... ხუცუბნისაო... დაგვისაო... ჩაქვისაო... საკურთხეველისაო... ტყვეთა მსხნელო“ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების S კოლექცია, ტ. III, ე. მეტრეველის რედაქციით თბ., 1963, გვ. 165).

ასევე წმ. გიორგის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული აჭარაში დაცული ტოპონიმები: გორგაულის ხევი (ს. ბზუბზუ), გორგინაული (ს. ვაიო), გორგივლი (ს. ხარაულა, ქიძინიძეები), გორგილაქელი (ს. ტომაშეთი), გორგიმელეთი (ს. ტომაშეთი), გორგაულები (ს. ჩაისუბანი), სოფელი გორგაძეები (ქობულეთისა და ხულოს რაიონები) და სხვა.

„რელიგიურ-საკულტო წარმომავლობის ტოპონიმებიდან ყველაზე გავრცელებული წმინდა გიორგის სახელთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულებები ჩანს, რაც ხალხის სარწმუნოებრივ წარმოდგენებთან ერთად თვით წმინდა გიორგის პოპულარობას უნდა განეპირობებინა. როგორც საისტორიო და ჰაგიოგრაფიულ თხზულებებზე დაყრდნობით, სამეცნიერო ლიტერატურა გვამცნობს, წმინდა გიორგის კულტმა მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა ქართველთა რელიგიურ მრწამსში (ქურასბედიანი 2001: 74).

მეტად საინტერესოა რ. ერისთავის მონაცემები, რომლის მიხედვითაც ცაგერის რაიონის (ღეჩხუმი) სოფელ ალპანასა და აჭარაში იციან წმ. გიორგის დღესასწაული (23 აპრილი). ალპანაში სჭამენ ხორცსაც ამ დღესასწაულზე, აჭარაში კი შეექცევიან პურ-ღვინო-ლობიოს „მრავალუამიერით“, იციან წირვა, გალობა და ა. შ. (რ. ერისთავი, 1986: 23). ალპანას მეზობელი სოფელი აჭარა, რომელიც აჭარიდან წასულების მიერ უნდა იყოს დაარსებული (ბეჭირიშვილი, 1990: 74). თუ ეს ასეა, მაშინ იმდროინდელ ალპანელებს გიორგობის დღესასწაულის ვარიანტი აჭარიდან წაუღიათ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აჭარაში ამ დღეს ხორცს არ ჭამდნენ და პურ-ღვინოს შეექცეოდნენ (თ. ფუტყარაძე 2007: 88-89).

წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ყოფილა **თეთროსანი** (იგი სოფელ გვარა-ხუცუბნის განაპირას მდებარეობს). ეს ტოპონიმი გხვდება სვანეთშიც, კერძოდ, სოფ. შკედში ნასაყდრალს თეთროსანი ეწოდება (გიორგაძე 1989: VII). გამოთქმულია მოსაზრება, რომ **თეთროსანი** წარმართული ხანის ტოპონიმია, რომელიც თეთრი გიორგის (იგივე წმინდა გიორგის) კულტანაა დაკავშირებული (იოსელიანი 1973: 47-54) მკვლევარი რ. სურმანიძე ტოპონიმ „თეთროსნანს“ აკავშირებს „ამირანიანთან“: „ბადრო მათხოვე თეთრონი“. თეთრონი თეთრი რაშია და ეს ტოპონიმი წმინდა გიორგის ცხენზე მიგვანიშნებს. სახელწოდება „თეთროსანი“ წარმართული დროიდან მოდის, ბერძნული

„ლეკოთეა“ სწორედ თეთროსნის თარგმანი უნდა იყოს. ეჭვი არაა, რომ ეს სახელი ამავე დროს თეთრ გიორგის უკავშირდება და ამიტომაც დააქვეს აქ აშენებულ ტაძარს წმინდა გიორგის სახელი (რ. სურმანიძე 2007: 14).

ტოპონიმ თეთროსნის ძირეული ნაწილია „თეთრი“, ხოლო – ოსანი – სუფიქსია, რომელიც დაერთვის არსებით სახელს, აწარმოებს ზედსართავს და აღნიშნავს რაიმეს მქონებლობას: მანდილ-ოსანი-ი, გვირგვინ-ოსანი-ი, ორდენ-ოსანი-ი... (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 353).

თეთროსნის მშენებლობას წმინდა გიორგის სახელდებას უკავშირებდა ამავე სოფელში ჩაწერილი თქმულება: „ამ სოფელში ეკლესია რომ შენდებოდა, აშენების დროს აქ მოსულა თეთრ ცხენზე ამხედრებული კაცი და მას უუგია ეს ეკლესია, ამიტომ ამ ეკლესიისთვის თეთროსანი დუურქმევით (ბაუჟაძე დარიკო, 43 წ. მცხ. სოფ დაგვა (ხუცუბანში) ჩავიწერე 2007 წ - იხილეთ დანართი №95).

ქობულეთის მოსახლეობა თეთროსანს წმინდა ადგილად მიიჩნევდა და მის წაბილწვას დიდ ცოდვად თვლიდა. ტაძრის ნანგრევებთან შესაწირავითაც მიდიოდნენ და საკვებთან ერთად ფულიც მიჰქონდათ. ამაზე მეტყველებს ბოლო დროს ეკლესიის ნანგრევებთან აღმოჩენილი სხვადასხვა დროის მონეტები. სანთელს ანთებდნენ და მძიმე ავადმყოფებიც მოჰყავდათ, ლოცულობდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ მის განკურნებას.

საინტერესოა ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერი, რომელიც იგი სოფელ ალაშბარს ეძღვნება. 1890 წელს ავტორმა იმოგზაურმა კინტრიშის ხეობაში, ხოლო თავისი შათაბეჭდილებები 1891 წელს წიგნად გამოსცა, რომელშიც წერს, რომ ალაშბარში ერთ ალაგას ეკლესიის ქვები ჰყრია. ამ ეკლესიას წმინდა გიორგი **შუშანეთისას** უწოდებენ. მას ხალხი დღესაც ჰსცემს პატივს. მკვლევარს ერთი ქვის გვერდით ორი კოშტი წმინდა სანთლის ნაჭერიც უპოვნია: „ერთზე 3 კაპ. იყო მიკრული, ხოლო მეორეზე 2 კაპ. ერთი კვირის წინეთ შეეწირათ ეს ფული ერთი ოჯახიდან, რადგანაც მათ ერთი ბავშვი გახდომოდათ ავად“. აქვე სწირავენ ხოლმე თაფლს, საჭმელს და მამლებს, რომლებსაც ნაშთების გვერდით ტოვებენ და მას არც ერთი ქართველი მაჰმადიანი ხელს არ ახლებს (ჭიჭინაძე 1891: 18). ეს ჩანაწერი ჩვენთვის საინტერესოა ქობულეთის სოფლებში ბოლო დრომდე ქრისტიანული წეს-ჩვეულებების შენახვის შესწავლის თვალსაზრისით, აგრეთვე იმითაც, რომ საშუალება გვეძლევა დავადგინოთ შუშანეთის წმინდა გიორგის ეკლესიის ადგილსამყოფელი, რომ მასში მაჭახლის

ხეობის შუშანეთი კი არ იგულისხმება, არამედ ალამბრის შუშანეთი. 1944 წლის ექსპედიციის მონაწილენი გვარაში შესწრებიან „თეთროსნობის“ დღესასწაულს, რომელიც შემდეგ ავთანდილ იოსელიანის ნაშრომშიც აისახა. მკვლევარი ამ დღესასწაულსა და კახეთის თეთრგიორგობას შორის პარალელს ავლებს და მრავალ მსგავსებას ნახულობს (იოსელიანი 1973: 151).

### 3. 3. ქრისტიანობასთან დაკავშირებული მაკრო–ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები

აჭარის ქრისტიანულ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია **სხალთის ეკლესიას**: „სხალთის ეკლესია ერთადერთი ძეგლია აჭარისწყლის ხეობაში, რომელმაც მთლიანი სახით მოაღწია ჩვენამდე საქართველოს ტერიტორიაზე დაცულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შორის საპატიო ადგილი უკავია. სხალთის ტაძარი, სხვა თანადროულ ძეგლებთან ერთად აფართოებს ჩვენს წარმოდგენას აჭარისა და, საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიაზე“ (მამულაძე 1993: 74-75).

სხალთის ხეობა შუა საუკუნეებში საკმაოდ დაწინაურებული რეგიონი იყო. აქ გადიოდა აჭარიდან არტაანისკენ მიმავალი უმოკლესი გზა. კუთხის კულტურული აღმავლობა საქართველოს პოლიტიკურ–ეკონომიკური ძლიერებისა და აჭარაში აბუსერისძეთა მმართველობის პერიოდს უკავშირდება. აბუსერისძეები განსაკუთრებული სიქველთა და ღვთისმსახურებით გამოირჩეოდნენ. ხიხანის წმ. გიორგის ეკლესიის გარდა, აჭარაში მათ მიერ არის აგებული ვერნებისა და თხილვანის ეკლესიები. სხალთის ტაძრის აგება და ფრესკებით შემკობაც აბუსერისძეთა სახელს უნდა უკავშირდებოდეს. ძეგლს 1939 წელს ჩაუტარდა გაზომვა-გამოკვლევა, 1944 წელს კი დამატებითი მასალების შეგროვების და ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სხალთის ტაძარი XIII საუკუნის შუა წლებს განეკუთვნება. სამხრეთის კარიბჭე ცოტა მოგვიანებით არის მიშენებული. 1957 და 1989 წლებში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად (რესტავრატორები ლ. ხიმშიაშვილი, ლ. ოთარაშვილი) ტაძარი კვლავ განახლდა, 1990 წლიდან კი მოქმედ ეკლესიათა რიგში ჩადგა. ახლა სხალთის ეპარქიის საკათედრო ტაძარია.

ხალხში შემორჩენილი ზეპირი თქმულებები სხალთის ტაძრის აგებას თამარ მეფის სახელს უკავშირებს და არც მის ამშენებელ ოსტატს ივიწყებს.

სხალთასთან დაკავშირებით ზეპირი გადმოცემები ყველაზე ადრე ზ. ჭიჭინაძემ ჩაიწერა: „ჩემი ქრისტიანობის დროს სცხოვრობდა ერთი მეფე, რომელსაც სახელად თამარ დედოფალი ერქვა. ამ მეფეს ცხოვრება დიდად უყვარდა. ერთხელ ამ ხეობისაკენ მოუნდა გამოვლა და დარჩენა იმ ალაგას, სადაც დღეს სხალთის ეკლესია სდგას. აქ ყოფილა ერთი დიდი მსხლის ხე, რომელიც თავისი ტოტებით მთელ მის ტერიტორიას ჩრდილავდა და ჰფარავდაო. თამარ დედოფალმა ის ხე სიზმარში ნახა და მეორე დღეს ბრძანა, აქ ეკლესია უნდა გაეაკეთო. რამდენიმე ხნის შემდეგ ეკლესიისთვის შენობის მზადება დაიწყო. მალე იმ ცნობილ ხესაც დაუწყო მოჭრა, მაგრამ რამდენსაც მოჭრიდნენ იმ ხეს, იმდენჯერ იმას მეორე დღეს ისევ ისე შეერთებულს, მთელს ხედავდნენ. ხალხმა ვერაფერი გააწყო და შეწუხდა ძლიერ. ბოლოს ერთმა დაარბია ასე, დღეს ხე მოსჭრათ, მონაჭერ ძირს ცულები დაურჭეთ და ისე დატოვეთ ამდამ და ხვალ, ჰოდა აღარ შეერთდებაო. ხე მოსჭრეს, ცულები ისე დაურჭეს, იმ ღამეს ისევ დატოვეს. მეორე დღეს მივიდნენ და ნახეს რომ ხე მოჭრილია, აღარ შეერთებია, ცულებიც ისევ წინანდებურად დატოვებულნი იყვნენო. მალე დაიწყო ეკლესიის კეთება. ეკლესიის ერთი კარები სწორედ იქ მოაქციეს, სადაც ის დიდი ხე იდგა. კარებში ორ ალაგას მისი ბოძები გაუშვეს, რომელზედაც უნდა შეებათ ეკლესიის კარები. და აი სწორედ ის ხეები, რომლებიც დღეს კარებშია ჩატანებული, ეს სწორედ იმ ხისაგან არის დარჩენილი. სხალთა კიდევ იმისთვის დარქმევია ამ ეკლესიას. იმის შენება დაუწყვიათ, ეს ამბავი მთელ სამ მხარის ხალხს გაუგია და ვინც ამ ადგილიდან შორს იყვნენ და ვერ ხედავდნენ ეკლესიის შენობას, ისინი ისეთ პირს კითხავდნენ ხოლმე, რომელთაც ეკლესიის შენობა ენახათ: – დიდ ეკლესიას სადა აკეთებენო? მნახველნი მიუგებდნენ: „მსხალთან“ დიდი მსხლის ხე რომ დგასო. ეს ხე ყველას ცოდნია მაშინ და შემდეგ დროებში სიტყვა მსხალთან სხალთად გადაკეთდაო (ჭიჭინაძე 1895: 172)–იხილეთ დანართი №96).

ანალოგიური შინაარსის ლეგენდა ჩაუწერია თედო სახოკიას, თუმცა, ზაქარია ჭიჭინაძისგან განსხვავებით, ეს თქმულება ეხება მშენებელი ოსტატის ამბავსაც: „მის მშენებლად გამორჩეული ოსტატი ყოფილა მოწვეული. ოსტატს საჭირო ქვის მასალას შეგირდი უმზადებდა ერთი კლდის ძირას, სხალთიდან ნახევარ დღის სავალზე. გამოჩენილ ოსტატს შეგირდიც თავის შესაფერი ჰყოლია. უკანასკნელს წინდაწინ გამოუანგარიშნია, რამდენი ქვაც დასჭირდებოდა ტაძრის დამთავრებას და სწორედ იმდენი მოუმზადებია, არც

მეტი და არც ნაკლები. ოსტატს შენება რომ დაუმთავრებია, გამოსაცდელად შეგირდისათვის შეუთვლია, ქვა დამაკლდა და მომაწოდო. შეგირდს თამამად შეუთვლია: რაც გამოგიგზავნე, ის ეყოფოდა, მეტი საჭირო არ არისო. ოსტატს სწყენია თავისი შეგირდის მიხვედრილობა: ახლავე რომ ასეთი ნიჭი გამოიჩინა და მაჯობა, მერე რაღა იქნებაო?... ეკლესიის სახურავიდან გადმოშვებული და თავი გაუფუჭებია” (სახოკია 1985: 301-302)—იხილეთ დანართი №100).

სხალთის მშენებელს შეესება ზ. თანდილაგას მიერ ჩაწერილი გადმოცემაც: „სხალთაში რომ ეკლესია არი, იმის კეთება რომ დუუწყვიან, აქედან იქაურ უსტიზა ხელი ხელში მუუცემიან ქვა და ისე გაკეთებულა ეკლესია. ხირხათის ციხის უსტა იმდენზა უსტა ყოფილა, რომ აქაურ უსტებმა სასინჯველად დოუძახეს, რომ ქვა გამოგზავნეო, რომ გაკეთდა. ამან დაუძახა, რომ საჭირო აღარ არი, მოთავდაო. გოუკვირდებიან, რამდონი უსტა არის ის უსტა, რა მიხტა, რომ ჩვენ აქ ქილისე გავაკეთოთო. ისე იტყვიან, რომ ეკლესიის უსტას უთქვამს, რომ იგი ჩემზე დიდი უსტა ყოფილაო, გადმოვარდნილა ეკლესიიდან და მომკვდარა“ (ბსკიფა №8, 71-72, მთქ. შაინიძე ხუსეინ შახისძე, 52 წ. თანდილაგა, 1958 - იხილეთ დანართი №97).

ზ. თანდილაგას მიერ ჩაწერილ მასალაში ასევე სრულყოფილია სხალთის ეკლესიის მშენებლობის ლეგენდაც: „თურმე პირველად როცა დეიწყეს ეკლესიის აგება, ამ დროს ეკლესიის საფუძველი გამოზომილი იქნა ყინჩაურის შუა ცენტრში. ამ ცენტრთან ყოფილა ერთი დიდი სხალი. ძალიან სხვილი ყოფილა. მის მოჭრა მოუწადინებინ, დოუწყვიან ჭრა. სისხვილის გამო რამოდენიმე კაცს უჭრია და ვერ მუუჭრიან. როდესაც ჭრიდენ, იმ დღეს დარჩებოდა მოუჭრელი. მეორე დღეს რომ მოვიდოდენ, მიდუღებული ყოფილა. ამ დროს ერთ გამოცდილ კაცს შეკითხებინ, რომ ჩვენ ვერ ვამთავრებთ მის მოჭრას, როცა მივალთ, ისევე მიდუღებულია და როგორ მევიქცეთო. ამ დროს ეტყვის ეს გამოცდილი კაცი: „ცულები შით შეტიეთ, ნუ გამოიღებთ და არ შედუღებებო“. მართლაც დატოვეს ცუდი, წევდენ. როცა დილას მოვიდენ, რომ ნამდვილად არ მიდუღებულა. ასე მოიჭრა ის სხალი. დაიწყეს აქ საფუძველი. „სად კეთდება ეკლესია?“ ერთმანეთ ეკითხებოდენ. უპასუხებდენ „სხალთან“. ამით დარჩენილია სახელწოდება „სხალთა“. ეს ეკლესიის მასალა გადმოტანილი ყოფილა თენნარიდან, თენნარის სერიდან. აქ ყოფილა ქვის მარაგი და მახარაი გადმოუზიდვან. მისი საფუძველი იმ ეკლესიის კიდევ იქვენ არის. იმ ქვის ნაშთი კიდევ იქვენ არი. ქვის მარაგთან იქ გამოღებულია რკინის ზენჯირი. იმ ადგილს კი ეწოდება „ზენჯირ კილდე“.

ამ მუშაობის პერიოდში გაყოფილი იყო უსტიები ორ ნაწილად—მშენებელი და მასალის დამამზადებელი. როცა დამთავრების პერიოდში მიდგა საქმე, ამ დროს მშენებელმა შეუთვალა, რომ მე მჭირდება „ამდენეთი მასალა“. იმან მოსწერა ხამათ, რომ „შენ მაგდონი კია არ გჭირდება, ნამდვილად გჭირდება ამდონეთი“. დაგეგმის გამოანგარიშებით სწორად უთხრა ქვის დამამზადებელმა. ამ დროს როცა ეს წერილი უსტას მუუტანენ, ამ უსტას უფიქრია ამ მშენებელს ჩემზე მეტი ცოდნია გამოანგარიშებით. დუფიქრია და ჯავრი მუუტანია და, თითქოს გადმოვარდნილა შენობიდან. მისი საფლავი ეკლესიის გვერდზე იყო.

ამ ეკლესიას უმოქმედია რამოდენიმე ხანს და, როცა სამუსლიმანო შემოსულა, მაშინ კილო დარჩენილა ეს ეკლესია და ერთი პაპი ყოფილა. იგი დადიოდა. ამ პაპიდან დარჩენილია გვარი პაპოშვილები. იგი ახლა სოფლის სახელია. იგი, პაპი, ეკლესიაში დადიოდა, ლოცვილობდა. სამუსლიმანოს შემდეგ ეკლესიის გვერდით ჯამე გუუკეთებინ. ის ჯამე დამწვარა და ეკლესიაში ულოცავს ხალხს. ქართველები წესის მიხედვით ლოცულობდნენ. მუსლიმანები ჰიბლისკენ ლოცვილობდნენ (თანდილაგა, ბსკიფა №23, გვ. 46. მოქ. ჯუმუშაზე ნიაზ რეზაყის ძე, 30 წ. შუბანი, ჩამწ. თ. ზოსიძე).

ზურაბ თანდილაგას ჩანაწერებში სხალთის ტაძრის შემდგომ ბედზეცაა საუბარი: „ამ ეკლესიას უმოქმედია რამოდენიმე ხანს და როცა სამუსლიმანო შემოსულა, მაშინ კილო დარჩენილა ეს ეკლესია და ერთი პაპი ყოფილა. იგი დადიოდა. ამ გვარიდან დარჩენილა „პაპოშვილები“. იგი ახლა სოფელის სახელია. იგი, პაპი, ეკლესიაში დადიოდა, ლოცულობდა“ (თანდილაგა, ინსტ. ფ. 17. გვ. 71-72).

ერთი თქმულების მიხედვით „სოფელ პაპოშვილებში ცხოვრობდა ღრმად მოხუცებული ღვთისმსახური – პაპი, რომელიც საეკლესიო პირი ყოფილა. ეს პაპი „მომწვარი“//„კორექტი“-დან (გორა, რომელიც სხალთისა და პაპოშვილების მოსახლვრე) ყოველდღე სხალთაში გადადიოდა და წირვას ესწრებოდაო... ამ სოფელსაც მის საპატივცემულოდ ეს სახელი დარქმევიაო“ (ლ. ფუტკარაძე, დაბადებული სოფელ ცეცხლაურში და მცხოვრები დაბა ხელვაჩაურში, ჩავიწერე 2004 წელს - იხილეთ დანართი №98).

სხალთის ტაძრის მშენებლობაზე არსებულ გადმოცემას ამჟამადაც თითქმის უცვლელად ინახავს ხალხის მეხსიერება: „საქართველოში მტრის შემოსევების დროს თამარ მეფე თავს აჭარაში აფარებდა. ერთხელ თამარ მეფეს აქ დასვენება გადაუწყვეტი, მეორე დღეს თამარ მეფეს და მის მხლებლებს როცა

ადგილი დაუთვალე იერებიათ, გადაუწყვეტიათ. ამ ადგილას ეკლესია აშენებიათ. თამარისთვის უკითხავთ, თუ მისი უდიდებულესობა სად ისურვებდა ეკლესიის აშენებას, მას უთქვამს, აი, იმ სხალთანო. ეკლესიის ადგილას მდგარა დიდი მსხალი, რომელიც ძალიან ფართო და მსხვილი ყოფილა. ეკლესიის აშენებამდე ამ მსხლის მოსაჭრელად ოთხი-ხუთი კაცი მისულა და დაუწყიათ მსხლის მოჭრა, სადამოს კი დაუნებებიათ და სახლებში წასულან. მეორე დღეს მოსულ მუშებს-ხე სრულიად მთელი დახვედრიათ, ხეს ცულის დანარტყამიც კი არ ემჩნეოდა. ასე გავიდა ოთხი დღე. ამ ამბით სოფლის ყველა მცხოვრებნი დაინტერესებულან. ხის მჭრელებს ღამით მოუგროვებით შეშა, მთელი ღამე ცეცხლი ჰქონიათ, არ დაუძინიათ და ეს ხე ღამით მოუჭრიათ. ამ ხის ადგილას კი აუშენებიათ ეკლესია და მისი სახელწოდებაც აქედან წარმოდგება – „სხალთა“. როცა ეკლესიას აშენებდნენ, ხალხი კითხულობდა, ეკლესია სად შენდებო? ისინი კი პასუხობდნენ – სხალთანო და სწორედ მის სახელს აქედან ჩაეყარა საფუძველი. ეკლესიიდან ათი კილომეტრის დაშორებით ყოფილა კლდე, საიდანაც დამუშავებულ ქვებს ეზიდებოდნენ. კლდიდან ეკლესიამდე მახარა-ჯაჭვი ჰქონიათ გაკეთებული და ამით გადაქონდათ ეკლესიისთვის საჭირო მასალები. მშენებელს თავიდანვე შეუმოწმებია და განუსაზღვრავს ქვის რაოდენობა. როცა მშენებლობა დამთავრებულა, აღმოჩნდა, რომ ეკლესიის მშენებლობას მის ნავარაუდზე ნაკლები ქვა დასჭირვებია. მშენებელს ეს ვერ აუტანია. ეკლესიიდან ჩამოვარდნილა და მომკვდარა“ (მთქმელი მიხეილ შაინიძე, დაბადებული და მცხოვრები ხულოს რაიონის სოფელ სხალთაში. 65 წლის. ჩაიწერა ხათუნა შაინიძე, მცხოვრები დაბა ხელვაჩაურში 2007 წელს. პირადი არქივი - იხილეთ დანართი №99).

სხალთის გადაღმა, მარეთის ხეობაში, კერძოდ, შუაგორაში, სხალთის ეკლესიისთვის ქვებს თლიდნენ. ოლადაურელ პედაგოგ – ვახტანგ მაკარაძეს ასეთი გადმოცემა ჩაუწერია: „ოსტატი შუა გორას ქვას თლიდა, მშენებლობის დამთავრებისას ქვაზე მიკრული წერილი გაუგზავნია – ეს ბოლო ქვააო. მშენებელს შემოუთვლია, ერთი ქვა აკლია. ქვის მთელს უპასუხია: ღინჯვეთის მთის ვაკეზე მონახეთ. ქვის მზიდავებს იქ დარჩენოდათ და უნახავთ კიდევ“.

შუაგორა სხალთიდან ნახევარი დღის სავალზეა, პირდაპირი ხაზით კი მანძილი 5-6 კილომეტრი იქნება. ასე, რომ შუაგორიდან ღინჯვეთამდე, იქედან



კი სხალთამდე საბაგირო გზების გაბმა არ გაუჭირდებოდათ. ქანებიც დიდ და საშუალო ღოდებადაა დანაპრალებული და გამოსათლელადაც მოსახერხებელია.

სხალთის ტაძრის შესახებ არსებულ გადმოცემას, ლიტერატურასა და ფოლკლორში მრავალი პარალელი ეძებნება (იხილეთ დანართი №101).

პირველ რიგში, აღნიშნავთ მსგავსებას სვეტიცხოვლის აღმართვის სასწაულთან. მირიან მეფე „ქუმო ეკლესიას“ მაცხოვრის კვართის დაფლვის ადგილზე აშენებინებს, სადაც ლიბანის ნაძვი იყო აღმართული: „ხოლო დედანი იგი იყვნეს-ვე კიდე. და აჰა ვიხილუ სუეტი იგი ცეცხლის-სახედ ჩამოვიდოდა და მოეახლა ხარისხსა მას თუსსა. და ვითარ დაემართა, და დადგა ზედა ხარისხსა მას ქუეყანით აღშორებულად ვითარ ათორმეტ წყრთა და ნელიად ჩამოიცივალებდა თუსსა-ვე მას ზედა ნაკუეთსა, რამეთუ ხარისხად იყო ძირი იგი მისი, რომლისაგან მოკუეთილ იყო სუეტი იგი ცხოველი“.

სხალთის ტაძრის ადგილზე მდგარი მსხლის ხის მსგავსად, ფშაური თქმულების მიხედვით, უჭირთ ხომარის გორის მუხის მოჭრა, „რომელიც ცას სწვდებოდა თურმე. ამ მუხის ჩრდილი ხომრამდე უწევდა. მუხის წვერზე ოქროს შიბი ეკიდა და ზედ ანგელოზები ჩამოდიოდნენ ციდან და მუხის ტოტებზე სხდებოდნენ“. სწორედ „ლაშარის მუხის მოჭრის შემდეგ მისი ნაწილები სადაც ეცემა ღვთის სალოცავ ადგილად „ნიშებად“ რჩება: „ლაშარის მუხამ, სადაც კი დაჰკრა წვერები წაქცევისას, ყველგან ნიშები დაარსდა“ (მითოლოგიური ენციკლოპედია ყმაწვილთათვის 2004: 53-55).

სამეგრელოში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, მარტვილში წმ. ანდრია მოციქულმა შემუსრა მუხასთან აღმართული კერპი კაპუნია და მის ნაცვლად ჯვარი აღმართა, ხოლო მუხის ფიცრებისგან ეკლესია ააშენა. ამ გადმოცემის ადრეულ ვარიანტში შეინიშნება ქართული ლიტერატურული ტრადიციის კვალი: „ტრაპეზი მარტვილის ეკლესიისა დადგმულია იმ მუხის ძირზე, რომელიც მოჰკვეთა ანდრია მოციქულმა, ოდეს მეგრელნი მოაქცია“. „მუხის ძირზე“ ტრაპეზის დადგმა, სხალთის ტაძრის თქმულების მსგავსად, გვაგონებს სვეტი-ცხოვლის აღმართვას „ხარისხსავე თუსსა ზედა“ (თაყაიშვილი 1914: 39).

ოთხთაშიც (თურქეთის ტერიტორია), წვიმის დროს, მწყემსს ცხვრები ეკლესიაში შეუფარებია, მთიდან მოწყვეტილ მეწყერს კი ფარა მთლიანად გაუჟღეტია სხვათაშორის, ნამეწყერალის კვალი ეკლესიაში ახლაც ჩანს” (მთქმელი ო. ფუტკარაძე, 61 წ. მცხ. ბათუმში, ჩაუწერია 2012 წ. თურქეთში, ხელნაწერთა უფლებით).

ამ ყველაფერთან ერთად მნიშვნელოვანია, სხალთის მიმდებარე მთის სახელწოდებაც, რომელიც შესაძლებელია, სხალთის ეკლესიასთანაც იყოს კავშირში. ეს არის ადგილი, რომელსაც „ამაღლება“ ეწოდება.

საერთოდ, აჭარა გამოირჩევა ქრისტიანული ტოპონიმების სიუხვით. მაგალითად: წმინდისერი, ნაწირვალი (ნაჭარვალი), ნატაძრალი, თარანგელო, საჯვარელო, ჯვარი, ჯვართანი, ელიაწმინდა, მარიაძმინდა, მთავარანგელო, ქაშვეთი, ქილისა საყდრიკარი, კუნტიჯვარი, რკინიჯვარი და ა. შ. ქრისტიანობასთან უშუალოდ დაკავშირებული შემდეგი ტოპონიმები: სოფლის სახელები ხულოში – **დიაკონიძეები**, **დიოენისი**, **დეკანაშვილები** (გვარები: დეკანოსიძე, დეკანაძე, დეკანაშვილი); ქობულეთში – ზედა და ქვედა **კვირიკე**; ქობულეთსა და ხელვაჩაურში – **სამება**. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქრისტიანულ სამლოცველოსთან დაკავშირებული ტოპონიმები. **ეკლესია** ჰქვია ადგილებს სხალთაში, სამებაში, ახალშენში; **ეკლესიაგვერდი** – სათესი კირნათში; **ნაეკლესიარი** – სათესი ზუნდაგაში, კოლოტაურში, ვანაძეებში (ღორჯომი), აჭყვაში; **ნაეკლესიევი** – ბუჩქნარი ღორჯომის უბან გორგაძეებში, ტყე ბობოყვათში; **ნამონასტრევი** – ტყე კვაშტაში, სოფელი ქედაში (მერისის საკრებულო) სათესები განახლებასა და ელელიძეებში (ხულო); **ხატიტყე** – ადგილი კაპნისთავში; **ხატიმამული** – უბანი ზედა აგარაში (ქედა), ტყე და სათესი დოლოგანში, ჩაის ნაკვეთი მეძიბნაში; **ხრისტოქოსი** – ტყე ფუმრუკაულში; **ბეთლემი** - ქედი ზედა აგარაში, მთა ზესოფელში; **საყდარი** - ბაღი კაპნისთავში, ბუჩქნარი მალლაკონში, სათესი ხერთვისში; **საყდრიყელი** – უბანი კვაშტაში, სათესი ტუნაძეებში; **საყდარქვეში** - სათესი ინაშარიძეებში; **ნასაყდრალი** - ადგილი კალოთაში, დღვანში, ბუჩქნარი ტაკიძეებში; საძოვარი კობალთაში, სათესი თხილვანაში; **ნასაყდრევი** - ადგილები მახუნცეთში, ძმაგულაში, გეგელიძეებში, ძენწმანში, საღორეთში, გუნდაურში; **ნაქილისგარი** (ნაწარმოებია თურქული სიტყვისგან „ქილისე“ - ეკლესია) – კიბეში, ჟანივრში, ომბოლოში, მახვილაურში, ზანაქიძეებში; ქილისეკარი – ადგილები ჭარნალში, სარფში; ქილისესერი – სათიბი პანტნარში; **საყდარი** - სათიბი კორტოხში, ტყე სიმონეთში, ბუჩქნარი მურვანეთში, **ხუცუბანი** - სოფელი ქობულეთში; **ხუციშვილები** - უბანი დიდაჭარაში; ხურციანები - სათესი ზუნდაგაში; **ხუცური** - სათესი მახალაკიძეებში, საძოვარი ფურტიოსა და დიდაჭარის უბნებში; **ხუციქედი** - უბანი ყინჩაურში; **ხუციერი** - უბანი ლომანაურში; **ხუცივაკე** - სათესი დავლაძეებში; **ხურცაული** - სათესი ღურტაში; **ამაღლება** - სათესი

ძმაგულაში; **გორაწმინდა** - სათესი ქედლებში; რამდენიმე გეოგრაფიული სახელის ამოსავალია მთავრანგელოზი: **მთავრანგელოზი** - სათესი და საძოვარი ჭვანაში, ტაკიძეებში, ტყე ნენიაში, სათიბი და საძოვარი წაბლანაში (ხულო), სათესი კვატიაში; საყდრიკარი—ადგილი ოლადაურში; **თავრანგელოზი** (სოფ. ხეთვისი), **თავრანგელო** - სოფ. მადლაკონი, **მთავრანგელო** - სოფ. კირნათი - ყველა ხელვაჩაურის რაიონი; **თარანგელო** (სოფ. წაბლანა, ხულოს რ. ); **მიქელწმინდა** - ნაკადული და სათესი მერისში; **სამიქელური** - უბანი სხეფში; **მიქელაური** - სათესი ბესელაშვილებში (მიქელწმინდა, ნიქალაური, სამიქელაური უკავშირდება მთავრანგელოზ მიქაელის სახელს), **ელიაწმინდა** - სათესი დიდაჭარაში, ოქტომბერსა და შავაძეებში; **ელიაური** - სათესი პაქსაძეებში; **იმარწმინდა** - სათესი დუაძეებში; **ოქროპილაური** - სოფელი შუახევიში; **გორგიული** - უბანი შუახევის რაიონში, ვენახი და სათიბი ქიზინიძეებში, უბანი ხარაულაში (ქედის რ-ნი); **გორგილა ქედი** - ვანში (შუახევის რ-ნი); **გორგიმელეთი** - სათესი ტომაშეთში (შუახევის რ-ნი). აჭარაში მრავლად გვხვდება აგრეთვე ჯვართან დაკავშირებული ტოპონიმები, სახელდობრ: **ჯვარი** - უბანი ბარათაულში, სათესი განახლებასა და დეკანაშვილებში, ოქრუაშვილებსა და ძირკვაძეებში; **საჯვართესი** - ჭერში; **ჯვართანი** - ბუჩქნარი საციხურში; **ქვაბიჯვარი** - მთა საციხურში; **კოტაჯვარი** - ბუჩქნარი ჩაოში; **ჯვარედინი** - სათესი უჩხოში; **კობიჯვარი** - საძოვარი, რომლის შესახებ ცნობას გვაწვდის ლისოვსკი ღორჯომის აღწერისას; **წმინდისერი** - მთა მარეთის ხეობაში (ი. ბეჭერიშვილი, 1990: 66-69; თ. ფუტყარაძე 2007: 88-89). **ჯვარიტოჭი** - შუბანში; რკინისჯვარი—სანალიის მთაზე (შუახევის რაიონი); მრავალ ასეთ ტოპონიმებთან საინტერესო თქმულება-გადმოცემებია დაკავშირებული.

**წმინდისერი** თურქეთ-საქართველოს საზღვრის ნეიტრალურ ზონაში მდებარეობს, აქედან, არა მარტო მარეთის ხეობის მიდამოები (დღვანი, შუბანი) არამედ გოგაძეები, ტბეთი, უჩამბა, ცინარეთი, შუახევის ყალბოინის ციხე და მისი მიმდებარე ტერიტორიებიც კი მოსჩანს. გასული საუკუნის 40-იან წლებში. აქ სამეცნიერო ექსპედიციამ დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა. ექსპედიციის ხელმძღვანელის ანგარიშში ნათქვამია: „მწვერვალზე არის ვაკე ადგილი, სადაც ერთმანეთთან 50 მ. დაშორებით არის ნანგრევი, დიდი და პატარა, გათლილი და გაუთლელი ქვის გროვა; არც პირველსა და არც მეორე ნანგრევში კირის ნაშთები არ აღმოჩნდა. ამჟამად ეს ადგილი დაფარულია ნაძვისა და ფიჭვის ხეებით, შკერის ხშირი ბუჩქებით, მაგრამ ერთ ღროს აქ ვაკე უტყეო ადგილი

იქნებოდა ორი რელიგიური ხასიათის შენობით; თუ შენობა აგებული იყო კირის გარეშე და იმ დროს კირი არ იცოდნენ, როგორც საშენი მასალა ეს ნაგებობანი უძველესი დროინდელი არის“ (რუსიძე 1950: 28). ამავე ექსპედიციის წევრებს წმინდისერის ქვემოთ დაუთვალიერებიათ წმინდისერის მსგავსი ნანგრევები. ამ სერს მოსახლეობა, „ნაჭირვალის“ სერს ეძახის. რუსიძის მოსაზრებით ხალხში გავრცელებული სახელწოდება „ნაჭირვალისერი“ არ უნდა იყოს სწორი, ის დამახინჯებულია და სინამდვილეში უნდა იყოს „ნაწირვალისერი“; ადგილობრივი მოსახლეობა დამახინჯებულად გადმოგვცემს „ჭვინტისერი“-ს სახელსაც, სინამდვილეში უნდა იყოს „წმინდისერი“ (რუსიძე 1950: 28).

ადგილობრივი ტოპონიმური თქმულების მიხედვით, სახელწოდება „წმინდისერი“ მომდინარეობს იქიდან, რომ აქ წმინდა მამები ცხოვრობდნენ. წმინდისერზე ყოფილა სერიოზული სტრატეგიული ციხე, რომლის საშუალებით მომხდურის შემოსვლას დანარჩენ ციხეებს – შუახევის ყალაიბონი, შუბნის, ცინარეთის ციხეები—აგებინებდნენ, ცეცხლს დაანთებდნენ, რაღაც ნიშნებით ახვედრებდნენ მტრის შემოსვლასო. იქვე ყოფილა ტაძარი და მონასტერი, სადაც წმ. მამები ცხოვრობდნენ. თქმულები ამტკიცებენ, რომ ეს მამები წმინდისერიდან საჯვარებოში ჩადიოდნენ, რისთვისაც არსებობდა სპეციალური ბილიკი, რომელიც არ იფარებოდა არც ბალახით და არც ბუჩქებით (მოქ. შალვა გოგიტიძე დაბ და მცხ. სოფელ ქიძინიძეებში - იხილეთ დანართი №102).

სამწუხაროდ, ამჟამად, წმინდისერზე ნანგრევების ნასახიც კი აღარ არსებობს. ჭვინტისერის (საყდარი // ნასაყდრალი) გორაზე კი ფიქსირდება ეკლესიის გათლილი ქვები. ქიძინიძეების მკვიდრნი: ავთანდილ აბაშიძე, აღექსანდრე აბაშიძე, შალვა გოგიტიძე, ნათელა მიქელაძე, ნანული გოგიტიძე და ზია აბაშიძე ამ ადგილებს წმინდა ადგილად ასახელებენ. ისინი ამტკიცებენ, რომ აქ მარტო ეკლესია კი არა მონასტერიც იდგა. მათ ნაამბობს მეტ დამაჯერებლობას მატებს, ნასაყდრალის ქვემოთ (სათიბი, გზის განაპირა ნაწილი, დაახლოებით 2 კმ-ში) ოთხი წლის წინათ აღმოჩენილი გვირაბი, რომელიც ადასტურებს აქაურთა ნაამბობს, რომ ძნელბედობის უამს წმინდა ბერები გვირაბის საშუალებით მარაგდებოდნენ წყლითა და საკვებით. ასევე, სავარაუდოა, ეს გვირაბი საჯვარებოსთან გადიოდეს, გვირაბის ამოვსება უცდიათ, მაგრამ ბოლომდე ვერ მოუხერხებიათ, იგი ამჟამადაც ღიაა. ამ გვირაბს აქაური მკვიდრნი უკავშირებენ ნანგრევებს და ამტკიცებენ, რომ „ამ გვირაბის საშუალებით წმინდა მამები ჩამოდიდოდნენ როგორც წყალზე, ასევე

ჩადიდონენ ქვემოთ კიდევ 2 კმ-ში, სოფელთან ახლოს მდებარე ეკლესიაში, რომელსაც საჯვარებო ჰქვია. საჯვარებოსთან დაკავშირებით კი ამბობენ, რომ თურქების ბატონობის დროს ქიძინიძეების მოსახლეობა საჯვარებოში იპარებოდა და ჯვარს იწერდნენ (მთქ. რ. აბაშიძე, დაბ. და მცხ. სოფ. ქიძინიძეებში 2010 წ. პირადი არქივი). ეს ამტკიცებს იმას, რომ საჯვარებოშიც ეკლესია ყოფილა (მიქელაძე 2011: 78-82)–იხილეთ დანართი №103; 104; 105).

„თარანგელო“ // თავარანგელო სახეცვლილი ფორმაა მთავარანგელოზისა, რომელიც მთავარანგელოზის სალოცავის ადგილსამყოფლის აღსანიშნავად იხმარება. გადმოცემებით აჭარაში, უამრავი მთავარანგელოზის ეკლესია უნდა ყოფილიყო. მათ შორის საქართველოში ერთ-ერთი უძველესი და პირველი ანდრია პირველწოდებულის მიერ აშენებული ეკლესია სოფელ დიდაჭარაში რომელსაც დღესაც თარანგელოს ეძახიან. ეკლესიის ნაკვალევი აქ დღესაც შეინიშნება. სხალთის ეპისკოპოსის მეუფე სპირიდონის თქმით „აქედან მივიდეთ პირველი ზიარება, აქ ითქვა პირველი აღსარება“. დიდაჭარას მან საქართველოს ბეთლემი უწოდა (ინტერვიუდან გაზ. „ბათუმელები“ 2007, №8). დიდაჭარის ეკლესიის შემდეგ უნდა დაწყებულიყო სხვა ეკლესიების მშენებლობა აჭარაში და მათ შორის მთავარანგელოზის ეკლესიებისა, რაზეც ჩამოთვლილ ადგილთა სახელებიც მიუთითებს (კახიძე 2009: 335-336).

„თარანგელო“ ეწოდება მთას შუახევის რაიონში, სოფელ ნენიის ჩრდილოეთით, შამანაურების უბანთან ახლოს. ზუსტი ადგილსამყოფელი ეკლესიისა (ნაეკლესიარი) არავინ იცის, მხოლოდ იმას გადმოგვცემენ: „ძველ დროში აქ ეკლესია მდგარა, თურქობის შემოსვლის მერე ის ადგილები მიწასთან გაუსწორებიათ. იმ ტყეს კი შერჩენია ეს სახელი „თარანგელო“ (მთქ. შ. მიქელაძე, დაბადებული და მცხოვრები სოფელ ნენიაში, 70 წ. პირადი არქივი – იხილეთ დანართი №107).

ოსმალთა ბატონობის პერიოდში ხალხს დავიწყებია „თარანგელოს“ ჭეშმარიტი შინაარსი „ხულოს რაიონის სოფელ კვატიაში დაცული გადმოცემის მიხედვით, თარანგელო თურქული თარან („ადგილი“) და ქართული გველი//მგელი სიტყვებისგანაა წარმომდგარი და აღნიშნავს: „სამგლე ადგილს“. არსებობს კიდევ ერთი უცნაური თქმულება, გავრცელებული ს. ფუმრუკაულის მცხოვრებთა შორის: „თამარს ჯერ აუგია სხალთის ეკლესია, შემდეგ ხიხანში დაუპირებია ციხის აგება. ხალხს ეს ამბავი შეუტყვია და დალოდებიან სოფელ კვატიაში, სადაც მეფეს უნდა გამოეველო. ყველა მოუთმენლად გასცქეროდა იმ

გორას, რომელზედაც თამარი თავისი ამალით გამოჩნდებოდა. მართლაც სულ მალე გამოჩენილა თამარ მეფე. ხალხს უყვირია: „თამარ გელ“, რაც ნიშნავს: „თამარი მოდის“ (ბედოშვილი 2001: 168). ცხადია, ამგვარი ხალხური ეტიმოლოგიები საფუძველს მოკლებულია ამ კუთხის ფოლკლორული მასალების სიუხვესა და თემატიკას, ისევე მთავარანგელოზის სახელთან მივყავართ.

მაჭახლის ხეობაში ქრისტიანობასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს **ინაწმინდა**, იგივე ნინოწმინდა, რომელიც აშკამად თურქეთის საზღვრებში მოქცეული ზედა მაჭახლის სოფელ ქვაბითავს ეკუთვნის. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს დღესაც ასე მოიხსენიებს (გუნდარიძე 2000: 28).

**ინაწმინდას** შესახებ გადმოცემა მეტად მწირია. მაჭახლის ხეობაში მხოლოდ ის იციან, რომ ინაწმინდას მიდამოებში არსებობდა ნანგრევები, სადაც მოხუცებულნი XX საუკუნის დამდეგამდე რაღაც რიტუალებს ასრულებდნენ (კახიძე 2009: 335-336).

ინაწმინდაზე გადადიოდა შავშეთ-იმერხევ-ნიგალისკენ მიმავალი გზა, რითაც მოსახლეობა ისტორიული ტაო-კლარჯეთის საეკლესიო-სამონასტრო ცენტრებს უკავშირდებოდა. ინაწმინდასთან დაკავშირებით ზ. ჭიჭინაძე მოგზაურობის (XIX საუკუნის 90-იანი წლები) დროს ჩაწერილი გადმოცემის საფუძველზე, წერდა: „კარჩხალის მთის ქედ-ქედ არის ერთი დიდი მთა, რომელსაც **ნინოწმინდა** ეწოდება. ძველად აქ ეკლესია თუ მონასტერი ყოფილა, რომელსაც სახელად ნინო-წმინდა რქმევია. გათათრების დროს ეს ეკლესიაც დაუქცევიათ... ხალხი დაუხოციათ. ვინც დარჩენილა, ისინიც აქეთ-იქით სოფლებში გაქცეულან“ (ჭიჭინაძე 2008: 60).

ამავე გადმოცემის მიხედვით, წმინდა ნინოს სახელზე ეკლესია თამარ მეფის დროს აუშენებიათ. მასვე მიეწერება ხეობის უკიდურეს, შავშეთის მოსაზღვრე, სოფელ ევრატში ეკლესიის აშენება, რომელიც ცნობილია მაჭახლის დედაეკლესიის სახელწოდებით (ზ. ჭიჭინაძე. დასახ. ნაშრომი).

ნ. კახიძის ვარაუდით, შესაძლებელია, ინაწმინდა ამ ადგილის თავდაპირველი სახელწოდებაა და სალაპარაკო ლექსიკაში შემდგომ ნინოწმინდის ფორმით დამკვიდრდა – **ინაწმინდა ნინოწმინდა იქცა**. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს მკვლევართა (ს. ჯანაშია, ვ. გოილაძე) მოსაზრება, რომლის მიხედვით წმინდა ნინოს სახელი წინა აზიის უძველეს ხალხთა ქალღმერთის „ინას“ თუ ინანას“ სახელს უკავშირდება (კახიძე: 335-336).

იგივე მოსაზრებას გამოთქვამს ე. ბერიძე, რომელიც აღნიშნავს: „საინტერესო სახელია ინაწმინდა, ნაეკლესიარი, ტყე (თოლგომი). შეიძლება ამ სახელის თავდაპირველი ფორმა იყო ნინოწმინდა (ბერიძე 2009:117).

შუახვევის რაიონის სოფელ ჯაბნიძეებში არის ადგილი „ქაშვეთი“, სადაც მთქმელის გადმოცემით, ეკლესია მდგარა. **ქაშვეთის** ირგვლივ ქრისტიანული სასაფლაოებია. „უწინდელ დროში აქ ლოცულობდნენ და წმინდა ადგილი იყო“ (მთქ. აბაშიძე ალექსანდრე, დაბ. და მცხ. სოფ. ქიძინიძეებში 2010 წ. პირადი არქივი – იხილეთ დანართი №108). ჯაბნიძეების **ქაშვეთის** გარდა ამ სახელით საქართველოში რამდენიმე ტაძარებია, ადგილი და სოფელია ცნობილი. „ქაშვეთი“ ტაძარები თბილისში და სოფ. ბაბანეურში (გაღმა კახეთი), სოფელი ხაშურის რაიონში, ამავე სახელით იწოდება ადგილი გაღმა კახეთში, მალრანისა და მატანის მიდამოებში, ქსნის ხეობაში, ცხრაძმის ხევში (ლეონიძე 1957: 4). გ. ლეონიძე საქართველოს ტოპონიმიაში შემონახულ ამ სახელწოდებას ეტიმოლოგიურად „ქაშვეთის“ ავადმყოფობას უკავშირებს. მისი აზრით, თბილისის „ქაშვეთი“ უძველეს დროში „კეთროვანთა და განრღვეულთა თავშესაფარი“ უნდა ყოფილიყო (ლეონიძე 1957: 3).

**ხუცუბანი** ქობულეთის რაიონის უძველესი სოფელია. გადმოცემით, აქ ხუცესი ცხოვრობდა, კარგად მღეროდა, განსაკუთრებით საამო ბანი, ჰქონდა და ამიტომ ეწოდა ხუცუბანი. მკვლევარ რამაზ სურმანიძის აზრით, სიტყვის მეორე ნაწილი უნდა მოდიოდეს არა სასიმღერო ბანიდან, არამედ უბნიდან: „ხუცესთა უბანი“, რაც შემდგომი ტრანსფორმაციის შედეგად ხუცუბანი გახდა“ (სურმანიძე 2007: 5). ხუცუბნის ქრისტიანულ წარსულზე მეტყველებს ამ სოფლის სხვა ტოპონიმებიც, მაგალითად, თეთროსანი და საყდარი (დიასამიძე 1981: 96-97).

ქრისტიანული სალოცავებით მდიდარი ყოფილა კინტრიშის ხეობა (ქობულეთის რაიონი), რომლის სათავეშიც იდგა **ხინოს იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარი** (X-XI სს). ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს: „ხინოს არს ეკლესია გუნბათიანი, კეთილდღეშენი, კარგს ადგილს. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ხინოსწყლის სამხრეთის ჭოროხამდე“ (ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1974, გვ. 791).

ხინოს ხეობის რამდენიმე ქრისტიანული სალოცავი იხსენიება “წერაქვეთას ლეგენდაში“, რომელიც 1940 წელსაა ჩაწერილი (ასმხვ №19): „წერაქვეთა წევდა მეზობელ გიორგისთან, რომელიც მის დასავლეთით ორი კილომეტრის მანძილზე ცხოვრობდა და სთხოვა დახმარება შვილების შვავიდან ამოსაღებათ. გიორგიმ

ვარი უთხრა. შემდეგ წვედა ჭათამურზე (ვარიანტებშია – დიდვაკე) და იქ მცხოვრებლებს შეეხვეწა, დახმარებოდნენ შვილების შვაგიდან ამოღებაზე. იქაც ვარი უთხრეს. ბოლოს ავიდა ზემო ხინოში და იქ მცხოვრებ ქათამაძნებს შეეხვეწა. ქათამაძნები დიეხმარნენ და შვილები ამოაღებინეს შვაგიდან. წერაქვეთა ქათამაძნებს შეპირდა, რომ ასეთი სიკეთისთვის თქვენ ჩემს ადგილ-მამულს დაგიტოვებთ და მე სულ გადავიკარგები აქედანაო. მართლაც, წერაქვეთას ნასახლარზე დღეს ქათამაძნები ცხოვრობენ. ხოლო სოფელს კი წერაქვეთას სახელი – წერაქვეთი ჰქვია (აღრე სოფელს ქედლამაზა ჰრქმევია) წერაქვეთამ თავისი შვილები ხინოს ნათლისცემის ტაძარში დამარხა“ (თავდგირიძე 2004: 209). ხინოს ნათლისცემის ტაძარში, ცხადია, ხინოს კათედრალი იგულისხმება. ასევე ეკლესიას უნდა გულისხმობოდეს სახელი „გიორგიც“, კერძოდ, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიას.



#### თავი IV. თამარ მეფის ციკლის ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები

აჭარა, საქართველოს კუთხეებისგან განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი ისტორიულობით, აქ საკმაოდ მდიდარ ფოლკლორულ ტრადიციასთან გვაქვს საქმე. მასალების კვლევისას ვხვდებით ტოპონიმების, გეოგრაფიული სახელების, თქმულებების სახეცვლილ ფორმებს, რომლებიც ან დაკნინებულია, ან კიდევ გადაშენების გზაზეა დამდგარი, რაც სარწმუნოებრივმა ცვლილებებმა განაპირობა.

ქართულ ხალხურ საისტორიო სიტყვიერებაში, რომელსაც საფუძვლად ქვეყნის რეალური ისტორია უდევს, ჩაქსოვილია ქართველი ხალხის წარმოდგენები გმირობასა და ვაჟკაცობაზე, სამშობლოს სიყვარულსა და თავდადებაზე (შოიშვილი 2009: 501).

ქართველ მეფეთა შორის ყველაზე მეტი გადმოცემა, თქმულება და ლექსი აჭარის ზეპირსიტყვიერებაში თამარ მეფეს უკავშირდება. „ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების არც ერთ ციკლს არა აქვს გავრცელების დიდი არე, როგორც თამარ მეფეზე შექმნილ ნაწარმოებებს (სიხარულიძე 1968: 189) ამასთან დაკავშირებით აზიზ ახვლედიანი აღნიშნავს: „...იმ დროისათვის, როდესაც აჭარა ოსმალებმა დაიპყრეს, ხალხს თავისუფლებისა და ძლიერების სიმბოლოდ თამარი და მისი დრო მიაჩნდა და ყოველივე კარგს, დიდებულს ამ ხანას მიაწერდა, უმღეროდა მას და მარად უქრობ ლამპრად გადასცემდა თაობიდან თაობას. კიდევ მეტი, გამაჰმადიანებულ ქართველებს ისე უყვარდათ თამარ მეფე, რომ იგი რელიგიურ კულტად გახადეს“ (ახვლედიანი 1960: 115).

„ქართლის ცხოვრებაში“ მემატიანე წერს: „იქმნა ყოველთა მეფეთა შორის უდიდეს, სვიანი და ბედნიერი, ღმრთის მოშიში, ტკბილი, სახიერ (და თავი ყოველთა კეთილთა ღმრთის – მოშიშება არს და სიმდაბლე), ეკლესიათა და მონაზონთა მოყუარე, გლახაკთა და მოწივართა განმკითხველი“ (ქართლის ცხოვრება 1955: 368).

საგულისხმოა იოანე ბატონიშვილის „ისტორია ქართლისა-ში“ თამარ მეფის სამისიონერო მოღვაწეობის დახასიათება: „მოვლო თამარ მეფემან კავკასიის კერძონი და ბრძანა უმაღლესთა მათთა ზედა ეკლესიათა აღმართებად, ეკლესიანი აწ – ცა მრავალნ არიან ამა ზემოსხენებულთა მათთა შინა და მუნ მცხოვრებნიც აღიარებენ თამარ მეფისაგან აღშენებასა. და მერე გელაქუნის

მთის კერძო ახალციხემდინ, მუნცა ყოველთა მაღალთა ადგილთა ეკლესია და ბაღი. ოსთა და ჩერქეზთა უმეტეს დამტკიცებისთვის, და აგრეთვე მუშკულეთს სვანეთსა შინა, რაჭის კერძოსა აღემენა ეკლესია და მუნ დაასვენა ხატი ღვთის მშობლისა, მოოჭოვილი ძვირფასად, და მუნ დაჰმოკიდა თმა თვისი ნაწნევი, რომელსა იტყვიან ექვსსა მტკაველსა, და აწ-ცა არს მუნ ეკლესიასა შინა. ხოლო სვანნი და გარემო მის მთის ერნი ესრეთ ესვენ ღვთისმშობლისა მას ხატსა, რომელ არა ძალუძთ ტყუილად დაფიცება ვისიმე მის ზედა, და უთუოდ აღიარებს დასაფიცებელი უკეთუ შეაგდონ რამე მისგან ნაქმარი უკვე საქმე, და ხადიან იგინცა დედად ღვთისა ხატსა მას და ეგრეთვე ესვენ თმასა მას თამარისასა” ამ შემთხვევაში, როგორც ეს მართებულად აღნიშნა კ. კეკელიძემ, იოანე ბატონიშვილი, ისტორიულ ცნობების გარდა, ემყარება ზეპირსიტყვიერებასაც (კეკელიძე 1956: 298).

როგორც პროფ. ქ. სიხარულიძე აღნიშნავს, თამარის ციკლში ზოგი ნაწარმოები წარმართული ხანიდან უნდა მომდინარეობდეს, მითიური ღვთაება ხალხს დაუკავშირებია ისტორიული თამარისათვის (სიხარულიძე 1961: 26).

მართლაც, თამარის თანამედროვენიც და შემდეგი პერიოდის მოქმედებიც, მის პიროვნებას ფანტასტიკურ-მითოლოგიურ იერს აძლევენ. ამიტომ არის, რომ ქართველ მთიელებში თამარი სალოცავ ხატად იქცა და ბევრი მითოლოგიური და რელიგიური თქმულებაა მასთან დაკავშირებული.

ცხინვალში ჩაწერილი ერთ-ერთი გადმოცემით, რომელიც წარმოადგენს ვარიანტს ცნობილი თქმულებისა – „თამარ მეფე და შუქურ ვარსკვლავი“, თამარ მეფეს ბრუტსაბჰელაზე ციხე-დარბაზი ჰქონია, მაგრამ იქ ველარავინ აღის, რადგან არაწმინდა სულები უშლიან ყველას ხელს. ვითომ თამარს ცისკარი შეუპყრია და ცხრაკლიტულში მოუთავსებია, რადგან ამ ვარსკვლავზე იყო დამოკიდებული ამინდი. ამით უხსნია თამარს თავისი ქვეყანა ყინვებისაგან. მაგრამ, როცა თამარი ერთხელ სამეფოს მოსავლელად წავიდა, გამზრდელისათვის ჩაუბარებია ეს ყუთი და სასტიკად აუკრძალავს მისი გახსნა. გამზრდელს ვითომ ცნობისმოყვარებამ სძლია, გახსნა, ცისკარი გათავისუფლებულა და ამით ამინდის საქმეც გაფუჭდა. ამიტომ თამარმა დასწყევლა გამზრდელი და სამარადისო სატანჯველად ბირთვში გამოკეტა (СМОМПК, 1892. № 136 44-70. Д. Хаханашвили. Из грузинской народной словесности. предание о царице Тамаре”). ამ გადმოცემაშიც მოქმედი თამარ მეფის ყოვლისშემძლეობაზე ამახვილებს ყურადღებას.

თამარ მეფის მიერ ბოლოსტიკეს (ბასიანის) ომში 1206 წელს რუმის სულთანის რუქნადინის დამარცხების ამბებს რომ აღწერს, ვახუშტის მოაქვს ლეგენდა სულთნის დიდებულის შეპყრობის შესახებ. ისტორიკოსი წერს: „კუალად ესეცა თქმულ არს: „მოყვანებული დიდებული სულტანისა წინაშე თამარისა დაეცა და იღვლარჭნოდა, ვითარცა გუელი და უტყუარ-ქმნილი; ამისთვის განიყვანეს გარე და რა იქმნა მრთელ-გონიერ, ჰკითხვიდნენ, რასათვის ყოფასა ეგრეთ; ხოლო იგი იტყოდა—რომელი არს თავსა ზედა თამარისასა, მან ჰყო ძლევა ესე ჩუენ ზედა და აწცა შევშინდი მის მიერ“. ხოლო ჟამსა მას იყო ხატი მთავარანგელოზის მიქაელისა თავსა თამარისასა მკიდარე. ამით იუწყეს მის-მიერობა და შესწირეს უმეტესი მადლობა ღმერთსა” (ქ. ც., VI, გვ. 188).

ამ ლეგენდის ხალხური ვარიანტი გამოაქვეყნა ზაქარია ჭიჭინაძემ. „თამარ მეფეს ოსმალოსთან ომი ჰქონდა, ომში ქრისტიანებმა გაიმარჯვეს და სულთანი ტყვეთ ჩაუვარდათ დაპყრობილი თამარ მეფეს მიჰგვარეს. როცა პყრობილი თამარ მეფის წინაშე წარსდგა და სახეზედ შეხედა, უცბად შეერთა, უკან დაიწია და ყვირილი დაიწყო: მიშველეთ, მიშველეთ. იქ მყოფთ საჩქაროთ ჰკითხეს: რა იყო, რა დაგემართა, რის შეგეშინდა? – მე იმის შემეშინდა, რომ თამარ მეფის გვირგვინს გარს ერთი ხმლით ამოდებული კაცი უვლის და იმ გალესილ ხმაღს სულ აქეთ-იქით ატრიალებს მტრის წინააღმდეგ” (ჭიჭინაძე 1941: 88).

ლეგენდის აღნიშნულ ვარიანტებს შორის არსებობს განსხვავება. ვახუშტის ლეგენდას, რომელიც კონკრეტულ ისტორიულ მოვლენასთანაა დაკავშირებული, ზ. ჭიჭინაძის ვარიანტში ზოგადი სახე მიუღია, მიზანდასახულება კი ადრინდელი შეუნარჩუნებია. ქრისტიანობის მაჰმადიანობაზე გამარჯვების იდეა ორივე ვარიანტშია გატარებული. შემდეგი დროის ვარიანტში სულთნის დიდებულის მაგივრად თვით სულთანია გამოყვანილი, ხოლო მთავარანგელოზის ხატის ნაცვლად – მაჰმადიანთა მტერი – ხმლიანი კაცი.

ვახუშტის მიერ დაცული ვარიანტი საგულისხმოა, როგორც მოტანილი ლეგენდის ტრადიციისა და ისტორიის გასათვალისწინებლად, ასევე, საერთოდ, ხალხური სიტყვიერების რაობის და სპეციფიკის თვალსაზრისით (სიხარულიძე 1958: 302-303).

ბასიანის ომის ამბების გადმოცემისას ვახუშტის გამოყენებული აქვს თამარ მეფის ციკლის ერთი ლეგენდა: „არამედ ევლოგი სალოსი წინაშე იყო თამარისა მწირველი. განაცვიფრებულმან აღიტყუელნა ხელნი და დაეცა სამგზის; მერმე

აღხლტა და შესწირა კურთხევა ღმერთსა. შემდგომად მის მკითხველს იოვანეს გამოუცხადებდა ევლოგი. „რაჟამს დავეცემოდი, კინდა მიდრკენდა სპანი ჩუენნი; ხოლო აღხლტი რა, მოსცა ღმერთმან ძლევა სპათა ჩუენთა” (ქ. ც., IV, გვ. 187-188). მსგავსი ლეგენდა გადმოცემული აქვს „ისტორიანისა და აზმანისა” ავტორს (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1941, გვ. 128-129).

„აშკარაა ლეგენდის ღვთაებრივი, ქრისტიანული ხასიათი, თითქოს გამარჯვება ღვთის ძალით მოხდა; ლეგენდა გამოყენებულია ქრისტიანობის სიძლიერის საჩვენებლად და ამასთან საბრძოლო ეპიზოდის შთაბეჭდილების გასაძლიერებლადაც” (ახვლედიანი 1990: 153).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აჭარის ზეპირსიტყვიერების შეკრებასა და გამოქვეყნებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ზ. ჭიჭინაძეს, რომელიც, გამოქვეყნებულ თქმულებებში, ძირითადად, აჭარის გამაჰმადიანების საკითხებს შეეხო, მეორე მხრივ კი, თამარ მეფესთან დაკავშირებულ თქმულებები ჩაიწერა და გამოაქვეყნა (ჭიჭინაძე 1913; 1918; )

აჭარის აღწერისას, (1874 წ.) ეთნოგრაფი და ისტორიკოსი გ. ყაზბეგი შენიშნავს: აჭარაში ყველგან და ყველასაგან გაიგონებთ თამარ მეფის სახელს, ან მოისმენთ იმ ამბავს, რომ ოდესღაც მთელი აჭარა ქრისტიანული ქვეყანა იყო” (ყაზბეგი 1995: 65).

ამ კუთხის ფოლკლორულ მასალებში შემონახულია გადმოცემები, სადაც საუბარია თამარ მეფის უდიდეს საქმიანობაზე – აღმშენებლობით მოღვაწეობაზე, მის გამჭრიახობაზე, მორწმუნეობაზე, დამსახურებაზე, ძლევა მოსილებასა და ეკლესიების მშენებლობაზე.

აჭარაში მოგზაურობისას თედო სახოკიამ, თამარის სახელთან დაკავშირებით მრავალი საინტერესო მასალა ჩაიწერა, ავტორი ხაზს უსვამს თამარის პოპულარობას აჭარის სიტყვიერებაში და აღნიშნავს აქ ყველა ციხისა და ხიდის მშენებლობას თამარის სახელს უკავშირებენო. თამარის სახელთან ასოცირდება შემდეგი ტოპონიმური თქმულებები და მათი სახელთა ეტიმოლოგიაც: „ვარცხალა სერის”, „დედოფლის ქვის”, „სიმონაური” „დოლიაური” და ა. შ. თვით დიდებული ეკლესიის „სხალთის” მშენებლობასაც თამარ მეფეს მიაწერენო... (სახოკია 1985: 259-285).

1897 წელს აჭარაში მოგზაურობისას თედო სახოკიას თამარ მეფის ციკლის საისტორიო გადმოცემების მრავალი საინტერესო ვარიანტი ჩაუწერია.

თქმულებათა სიმრავლეს იგი იმით ხსნიდა, რომ „თამარი აქაური ქართველების მეხსიერებაში აღბეჭდილია როგორც ღვთის მოშიში, გულმოდგინე მზრუნავი ეკლესიათა გამრავლებისათვის, განაპირა ადგილების მფარველი და გამმაგრებელი, მტრისათვის რისხვის დამცემი, ქერივ-ობოლთა განმკითხავი, მიუკერძოებელი მოსამართლე და ყოველივე ამის დასასრულ – წმინდანი და უბიწო (სახოკია 1950: 50); (შიოშვილი 1976: 75-76).

თ. შიოშვილი ნაშრომში „აჭარაში შეკრებილი ფოლკლორული ნიმუშები“ საფუძვლიანად განიხილავს ამ კუთხის თქმულება-გადმოცემებს, იგი წერს: „თამარისდროინდელად მიაჩნიათ აჭარში უძველესი ხიდები, რომლებიც თავიანთი სიმტკიცით დღესაც აოცებენ მნახველს. ხალხის გადმოცემით, მახუნცეთის, დანდალოს და ფურტიოს ხიდები ერთდროულად აუშენებია თამარს. ფურტიოს ხიდს აჭარლები „დედოფლის ხიდს“ ეძახიან. სხალთაში მიმავალი თამარი ამ ხიდზე გაივლიდა ხოლმეო. „ხიდს რომ მიადგებოდა, ძირს ჩამობრძანდებოდა და ფეხით გაბრძანდებოდა მეორე ნაპირსო“. ხიდის მარცხენა მხარეს უჩვენებენ მიწაში ღრმად ჩაფლულ ოთკუთხა ლოდს, რომელსაც „დედოფლის ქვას“ ეძახიან. „თამარ მეფე ყოველთვის ამ ქვაზე შესდგამდა ფეხს და ისე შებრძანდებოდა თავის ჯორზეო“. ფურტიოში მიმავალი გზისათვის კი, თამარის პატივსაცემად „დედოფლის გზა“ შეურქმევიათ (შიოშვილი 1976: 75-76).

აჭარაში მრავლადაა წყაროები, რომლებსაც „მეფე წყალი“ ან „დედოფლის წყარო“ ეწოდება: „სახლში მიმავალი მეფე (თამარი), როცა მგზავრობას ვერ მოასწრებდა და შემოაღამდებოდა, ფურტიოში დაისვენებდა დილაამდე. ერთხელ ერთ შეძლებულ გლეხს, ვინმე სიმონას, სწვევია, გლეხი სიხარულით ცას ეწია თურმე – დედოფალი მეწვიო, და დატრიალებულა, რომ დიდებულ სტუმარს თავის შეძლებისდაგვარად გამასპინძლებოდა, ისე რომ თვითონ დედოფალს საამოდ დარჩენოდა და ეთქვა, – შეხე, რა ქვეშევრდომი მყავსო. სიმონას შვილისათვის ღვინო მიუცია ამ წყაროში ჩასაცვივებლად. დედოფალს ფრიად მოსწონებია ჩაცივებული ღვინო და უნებებია შეეტყვა, ასეთი ცივი წყარო სად არისო? რაღა თქმა უნდა, მისი სურვილი მყისვე აუსრულებიათ. მის შემდეგ აქეთკენ სიარულის დროს დედოფალი ამ წყაროს ისე არ გაუვლიდა წყალი არ დაეღიაო, და წყაროსაც მისი სახელი შერჩენია (სახოკია 1985: 259).

წყაროსთან დაკავშირებული მსგავსი გადმოცემები ჩაუწერია მკვლევარ აზიზ ახვლედიანს სოფელ კირნათის მცხოვრებ 82 წლის მემედ ცინცაძისგან – „თამარი რომ აქ ჩამოსულა, აუშენებია მაჭახელის პირზე ციხე (ლაპარაკია

გვარას ციხეზე – ა. ა) თამარს ადგილობრივი წყალი არ მოსწონებია, ზედა კირნათში მიუგნია კაი წყალისათვის, იმას აზიდვინებდა და სვამდა. ამიტომ დაერქვა იმ წყალს „ნეფე წყალი“ (ბსკიფა №3 გვ 51), (ახვედიანი 1970: 45 – იხილეთ დანართი №109).

ამ წყაროს ახლაც „ნეფე წყალს“ უწოდებენ და თითქმის ყველა აქაურმა მკვიდრმა იცის ამ სახელწოდების „წარმომავლობა“.

ასეთივე გადმოცემა არსებობს ჭანეთში, სადაც ხოფის მახლობლად, ბუჯაღში ნაქები წყაროს წყალია, მას „მეფის წყარო // მეფა წყარი“ ჰქვია. ბუჯაღელი მოხრობელის ჩვენებით ეს მეფე თამარია (ყიფშიძე 1939: 21).

მკვლევარი ა. ახვედიანი ეხება აჭარაში ციხეების მშენებლობასთან დაკავშირებულ ამბებს: „ეს ყალიბი, ეს ციხეები გააკეთა თამარ დედოფალმა, გვამცნობს ჭვანელი მთქმელი დ. ტაკიძე, მაგას ჰყავდა ბევრი მოწინააღმდეგე; მისდევდნენ, მოსდევდნენ, მარა თამარი გვედოდა, გააკეტებდა ყალეს (ციხეს). მოაწევდა ისე საქმე, ვეღარ დადგებოდა, გვედოდა სხვა ყალეში. ყალეს აკეთებდა ასე: დააგროვებდნენ ქვას, ეიწკაპებოდნენ, აძლევდნენ ხელიდან ხელში და კეთდებოდა მაგრე. იმფო და იმფო (უფრო-ნ. მ) მაგარს აკეთებდა, მარა ბოლოს მიხდა, რომ უნდა დამიჭირონო და მეიწამლა თავი“ (ახვედიანი 1970: 46 - იხილეთ დანართი №110).

აქ მოყვანილ თქმულება-გადმოცემათა აშკარა ანაქრონიზმებს ფსიქოლოგიური გამართლება აქვს. ისინი ანარეკლია, იმ დიდი ბრძოლებისა, რასაც ქართველი ხალხი საუკუნეთა მანძილზე ეწეოდა არაბების, თურქების და ირანელების წინააღმდეგ. ბუნებრივია, რომ ხალხმა, ძლიერ აგრესორებს დაუპირისპირა ძლიერი სახელმწიფოს გამჭრიახი ხელმძღვანელი თამარ მეფე (სიხარულიძე 1943: 12).

ამ თვალსაზრისით აჭარის ტოპონიმთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია, ხულოს რაიონის სოფელ **ოშანახევის ხალხური ეტიმოლოგია**. ხალხური მასალების მიხედვით – „ოშანახევი“ ყოფილა ქრისტიანული ტაძარი, სადაც ხშირად დადიოდა მეფე თამარი და ესწრებოდა აქ გამართულ ღვთის სადიდებელ, წირვა-ლოცვებს – „სხალთის ეკლესიიდან თამარ მეფე სოფელ ვერნების გავლით, სოფელ ოშანახევიში აუცილებლად გაივლიდა. მეფე რაც არ უნდა დაღლილი ყოფილიყო, აქ მოისვენებდა, რამდენიმე დღეს რჩებოდა, ეკლესიაში წირვას დაესწრებოდა, „ოშანას“ ყურძნის ჯიშის ღვინოს დალევა და გზას ხიხანის ციხისკენ ისე გააგრძელებდაო. ამ სოფელში დღესაც ხარობს

ამ ჯიშის ყურძენი და ყურძნის ამ ჯიშის სახეობას განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიანო – „ოშანას“ ჯიშის ყურძენი დღესაც ხარობს და მას ოშანას ჯიშის ყურძენს ეძახიან“. საუბრისას ინფორმატორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ ჯიშის ყურძენს თამარი გამოარჩევდა, ამიტომაც მის საპატივცემულოდ ამ სოფლისთვის „**ოშანახევი**“ დაურქმევიათ. ეს სოფელი ამ სახელს დღესაც ატარებს და თამარს დიდი პატივით იხსენიებენ. მთქმელი **ქ. აბაშიძე**, ასევე ამტკიცებს, იმასაც რომ წინაპრისეული ანდერძის გამო, ამ ყურძნის ჯიშს, სოფელში ძალიან უფრთხილდებიან. აქაურები თამარ მეფის შემოსვლას დიდი ზარ-ზეიმით ხვდებოდნენო.

სხვა მოსაზრებით. სავარაუდოდ, შესაძლოა, არსებობდეს რაიმე კავშირი ოშანახევის ტოპონიმსა და ძველ ბერძნულ და ძველ ებრაულ ოსანასთან (ოსანა – ძვ. ბერძნულად და ძველ ებრაულად ნიშნავს შეგვიწყაღე, ასევე ოსანა – არის ღმერთის სადიდებელი, საქებარი შეძახილი იუდეურ და ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში (თეზელიშვილი 2007: 585) აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, ამ ტოპონიმის წარმოშობას საფუძველი სწორედ მაშინ ჩაეყარა, როცა აჭარაში ქრისტიანული სარწმუნოება იყო. ამ ტერმინმა განიცადა ფორმაცია და ჩამოყალიბდა ზემოთ ნახსენები სახელით – ოშანახევი. სოფლის სამხრეთით ყოფილა ადგილი, სადაც საიდუმლო გვირაბი ყოფილა, მთქმელთა გადმოცემით, ამავე სოფელში არსებობს მნიშვნელოვანი გვირაბი, რითაც თამარ მეფე სარგებლობდა. გადმცემის მიხედვით – გვირაბი ოშანახევიდან, სოფელ კალოთის ქვემოთ ვარციხეზე გადიოდა, აქედან კი კალოთის ეკლესიის მახლობლად „ნასაყდრალთან“ ამოდიოდა. მას უძველეს დროში თურმე სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონია. კალოთის გვირაბიდან – გზა სამად ნაწილდება – ერთი ეკლესიისაკენ მიდის და ორი ოთახის სათავსოსთან მიგიყვანს, ხოლო მეორე უხევს და მდინარისკენ მიდის (მთქ. დ. იშხნელიძე, დაბ და მცხ. სოფელ სკვანაში, 34 წ. 2005. პირადი არქივი - იხილეთ დანართი №111).

კალოთლების მტკიცებით, ეს გვირაბი სამადაა განტოტვილი: პირველი მდინარეში ჩადის (მტრის შემოსევების დროს მოსახლეობა ამ გზით სარგებლობდა). მეორე ხიხანის ციხეში გადიოდა და იქედან ზარზმაში გადასვლა შეიძლებოდა, რომლითაც თამარ მეფეც კი სარგებლობდა. მესამე ეს გვირაბი იყო საიდუმლო რომლის მიმართულება იყო: **ვარციხე – ოშანახევი – სხალთა – ღორჯომის ხეობა** (მთქმელი დ. იშხნელიძე). „დარანს აჭარაში სახიზნარ ხვრელს უწოდებენ. იგი არის თურქთა ძველი სისხლიანი თარეშის

უტყუარი მოწმე. ასეთი ხვრელები ყველგან გვხვდება აჭარასა და საერთოდ მიტაცებული სამხრეთი საქართველოს ოლქებში” (ჟურნ. „მოგზაური“, №1 1901).

„ომთახევი უნდა იყოს ოშანახევი. დგილობრივ მეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს ოშანახევი ფორმითაც. „ეს სახელი უშნო ხევისგან გადაკეთდაო”, – ჩაუწერია ზ. ჭიჭინაძეს აქაურ მკვიდრთაგან. 1972 წელს, ზაფხულის ექსპედიციაში ყოფნის დროს, მოხრობელისგან მ. ქამადაძეს ჩაუწერია, რომ ოშა//ოშანა ყურძნის ჯიშია და სოფლის სახელიც აქედან წარმოსდგებაო. რა თქმა უნდა, ორივე გადმოცემა სიტყვის „ნებისმიერ გააზრებას” ემყარება, რაც დამახასიათებელია საერთოდ ხალხური ეტიმოლოგიისათვის (82, 232), სავარაუდოა, რომ ოშანახევი (ოშანას ხევი–ოსანას ხევი), რომელშიც ოშანა პიროვნული სახელი უნდა იყოს” (ქამადაძე 1992: 18).

**ხულოს რაიონის**, ღორჯომის ჩრდილოეთით არის გორა, რომელსაც ხალხი „საყდრის სერს” ეძახის. მას ძველ დროში სამლოცველოს ფუნქცია ჰქონია. აქ გათხრები უწარმოებიათ აქაურ მცხოვრებლებს, რომლებსაც სპილენძის ფულები, კოვზები და თეფშები უნახავთ. ასევე ღორჯომის ჩრდილოეთით 8-10 კმ. დაშორებით არის მთა „საყოლაფერდი”, ამ მთის ქვემოთ არის დაგაკება ადგილი, რომელსაც აქაური მკვიდრნი „ნაქალაქევს” ეძახიან. ამჟამად იქ კი არავინ ცხოვრობს, მათი მტკიცებით „ბებიას გადმოცემით, უწინ აქ დიდი ქალაქი ყოფილა, მთელი აჭარის ცენტრი იყო” (მოქმედი მაია ხოზრევანიძე, დაბადებული ხულოს რაიონის სოფ. დიდაჭარაში, მცხ. დაბა ხელვაჩაურში, 55 წ. პირადი არქივი).

ამ მიდამოების მნიშვნელობასა და სტრატეგიულ დანიშნულებაზე არაერთ მკვლევარსა თუ ისტორიკოსს ყურადღება გაუმახვილებია. 1952 წლის საველე ექსპედიციის მონაცემებით „ნაქალაქევზე მისასვლელი ძველი გზის ნიშნებია ღორჯომის მხრიდან, რომელიც მისდევს მდინარე რუსთავის ნაპირს. მე-2 გზის ნიშნები არის ნაქალაქევის ჩრდილოეთით, რომელიც იწყება ჭვანიდან გაივლის საყოლაფერდს, ნაირდალს, კუმტაურს, ნასოფლას, გოდერძის გადასასვლელს, რომელიც გადის ხირხათის ციხემდე (რუსიძე 1953: №152: 10). აქაურთა გადმოცემებით, თამარ მეფე ხირხათის ციხეში, სავარაუდოდ ამ გზით, კერძოდ, ნაქალაქევის გავლით მიდიოდა, იქედან კი ზარზმისკენ აგრძელებდა გზას. ისტორიკოსების ვარაუდით, უძველეს დროს ნაქალაქევს, სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონია.



ამ სოფელთან დაკავშირებით მკვლევარი შ. რუსიძე ექპედიციის ანგარიშებში შემდეგ ინგორმაციას გვაწვდის: ღორჯომის ერთ-ერთ სოფელში, კერძოდ, გორგაძეებში არის ადგილი, რომელსაც „ნადარბაზევს“ უწოდებენ. ამასთან დაკავშირებით ხალხი შემდეგ თქმულებაზე ამახვილებს ყურადღებას: „ნადარბაზევის“-ადგილას უწინდელ დროს ქართველი მეფეები იყრიდნენ თავს და საჭირობოროტო საკითხებზე მსჯელობდნენო. ეს ადგილი არა მარტო აჭარის, არამედ მთელი საქართველოს ცენტრი იყო” აქაურები მას მოიაზრებენ, როგორც სამეფო ადმინისტრაციულ ადგილს. „სოფელ გორგაძეებში არის მნიშვნელოვანი ადგილები – ბელსარას ორი, ბახუნციხე... ნადარბაზევი და სხვა. მათ შორის სოფლის შუაზე, საკმაოდ სწორ ადგილს – „ნადარბაზევი“- ჰქვია. ” მკვლევარი აქვე შენიშნავს: „ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით არ იციან აქ შენობის არსებობა, მაგრამ ადგილს კი ნადარბაზევს უწოდებენ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ უძველეს დროში, მართლაც სამეფო ადმინისტრაციული დაწესებულების დარბაზი მდგარიყო” (რუსიძე 1953: №152; 154; 156; 158; 161; 162; 164 :11).

„ნადარბაზევსა და „ნაქალაქარს“ მ. ხოზრევანიძის გადმოცემით, ხეობაში დიდი დანიშნულება ჰქონია. კერძოდ, ამ ადგილებში თამარ მეფე ხშირად დადიოდა და დიდი დარბაზობა იმართებოდა. აქედან კი, დიაკონიძეების სერიდან, სხალთაში, სხალთიდან ოშანახევში. ოშანახევიდან ხიხანში და ხიხანიდან ზარზმაში გადადიოდაო. ეს იყო მნიშვნელოვანი დანიშნულების ადგილი, სადაც მეფეები დადიოდნენო. წინაპართა გადმოცემით, მათ „ნაქალაქარი“ და „ნადარბაზევი“-ჰქვია” (მ. ხოზრევანიძე, დაბ სოფ. დიდაჭარაში, მცხ. ხელვაჩაურში, 55 წ. ჩავიწერე 2005 წ. პირადი არქივი - იხილეთ დანართი №113)

ღორჯომის ხეობის ისტორულ-რელიგიურ ტოპონიმს წარმოადგენს „ნამონასტრევი“, სოფელია, რომელზედაც საინტერესო ცნობებს გვაწვდის რეჯებ ისმაილის ძე მეკეიძე (ჩაუწერია 2005 წელს თამარ ბერიძეს), იგი ამტკიცებს, რომ მისი წინაპრები ამ ადგილებში 300 წლის წინათ ამოსულან, მათ დახვედრიათ ნასახლარები და დიდი ქრისტიანული სალოცავები, რომელებიც შემდეგისთვის დანგრეულა და გაპარტახებულა. ამ სოფელს კი „ნამონასტრევი“ სახელად შერჩენია. ეს ტაძარი თამარ მეფის აშენებული იყო” (იხილეთ დანართი №112)

ეს ხეობა რომ კულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრს რომ წარმოადგენდა, ამას მართლაც არაერთი თქმულება-გადმოცემა მოწმობს. სოფელ გობაძეებში

შემორჩენილია ერთი საინტერესო თქმულება და ლექსი თამარ მეფეზე–„სოფელ გობაძეებს ესაზღვრება შავაძეების სამზიარედ, გრძელდება ტყემალათი, ტყემალათის ქვემოთ არის გობაძეების უბანი, აქ ზემოთ არის ნაკაფი, სადაც აღმოჩენილია ეკლესიის ნანგრევები, როცა მუსლიმანობა იყო შემოსული, აქ ჩუმად აღიოდნენ ჯერ კიდევ ქრისტიანული რწმენის ადამიანები ქრისტეს სალოცავში, აქ ასასვლელ გზას რქმევია „თარანგელოზი“. ანუ „თამარანგელოზი“, ამ ეკლესიისთვის ეს სახელი იმიტომ დაურქმევიათ, რომ უძველეს დროში ამ ეკლესიაში ასვლა და ღოცვა მოუწადინებია თამარ მეფეს და მისი ამაღლას. იქ ასასვლელი გზა ხეირიანი (წესიერი) არ ყოფილა, ამიტომაც იქაურებს ტყე გაუკაფავთ და ამ გზისთვის „თარანგელოზი“ // „ხანუმის გზა“ (დედოფლის გზა) დაურქმევიათ, დღესაც ეძახიან ამ სახელს, ისინი ხანუმში თამარ მეფეს მოიაზრებენ.

**„ნანეფვარი // ნეფიკალო“** ამ სახელით სოფელ უჩხოში, ერთ-ერთი გორაკის მდელის მოიხსენებენ, სადაც თურმე თამარ მეფე დადიოდა. იქ ახლოს ყოფილა „თამარის ხიდიც“. ხიდის ზემოთ მდელის კი რქმევია – **„საყდრი სერი“** // **„თარანგელოზი“**. ამ მთიდან (საყდრი სერი//თარანგელოზიდან), გზა სამად ნაწილდება: ერთი გზა- გურიაში მიდის. მეორე გზა მაჭარელაში, ხოლო მესამე – სოფელ უჩხოსკენ. **„საყდრი სერი“** // **„თარანგელოზი“** თამარ მეფის აშენებული ყოფილა და მეფე ხშირად დადიოდაო. ამავე სოფლის სახელწოდებაც კავშირშია სამი გზისა და ხევის სახელდებასთან. **უჩხო-** თურქულია, უჩ-სამი, რაც ქართულად „სამ ხევს“ ნიშნავსო. თამარის ხიდიდან ერთი გზა გურიაში, მეორე ხირხათის ყალესკენ და მესამე სოფლისკენ მიდისო (მთქ. ო. აბულაძე, დაბ და მცხ. სოფ. უჩხოში. 75 წ. პირკვაძე თ. დაბ. და მცხ. სოფ. უჩხოში. 49 წ. ჩავ. 2011 წ. პირადი არქივი - იხილეთ დანართი №115).

**„ნანეფვარის“** სახელით მოიხსენებენ ადგილს ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში. გადმოცემის თანახმად, ზემო აჭარაში მიმავალი თამარ მეფე ცხმორისის ეკლესიაში წირვის დამთავრების შემდეგ „ნანეფვარში“ ისვენებდა და გზას ზემო აჭარისკენ აგრძელებდა. ინფორმატორის თხრობით, ძველად ამ ადგილას სამეფო რეზიდენცია ყოფილა, რომელიც შემდგომში განადგურებულა სახელწოდება „ნანეფვარი“ კი შემორჩენილა (მთქ. ცინცაძე ეთერ, დაბადებული და მცხოვრები ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში. 68 წ. პირადი არქივი - იხილეთ დანართი №116; 117; 118).

ხულოს რაიონის, სოფელ ბელეთთან ახლოს კლდეში, მრგვალი სარკის მსგავსი ფორმის ფიგურაა გამოკვეთილი, რომელსაც „თამარის სარკეს“ უწოდებენ. გადმოცემის თანახმად, ეს სარკე ღმერთს, თამარისთვის გაუკეთებია, მაღალ მთაზე, რათა ამ სარკით არავის არ ესარგებლაო. თამარი იქ სიარულის დროს სარკესთან თმებს ივარცხნიდაო (მთქ. მთქ. მ. შავაძე, დაბ. და მცხ. სოფ. უჩხოში. ჩავ. 2011 წ. პირადი არქივი - იხილეთ დანართი №119).

„კვირიაწმინდა,, არის შუახევის რაიონის შუა სოფელში, კვირიკელე ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბანში, კვირიკული საძოვარი ქვედა დაგვაში, კვირიკეთი აჭარის მთიანეთში, კვირიკე კი ჰქვია დიდ სოფელს ქობულეთის რაიონში, თანაც არის ზედა და ქვედა, რომლებიც ამ სახელწოდების საკრებულოში არიან გაერთიანებულნი. ზედა კვირიკეში მე-19 საუკუნის დამლევს თურქეთიდან გადმოსვნილი ბერძნები ჩასახლდნენ, რომელთა ნაწილი 1995 წლიდან, საბერძნეთში წავიდა (კომახიძე : 2010).

**შვილდისერი // ოხორდი-კოდალი** – ფოლკლორული მასალის მიხედვით, შუახევის რაიონის სოფელ ცინარეთში არსებული ციხისა და **შვილდისერად სახელდებული მისი მიმდებარე ტერიტორიის** შესახებ, შ. რუსიძე შემდეგს გადმოგვცემს: „ცინარეთის ზემოთ მაღალ კლდეზე, ციხის ნანგრევია, ადგილობრივები მას „ციხიყელს“-ეძახიან... ციხის კლდის შესახებ უჩამბის მცხოვრები 110 წლის ისმაილ სულეიმანის-ძე ბეჟანიძე, გადმოგვცემს: „ეს ციხე ქართველების ყოფილა; უჩამბის ხეობით აქ მტერი შემოსულა, გაღმა გასვლა ვერ გაუბედია და გამოღმა დაბანაკებულა და ციხისათვის შვილდისრების სროლა დაუწყია, მაგრამ ციხეს ვერაფერი ავნო; საიდანაც მტერი ციხეს შვილდისარს ესროდა, იმ ადგილს ეხლაც ჰქვია „შვილდისერი“. ქართველი ჯარი ციხიდან გამოსულა და მიუახლოვდა მტერს და ისრებს ესროდნენო, იმ ადგილს ახლაც ჰქვია „**ოხორდი-კოდალი**“ (იგივე ისარი – (რუსიძე 1950: 35) - იხილეთ დანართი №120).

შუახევის რაიონის სოფელ უჩამბაში არის უბანი, რომელსაც „**კვირიაული**“ ჰქვია. ამ დასახელებით ეტიმოლოგიას უკავშირებენ სოფლის გაღმა მაღალ მთაზე აღმართულ ციხის ნანგრევებს, რომელიც მოსახლეობაში „ცინარეთის ციხის“ სახელითაა ცნობილი. აქაურთა გადმოცემით: „ეს ციხე თამარ დედოფლის მიერაა აშენებული. თამარ მეფე აქ ხშირად დადიოდა. ერთხელაც, როცა თურქებს გაუგიათ, თამარი ამ ციხეშიაო, თამარისა და ციხის აფეთქება გადაუწყვეტიათ. მათ კაცი გაუგზავნიათ და შეუთვლიათ: „ნებით ჩაგვბარდით“..

„დუშმანი“ (მტერი) სოფელ „კვირიაულში“, ციხის გამოღმით დაბანაკებულა. განრისხებულ თამარს უარი შემოუთვლია, საპასუხოდ თურქებს ზარბაზანიც კი უსვრიათ, მაგრამ ციხე ისეთი მაგარი კირით ყოფილა ნაშენები, რომ მტერს ციხისთვის ვერაფერი დაუკლია, იმ ადგილს საიდანაც ზარბაზანს ისროდნენ „ნაზარბაზნევი“ ჰქვია. საპასუხოდ, თამარ მეფეს ცინარეთის ციხიდან თეთრი კირი გადმოუყრია, კირს იქაურობა სულ გაუთეთრებია, ამაზე თურქებს უკითხავთ აქაურებისთვის რა გადმოყარაო? – ადგილობრივებს კი უპასუხნიათ – თამარ მეფეს ძველი ფქვილი ჰქონდა და გადმოყარაო. თათრებს უფიქრიათ ამას თუ ამდენი დარჩენილი ფქვილი ჰქონია და ხეობაში ყრის. ჩვენ აქ ყოფნას რა აზრი აქვს მაინც ვერ დავამარცხებთო. ამდგარან და წასულან. შემდეგ იმ ადგილს, სადაც თურქები გაჩერდნენ და თამარის ციხის აფეთქება სურდათ „კვირიაული“ დაურქმევიათ, იმიტომ რომ ეს ამბავი კვირა დღეს მომხდარა“ (მთქმ. მ. ფევაძე, დაბ. სოფ. უჩამბაში. მცხ. სოფ. ნენიაში. 55 წ. 2005 წ. პირადი არქივი–იხილეთ დანართი №121).

აჭარის რწმენა წარმოდგენებში დღესაცაა შემორჩენილი „კვირკობისა“ (ივლისის პირველი კვირა), და ქაშატობა (გაზაფხუზე) „უქმეები“. ამ დღეს სამუშაოდ არ გაველენ – ნიაღვარი მოსავალს გაანადგურებს, ან მატლი შეჭამსო. სავარაუდოდ, ტოპონიმის, გენეზისი წარმართობის დროინდელ ღვთაება „კვირიასთან“ უნდა იყოს კავშირში, მაგრამ საუკუნეებრივ სახეცვლილებასთან ერთად მოხდა მისი ცვლილება და ის ქრისტიანულ ამბებს დაუკავშირეს.

ამ თქმულებაში შეუსაბამობა ისაა, რომ თამარის დროს დენტის იარადი, მით უფრო ზარბაზნები არ იყო. მეორეც, რახან თამარმა, ლეგენდის თანახმად, კირი გადმოყარა, შესაძლოა, უბნის სახელიც კირს უკავშირდებოდეს – კირიაული.

როგორც ცნობილია, აჭარაში თამარ მეფე დიდ აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდა. მოსახლეობა ყველა ციხის, ეკლესიის, ხიდის, ციხის მშენებლობას თამარს მიაწერს. ვარიანტებადაა გავრცელებული თქმულებები – აჭარისწყლის, ჭვანის, კავიანის, „ყალებონის“, ხირხათისა და სხვა ციხეებისა თუ ხიდების მშენებლობაზე, რა თქმა უნდა, თამარის დროს ან მას მიაწერენ.

ამასთან დაკავშირებით ივერიაში წერდნენ: „იქ, ოსმალის საქართველოში, თამარს მიაწერენ ყოველივე ძველ შენობას, ციხე-სიმაგრეებს, მშვენიერ ხიდებსა და ტაძრებს, ისიც საკვირველია, რომ ოსმალის საქართველოში თამარის გარდა, სხვა მეფეზე ვერას გაიგონებთ“ (გაზ. „ივერია, №11, 1877წ).

სხალთის ხეობისა და მარეთის ხევის საზღვარზე, მთაზე არის ადგილი, პატარა უბანი, რომელსაც „მომწვარი“//„კორეკტი“ (გორა) ჰქვია. გადმოცემით – „სოფელ პაპოშვილებიდან თამარ მეფე და მისი მხლებლები სხალთაში სალოცავად მიდიოდნენ. ამ დროს თამარ მეფის ლაშქარს დასდევნებია მტრის ლაშქარი. თამარს თან ცოტა ჯარი ხლებია, მას დროში რომ მოეგო, გზად ბამბა დაუფენია და ცეცხლი წაუკიდებია, რითაც დიდი ცეცხლი გაჩაღებულა და მტრის ჯარი შეფერხებულა. ამ დროს კი თამარი სამშვიდობოს გასულა. ადგილს კი „მომწვარი“ დარქმევია (შ. გოგიტიძე, დაბ. სოფ ქიძინიძეებში, 61 წ. ჩავ. 2005 წ. პირადი არქივი - იხილეთ დანართი №122). ამ და სხვა თქმულებებით, მთქმელთ ერთხელ კიდევ იმის გადმოცემა სურთ, რომ თამარი არა მარტო მორწმუნე, კეთილი, ქველმოქმედი მეფე, არამედ ყველაფერთან ერთად მოხერხებულცი ყოფილა.

ფრანგი ორიენტალისტი ჟან მურიე, XIX საუკუნის 80-იან წლებში დაწვრილებით აღგვიღწერს ბათუმ-ქობულეთის გზაზე არსებულ სიძველეებს. მას უნახავს „თამარის ციხე“, რომელიც „ძველი სასახლის თუ კოშკის ნანგრევებად“ მიუჩნევია (მურიე 1962: 20).

ისტორიკოსი დ. ბაქრაძე ბათუმის (თამარის) ციხეზე „ხასან-აღას სიტყვით, წარსულში ბათუმი მდებარეობდა დიდ მოვაკებულზე, ყოროლისწყლის მარცხნივ, ამ ადგილზე დღემდე დიდი კედლისა და ექვსი-შვიდი ეკლესიის ნაშთები, სადაც ყოროლისწყალი ზღვას შეერთვის, აღმართულია პატარა გორაკი, რომელზეც ახლა სარაიად წოდებული ბეჟან-ოღლის სახლი დგას, ხელოვნური გორაკია, რომელიც თამარ მეფემ გააკეთებინა იმ დროს, როცა დიდი ლაშქრით უკან ბრუნდებოდა ტრაპიზონიდან (ავტორის მოსაზრებით ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით 1204 წ. მასზე თამარმა მაშინვე ააგო ციხე, რომლის ნაშთი დღესაც ჩანს. საერთოდ, ბათუმის მიდამოებში ბევრი დანგრეული ტაძარია. ზოგი მათგანი ხასან-აღას თავად უნახავს. ასე მაგალითად, სარაიას ზემოთ ოთხი ეკლესიაა, ერთი მათგანი ზედ ყოროლისწყლის სათავესთან. იგი კარგა დიდი იყო და გუმბათოვანი... ახლანდელ ბათუმთან ახლოს, მაღალ გორაზე, დგას მოზრდილი ეკლესია სამებისა, ჩამოვარდნილი გუმბათით. სამებაში იყო წარწერებიანი საფლავის ქვები, ორი მარმარილოსი, ერთ მათგანზე ეწერა: „ღმერთო აცხოვნე მარიამ“. ქვის ადგილსამყოფელი უცნობია, ის სადღაც წაუღიათ და ვის არ იციან... ადგილზე მისულ ბაქრაძეს ეკლესიის ადგილზე ეკლესიის მიმოფანტული ქვების გროვა დახვედრია. მას არც გუმბათი და არც

რაიმე მოხატულობის კვალი არ შერჩენოდა: „ეკლესიას ხუთი საუენი სიგრძე ჰქონდა, იგი შედგებოდა ჩდილოეთის კედლისა და დასავლეთის ფრონტონიანი ფასადისაგან, მისი სხვა ნაწილები დანგრეული იყო” (ბაქრაძე 1987: 24-28).

პროფესორი რამაზ სურმანიძეც ადასტურებს ამ ტოპონიმების არსებობას და აღნიშნავს: „ბენზეში, გადასავლელ ხიდთან მისვლამდე არის პატარა გორა, რომელ გორაზე დღესაცაა ციხის ნანგრევები. რომლის გვერდით აშენდა ეკლესია. მოსახლეობა ამ ადგილს „თამარის ციხეს”, ხოლო მის მიმდებარე ტერიტორიას კი „თამარას“ ეძახის. გადმოცემის თანახმად „ბენზეში ამ ადგილის დასახლებას – „თამარის დასახლება” ან კიდევ „თამარას” ეძახდნენ.

გადმოცემის მიხედვით – „ტრაპიზონიდან მომავალ თამარ მეფესა და მის თანმხლებ ქალებს ამ ადგილას შეუსვენით, ტალახიანი ფეხები აქ გაუწმენდიათ. ისინი ბევრი ყოფილან და მათი განაწმენდი ტალახისგან – გორა, ბორცვი გაკეთებულა. შემდეგში ხალხს ამ ადგილისთვის „თამარის ბორცვი” დაურქმევია. ადრე ეს ტერიტორია და მის მიმდებარე ადგილები ყოფილა ქალაქის ცენტრი, ხოლო ახლანდელი ბათუმის ადგილას კი ყოფილა მდინარე ჭოროხის დელტა, შემდეგ, ბუნებრივი პროცესების გაუმჯობესებას კი ქალაქი თანდათან აქეთ გადმოუნაცვლებია (იხილეთ დანართი № 123; 124 - პროფ. რამაზ სურმანიძე, ხელნაწერთა უფლების დაცვით. 12. 08. 2012. პირადი არქივი).

ბათუმის ციხეზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიკვლეული ნივთების შესწავლა ადასტურებს, აქ არსებულ უწყვეტ ცხოვრებას მეორე ათასწლეულიდან ვიდრე ჩ. წ-მდე (ინაიშივილი, ხახუტაიშივილი 1962: № 170).

**კავიანის ციხე** – აჭარისწყლისა და ჭვანის წყლის შესართავთანაა, შემადლებულ ადგილას. მდ. აჭარისწყლის მარცხენა მხარეს. ამ ციხეს აქაურები ორი სახელით მოიხსენებენ „თამარის ციხე” და „კავიანის ციხე”. ამ ციხის სახელწოდებასთან დაკავშირებით დ. ბაქრაძეს გადმოცემაც ჩაუწერია: „ამბობენ, ამ ციხეს კავიანი იმიტომ ჰქვია, რომ დიდი გაჭირვებით და მხოლოდ კავით შეიძლებაო ასვლა”. იქვე სქოლიოში კი მიუთითებს: „ციხის სახელწოდება შეიძლება ამგვარად აიხსნას: ალბათ კავიანი ერქვა, ქავი კი ციხის გალავანს ერქვაო” (ბაქრაძე 1987: 52).

„კავიანის ციხე” მაღლობიდან გადმოჰყურებს მდინარე აჭარისწყლის ხეობის მაგისტრალს, მდებარეობს აჭარისწყლის მარცხენა მხარეზე, კავიანის სერზე,

ხიჭაურის პირდაპირ, მდინარეების ჭვანისწყალისა და აჭარისწყლის შესაყრის ქვემოთ. ციხის სანახებიდან იშლება ჭვანის ხეობის ხედი (თ. კომახიძე 2010: 87).

ვახუშტის გამოყენებული აქვს ბოლოსტიკეს ომში ნუქარდინ სულტანზე გამარჯვების ამბებთან დაკავშირებული ლეგენდა (ქ.ც. VI : 188) ამ ლეგენდის ვარიანტი ცნობილია, ქართველ მაჰმადიანთა ზეპირსიტყვიერებაშიც (ჭიჭინაძე 1911: 38). ეს ლეგენდა გვიამბობს გარეშე მტრებთან ბრძოლის ხერხებსა და მეთოდებზე, რასაც მათ დასამარცხებლად თამარ მეფე იყენებდა. გაგაცნობით ერთ მათგანს: „გაჭირვებაში ჩავარდნილ აქაურ მცხოვრებლებს გადაუწყვეტიათ ციხე-კოშკის აშენება, მაგრამ სამშენებლო მასალის მიტანა ყველაზე უფრო მეტად გაძნელებულა. მაშინ ერთი მანდილოსანი გამოსულა ხალხის წინაშე და განუცხადებია: „- საკვირველი ის არის, რომ ამდენი მამაკაცი აქ ხართ და ამოდენა მიღეთის გადარჩენაზე არ ფიქრობთ. მშვილდკოდები ბევრად არაფრადაა სახმარი, ისა სჯობია, ცოტა გავისარჯოთ და თავშესაფარი ციხე-გალავანი ავაშენოთ. მანდილოსანის სიტყვები ხალხს მოსწონებია. დედაკაცისათვის ხოტბა შეუსხამს იქ მყოფთ და ციხე-კოშკის მშენებლობისათვის მზადების თადარიგს შესდგომიან.

აურაცხელი მტერი შემოსევია ჩვენს მიწა-წყალს. შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სოფლები და ქალაქი ბათუმი აუოხრებიათ. რაკი გული უჯერებია იქაურთა ჟღერით, შემდეგ აჭარისწყლის ხეობაში განლაგებული სოფლებისათვის დაუწვია ანგარიშის გასწორება. სწორედ ასეთი ავბედითობის დროს, ბჭობა გაუმართავთ ჭვანელებსა და დანდალოელებს. თავი მოუყრიათ ხიჭაურთან ახლოს, იქ სადაც ჭვანისწყალი აჭარისწყალს ერთვის და ციხე-კოშკის მშენებლობა დაუწვიათ. გმირ ქართველ ვაჟკაცებს პიტალო მთის თავზე დაუწვიათ მშენებლობა კოშკი აღუმართავთ (ანანიძე 1972: 3) - იხილეთ დანართი №125).

კავიანის ციხის აშენებას თამარ მეფის სახელს უკავშირებენ სოფ. ხიჭაურის მკვიდრნი, მათი გადმოცემით: „გაგულისებულმა რუქნადინმა საქართველოს აოხრება და თამარის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა, დიდძალ არმიას მოუყარა თავი და საქართველოში შემოიჭრა.

თამარის ადგილსაყოფელის გასაგებად რუქნადინმა მზვერავები ოთხივე მხრით დაგზავნა. ამოდ დაშვრენ მზვერავნი. უკან დაბრუნებულებმა რუქნადინს ერთი ცნობა მიაწოდეს: თამარი აჭარისწყლის ხეობით წასულაო ქვეყნის მომარაგებისა და ჯარის შესაგროვებლად.

რუქნადინი თავისი არმიით ჭიანჭველასავით მოედო აჭარისწყლის ხეობას. ის ნატვრით მოედოდა თამარის ჯარის დამარცხებას, დედოფლის ხელში ჩაგდებას.

თამარ მეფე, თავისი ამალით, დანდალოს ხიდს მისდგომია. იქედან ხიჭაურის ამაღლებული პატარა ვაკე დაუნახავს და უთქვამს – აქ ციხე უნდა ავაშენოთ. მეფეს ღამის გათენება კი კავიანის მინდორზე გადაუწყვეტია. ხიჭაური კავიანიდან ერთ საისრეზეა. თამარი ვარაუდობდა, რომ რუქნადინის ჯარი სწორედ ხიჭაურის ველზე დაბანაკდებოდა. თამარ მეფემ ერთ დღეზე ააგებინა კავიანის ციხე. ბოლოს თვითონაც ასულა, ერთი ქვა აუტანია, ესეც ჩააშენეთო. – ეს ქვა „თამარის ქვად“//„ოქროს ქვად“ იწოდებოდა, ნაწილი კი „ჯვარდასმულ“ ქვად მოიხსენიებს. ხალხს ეს ქვა გაუკუღმტვია. აქაურების რწმენით, მას სამკურნალო თვისებები ჰქონია. „ძველად ამ ქვასთან მიდიოდნენ და იმ მიდამოებიდან მიწა მოჰქონდათ – ვის ოჯახის ბარაქა//ხვავისთვის, ვის ბავშვი „წმინდანით“ ან „გვეჯოთი“ თუ იყო დავადებული, იქედან მოტანილი მიწით ჩვილს მკურნალობდნენ. დავადებულ ბავშვს შელოცვის მერე წმინდა მიწას ბალიშქვეშ შემოუდებდნენ. მათი რწმენით დაავადებული განიკურნებოდა (მთქ. ხ. ქათამაძე, დაბ. და მცხ. სოფ. ხიჭაურში. 75 წ. ჩაიწერა შ. ქათამაძემ, 2004. პირადი არქივი–იხილეთ დანართი №126).

ამავე ციხეს უკავშირდება თქმულება **„დედოფლის ნაქოშარი“** // **„თამარ მეფის ნაქოშარი“** – ადგილი ტყეში, კავიანამდე ასასვლელ გზაზე, რომელიც თამარის ნაფესურს, ნაქოშარს შეეხება. გადმოცემა, ხიჭაურშია ჩაწერილი და მოგვითხრობს: „ერთხელ თამარ მეფე აჭარაში გამოხიზვნია ნადირ – შაჰს. ხიჭაურში გაჩერებულს კავიანის ციხისა და ვარდციხის აშენება უბრძანებია. მშენებლებს დაუწყევიათ ციხის მშენებლობა. მეფეს გადაუწყვეტია, თავადაც აეტანა ერთი ლოდი და ენახა, თუ როგორ აშენებდნენ ციხეს. ციხეზე აღმართში ასვლისას მეფეს ფეხზე ცალი ქოში წაძვრომია. მეფეს ქოშისთვის თავი გაუნებებია და მეორეც გაუხდია, მიუტოვებია და გზა ფეხშიშველს გაუგრძელებია და უთქვამს: „აღბათ ღმერთმა ასე ინებაო“. ის ლოდი ციხემდე აუტანია. იმ ადგილს, სადაც ფეხზე ქოში გაძვრა, აქაურებს იმ ადგილისთვის „დედოფლის ნაქოშარი“- დაურქმევიათ (ჩაიწერა ფ. ქათამაძემ. ხ. ქათამაძისგან დაბ. და მცხ. სოფ. ხიჭაურში 74 წ. 2005 წელს - იხილეთ დანართი №127).

თამარ მეფეზე გადმოცემებს, თურქეთში მცხოვრებ „ჩვენებურებთანაც“, ერთობ საინტერესო და იდენტურ თქმულებებს ვხდებით.



თამარ მეფის შესახებ თქმულებები მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებში, „ჩვენებურთა“ ფოლკლორშია შემორჩენილი. მათი რელიგიური აღმსარებლობის, მიუხედავად, თამარ მეფეს მოიხსენიებენ, როგორც იდეალურ პიროვნებას, სიბრძნითა და მაღალზნობრივი თვისებებით შემკობილ ადამიანს. მკვლევარ შ. ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართული“ უამრავ საინტერესო ფოლკლორულ მასალას გვაწვდის. ინფორმატორების გადმოცემით, თამარი მათი წინაპრების საფიცარ მხეს წარმოადგენდა, რომელიც მათ დღევანდელ ყოფაშიც აისახება – „ჩვენ ზუგლანდელებმა ისე მითხრეს, თამარ დედოფალი ღმერთისა მოყუარული ყოფილა. ჩვენ ზალიან შამაყუარეს“ (ფუტკარაძე 1993: 173).

აჭარიდან წასული „ჩვენებურების“ თამარ მეფისადმი სიყვარული განუსაზღვრელია, სამშობლოს ნოსტალგიით შეწუხებულებს თამარზე სიმღერაში უნახავთ შვება – „თამარ დედოფალი ყოფილა ზამანუნდა. ხალხსა ძალუან ყუარებიან, გაჭირვებულსა, იეთიმსა, ავატყოფსა ეხმარებოდა მეგემ, და იმი გულობაი. მისი გაკეთებული ქემერქოფრები ბევრია შავშეთ, აჭარას, ახისხას. ასე იტყოდა ჩემი ბაბოი, მემედ ეფენდი გულო ბაიარახტოლდი, გოგნიავრიდან გამოსული. ზოგი ლექსები მახსოვს ზოვლი. ვიმღერებდით:

ვორირავ და ქამარავ, რეროვ, რერავ და ქამარავ,  
 ვორირავ და ქამარავ, რეროვ, რერავ და ქამარავ  
 ზითვალ გიგავს პირიო, მე შენთვინა და ვტირიო,  
 რას დაგვაკლებს მტერიო, მეც იმაზე ვმღერიო.  
 ვორირავ და ქამარავ, რეროვ, რერავ და ქამარავ  
 ჩუენო დიდო დედაო, ეს რა დეგვებედაო.

**ჩუენო დიდო ანაო, აქ რამ და მოგვიყვანაო,**

ვორირვ და ქამარავ, რეროვ, რერავ და ქამარავ  
 შორ დიგვირჩა მემლექეთი, ღმერთო მეგვე ბერექეთი,  
 ვორირვ და ქამარავ, რეროვ, რერავ და ქამარავ,  
 ვორირვ და ქამარავ, რეროვ, რერავ და ქამარავ!

მთქმელი; ხასან ჩიბუქი (გოგოტიძე)და მერჯან ნაარინი (ფუტკარაძე - ფუტკარაძე 1993: 55)

როგორც აჭარაში, ასევე თურქეთში გადასული „ჩვენებურები“ ყველა ხიდის მშენებლობის ინიციატორად თამარ მეფე თვლიან.

ამ თქმულებაში ისინი ქართველ ხალხის გონიერებაზე საუბრობენ. ქველმოქმედ მეფეს ეკლესიების ასშენებლად პირადი ნივთებიც კი არ შებრალებია, უკანასკნელი თმის ოქროს საბნევი მოუძვრია და ისიც ეკლესიისთვის შეუწირავსო.

სამეცნიერო კვლევებში, როგორც ცნობილია, თამარ მეფე, როგორც აქაურთა ისე „ჩვენებურებთა“, ცნობიერებაში წმინდა მეფედაა დამკვიდრებული და მისდამი დამოკიდებულებაც წმინდათაწმინდაა. ისტორიული ავბედითობის მიუხედავად, თამარ მეფე არც აქაურთა და არც იქაურთა ფოლოკლორში არ დაკნინებულა, პირიქით, მისი სახე უფრო და უფრო გაიზარდა და შეერთო წმ. მარიამის ხატებას.

## თავი V. ოსმალეთის აგრესიასთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები

XVI საუკუნიდან აჭარა თურქთა მუდმივი აგრესიის ობიექტი გახდა. ირან-ოსმალეთს შორის გამართული ომი ოსმალეთის გამარჯვებით დამთავრდა. 1555 წლის ამაციის ზავით დასავლეთ საქართველო ოსმალეთს ერგო. სამცხე, აჭარა, ჭანეთი თურქებმა საქართველოს მოსწყვიტეს, ოსმალეთის პროვინციად გამოაცხადეს და ოსმალური მმართველობა დაამყარეს.

უსჯულო მტერმა კარგად იცოდა, რომ ქართველი ერის გასანადგურებლად აუცილებელი იყო ქრისტიანობის აღმოფხვრა, ამიტომ ყოველ ღონეს მიმართავდა აჭარლების გასამაჰმადიანებლად. როცა ცბიერებით და მოტყუებით ვერაფერს გახდა მან ძალადობას მიმართა (გოგოლიშვილი 2010: 41).

აჭარაში თითქმის არ არსებობს სოფელი, სადაც „ნაქილისვარი“ ანუ ნატადრალი არ იყოს. შეიძლება ძველი სალოცავების ნაშთები შემორჩენილი არ იყოს, მაგრამ გვხვდება ტოპონიმები, რომლებიც ამ ადგილების წარსულსა და აჭარის მკვიდრთა მიერ გამოვლილ ისტორიულ ქარტეხილებზე მეტყველებს. ზოგიერთ ტოპონიმს ისეთი გადმოცემაც ახლავს, რომელიც კარგად გვიხატავს ადგილის დასახელებაში ჩადებულ ისტორიას. ზოგჯერ კი ლეგენდა ბოლომდე ვერ გვიხსნის ტოპონიმში დაფარულ შინაარსს.

ასეთი გადმოცემების რიგს მიეკუთვნება „კუტი-ჯვრის“ (მთა სოფელ დარჩიძეებთან) საინტერესო ლეგენდა, რომლის მოკლე ვარიანტი საუკუნის წინათ ჩაუწერია თ. სახოკიას (სახოკია 1985: 270-271). გადმოცემის შედარებით ვრცელი ვარიანტის მიხედვით, „ყავადლულის ბატონი ღრმა მოხუცებულობაში გარდაცვლილა, დარჩენილან მისი მოხუცი დედაბერი და ორი ვაჟიშვილი – ჩირუხელა და ცხვირკოხელა; უფროს ძმას - ჩირუხელას ლამაზი ცოლი ჰყოლია; ერთ დღეს ძმები ყალებოინში წასულან, სოფელს მტერი დასცემია, მცხოვრებლები გაუფლგეით და უფროსი ძმის მეუღლე გაუტაცნიათ; დედაბერი მაღალ მთაზე გაქცეულა და გამწარებულს ისე ძლიერ დაუყვირია, რომ მისი ხმა შვილებს ყალებოინში გაუგონიათ, თვითონ კი დაკუტებულა, რის გამოც მთას „კუტი-ჯვარი“ დარქმევია. ძმები გამოქცეულან, მთელი სოფელი დადევნებია მტერს და არტაჰანთან ახლოს დიდი ბრძოლა გამართულა. ორივე მხარეს დიდი ყოფილა მსხვერპლი, მაგრამ ქართველებს მაინც გაუმარჯვიათ და ქალიც დაუბრუნებიათ; ბრძოლის ადგილზე ქართველებს ქალაქი გაუშენებიათ და „ჯან

ქალაქი“ ანუ „წმინდა ქალაქი“ დაურქმევიათ (რუსიძე 1950: №115: 9-12) –იხილეთ დანართი №129).

ეს მეტად მიმზიდველი ფოლკლორული გადმოცემა მხოლოდ ნაწილობრივ გვიხსნის კუტი-ჯვრის ისტორიას, განმარტავს ტოპონიმის პირველ ნაწილს („კუტი“), მაგრამ უცნობი რჩება მის მეორე ნაწილში დაფარული საიდუმლო („ჯვარი“). ამ ადგილას ტყე-ბუჩქნარით დაფარული ეკლესიის ნანგრევებია დადასტურებული.

1980 წელს ზემო აჭარაში ლუკა ქუთათელაძემ (მაზრის უფროსს ს. ლორთქიფანიძეს გაჰყოლია). იგი სხალთაშიც ასულა. აქ მდებარე ეკლესიის აღწერისას, იქვე დასძენს, რომ „ასეთივე ეკლესია ყოფილა სოფელ დარჩიძეებში, სხალთასთან ახლოს. ავტორი მოითხოვს მის შესწავლას, სანამ აქ ქვა-ქვაზე აღარ დარჩენილა (ფუტკარაძე 1980: 88).

დაკვირვება ცხადყოფს, რომ აჭარულ ტოპონიმურ გადმოცემებში შეინიშნება ტენდენცია, მტერთან ბრძოლის ამსახველი ძველი თქმულებებიც კი ოსმალთს აგრესიის პერიოდს დაუკავშირონ, რაც არ არის შემთხვევითი. (იხილეთ დანართი №130; 131).

იოსებ ბექირიშვილი წიგნში „ქრისტიანობა აჭარაში“ წერს: „აჭარაში ქრისტიანობაზე საუბრისას, რასაკვირველია, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ მან აქ თავისი როლი ეროვნულ საკითხებშიც, კერძოდ, ქართული მეობის შენარჩუნება-შენახვაშიც შეასრულა. აჭარის მკვიდრნი საქართველოს სხვა მხარეების მცხოვრებთაგან განსხვავებით უფრო დიდხანს იბრძოდნენ ოსმალთა დამპყრობელთა წინააღმდეგ. აი, სწორედ მამა-პაპათა რწმენა, მისდამი ერთგულება კიდევ უფრო თავგანწირულს ხდიდა ამ ბრძოლას. ამას კი ისიც აძლიერებდა, რომ მტერი რწმენით მუსლიმანი იყო. ამიტომაც მისი მიზანიც აჭარელთა მეხსიერებიდან ქრისტიანობის სრული ამოგდება წარმოადგენდა, რის გამოც თავისი აქ შემოჭრის პირველი დღეებიდანვე არაფერს თაკილობდა საამისოდ, ნებისმიერ მეთოდსა და ხერხს მიმართავდა... თუმცა ჩვენს წინაპარს ისლამი მაინც მიაღებინეს“ (ბექირიშვილი 1991: 6).

აჭარის მძიმე ისტორიულ წარსულზე მრავალი ტოპონიმი მეტყველებს: ხერთვისში გვაქვს ტოპონიმი „ნაგმირევი“; ნაომრიყელი დაფიქსირებულია ალაძეებში, ტუნაძეებსა და წინწკალაშვილებში; ნაომგარი – ახალდაბაში, ქიძინიძეებში, გორგაძეებში, რიყეთში, ღურტასა და ხარაულაში; ნაომგრალი – ცინარეთში და ა. შ. ოსმალთს აგრესიას უნდა უკავშირდებოდეს ტოპონიმები:

**ნაოსრვევი** ჯუმუშაურში; **ნაოსრები** – ხიხაძირში; **ნაოსვარა** – მაწყვალთაში, გორგაძეებსა და წაბლანაში (შუახვევი); **ნახიზნევი** – აგოთაში (მთა ქედაში), ოლადაურში, ხიხაძირში, ჯალაბაშვილებში, ღურტასა და ქიძინიძეებში, **ნადაბური** – ხიხაძირში და ა. შ. ბევრ ისტორიას კი მხოლოდ ტოპონიმური გადმოცემა ინახავს (ბეჭირიშვილი 2002: №151: 6).

ზ. ჭიჭინაძე **სოფელ გულების** შესახებ წერდა: „გულები მშვენიერი სოფელია და ისეთ ალაგას სძევს, რომ მინამ კაცი შიგ სოფელში არ მივა, მინამ ვერას დაინახავს. ეს სახელი „გულები“ მასზედ კანონიერია. ამ სოფლის ზემოთ ქელასყურის მთის ახლოს ძველად ეკლესია ყოფილა, სადაც იქაურები დადიოდნენ სალოცავად... აქ მოსახლეობენ დიასამიძენი...“ (ჭიჭინაძე: 7-130). ზ. ჭიჭინაძის მინიშნება სოფლის დასახელებაში დაფარულ საიდუმლოზე მეტად ბუნდოვანი ჩანს. მკვლევარი, ალბათ, გულების მკვიდრთა გულითადობაზე ამახვილებს ყურადღებას, ან სხვა რამ აქვს მხედველობაში. სამაგიეროდ, აჭარის ფოლკლორი ამ ტოპონიმს კონკრეტულ ისტორიას უკავშირებს და ნიშანდობლივია, რომ მასში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თამარ მეფეს და ოსმალებთან ბრძოლის თემას უკავია.

ტოპონიმ გულებთან დაკავშირებით საინტერესო მასალა მოგვაწოდა ამ სოფლის მკვიდრმა რომან დიასამიძემ: „სოფელ გულების თავზე მიუვალ ადგილას, ჩაქვისა და გულების საზღვარზე, მდგარა ეკლესია. ხალხი ამ ეკლესიას თამარის ეკლესიას ეძახის. აქაურებს ეს ეკლესია სპეციალურად მიუვალ ადგილას აუშენებიათ. წინაპრების გადმოცემის თანახმად, თურმე თამარი აქ დადიოდა და ღამითაც რჩებოდაო. ამ ეკლესიას ერთი მხრიდან ჰქონია მისასვლელი და ისიც გზასთან სამი მეტრის სრამით ყოფილა დაშორებული. გადასასვლელი საშუალება – ხეებისაგან გაკეთებული ძელი ყოფილა. ამ ძელს თუ არ გადებდნენ, ეკლესიაში შესვლა შეუძლებელი იყო მიმსვლელთათვის. როცა ახლობელი მიდიოდა, ხიდს (ძელს) გასდებდნენ, მერე კი ისევ შეინახავდნენ. ეკლესიის გადასასვლელთან გუშაგი ყარაულობდა, თუ ვინმე მტერი გამოჩნდებოდა, სხვებსაც გააგებინებდა და მტერს მედგრად მოიგერიებდნენ. ერთხელაც ამ ეკლესიას თორმეტი შეირადებული დასხმია თავს, მათ ამ სიწმინდის ხელყოფა განუზრახავთ. ეკლესიის გუშაგს თორმეტივე კაცი მოუკლავს და სხვების დასაშინებლად თორმეტივესთვის გული ამოუცლია და ჯვარზე წამოუცვამს, ეს ჯვარი კი ყველასათვის უჩვენებია. ამის შემდეგ ამ

სოფელს „გულები“ დარქმევია“ (მთქ. რ. დიასამიძე, დაბ. და მცხ. სოფ. გულებში. ჩაიწ. 2006 წ. პირადი არქივი - იხილეთ დანართი №132; 133; 134; 135).

ოსმალური მმართველობის დროს „აჭარაში გამაჰმადიანების საქმე ერთობ გაძნელებულა. ზოგიერთი მოხუცებული კაცები და ნამეტურ დედაკაცები ქრისტიანობაზე მტკიცედ იდგნენ და თან ოსმალს მოლა-ხოჯებსაც ეკამათებოდნენ და ედავებოდნენ... ასეთ ადამიანთა რიცხვი ამ კუთხეში დიდი ყოფილა... ბოლოს მთავრობისგან ასეთი ბრძანება გამოსულა, რომ ყველა ეგენი დაიჭირეთ და გაამაჰმადიანეთო, თუ არ გაამაჰმადიანდნენ, მერე დახოცეთო. მალე აჭარის მოხუცებულები შეუკრებიან და აქა-იქ ციხეებში დაუმწყვდევიან, ესენი აჭარისწყლის შესართავთან მიურეკიანთ, სადაც ძველად თამარ მეფის ხიდი ყოფილა მასზე გაუკეთებიათ თავსაკვეთი. აქ მოხუც ქრისტიანებს თავს სჭრიდნენ, მერე ენის წვერსა და ფაშას უგზავნიდნენ (ჭიჭინაძე 1910).

ოსმალს აგრესიასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტოპონიმური გადმოცემა ჰაგიოგრაფიულ შაბლონს იმეორებს. ცხადია, აქ ნაკლებად მოსალოდნელია ლიტერატურული გავლენა და გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საერთო თემატიკას. ამ გადმოცემების უსახელო გმირები ქრისტიანი მოწამეები არიან.

სოფელ კირნათის მოწამეებს შეეხება ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ზემო ჩხუტუნეთის მკვიდრ ქაზიმ კახიძის მონათხრობი, რომელიც მას ასი წლის დედისგან გაუგონია: „სოფელ კირნათში თურქები რომ შემოსულან, მათი პირველი მიზანი ხალხის გათათრება ყოფილა. ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ ამ კუთხეში ძირძველი რწმენა ჩაენაცვლებინათ სხვა სარწმუნოებით, ამ კუთხის ხალხი კი რწმენის განსაკუთრებული სიყვარულით ყოფილა გამორჩეული. თურქებს მათთვის ვერაფერი მოუხერხებიათ. მათ ადგილობრივებისათვის ქონება, სიმდიდრე და პატივი შეუთავაზებიათ, მაგრამ აქაურებს ისინი უარით გაუსტუმრებიათ. გაწბილებულ თურქებს ასეთი ხერხისთვის მიუმართავთ. ერთ დღეს სოფელში, სადაც 50 კომლი ცხოვრობდა, გამოუცხადებიათ – ან გამუსლიმანდებით, ან ადიდებულ ჭოროხში შეხვალთ და გადაცურავთო. თუ ვინმე ჭოროხს მშვიდობიანად გადაცურავდა, მის ოჯახს ხელშეუხებლობასა და ქრისტიანად დარჩენას ჰპირდებოდნენ, თუ არა და სიკვდილით დასჯიდნენ. გამაჰმადიანებულ ოჯახს კი ფუფუნებასა და ყოველგვარი გადასახადისგან გათავისუფლებას აღუთქვამდნენ. ამ სოფლის 50 კომლი არც კი დაფიქრებულა, ისე შესულა ადიდებულ ჭოროხში, ამათგან

მხოლოდ ხუთი გადარჩენილა, ხოლო დანარჩენები ჭოროხის მსხვერპლად ქცეულან. ამ ადგილს მოსახლეობის ნაწილი „წითელ ხიდს“ ეძახის“. (იხილეთ დანართი №136; 137; 138).

ეს გადმოცემა მრავალი მოტივით გვაგონებს უძველეს ჰაგიოგრაფიულ ტესტებს „ეესტათი მცხეთელის წამებასა“ და „აბო თბილელის წამებას“ (სიმდიდრისა და პატივის შეთავაზება, მოწამეების ურყევობა და ა. შ), მაგრამ, ყურადსაღებია სხვა გარემოებაც. საქმე ის არის, რომ მთქმელების ნაწილი ამ ამბავს „წითელ ხიდს“ კი არ უკავშირებს, არამედ მის მიმდებარე ტერიტორიას. მათი აზრით, სახელწოდება „წითელ ხიდი“ რუსეთის მმართველობის დროსაა გაჩენილი. ეს შესაძლოა მართლაც ასე იყოს, რადგან ამავე გადმოცემის საუკუნის წინანდელ ვერსიაში, რომელიც ზაქარია ჭიჭინაძეს ქედის რაიონის სოფელ მერისში მცხოვრები მოხუცისგან ჩაუწერია, ტოპონიმი წითელი ხიდი არ ფიგურირებს: „ძალით გამაჰმადიანებული ქრისტიანობდნენ და ესენი საიდუმლოდ ღორის ხორცსაც ჭამდნენ. ამ ამბით მოლეები გადარეულან და უთქვამთ – სთქვით, რომ დღეიდან თათრები ხართ, ქრისტიანობაზე ხელს იღებთ და ღორის ხორცს აღარ სჭამთო. მოსახლეობისაგან სასტიკი უარი მიუღიათ, მოლას საპასუხოდ განუცხადებია – რაკი არ შეგიძლიათ, მაშ შედით მაგ ჭოროხში და ვინც შიგ გაცურდება, გაღმა გავა, ის გადარჩება ქრისტიანად, ვინც არ შევა, იმას ხმალი დახვდება უკან. ამაზე ბევრი შეშინებულა და განუცხადებიათ, რომ დღეიდან ნამდვილი მაჰმადიანები ვიქნებით და ყველა ბრძანებას შევასრულებთო. ვინც წინაღმდეგი ყოფილა, ისინი სულ შესულან ჭოროხში; ჭოროხი ამ დროს დიდი ყოფილა და ყველა ეს საბრალოები შიგ დამხნვალან და და ერთიც არ გასულა გაღმა. ამ დროს ქვედა მარადიდში 50 კომლი იყო ყველა ესენი ჭოროხში ისე დაიდუპნენ ქრისტიანობის გულისათთვის, რომ რომ სოფელში ხუთი კომლიდა დარჩაო“ (ჭიჭინაძე 1859: 84).

ტოპონიმი „წითელი ხიდი“ გვიანდელიც რომ იყოს, ერთი რამ ცხადია: მოწამეთა სისხლისღერის ისტორია სახელით შესატყვის ადგილს დაუკავშირდა.

„წითელი ხიდის“ გადმოცემა მრავალი მოტივით გვაგონებს ჯალალედინის მიერ ასი ათასი თბილისელი ქრისტიანი მოწამის მოსრვის ისტორიას, რომელზეც უამთააღმწერელი მოგვითხრობს: „ესრეთ რა ძლიერად ჰელთ-იგდო ქალაქი სულტანმან, კუალად იწყო უბოროტესთა ბოროტთა ქმნად ქრისტიანეთა ზედა. ესოდენ მძუნვარედ მოსრვიდა, რომელ სავსე იყენეს ფოლოცნი, ხრამნი და ჳნარცუნი მოკლულთა მიერ, და უმრავლეს მკუდართა მტკუარსა შეუტეობდეს.

ამასთან არავე დამშუდნა ცუდრჯული იგი და ბილწი, მოიგონა სხუაცა სიბოროტე, რომლისა კსენება სირცხვილ მიჩნს, გლოვათა და ცრემლთა მიერ შევიცვები, თუ ვითარ განვარისხეთ მოწყალე და შემწყნარებელი ღმერთი არაშეწყალებად ჩუენდა: იწყო რღუევად ეკლესიათა, ვიდრე საფუძველადმდე აღფხურა, რომლისათვის იკადრა და კელ-ყო სიონისა გუმბადსა შემუსრვად და ზედა ბილწისა საჯდომისა მისისა აღშენებად, რომელი-იგი კიდითა მადლითა და გრძლითა განვიდა აღსლვად. და ესეცა შესძინა, რამეთუ ხატი უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესი და ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, რომელი სიონს მკუდრ იყო, ბრძანა მოყვანებად და კიდისა შესავალსა დადებად პირ აღმართა, და ბრძანა ყოველთა მათ პერობილთა ქრისტიანეთა, მამათა და დედათა, იძულებით დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა, უკეთუ არა ყონ, წარკუეთა თავთა. და ვითარ აღასრულებდეს ბრძანებულსა, მოჰყვანდეს მამაკაცი დედათა თანა და აიძულებდეს ესრეთ ყოფად. მრავალთა უკუე ბრწყინვალე ძლევა აჩუენეს არა თავსდებად შეურაცხებად წმიდათა ხატთა და დატევებად სჯულისა. ხოლო მრავალი სიმრავლე მამათა და დედათა იპოვა ახოვნად, რომელთა მიიღეს გურგუნი წამებისა, რომლისა აღრაცხვა შეუძლებელ არს სიმრავლისათვის, რამეთუ ვჰგონებ, ვითარმედ ათ ბევრ აღიწია რიცხუ მოკლულთა“ (ქართლის ცხოვრება 2006: 541).

ოსმალოს დამპყრობლების სისასტიკეზე დოკუმენტური ცნობებიც არსებობს: „1853 წელს ომი კავკასიაში თავისებურად წარიმართა. იგი აქ სრულიად მოულოდნელად დაიწყო. ჯერ კიდევ რუსეთის ჯარი სათანადოდ არ იყო განლაგებული საბრძოლო მოქმედებისათვის, რომ 16 ნოემბერს, ღამით, თურქებმა სოფელ შეკვეთილთან 5-ათასიანი ჯარი გადმოსხეს. კაპიტან შჩერბაკოვის მეთაურობით აქ რუსეთის ჯარის არასრული ორი ასეული იდგა ორი ქვემეხით. მიუხედავად გმირული ბრძოლისა, მცირერიცხოვანი ნაწილი თითქმის სრულიად განადგურებული იქნა. სოფელში თურქებმა საზარელი მხეცობა ჩაიდინეს. იქ მყოფი ჩინოვნიკი მუცელზე გაჭრეს და მიზანში სროლა დაუწყეს. ადგილობრივ მღვდელს თავი გადახერხეს, დახოცეს მოსახლეობა, ერთი ფეხმძიმე ქალს მუცელი გაუჭრეს და ჯერ კიდევ ცოცხალი ბავშვი დედის თვალწინ ნაკუწებად აქციეს“ (ტარლე 1853: II).

ქრისტიანული აღმსარებლობის გამო აჭარლების აწიოკებაზე მრავალი ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს, რომლებიც ადასტურებენ, რომ მტერს თავსაკვეთები და სახრჩობელები ჰქონდათ მოწყობილი აჭარისწყალზე, ქედაში,



დანდალოში, ჩაქვში, ხულოში, შუახევში და სხვ. აღნიშნულ ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას პროფესორი შ. ფუტკარაძე: „ისტორიულ ზემო ქართლში ოსმალთა ბატონობის დროს ეროვნული დამოუკიდებლობისა და ქრისტიანობისათვის ბრძოლას ბევრი სიცოცხლე ემსხვერპლა. საუბედუროდ, ისტორიას არ შემორჩა მათი სახელები, უსახელოდ დარჩენილ წამებულებს სათვალავი არ ეყოფათ. ცნობილია, რომ მდინარეების – მტკვრის, ჭოროხისა და აჭარისწყლის გასწვრივ ბევრგან თავსაკვეთი ადგილები იყო მოწყობილი. წამებულებს წყალში ყრიდნენ, წყალი წითლად იღებებოდა. წამებულთა გვამები ხის შავი კუნძებივით მიჰქონდა შეწითლებულ მდინარეს” (ფუტკარაძე №253, 2002: 4).

გამონაკლისს წარმოადგენს სოფელ აკეთასა და კაკაშვილების შესახებ არსებული გადმოცემები, რომლებსაც ქრისტიანი მოწამეების სახელებიც შემოუნახავს.

აკეთელ მოწამის – კონსტანტინეს შესახებ გადმოცემა შ. რუსიძეს ადგილობრივ სულეიმან მუსტაფისძე დუმბაძისგან ჩაუწერია. მოქმელი მომსწრე ყოფილა ქედის რაიონის სოფელ მეძიბნაში, ჩდილოეთით მაღალ ბორცვზე არსებული ეკლესიის ნანგრევებისა. მისი გადმოცემით: „აქ სოფელი აკეთა იყო. მაჰმადიანური სარწმუნოების გავრცელებას ხალხი დიდ წინააღმდეგობას უწევდა. ჯამეს აგების შემდეგაც, ნაწილი მცხოვრებლებისა, ეკლესიაში მაინც მიდიოდნენ სალოცავად. ამ სოფელში ყოფილა ვინმე კოსტანტინე, დიდად მორწმუნედა ერთგული ქრისტიანული სარწმუნოებისა. ღოცვის დროს ის მოლას შეუპყრია დაუკრავს ნაძვის ხეზე და წაუთრევია ჯამემდე, რომელიც იმყოფებოდა 500 მეტრში, მაგრამ მიუხედავად ასეთი წამებისა კოსტანტინეს მაინც არ მიუღია მაჰმადიანური სარწმუნოება და დაღუპულა“ (რუსიძე, ნარკვევი აჭარისწყლის ხეობის. ოზურგეთის ისტორიული ძეგლების შესახებ №135 - იხილეთ დანართი №139).

ქედის რაიონის სოფელ ქეშიოდლებში არის ქედი, რომელიც კაკაშვილების სახელს უკავშირდება. გადმოცემის მიხედვით, „თურქთა ბატონობის ხანაში აქ ცხოვრობდა ერთი მეტად საპატიო და ღრმად მოხუცი პიროვნება, სახელად კაკა. თურქებმა მოხუცს გამაჰმადიანება მოსთხოვეს, რაზედაც უარი მიიღეს. მაშინ მომხვდურებმა ორი ახალგაზრდა წიფლის კენწერო გადმოდრიკეს და მოხუცი გააფთხილეს: თუ არ გამაჰმადიანდებოდა, კენწეროებს ფეხებზე მოამბამდნენ და შუაზე გაგლეჯდნენ. სარწმუნოების დამცველი მოხუცი არ შეუშინდა ამ ხვედრს

და მოწამებრივად აღესრულა. მაღლიერმა შთამომავლობამ მის შვილებს კაკაშვილები უწოდა, ხოლო ქედს, სადაც მოხუცი აწამეს – „კაკაშვილების ქედი“ (მასხარაძე 2010: 129-130 - იხილეთ დანართი №140).

გადმოცემების მთელი ციკლი ეძენება გვანცასა და ლელას, რომლებიც, ზოგიერთი ვერსიის მიხედვით, ქალწულმოწამეები იყვნენ.

ესმა ცინცაძის მონათხრობის მიხედვით, „სოფ. დანდალოში არის გორა, რომელსაც გვანცასა და ლელას გორას უწოდებენ. ამ გორაზე ცხოვრობდნენ დები გვანცა და ლელა, რომლებიც გამუსლუმანებას გაქცევიან, ამ გორაზე დამალულან და ჩუმად ხალხში ქრისტიანობის შენარჩუნებას ქადაგებდნენ. ერთი ბოროტი დედაკაცი ლელასა და გვანცას ღამით ჩუმად უკან გაჰყოლია და მათი სამალავი აღმოუჩენია. სამალავი მაღალი მთის კლდეზე ყოფილა, გამოქვაბულს მაგარი კარი ჰქონია. დედაბერს შით შესვლა და დათვალიერება გადაუწყვეტია, მაგრამ კარი ვერ გაუღია და მას უთქვამს, კლდეა ეს კარი თუ რა არიო? ამის მერე ამ ადგილისთვის „კლდეკარი“ დაურქმევიათ. დედაბერს ეს დები სოფლის მუფტთან დაუსმენია, მათი ადგილსამყოფელი უსწავლებია. თვითონ მზაკვრულად დაახლოებია, დები მოუტყუებია და თურქთა ხელში ჩაუგდია. თურქებს მათი სულთანთან წაყვანა გადაუწყვეტიათ, რადგანაც დები ძალიან ღამაზები ყოფილან. შეპყრობილ დებს გორის გადასასვლელთან ცხენი დაუფრთხიათ და ხრამში გადაჩეხილან. ამის მერე ამ ადგილისათვის ხალხს ლელასა და გვანცას გორა დაურქმევიათ“ (მოქ. ე. ცინცაძე. პირადი არქივი, 2011 წ - იხილეთ დანართი №141; 142).

ზ. ჭიჭინაძის წიგნში „ქართველების გამაჰმადიანება ანუ ისლამის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ქართველებში XVII-XVIII საუკუნეებში“ მოჰყავს მოხუცი აჭარელის ნაამბობი: „აჭარაში გამაჰმადიანების საქმე ერთობ გაძნელებულა. ზოგიერთი მოხუცებული კაცები და ნამეტურ დედაკაცები ქრისტიანობაზე მტკიცედ იდგნენ და თან ოსმალოს ხოჯა-მოლებსაც ეკამათებოდნენ... ასეთ მოხუცთა რიცხვი აჭარაში დიდი ყოფილა... ბოლოს მთავრობისაგან ასეთი ბრძანება გამოსულა, რომ ყველა ეგენი დაიჭირეთ და გაამაჰმადიანეთ, თუ არ გაამაჰმადიანდნენ, მერე დახოცეთო. მაღე აჭარის მოხუცებულები შეუკრებიანთ აქა-იქ, ციხეებში დაუმწყვდევიათ, ესენი აჭარისწყლის შესართავთან მიურეკიათ, სადაც ძველად თამარ მეფის ხიდი ყოფილა. ამ ხიდზე დაუდვიათ თავ-საკვეთი. მოხუც ქრისტიანებს თავს

სჭრიდნენ, მერე ენის წვერსა და ფაშას უგზავნიდნენ: თავსა და ტანს კი ჭოროხში ყრიდნენ (ჭიჭინაძე 1910: - იხილეთ დანართი №143).

მტრის აგრესიაზე საუბრობენ ხულოს რაიონის სოფელ უჩხოს მკვიდრნიც: „ძველების გადმოცემით, აჭარლები ძალით გაუმუსლიმანებიათ. მათი გამაჰმადიანება დაუწყიათ ბათუმიდან. მედგარი წინააღმდეგობა მაჭახლის ხეობას გაუწევია, მერე თანდათან წამოსულან ზევით, ასეთივე წინააღმდეგობა შეხვედრიათ ქედაში. თურქებს დასაშინებლად და საწამებლად „**თამარის ხიდებზე**“ ჰქონიათ მოწყობილი თავსაკვეთები და „**ტალავარჯი**“ (სარჩობელა), სადაც მიჰყავდათ და სჯიდნენ ქრისტიან მორწმუნეებს. ამის შედეგად, მთელი აჭარის მოსახლეობა თითქმის გაუნადგურებიათ. ქედაში 1500 კაცი ჩამოუკიდიათ ტალავარჯზე და ხალხს ერთი კვირას აყურებიებდნენ. ზოგი თამარის ხიდზე გაყავდნენ და თავს ჭრიდნენ. ქედაში ნახევარზე მეტი გამწყვდარა. ასევე კავიანის ციხესთან ჭვანელებიც ჩამოუხრჩვიათ“ (მოქ. ო. აბულაძე 75 წ. 2011 სოფელ უჩხოს მკვიდრი, პირადი არქივი - იხილეთ დანართი №144).

შუახევში, ჩირუხისა და უჩამბისწყლების შესართავთან, შემადლებულ ადგილას მდებარეობს ძველი ციხის ნანგრევი. აქაურებში მის აშენებას თამარ მეფეს უკავშირებენ და მას „**თამარის ციხედ**“ მოიხსენებენ. მოსახლეობის ნაწილი კი ამ ციხეს „**ყალე-ბოინს**“ ეძახის. „ყალე-ბოინი“ თურქული სიტყვაა („ყალე“ – ციხე, „ბოინი“ – ქედი, ადამიანის კისერი), ამ სახელის წარმოშობას ისინი აჭარაში ოსმალთა აგრესიას უკავშირებენ: „ოსმალებს ერთად შეუყრიათ მიმდებარე სოფლების მკვიდრნი, მათთვის შეუთავაზებიათ ცხოვრების უკეთესი პირობები, წყალობა, სანაცვლოდ კი მოუთხოვიათ სარწმუნოების შეცვლა. შემოთავაზებაზე უარს თუ იტყოდნენ, ოსმალები სიკვდილით ემუქრებოდნენ. ურჩთა დასასჯელად ოსმალოებს თავის მოსაკვეთი ადგილი გაუკეთებიათ. პირველი ვერსიით, თავსაკვეთი ციხეში მოუწყვიათ, რომლის ბოლო კედელში გადიოდა, საიდანაც დასჯილის სხეული პირდაპირ მდინარეში ვარდებოდა, ხოლო მეორე ვერსიით, თავსაკვეთი პირდაპირ მდინარეზე გადებულ ხიდზე ჰქონდათ აღმართული. ციხეში მიყვანილ აჭარის მკვიდრებს უარი უთქვამთ ისლამის მიღებაზე. განრისხებული თურქებს კი ამ ხიდზე მრავალი ქრისტიანისთვის თავი მოუკვეთიათ და მდინარეში გადაუყრიათ, მოწამეების სისხლით მდინარე წითლად შეღებილა. საღამოს კოკისპირული წვიმა მოსულა, მთებში მდინარეები აღიდებულა, ღვარცოფი წამოსულა და ის ადგილი და

მიმდებარე ტერიტორია მთლიანად წაუღებავს (მიქელაძე: 2010-362 - იხილეთ დანართი №145).

ი. სიხარულიძე ყაღბონის ციხეზე წერს, რომ წერილობით წყაროებში რაიმე ცნობა ან თქმულება, ამ ციხის შესახებ არ მოიპოვება. ხალხური გადმოცემით, თამარ მეფის აშენებულ ამ ციხეში ოსმალები ქრისტიანობისთვის თავდადებულ ქართველ მამულიშვილებს თავს კვეთდნენ, რის გამოც ეწოდა „ყაღბონიო“, რადგან „ყაღა“ თურქულად ციხეს ნიშნავს „ბონი“ კი კისერს (სიხარულიძე 1958: 156) ამასვე იმეორებს ხ. ახვლედიანიც, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, თუ რატომ იწოდა ამ სახელით ეს ციხე (ახვლედიანი 1970: 145). ყაღბონის ეძახიან სოფელ დარჩიძეების (გოგოლაურის) ციხესაც (მარეთის ხეობა).

ცხმორისსა და დანდალოს შორის არის ადგილი, რომელსაც „ნავარანაული“ ჰქვია. ამ ადგილს ამჟამად მოსახლეობა სათესად იყენებს. ძველ დროში აქ სოფელი ყოფილა. ოსმალების შემოსვლისას ისინი სარწმუნოებას შეეწირნენ და სოფელი გავერნებულა. ამის მერე დარქმევია ამ ადგილს „ნავარანაული“. ამ სოფლის მოსახლეობიდან თურქებს ხუთი გოგონა მოსწონებიათ, გამოურჩევიათ დასასჯელი ხალხისგან, ისინი ოსმალებში წასაყვანად მოუმზადებიათ, მაგრამ ეს გოგონები მიმხვდარან და ფაშების „ხასობასა“ და ნამუსის შერცხვენას ცხმორისის მდინარეში თავის დახრჩობა ურჩევიათ. ხუთივე ხიდიდან გადამხტარა და თავი მოუკლავს (მთქ. დ. ტაკიძე. დაბ. სოფ. დანდალოში და მცხ. დაბა ხელვაჩაურში. 43 წ. 2009 წ. პირადი არქივი - იხილეთ დანართი №146).

ანალოგიური ლეგენდა სოფელ სოფელ გობრონეთთან არსებული „ვარანულის“ შესახებაც არსებობს: „ვარანულის მკვიდრთათვის რჯულის შეცვლის მოსურნე ოსმალ დამპყრობლებს სოფლის მცხოვრებლები დანდალოს ხიდან მიურეკიათ, ხიდზე XII ს-ის წმინდა გიორგის დარბეული ეკლესიიდან გამოტანილი ხატები დაუყრიათ და ხალხისათვის მათზე გადავლა უბრძანებიათ. ოსმალოს ასკერები მათრახებითა და ხმლებით დარევიან ხალხს, მაგრამ არც ერთ ადამიანს ნაბიჯიც არ წარუდგამს წინ. მაშინ ჩვილები ხელიდან გამოუგლეჯიათ დედებისათვის, ხიდზე გაუყვანიათ და ჰაერში აქნეულებს ხმლით შუაზე კვეთდნენ და წყალში ყრიდნენ. ამის დამნაშავე დედებიც პირდაპირ აქაფებულ წყალში ცვიოდნენ თურმე. მაგრამ მაინც არ შემდრკალან ვარანულები. ბოლოს ხუთი ყმაწვილი ქალი შეურჩევიათ ჰარამხანისათვის

ოსმალებს, მაგრამ შუა ხიდზე ისინიც ხელიდან დასხლტომიან მტერს და წითლად შეღებილ აჭარისწყალში გადაშვებულან. გაჩანაგებული და გავერანებული სოფლისათვის **ვარანეული (ვერანეული)** უწოდებიათ (ნოღაიდელი 2010: 241-242) - იხილეთ დანართი №147).

თურქულ-ქართული წარმომავლობის ტოპონიმები **ყანლიდელე** (ზოტიყელიდან გურიაში გადასასვლელ გზაზე) და **ყანლიც** (გოდერძის უღელტეხილთან) ხალხის მეხსიერებაში ოსმალეთის აგრესიას უკავშირდება, რადგან „ყანლი“ თურქულად სისხლს ნიშნავს.

ასეთ სოფელთა სიაში ი. სიხარულიძე ასახელებს „დღვანს“, რომელიც ოსმალებს გაუჩანაგებიათ და მოგვიანებით ისევ აღორძინებულა: „თურქთა გაბატონებამდე აჭარაში ეს სოფელი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, მამა-პაპური ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისა და გამაჰმადიანებაზე სასტიკი წინააღმდეგობისას მცხოვრებლები თურქებს სულ გაუჟღეკიათ, ხოლო სოფელი გადაუბუგავთ. ასე უკაცრიელი ყოფილა იგი კარგა ხანს, ვიდრე ბოლოს იქ დასახლდებოდა მაჭახლის სოფელ საფუტკრეთიდან სამი ძმა, უფროსი ძმის რიდღვანის ინიციატივით“. მის საპატისაცემულოდ, რიდღვანის მიხედვით, ამ სოფლისთვის „დღვანი“ დაურქმევიათ (სიხარულიძე 1958: 158 - იხილეთ დანართი №148). ამავეს ამტკიცებენ ჩხუტუნეთში დარჩენილი ფუტკარაძეები (მთქ. რ. ფუტკარაძე. 2009 წ. 45 წ. პირადი არქივი - იხილეთ დანართი №149).

სოფელ ქიძინიძეების შემოგარენში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მრავალი ქრისტიანული ტოპონიმი ფიქსირდება: „წმინდისერი“, „ნასაყდრალი“, „საჯვარებო“ და „ნაწირვალი“. აქაურთა გადმოცემით, „ნასაყდრალისა“ და „წმინდისერის“ მიდამოებში ადრე წმ. ბერები ცხოვრობდნენ, რომლებიც ოსმალოს აგრესიის მერე აღარ გამოჩენილან. თურქები ყველა ქრისტიანს ემტერებოდნენ და განსაკუთრებითო წმ. მამებს. მტრის შემოსევის შემდეგ აქაურებს ხატ-ჯვრები გაუტანიათ და სოფლის განაპირა ადგილას მიწაში ჩაუფლავთ. მორწმუნეები კი ღამით მიდიოდნენ სალოცავზე და ღოცულობდნენო (ვ. ნიჟარაძე. 50. წ. დაბ. და მცხ. სოფ. ქიძინიძეებში. ჩაი წ. ნ. ნიჟარაძემ 2002. წ. პირადი არქივი). ნაწილი კი ამბობს, რომ აქ ჯვარსაც იწერდნენო (რ. აბაშიძე, 80 წ. დაბ. და მცხ. სოფ. ქიძინიძეებში. 2010. პირადი არქივი).

**წმინდისერის** დაქანებაზე არის ადგილი, სადაც მომცრო ეკლესია მდგარა. თურქების შემოსვლის მერე აქაურებს ღამით ამ ეკლესიასთან გაუტანიათ და მიწაში ჩაუმარხავთ რამდენიმე ჯვარი. ამ ჯვრებს აქაურები დიდხანს

მაღავდნენ, დამით ამ ადგილებში მიდიოდნენ და ლოცულობდნენ, რის გამოც ამ ადგილს „საჯვარებო“ დაარქვეს. 100 წლის ჩიხეგ აბაშიძის გადმოცემით, სოფლის ხალხი მნიშვნელოვან ამბავს იმ ქვებთან (ეკლესიის ქვებს გულისხმობს) წყვეტდა. იქ ნათქვამ-გადაწყვეტილს ვერავინ შეცვლიდაო (მთქ. ჩ. აბაშიძე, 95 წ. ჩაიწერა და მომაწოდა რ. მ უკუტაძე, დაბ. ს. ჯაბნიძეებში და მცხ. სოფ ქიძინიძეებში 2003 წ. პირადი არქივი - იხილეთ დანართი №150).

სხალთიდან 7 კმ-ის დაშორებით არის პატარა სოფელი „ძმაგულა“, რომლის ერთ-ერთ უბანს „ნამონასტრევი“ // „ამაღლება“ ეწოდება. ამ ტოპონიმის წარმომავლობას აქაურები შემდეგნაირად ხსნიან: „უძველეს დროს ჩვენ წინაპარს აქ აუშენებიათ ეკლესია, ამაღლებაში ეკლესიის ხუცესად აქაური მღვდელი განუწესებიათ, ხოლო ეს ეკლესია კი ამაღლების დღეს გახსნილა და ამიტომაც „ამაღლება“ რქმევია ამ ადგილს. მტრის შემოსვლის მერე ეს ადგილები ძალით გაუმაჰმადიანებიათ, მაგრამ მღვდელი თურმე თავისას არ იშლიდა და წირვას მაინც ატარებდა. ერთ-ერთი წირვის დროს, როცა ზარი ირეკებოდა, მოსულან თურქები, ხუცესი შეუპყრიათ და სასტიკად უწამებიათ - მიწაში ჩაუკირავთ. მასთან მისვლის საშუალება არავისზე მიუციათ და ადგილზევე გარდაცვლილა. ამ მღვდელს ჰყოლია ძმა, სახელად გულა, რომელიც ამ ამბის შემდეგ იმ მიდამოში დასახლებულა, სადაც „ამაღლების ეკლესია იდგა და ცხოვრებაც იქ გაუგრძელებია. ამიტომაც ამ უბანს „ძმაგულა“ დარქმევია (მთქ. ა. გორგილაძე, დაბ. 1950 წ. და მცხ. სოფ. ჭერში. 2012 წ. პირადი არქივი - იხილეთ დანართი №151).

სოფ. ძმაგულაში ჯ. ჯაყელს 1972 წელს ზაბით გორგილაძისგან ასეთი ამბავი ჩაუწერია: „უნამუსობის ან კაცის დალატისთვის, კაცი იქნებოდა თუ ქალი, დეისჯებოდნენ. ეიყვანდნენ სოფლის შუა ადგილზე და მუუსჯიდნენ ამოკირვას. მოკირავდნენ წელამდი და დატევდნენ. გამვლელ-გამომვლელი ქვას შემოკრავდა. როიცხა რომ წახდებოდა, ქვებს აყრიდნენ და ისე იერბიერ (ადგილზევე) დატევდნენ“ (ნბიფა, საქმე №137, გვ. 35 - იხილეთ დანართი №152; 153). მთქმელი ასევე დასძენს, რომ დასჯის ამ ხერხს თურქებიც იყენებდნენ ქართველ მორწმუნეების დასაშინებლად.

ხულოს რაიონის სოფელ კვატიაში დღესაცაა შემორჩენილი ბებია-შვილიშვილის დადუპვის ამბავი, რომელიც ასევე ოსმალების შემოსევას უკავშირდება: „თურქების შემოსვლის შემდეგ აჭარაში ემინოდათ ლამაზი შვილის ყოლა და იტყოდნენ, ნეტაი არ გამჩენოდაო. სხალთისკენ მიმავალ

ბებიასა და შვილიშვილს შორიდან შეუნიშნავთ თურქი ასკერები, უკან დასახევი გზა არ ჰქონიათ ან ამათ უნდა ჩავარდნოდან ხელში ან დაღუპულიყვნენ. ბებია არც კი დაფიქრებულა-თავისი ლამაზი შვილიშვილი გულში ჩაუკრავს და კლდეზე გადაშვებულა. მოხუცს სიკვდილი აურჩევია, ოღონდაც თურქების ხარჭა არ გამხდარიყო მისი შვილიშვილი. ამ ადგილს აქაურები „დედაბრის საფრინავს“ ეძახიან (მთქ. ხოზრევანიძე, დაბ. და მცხ. სოფელ კვატიაში, 74 წ. პირადი არქივი, 2005 წ - იხილეთ დანართი №154; 155). ამ ტოპონიმის წარმოშობასთან დაკავშირებით ანალოგიური ვერსია ჩაუწერია მკვლევარ დავით შავიანიძეს: „ყველაზე გვიან ხიხანის ხეობის სოფლები გამუსლიმანებულა. ერთ დედაბერს ლამაზი შვილიშვილი ჰყოლია. ის რომ თათრებს არ ჩავარდნოდა და მუჰაჯირობის ბედი არ სწევოდა, საკუთარ შვილიშვილთან ჩახუტებული კლდეზე გადავარდნილა. ამის შემდეგ დარქმევია ამ ადგილს „დედაბრის საფრინავი“ (შავიანიძე 2009: 166 - იხილეთ დანართი №156).

სამართლიანად აღნიშნავს ჯ. ნოლაიდელი: „ოსმალთა ბატონობის დროს, ოსმალეთიდან ყველა ჯურის ბოროტმოქმედს აჭარაში გზავნიდნენ. იმ დროს ავაზაკობა, ძარცვა-გლეჯა და ხალხის აწიოკება გახშირებული ყოფილა აჭარაში. ამას თან ერთვოდა მეფის მოხელეებისა და ადგილობრივ ბეგ-აღების აღვირახსნილობა, რაც ხალხს უნუგემო მდგომარეობაში აყენებდა“ (აჭარის ხალხური სიტყვიერება, აჭარის სამხარეთმცოდნეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. წიგნი მეორე, ჯემალ ნოლაიდელის მიერ შეკრებილი და დამუშავებული. მისსივე შესავალი წერილი, შენიშვნები, ავტორთა საძიებელი დალექსიკონი. აჭარის სახელგამი, 1941 წ. გვ. 230).

შუახვევის რაიონის სოფელ ნიგაზულში არის რამდენიმე ადგილი, რომლებსაც ოსმალთა ძალმომრეობის ისტორიები უკავშირდება. ესენია: „ქუფთა დელე“, „ცხრამუხლი დელე“, „მანჩხაური“ და „მარიამხევი“. ეს გადმოცემები მაჰმადიან ქართველ ქალებს შეეხება და ოსმალთაგან დანიშნული ფაშებისა და მუფთების ძალადობას ასახავს.

„ქუფთა დელესთან“ დაკავშირებული გადმოცემის მიხედვით, ამ სოფლის მკვიდრი მაჰმადიანი ქალი შეჰყვარებია ფაშის სომეხ ყმას (მოსამსახურეს). ფაშას რომ გაუგია ეს ამბავი, მოსამსახურეც და თავისი ორსული საცოლე ფაშის ყმებს მიუყვანიათ მდინარესთან და „ქუფთა-ქუფთად“ (ნაწილ-ნაწილ) უქცევიათ და დაჩეხილი გვამები მდინარისთვის გაუტანებიათ, რის გამოც ხალხს ამ დელისთვის „ქუფთა დელე“ დაურქმევია (მთქ. ქ. კეკელიძე, დაბად. და მცხ.

სოფელ ნიგაზეულში, 79 წ. მასალა მომაწოდა ნ. ხიმშიაშვილმა 2008 წ - იხილეთ დანართი №157).

ნიგაზეულის მკვიდრმა ნათელა კაკალაძემ ჩაგვაწერინა გადმოცემა „ცხრამუხლიდელის“ შესახებ: „თურქობის დროს ამ სოფელში, აქაურ ბეგებთან სტუმრად თურქები დადიოდნენ. აქ მოსულ მუფთებს თურმე ძალიან მოსწონდათ აჭარელი ქალები, მაგრამ აქაური ქალები თავისი ნებით არასოდეს მიჰყვებოდნენ თურქებს. ერთხელ, მუფთს ხალხის ჩუმად ერთი გასათხოვარი გოგონა მოუტყუებია, შიშითა და ძალით შეუცდენია და დაუფეხმძიმებია. ამ გოგონას ეს ამბავი შიშით არავისთვის გაუმხელია. გარკვეული დროის შემდეგ შეუნიშნავთ მშობლებს, ახლობლებს, თანასოფლელებს – გადარეულან, როგორ გაგვიბედაო და მისი დასჯა გადაუწყვეტიათ. სოფლელებს ეს გოგონა მუხლებზე დაუჩოქებიათ და როგორც ოჯახისა და სოფლის შემრცხვენილი ორღობებში დაჩოქილი ჩამოუტარებიათ. ბოლოს სოფლის პატარა მდინარესთან მისვლამდე ცხრა მუხლი (მუხლი - მანძილის საზომად გამოიყენებოდა) ჰქონია დარჩენილი, როცა ეს ფეხმძიმე ქალი ნერვიულობისაგან გარდაცვლილა. გასისხლიანებული ცხედარი სოფლელებს მდინარეში ჩაუგდიათ და ღორღი მიუყრიათ. ამ ადგილსაც და მდინარესაც ამის შემდეგ „ცხრამუხლიდელე“ უწოდებიათ“ (მთქ. ნ. კაკალაძე, დაბ. და მცხ. სოფელ ნიგაზეულში, 70 წ. მასალა მომაწოდა ნ. ხიმშიაშვილმა 2008 წ - იხილეთ დანართი №158; 159).

**ტოპონიმ მანჩხაურზე** გადმოცემის მიხედვით, „თათრები რომ შემეიჭრნენ, ყველა ჯიშის ყურძენი ამოძირკვეს და კოცონები დაანთეს, სოფლის ერთ პატარა უბანში ახალციხიდან მოყვანილ რძალს თხემლისა და ნაძვის ტოტების ქვეშ დაემალა „ჩხავერას“ ნერვი. ეს ქალი ძალიან ლამაზი ყოფილა. მოწონებია სოფლის მუფთს, მაგრამ ქალს ვერ ითანხმებდა. ჭორიკანა ქალებმა საიდუმლო გასცეს. ამ ქალს ესმა რქმევია. მუფთისთვის უთქვამთ ნერგების საიდუმლო, ისედაც გადარეულ მუფთს მიზეზი უნახავს და ქალი ცხენის კუდზე გამოუბამს, იმ ყურძნის ღერწებით ხელ-ფეხი შეუკრავს და სოფლის ორღობებში ათრევენა ცხენს, როგორც შერცხვენილი ქალი. ამ უბანს დღესაც „მანჩხაური“ ჰქვია. დღესაცაა აქ ჩხავერას ჯიშის ყურძენი“ (მთქ. ნ. კაკალაძე, დაბად. და მცხ. სოფელ ნიგაზეულში, 70 წ. მასალა მომაწოდა ნ. ხიმშიაშვილმა 2008 წ - იხილეთ დანართი №160).

ამავე სოფელში არის ადგილი სახელად „მარიამხევი“ სადაც ოსმალთა მორიგი მსხვერპლი მარიამი გამხდარა. მარიამი ლამაზი ქალი ყოფილა, მუფთი



გადაჰკიდებია. მისი ხელში ჩაგდება მოუნდომებია, მაგრამ მარიამს უარი უთქვამს. ერთ მშვენიერ დღეს ჩასაფრებია და დასდევნებია. ქალს უკან დასახევი გზა არ ჰქონია და პირადპირ ხევისკენ აუღია გეზი. ხალხს დაუძახნია: მარიამ, ხევიო, მაგრამ მარიამი არ შეჩერებულა და ამ ხევში გადაჩეხილა. ხალხს ხევისთვის **მარიამხევი** შეურქმევია” (მთქ. ნ. კაკალაძე, დაბად. და მცხ. სოფელ ნიგაზულში, 70 წ. მასალა მომაწოდა. სიმშიაშვილმა, 2008 წ - იხილეთ დანართები №161; 162; 163; 164; 165; 166; 167; 168; 169).

საისტორიო გადმოცემებში რეალისტურად არის ასახული მე-17–18 სუკუნეების დასავლეთი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. ამ ციკლის ხალხურ თქმულებათა თემა ოსმალთა წინააღმდეგ. აჭარის მკვიდრთა ბრძოლებს ასახავს.

## თავი VI. სელიმ ხიმშიაშვილი და მასთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემა

არსებული ცნობების მიხედვით, სოციალურ-ეკონომიკურად დაჩაგრული აჭარის მოსახლეობა წინააღმდეგობას უწევდა თურქებს. ისინი ხსნას სამშობლოსაგან მოელოდნენ. პალგრევი 1872 წლის ანგარიშში იუწყებოდა, რომ აჭარის მოსახლეობას საერთოდ სძულს ოსმალეთის მთავრობა, მოსახლეობა შეიარაღებულია და სრულიად არ არის მორჩილი (Отчет консула Пальгрева за лето 1873 год. ИКОИРГО. Т. VII, №2. 1882-1883. Стр. 56). ისტორიული წყაროებიდან როგორც ცნობილია, რომ აჭარის საქართველოსთან დაბრუნების საკითხი ყოველთვის ყოფილა ქართველ მეფეთა საფიქრალი, მაგრამ ოსმალო შეუვალი და უღმობელი იყო. ამ საკითხების მოსაგვარებლად არა ერთი საიდუმლო მოლაპარაკება უწარმოებია სელიმ ხიმშიაშვილს ქართველ მეფეებსა და თავადებთან. წყაროთა თანახმად „ერეკლე მეფე აჭარისადმი ინტერესს ყოველთვის იჩენდა, განსაკუთრებით 1792 წელს, როცა სელიმის მეთაურობით აჭარაში ანტიოსმალური აჯანყება მოხდა. ამასთან დაკავშირებით ერეკლე იოსებ მიშკარბაშ-ბებუთაშვილს 1758-1822 სწერდა: „მერე შენი წერილი მოგვივიდა და რაც მოგეწერათ, ყველა შევიტყვეთ. აჭარის ამბავიც შევიტყვეთ“ (საქართველოს სიძველენი ტ. III. 1910: 60-68). წერილობითი წყაროები მოწმობენ, რომ აჭარის ბედი დიდად აღელვებდა დარეჯან დედოფალსაც, რომელიც სამუსლიმანო საქართველოს გამოსხნის ერთ-ერთ მეთაურად სელიმ ხიმშიაშვილს თვლიდა, ეს მათ მიმოწერაში ჩანს: „... კიდევ უნდა ეცადო, სელიმ-აღა კარგად დაიჭირე ხელში“-ო (საქართველოს სიძველენი ტ. III. 1910: 61).

საქართველოს მეფისა და დიდებულების კეთილგანწყობამ, სელიმს ხელი შეუწყო, აჭარაში თავისი იდეების გასახორციელებლად ეფიქრა და მათი დახმარებით, ამ კუთხის საქმე სისრულეში მოეყვანა. ჩვენდა სამწუხაროდ, სამუსლიმანო საქართველოს გამოსხნის ეს იდეა მთლიანად გაქარწყლდა მაშინ, როცა რუსეთის იმპერატორმა პავლე პირველმა დაარღვია გეორგიევსკის ხელშეკრულება, ისარგებლა საქართველოს სამეფო კარზე შექმნილი არეულობით და გამოსცა რესკრიპტი, რომლის მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა. სელიმი იძულებული შეიქმნა აჭარის გასათავისუფლებლად დახმარება რუსეთისათვის ეთხოვა. ის იოსებ მიშკარბაშ-ბებუთაშვილის მეშვეობით 1802 წელს ამყარებს კავშირს პავლე ციციანოვთან, რომელსაც სწერდა: „მერმეთ ამის უწინათ მოგახსენეთ, მე მოვედი, რომა ჩვენსა და შენს

შუა მშვიდობა სამუდამოდ დამტკიცებული იყოსო” (საქ. სიძველენი. ტ. 3. 1910: 92). 1803 წელს ციციანოვი გამოსმაურებია სელიმის წერილებს და საპასუხოდ წერს: „მე ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ თქვენი აღმატებულება დედამიწაზე ორი უმძლავრესი იმპერიის მეგობრული კავშირისა და საქართველოს მიმართ თქვენი კეთილი სურვილების გამო შემდეგშია ც მიიღებთ ასეთ ზომებს... სრული იმედი მაქვს მოწყალეო ხელმწიფევე, რომ საქართველოსათვის კარგი გსურთ... ” (აქტები. ტ. II, 1868: 892); (რუს. ენაზე). მამულიშვილისადმი გენერლის დადებით დამოკიდებულებას გამოხატავდა ისიც, რომ სელიმისთვის სამთულიანი ფაშის წოდების მინიჭება პავლე ციციანოვს წერილით მიულოცავს. ან ფაშასა და მის მოხელეებს სხვადასხვა სახის საჩუქრებიც გამოუგზავნა (ახვლედიანი 1956: 83). სელიმის განსაკუთრებულ ყურადღება იმით იყო განპირობებული რომ იგი რუსეთში აჭარის მხსნელს ხედავდა, ამიტომაც იყო, რომ ის პირად ბედნიერებაზე ხშირად უარს ამბობდა, ოღონდაც საქვეყნო საქმეები მოგვარებულიყო. რუსეთის პოზიციით დაიმედებულმა სელიმმა ზურგი შეაქცია ოსმალებს. ეს მაშინაც გამოჩნდა, როცა 1807 წელს რუსეთ–თურქეთის მიერ ყარსთან გამართული ბრძოლის დროს სელიმ-ფაშამ ჯარი არ გამოიყვანა, რითაც დიდი სამსახური გაუწია რუსეთს (აქტები ტ. 5. 1873: 615).

ციციანოვი მრავალგზის შეეცადა, გაერკვია სელიმის აზრი და პოზიცია, რომ იმის მიუხედავად, რომ სელიმი თავისი გადაწყვეტილებით ერთგული და რუსების მოიმედე იყო, რუსები რატომღაც თავს იკავებდნენ. 1809 წლის 27 ნოემბერს სელიმის თხოვნა მარინე გურიელმა აცნობა თავის ძმას ზურაბ წერეთელს, იგი წერს: „სელიმი მაშინაც თანახმა იყო, რომ ახალციხე რუსეთთან შეერთებულიყო, მაგრამ ის მაშინ არ მოხერხდა. ახლა სელიმი კვლავ თხოულობს მის სამფლობელოს რუსეთთან შეერთებას და ითხოვს ციხიყელთან 500 ჯარისკაცის მიშველიებას. ჯარები უნდა გავგზავნოთ იმერეთის ან არტაანის მხრიდან, რადგან ქართლის გზები შეკრულია. თუ დროზე არ გავგზავნით შემდეგ გვიან იქნება” (აქტები. ტ. IV. 1880: 786). ზურაბ წერეთელმა ყველაფერა აცნობა გენერალ ტორმასოვს, მაგრამ მან გულგრილობა გამოიჩინა და არანაირ ზომებს არ მიმართა. ის კი არა, პეტერბურგის ხელმძღვანელობა ფაქტები გართულებებით დაუხატა და დაარწმუნა აჭარის საქმის წარუმატებლობაში...

ისტორიული ფაქტებისა და მოსაზრებების საფუძველზე ცნობილია, რომ „რუსეთი ცდილობდა ოსმალთა ხელისუფლებისაგან ფაქტობრივად განზე მდგომი სელიმი თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა, ამიტომ აშკარად არ

ამხელდა იმ წყენას, რასაც რუსული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ დიდებულებთან, სოლომონ იმერთა მეფესთან, მეფისწულ ალექსანდრე ბატონიშვილთან, მამია გურიელთან და იგივე ნიკოლოზ ხიმშიაშვილთან, ამ მოჯანყე ქართველი თავადის მჭიდრო კავშირი იწვევდა. ეჭვი არ იყო, რომ ცარიზმის სატრაპები არაფრად ჩააგდებდნენ სელიმის განმანთავისუფლებელ, საქართველოს გაერთიანებისათვის წარმოებულ ბრძოლებს და მას ნებისმიერ ხელსაყრელ მომენტში გაწირავდნენ” (სურმანიძე 2003: 68).

მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ორმაგ თამაშს თამაშობდა. დანაპირები დანაპირებად დარჩა, სელიმი კი რამდენჯერმე მოატყუეს. 1812 წელს ბუქარესტში რუსეთ-თურქეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულებით ოსმალეთს გადაეცა ახალქალაქი და ფოთი. ერთიანი ზავის საფუძველზე, რუსეთი სელიმის მხარდაჭერასა და საშინაო და საგარეო ურთიერთობებზე უარს აცხადებდა, რაც გამოიკვეთა რტიშჩევის წერილში. იგი არზრუმის სერასკირ, იბრაიმ ბაბა-ფაშა ფეხლევანს სწერდა: „ჩვენს სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, არასოდეს დაგუჯერთ მხარს ისეთ მოხელეს, რომელიც თავისი ხელმწიფის საწინააღმდეგო საქმეს ჩაიდენს და დასჯის ღირსი გახდება, ვიდრე ჩვენს სახელმწიფოებს შორის მშვიდობა იქნება, სელიმ-ფაშა ჩვენთან ვერ ნახავს თავშესაფარს” (აქტები. ტ. V. თბ, 1873: 819); (რუს. ენაზე) ოსმალეთი რუსეთის მიომედე განდგომილ და დაუმორჩილებელ ფაშას სასტიკ სასჯელს უმზადებდა.

პოლიტიკური ვითარების შეცვლის მიუხედავად, სელიმი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას მაინც აგრძელებდა, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. რუსეთმა – სელიმ ხიმშიაშვილს ახალციხის ფაშა შერიფი ამჯობინა. მტერს სელიმი მარტო პირისპირ შერჩა. „1810 წლიდან სელიმ-ფაშამ რამდენჯერმე დაამარცხა თურქეთის ჯარი. ომი მის სასარგებლოდ მიმდინარეობდა. განრისხებულმა სულთანმა სპეციალური ფირმანი გამოგზავნა სელიმის შესაპყრობად და სიკვდილით დასასჯელად. 1813 წ. სელიმ-ფაშა იძულებული გახდა აჭარაში გადასულიყო და ხიხანის ციხეში გამაგრებულიყო. სელიმ ხიმშიაშვილის წინააღმდეგ ბრძოლას თვით არზრუმის ბაბა-ფაშა ჩაუდგა სათავეში. მან ხიხანის ციხე ვერ აიღო, მაგრამ 1815 წელს მოლაპარაკების მიზნით შეძლო სელიმის გამოტყუება ციხიდან და იგი შეიპყრო. სელიმ ფაშას თავი მოჰკვეთეს და სტამბულში გაგზავნეს (მეგრელიძე 1956: 21). სიკვდილის წინ სელიმს განუცხადებია „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი

ოსმალეთს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებსაც დავეუბნებ-ო” (ჭიჭინაძე 1912: 1860). ამ ამბავს ხალხი სხვაგვარად გადმოგვცემს: ხინანის ციხეში თავშეფარებულ სელიმ-ფაშას, თავისი დარჩენილი ჯარითურთ არაფერი არ უჭირდა, მტერი მას ვერაფერს დააკლებდა, რომ არა ერთი გარემოება – ბაბა-ფაშა სასტიკი და დაუნდობელი კაცი ყოფილა. მას სელიმისთვის რომ ვერაფერი დაუკლია, შემდეგი ხერხისთვის მიუმართავს. მან კარგად იცოდა, რომ სელიმი თავისი ხალხისთვის იბრძოდა და მათვის უკან არაფერზე დაიხევდა, ამიტომაც მას ციხის მიმდებარე სოფლების მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება დაუწვია. ეს კი სელიმისთვის მიუღებელი გამხდარა და მიზეზიც მისი ნებით ჩაბარებისა, როგორც მოქმედები აღნიშნავენ, ეს გამხდარა და არა დალატი (მოქმ. ქ. ხიმშიაშვილი, ნ. კეკელიძე. პირადი არქივი, 2011 წ.). რა თქმა უნდა, არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც და მოქმედების სხვადასხვა ვარიანტებიც. ერთ-ერთი მოქმედი იმასაც აღნიშნავს რომ: „სანამ მტერს ჩაბარდებოდა, მან იცოდა რომ უკან აღარ დაბრუნდებოდა და წასვლისას თავის ცოლისთვის უთქვამს: ოქროთი გამივსე ჯიბეები, სიკვდილის შემდეგ ჯალათმა სული არ შემირცხვინოსო ” (მოქმ. ქ. ხიმშიაშვილი). მეორე ვარიანტში კი „სელიმის ცოლი აკვანზე გადამხობილი ბავშვს აპურებდა და თანაც ცრემლებს ჩუმად იწმენდდაო, მასთან მისულს მკაცრად მიუმართავს, ტირილის ნაცვლად ოქროს სამკაულები მიეცა, რათა სიკვდილის მერე არ შერცხვინილიყო” (მოქმ. ნ. მიქელაძე 80 წლის). ერთ-ერთი მოქმედების მიხედვით, „სელიმის დასჯა, ოსმალოს სულთანს, მისი კარგი ვაჟკაცობის გამო, გადაუფიქრებია და ამის დასტურად ფირმანი გამოუგზავნია. ბაბა-ფაშას ეჭვი ჰქონია სელიმის კაიკაცობის გამო ოსმალოს სულთანი რომ აპატიებდა იმ დანაშაულის, რომელსაც ბაბა-ფაშა და მისი მომხრეები უყენებდნენ სელიმს, ამიტომაც ფურტიოს ხიდთან მას თავისი ხალხი ჰყოლია დაყენებული. ისინი გამგელ-გამომგელს აკონტროლებდნენ მანამ, სანამ სელიმი არ დაუსჯიათ. სელიმის თავის მოკვეთამდე ვიღაცას ჩამოუტანია შეწყალების ფირმანი, მაგრამ ბაბა-ფაშას ასკერებს ის ფურტიოს ხიდთან დაუკავებიათ და მანამ არ გაუშვიათ, სანამდე დასჯის საქმე სისრულეში არ მოეყვანათ. სულთანისთვის სელიმის მოკვეთილი თავი რომ ჩაუტანიათ, გადარეულ სულთანს სელიმის თავის ჩამტანისთვის თავი მოუკვეთია და უთქვამს: ასეთ კარგ ვაჟკაცს თავი როგორ მოკვეთეთო, ბაბა-ფაშაზე კი ძალიან გაბრაზებულა, ყველაფერი კარგად რატომ არ გაარკვია და ასე ნაჩქარევად მოკვეთა თავიო”. ეროვნული გმირის დიდი

სიყვარული ხალხმა თავისებური ფორმით (ჰიპერბოლიზირებული სახით) წარმოადგინა. ორივე თქმულება ამტკიცებს სელიმის ნებაყოფილობით ჩაბარებას, რაც გარკვეულწილად, ეწინააღმდეგება ისტორიულ წყაროებს. ეს ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, განპირობებულია ხალხური სიტყვიერების თავისებურების გამო (მიქელაძე 2011)

არსებობს სხვა მოსაზრებებიც, რომლებიც ისტორიულ წყაროს ეთანხმებიან. ავტორთა დიდი ჯგუფი მის სიკვდილს დალატს უკავშირებს, კერძოდ, დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, ხ. ახვლედიანი და სხვები არ ეთანხმებიან არსებულ მოსაზრებას და ამტკიცებენ, რომ თვითონ გამოვიდა ციხიდან მაგ: ზ. ჭიჭინაძეს 1891 წელს შუახევის რაიონის სოფელ დარჩიძეებში, საინტერესო თქმულება ჩაუწერია: „მირათის ხევის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობენ დარჩიძეები; ამათ სოფელს და მთებსაც ეს სახელწოდება აქვს მითვისებული. ერთი დარჩიძე 1878 წელს გარდაცვლილა 65 წლისა. მის მამა გარდაცვლილა 75 წლისა 1830 წელში. ამ მოხუცის დედა ქრისტიანი ყოფილა, რომლის ქმარმა თურმე 1815 წელს სელიმ-ფაშას ხირხატის ციხეში სიმინდი მოუტანა, რისთვისაც ორი ფული აჩუქა მას სელიმ-ფაშამო” (ჭიჭინაძე 1913: 293). მნიშვნელოვან კვლევას წარმოადგენს, 1962 წელს პროფესორ რამაზ სურმანიძის მიერ მოძიებული მასალა, რომელიც შუახევის რაიონის სოფელ ჭალაში მცხოვრებ ისმაილ ჭალაღიძისგან (ბუქოლლი ბუქალიშვილი) ჩაუწერია: „ჩვენი მამამთავარი სელიმ-ფაშას თანამებრძოლი და მედროშე იყო. მას ბუქალი ბაირახტარადაც იხსენებდნენ და თითქმის ყველა ლაშქრობის დროს თან ახლდა სელიმ-ფაშას, როგორც მისი ერთგული მსახური და მამაცი მეომარი. ხირხატის ციხეში ჩაკეტილ ფაშას არაფერი უჭირდა, რადგან დროდადრო ამისათვის საგანგებოდ მომზადებული მსახურები სურსათ-სანოვაგით ამარაგებდნენ, მაგრამ როცა ბაბა-ფაშამ ციხეს ალყა შემოარტყა, სურსათის მარაგი გათავდა, შეუძლებელი გახდა გარედან სურსათის შემოტანა და რამდენიმე ადამიანი შიმშილით გარდაიცვალა სელიმ ფაშამ ცოლი იხმო და განუცხადა: „ჯიბეში ფული აღარ დამრჩა, შენი ოქროს სამკაულები მომეცი. ვიცი, როგორც კი გავალ, ოსმალები ჯიბეებს გამიხსრიკავენ ცარიელი რომ იქნება, დედას და შენ თავს შემიგინებენო”. ელმას ხანუმს ორი ბეჭედი გამოართვა, ამის შემდეგ ციხის ალაყაფთან მივიდა და თავის სარდალს თვითონვე გასცა ბრძანება, კარები გაეღო, რათა ღირსეულად ჩაბარებოდა მტერს. ამით თავისი 15000 თანამომხე შიმშილისაგან სიკვდილს, ხოლო სოფლები დაწვა-აწიოკებას გადაარჩინა; მართლაც, მაშინ სელიმი

დასაჯეს, მაგრამ მის გარდა არავინ დაღუპულა, დროებით სოფლების აწიოკებაც შეწყდა. ” ავტორის მოსაზრებით, ოტომანთა პორტას წინააღმდეგ ამხედრებული სელიმ ხიმშიაშვილისთვის ხიხანის ციხეში მოძმეთაგან არავის უღალატია. მოღალატენი „მოკავშირე” რუსეთის გენერლები არიან, ხოლო სელიმის დაღუპვის საიდუმლო მისივე გმირობასა და თავგანწირვაში უნდა ვეძიოთ და პატივი მივაგოთ, როგორც თავდადებულ რაინდს და ეროვნულ გმირს” (სურმანიძე 2003: 75).

აჭარაში ლეგენდარულ გმირზე სხვა საინტერესო ამბებსაც ყვებიან, სელიმი კეთილშობილი და, ამავე დროს, ფიცხი კაცი ყოფილა, თუმცა მის სიკეთეს საზღვრები არ ჰქონებია, ... ერთხელ, ნიგაზეულში ცხოვრებისას, მას თავის კარზე მოსამსახურე ბიჭი მოწყენილი დაუნახავს, მიზეზი გამოუკითხავს. მოახლეს დასანიშნი ქალისათვის არაფერი ჰქონია მისატანი თურმე, ამისთვის გოგოს მშობლები უარს ეუბნებოდნენ. სელიმს თავის დედის ნაქონი გულსაბნევი ამოუღია და მიუცია მოსამსახურისათვის, რათა ცოლი მოეყვანა და ბედნიერად ეცხოვრა (მთქმ. ნ. კეკელიძე, მცხ. სოფელ ნიგაზეულში). ეს ფაქტები ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს, რომ ის ხალხის რჩეული გმირია. „1803 წლის 21 აგვისტოს გაურკვეველი მიზეზებით გადაყენებულია რეჯებ ფაშა და ახალციხის ფაშად დანიშნულია სელიმ-აღა ხიმშიაშვილი, რომელმაც სულთნის დავალებით სდია შერიფ ფაშის შეიარაღებულ ძალებს. ბრძოლებში გამარჯვებული გამოვიდა ხიმშიაშვილი (მიქელაძე 2011).

გენერალ რტიშჩევის ბაბა-ფაშის მიერ უკანასკნელად გაგზავნილი დამსჯელი რაზმი 6000 კაცისაგან შედგებოდა. შესაძლებელია, ისიც უკან დაბრუნებულიყო, რომ სელიმ-ფაშას ერთ-ერთი დაახლოებულ პირს თავისი მოღალატური საქციელით ხელი არ შეეწყო ბაბა – ფაშას შეიარაღებული ნაწილებისთვის, სელიმ-ფაშა სიკვდილით დასაჯეს (ტივაძე 1945: 149).

ხიხაძირში დღესაც იხსენებენ ეროვნულ გმირზე და დასასჯელ-თავსაკვეთ ადგილად „სერი ყანას” ასახელებენ. ამ ადგილას ბაბა ბაშას სელიმ ხიმშიაშვილისთვის თავი მოუკვეთიაო (ჯაიანი 1982: №147).

ისტორიულ ტოპონიმს, რატომღაც ეს სახელი შემორჩენია. სავარაუდებელია, ამ ადგილს, როგორც სხვებს, ადრე სხვა სახელი ერქვა...

ე. მახარაძე ნაშრომში ავტორი აღნიშნავს: „სერი ყანა” ადგილია, სადაც სელიმ-ხიმშიაშვილს თავი მოკვეთეს, სელიმი ციხიდან გამოიყვანეს და ბაკოს ზემოთ დასაჯეს. იმ ადგილს ახლაც „სერი ყანას” ეძახიან (მახარაძე 1979: 1).

თ. სახოკია დეტალურად აღწერს, თუ ვინ იყო ამ სასტიკი სასჯელის ჩამდენი – სელიმი ციხიდან გამოიყვანეს და სანამ თავს მოჰკვეთდნენ, სამი დღე-ღამე არ აძინეს, რომ თავის მოკვეთის დროს ტანჯვა არ ეგრძნო. აჰა, მისი დასჯის დღეც დადგა, მაგრამ ჯალათობა არავინ იკისრა. ბოლოს, ერთი არტანუჯელი სომეხი გამოჩნდა, მისცეს ერთი ოქრო და იმანაც მოჰკვეთა თავი სელიმს სოფ. ბაკოს ზემოთ, სწორედ იმ ადგილას, რომელსაც „სერი-ყანა“ ჰქვია და სადაც გლეხნი დღესაც პურსა სთესენ. მერე ეს სომეხი სელიმის შვილს არტანუჯში მოუძებნია და მოუკლავს (მახარაძე 1979: №122) იხილეთ დანართი №170).

ამ აჭარელი გმირის თავის მოკვეთის შემდეგ ორ საათს არ გაუვლია, სულთანის ფირმანიც მოსულა: „თუ დაიჭირეთ სელიმი, ცოცხალი მომგვართო“, მაჰმუდ-ფა სულთანს ჩაუტანა სტამბოლში, როგორც ტროფეი. სულთანს ძალიან ეწყინა და თურმე ჰკითხა: „ფირმანი რა უყავი? – სიკვდილის მერე მოვიდაო. რაკი, ასეთი კაცის დაფასება არ გცოდნია და არ დაგნანია, აღარც მე მეცოდებიო“. და ბრძანა მისთვის თავი მოეკვეთათ. სელიმის თავი სტამბოლშია დაკრძალული... (სახოკია 1985: 284).

აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერებამ ჩვენამდე მოიტანა წინაპრების განვლილი გზები, გვაუწყა ხალხის სულიერი განცდები, ამ კუთხის შეუპოვარი ბრძოლები ოსმალის წინააღმდეგ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ერთ-ერთი მთავარი გმირია სელიმ ხიმშიაშვილი, რომელიც თავდადებით გამოირჩევა. ასეა დახატული ხალხურ სიტყვიერებასა და ისტორიულ წყაროებშიც. მან დიდი როლი შეასრულა ქართული დანაწევრებული გენის გასაერთიანებლად, ის ეროვნულ იდეებს შეეწირა. აჭარის საგმირო-საისტორიო ზეპირსიტყვიერებაში განცალკევებით დგას სელიმ ხიმშიაშვილის სახელი. ისტორიული წყაროებით ცნობილია, აჭარის საქართველოსთან დაბრუნება იყო სელიმის ოცნება. გმირის ანდერძი მალე აღსრულდა 1878 წელს აჭარა დედა-სამშობლოს დაუბრუნდა.

სელიმ ხიმშიაშვილის გმირობას სამი ტოპონიმი უკავშირდება აჭარაში: **ხიხანის ციხესიმაგრე**, სადაც ერთგულ ლაშქართან ერთად გამაგრდა თავდადებული გმირი, **სერი ყანა** (სოფ. ბაკო), სადაც თავი მოკვეთეს მას და **ნიგაზეული**, სადაც მისი სხეულია დაკრძალული. მადლიერი შთამომავლობა დიდ პატივს მიაგებს ამ ადგილებს და ყოველი წლის 3 ივნისს, სელიმის გმირულად დაღუპვის დღეს, სახალხო ზეიმ „სელიმობას“ აღნიშნავს (მთქ.



ცეცხლაძე ტარიელ, დაბ. და მცხოვრები სოფელ სკვანაში, 65 წ. ჩავ. 2005წ. პირადი არქივი), (იხილეთ დანართი №171; 172; 173; 174; 175; 176; 177).

თურქთა ბატონობისას არა მარტო ბათუმში, არამედ მთელ სამხრეთში თვითმპყრობელი რუსეთის ბატონობის დროსაც, აჭარელს არ შეეძლო ბათუმის ცენტრალურ ქუჩებზე გაეღა. აჭარელი გლეხი ბეგის სახლს რომ მიუახლოვდებოდა, თუ ცხენით მიდიოდა, ანდა ჩამოქვეითებულიყო და ისე ევლო. საერთოდ, ბეგის, ადას მეფის მოხელის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოქმედებები აჭარელს უხმოდ და უსიტყვოდ უნდა გადაეტანა. ამას ხელს უწყობდა სასულიერო წოდებაც. ისინი გლეხებს ურჩევდნენ, მოეთმინათ, რომ წინაღმდეგობა არ გაეწიათ, არ შებრძოლებოდნენ უსამართლობას, რომ ღმერთს შევედრებოდნენ, რათა მათვის მძიმე ტვირთი შეემსუბუქებინა, რადგან, ღმერთის მიერ დაწესებული „მთავრობა“ ხელუხლებელია, რომ ბეგები და ალები მათი ბატონები არიან. უნდა დაემორჩილოთ, უნდა ემსახუროთ, უნდა გადაიხადოთ. სამაგიეროდ ისინი (ხოჯები) „იმქვეყნიურ ნეტარებას“ ჰპირდებოდნენ და მუსლიმანური რელიგიით აშინებდნენ. (აჭარის ხალხური სიტყვიერება, აჭარის სამხარეთმცოდნეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. წიგნი მეორე, ჯემალ ნოღაიდელის მიერ შეკრებილი და დამუშავებული. მისსივე შესავალი წერილი, შენიშვნები, ავტორთა საძიებელი და ლექსიკონი. აჭარის სახელგამი, 1941).

ტერორის ვითარებაში თურქი ასკერები მოსახლეობას მუქართა და ცემით აიძულებდნენ, ხმა მიეცათ თურქეთთან აჭარის შეერთების სასარგებლოდ. ურჩებს იქვე მკაცრად უსწორდებოდნენ. ამის მიუხედავად, მოსახლეობამ მტკიცე ბოიკოტი გამოუცხადა რეფერენდუმს და კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. აღსანიშნავია, რომ კენჭისყრაში იძულებით მონაწილეთა ერთმა ნაწილმა, თურქი ასკერებისა და ოფიცრების ძალადობის მიუხედავად, გაბედულად მისცა ხმა დედა სამშობლო საქართველოსთან დაბრუნება. ეს იყო თავგანწირვა, ნამდვილი გმირობა. ასე მოიქცა, მაგალითად, ქობულეთელი ხასან თხილაიშვილი. მან ხმა მისცა თურქეთის წინააღმდეგ და სხვებსაც მოუწოდა ასევე მოქცეულიყვნენ საქართველოს სასარგებლოდ. თურქებმა გადაწყვიტეს მისი დახვრეტა, მაგრამ ხასან თხილაიშვილი შემთხვევით გადარჩა (ცქვიტარია 1959: 4). ამასთან დაკავშირებით „ხალხის მეგობარი“ წერდა: თეატრის მეთვალყურეს დაუნახავს, რომ თხილაიშვილს ხმა მიუცია საქართველოს რესპუბლიკის სასარგებლოდ და წყრომით შეკითხებია: შენ, რა რჯულისა ხარო? მას უპასუხია, –ქართველი მაჰმადიანი ვარო. ქართველებს

რატომ მიეცი ხმა? –თხილაიშვილს უპასუხია: სურვილზე დამოკიდებული თუ არის, მე ეს მსურსო. გაჯავრებულმა მეთვალყურემ ბრძანა, –დაიჭირეთ და „ბოძზე“ გააკარით, რაც მაშინვე სისრულეში მოიყვანეს. ოფიცერმა უბრძანა ცხრა კაცს, რომ დაეხვრიტათ იგი, მაგრამ ამ ამბავს მიუსწრო გერმანელმა ოფიცერმა და გადაარჩინა („ხალხის მეგობარი“, №211, 1918 წლის 19 ივლისი).

აჭარაში ეროვნულ გამათავისუფლებელ ბრძოლაში გმირთა რაოდენობის განსაზღვრა შეუძლებელია. ჩვენ შევეცადეთ, მხოლოდ იმ ეროვნულ გმირზე გაგვემახვილებინა ყურადღება, რომლის სახელი ან მასთან დაკავშირებული მოვლენა, ასახულია იყო გეოგრაფიულ ეტიმოლოგიაში.

მრავალი მსგავსი და სხვა წინააღმდეგობის მიუხედავად, ოსმალომ აჭარაში მაინც მოახერხა თავისი სარწმუნოების გავრცელება. მაგრამ, საბედნიეროდ, მათ ვერ შეძლეს ქართული სულის მოკვდინება, ხალხის გადაგვარება. აქაურებმა ძირძველი წესები წმინდად შეინახეს და ჩვენამდე მოიტანეს.

აჭარის საგმირო-საისტორიო ზეპირსიტყვიერებაში განცალკევებით დგას სელიმ ხიმშიაშვილის სახელი. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ მას აჭარის საქართველოსთან დაბრუნების თაობაზე არაერთი საიდუმლო მოლაპარაკება უწარმოებია ქართველ მეფეებთან და თავადებთან. 1810 წლიდან სელიმ-ფაშა ოსმალებს განუდგა და რამდენჯერმე დაამარცხა დამპყრობელთა ჯარი. განრისხებულმა სულთანმა სპეციალური ფირმანი გამოგზავნა სელიმის შესაპყრობად და სიკვდილით დასასჯელად. 1813 წ. სელიმ-ფაშა იძულებული გახდა, ახალციხიდან ხიხანის ციხეში გამაგრებულიყო. სელიმ ხიმშიაშვილის წინააღმდეგ ბრძოლას არზრუმის სერასკირი ბაბა-ფაშა ჩაუდგა სათავეში. მან ხიხანის ციხე ვერ აიღო, მაგრამ 1815 წელს შეძლო სელიმის ციხიდან გამოტყუება და შეპყრობა. სელიმ ხიმშიაშვილი სიკვდილით დასაჯეს და მისი მოკვეთილი თავი სტამბოლში გაგზავნეს (მეგრელიძე 1956: 21). სიკვდილის წინ სელიმს ბაბა-ფაშასა და ხალხისათვის განუცხადებია „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალებს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებსაც დაუტოვებო“ (ჭიჭინაძე 1912: 1860). გმირის ანდერძი მალე აღსრულდა და 1978 წელს აჭარა დედა-სამშობლოს დაუბრუნდა.

### ძირითადი დასკვნები

ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილი თქმულებები ხალხის წიაღიდანაა აღებული. აჭარაში ტოპონიმური თქმულება-გადმოცემების სიჭარბე აქაური ხალხის თავგადასავალმა განაპირობა. თითოეულ ტოპონიმს აქვს თავისი დასაბამი, ცხოვრება და ისტორია. ზოგიერთი მათგანი შეიქმნა გარკვეულ ისტორიულ მოვლენათა ფონზე, ზოგიერთმა ტოპონიმმა კი სათავე დაუდო თქმულებას, ან პირიქით, ამბავმა დაუდო სათავე ტოპონიმს და გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიას.

ტოპონიმები მრავალმხრივ აირეკლავენ ისტორიულ სინამდვილეს, რაშიც განხილული თქმულება-გადმოცემები დაგვარწმუნებენ. ეს არის ცოცხალი მასალა, რომლის ნაწილიც ჯერ კიდევ წარმართული ეპოქიდან იცქირება. სამრელიგიაგამოვლილი ტოპონიმები სხვადასხვა ეპოქის ნიშნებით არიან აღბეჭდილნი.

სადისერტაციო ნაშრომში აღძრული პრობლემები განხილულია თანამედროვე ფოლკლორისტიკის, ისტორიოგრაფიის და ლინგვისტიკის მიღწევების გათვალისწინებით. ჩვენი გამოკვლევა ემყარება მეცნიერულ პუბლიკაციებსა და ნაშრომებს, საარქივო მასალას, რომელნიც დაცულია ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისა და აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში. ვიყენებთ, აგრეთვე, საველე-ფოლკლორული ექსპედიციის დროს, ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალასაც, რომელიც ჩაწერილია ხელვაჩაურის (მაჭახლის ხეობა), ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონის სოფლებში.

ადგილის სახელწოდებები უძველესი დროიდან ხალხური გადმოცემების საგანს წარმოადგენს. წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარის) ტოპონიმური თქმულება-გადმოცემათა განხილვასა და კვლევას. ტოპონიმიკა, როგორც ვიცით, ლექსიკოლოგიის დარგია, რომელიც გეოგრაფიულ სახელებს გეოგრაფიული, ისტორიული და ლინგვისტური ასპექტით იკვლევს.

სადისერტაციო ნაშრომში ტოპონიმთა დაჯგუფება არ მოგვიხდენია საყოველთაოდ აღიარებული კლასიფიკაციით. ცალკე თემებისა და თავების გამოყოფა მოვახდინეთ ჩვენს ხელთ არსებული მასალისა და წყაროებს წარმოადგენდა.

კლდე და ქვა უძველესი დროიდან სულიერი ძალების სამყოფელად იყო მიჩნეული. ქვების თაყვანისცემის ტრადიცია, არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც გვხვდება. ქრისტიანობის დამკვიდრებამდე საქართველოში კერპთაყვანისმცემლები ცხოვრობდნენ. ისინი ხშირად კერპებს თავად ჰქმნიდნენ, ან კონუსისებური ფორმის ქვას რაცხავდნენ ღვთაებად. მიდიოდნენ ამ ქვებთან, სწირავდნენ მსხვერპლს, სანოვაგეს, პურს და ასრულებდნენ რიტუალებს. მათი რწმენით, ქვას მაგიური ძალა გააჩნდა.

ქვათა თაყვანისცემის მაგალითები მსოფლიოს ფოლკლორში მრავლადაა, ამათგან საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენს. ქართველებშიც და მსოფლიოს ხალხებშიც, ქვებსა და კლდეებში ხედავდნენ ზებუნებრივ ძალებს, რის გამოც ადამიანები ადიოდნენ მაღალ მთებზე და ატარებდნენ შესაბამის რიტუალებს.

პირველ თავში შევეცადეთ, ქრონოლოგიური კლასიფიკაცია დაგვეცვა მსოფლიო რელიგიების ცვლილებების მიხედვით. ჩვენი მიზანი წარმართული ციკლის ლეგენდების გენეზისის და ეტიოლოგიის დადგენა იყო. ყურადღებას ვამახვილებთ ფოლკლორული მასალის არქაულ პლასტებზე, მათში კონტამინირებულ ტოპონიმებზე, რომლებსაც საზოგადოებაში სიმბოლურ-მეტაფორული დატვირთვა გააჩნია.

კვლევა-ძიება ცხადყოფს, რომ „ზიარეთობის“ დღესასწაულის გავრცელების არეალი მხოლოდ აჭარით არ შემოიფარგლება, იგი დამახასიათებელია მესხეთისა და შავშეთისთვისაც. შესაძლოა, ეს დღესასწაული ისტორიული სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც ყოფილიყო გავრცელებული და მაშასადამე, მისი ტრადიციების ძაფი უფრო შორს მიდიოდეს. ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალებისა და არსებული მეცნიერული ლიტერატურის, მეცნიერთა დასკვნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ „ზიარეთობა“ თანამედროვე და ისტორიული სამხრეთ საქართველოს მხარეთა ყოფისათვის დამახასიათებელი რეალიაა და იგი ხშირად ხალხურ კალენდარულ დღესასწაულთა ციკლშიც იკავებს ადგილს.

აჭარაში შემორჩენილ თქმულები, „ჩვენებურთა“ ზეპირსიტყვიერებაში შემონახულ მასალების შედარებისას, პარალელური მასალის განხილვა გვარწმუნებს, რომ, მსგავსების მიუხედავად, მათში ზოგჯერ სხვაობაც იჩენს თავს. მაგალითად, თურქეთში წმინდანის სახელი სრულადაა წარმოდგენილი, ხოლო აჭარაში – წმინდანის სახელის ტრანსფორმაციას განიცდის. ორივე

ქვეყნის მცხოვრებთათვის მნიშვნელოვანია მაღალ მთაზე „ზიარეთობისა“ თუ „წმინდა სერის“ წეს-ჩვეულების ჩატარება. მათს ცნობიერებას ასაზრდოებს სიღმისეული ტრადიციებიდან გამომდინარე ხედვა, რომელსაც ზოგად ქართულ ტრადიციებთან მიყვავართ (თეთრგიორგობა, ყვენობა, დამწყალობება, სამებობა, გერგეტობა და ა. შ) აჭარის მორწმუნეთათვის მნიშვნელოვანი – „გამჩენელის ლოცვაა“ და სხვა არაფერი?...

აჭარის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებაში სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობით გამოწვეულმა მიგრაციამ გარკვეული როლი შეასრულა და მათმა წეს-ჩვეულებებმა ტრანსფორმაცია განიცადა.

აჭარის ფოლკლორში წარმოდგენილი დიდი და მცირე წარღვნის ლეგენდები ეხმიანება, როგორც ქართულ ასევე მსოფლიო თქმულებათა ციკლის ლეგენდებს. ამათგან მნიშვნელოვანია საკუთრივ ტოპონიმი „კარა სერი“, რომელიც სახელდებითა და გენეზისითაა მნიშვნელოვანი.

კარასერის თქმულება მნიშვნელოვანია, თქმულების თემატიკა ინტერსმოკლებული არ იქნება, მეცნიერთა იმ მოსაზრების თანახმად, ვინც კიდობნის გაჩერების ადგილად საქართველოს ასახელებენ. გადმოცემის თანახმად, ნოემ ღვთიური კიდობანი სწორედ კარას სერზე ააშენა. ეს არის წმინდა მთა, კვრივი ადგილი, სადაც თავიდან იწყება კაცობრიობის გადარჩენა. „დიდი წარღვნის მერე ნოემ, პირველად სწორედ, ამ მთაზე გააღო კარი. კარის სიმბოლური დიაპაზონი საკმაოდ ვრცელია სხვადასხვა ეთნოკულტურებში. უძველესი წარმოდგენებით, სწორედ კარიბჭის მეშვეობით ხდებოდა ერთი სამყაროდან მეორე (ქტონურ) სამყაროში აღმოჩენა. სახარებისეული სახისმეტყველებაა, სადაც კარი თავად იესო ქრისტეს სიმბოლოა – „მე ვარ კარი (ამბობს მაცხოვარი) ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს ცხონდეს“ (იოანე. 19: 7 – 10). აქედან გამომდინარე, მართლმადიდებლურ ტაძარში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღსავლის კარს, რომელიც საკურთხევლის სიმბოლიკის თანახმად, ზეციური სასუფეველის კარიბჭეს წარმოადგენს“ (ლ. ა. უსპენსკი).

აჭარაში მრავლადაა წარმოდგენილი მცირე წარღვნის ტოპონიმური თქმულებები, რომლებშიც შეინიშნება ტოტემიზმის კვალი. წარმოდგენილ გადმოცემებში „ღვთის //ხატის“ ცხოველებად არიან მიჩნეული: ირემი, შველი და ხარი. ქართულ ფოლკლორში ირემი მზიური ცხოველია და ცაში მზედ იხილვება, დედამიწაზე რქაბორჯღაღა დადის. თუ წმინდა გიორგი ცაში მზის მსხნელად გვევლინება, მზიური ცხოველი ირემი დედამიწაზე თავისით ეწირება

წმინდა გიორგის. ზოგადად ქართული ფოლკლორისგან განსხვავებით, აჭარაში გვხვდება შველის კულტის ფართო გავრცელების ფაქტი. ისევე როგორც ირემი, შველიც ეწირება თავის ბატონს. აჭარულ ვარიანტში შველი ბატონის მტრებს, თავისი სურვილით ეცხადება.

შველის მოკვდინება ტაბურირებულია, მისი მკვლეელი კი განწირული. ამიტომაც აჭარაში უბედურებასა და წარღვნას ხშირად შველის მოკვლას უკავშირებენ.

ასე, რომ აჭარის სოციუმის წმინდა ცხოველს, არა ირმის კულტი, არამედ შველის კულტი წარმოადგენს.

ხარიც სამსხვერპლო ცხოველია და იგი შეიძლება იყოს მცირე წარღვნის მომხდენიც. ხარი ეკლესიების მაშენებლად, ღვთის წმინდა ცხოველად ითვლება.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული სარწმუნოების პირველი ქადაგება საქართველოში, წერილობითი წყაროების მიხედვით, იესო ქრისტეს თორმეტთაგან ერთ-ერთმა მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა სწორედ აჭარიდან დაიწყო. იგი „შევიდა ქვეყანა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების... და აღეშენეს ეკლესია მშვენიერი სახელსა ზედა ყოველად-წმინდისა ღვთისმშობლისასა... წარმოემართა და გარდამოვლენთა, რომელსა ეწოდების რკინის ჯვარი... შთავლო ხელი ოძრახისა და მოვიდა საზღვართა სამცხისასა, დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენბორე“... („ქართლის ცხოვრება“ I, თბილისი, 1955, გვ. 39).

ფაქტობრივად, „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი მესხური გადმოცემა წმ. ნდრია მოციქულის ქადაგების შესახებ ზეპირი ტრადიციიდან იღებს სათავეს.

შუახვეის რაიონის მარეთის ხეობაში სანალიას მთაზე არის ადგილი, რომელსაც „რკინის ჯვარს“ ეძახიან. ამასთან დაკავშირებით ხალხში გავრცელებულია გადმოცემა, რომ აქ უძველეს დროს რკინის ჯვარი ყოფილა, რომელიც მათ წინაპარს აღუმართავთ. შესაძლოა, ეს გადმოცემა „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ ნახსენებ რკინის ჯვარს უკავშირდებოდეს, რომელიც წმ. ანდრიამ აღმართა.

ქრისტიანულ სამყაროში, საქართველოში არ მოიძებნება წმინდანი, მოწამე იქნება იგი თუ ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე, რომელიც თავისი პოპულარობით. წმ გიორგის შეედრებოდეს. ამ მხრივ, საქართველოს დანარჩენ კუთხეებისგან განსხვავებით, არც აჭარა წარმოადგენდა გამონაკლისს. ამ

კუთხეში შეიქმნა აბუსერისძე ტბელის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები „ახალი სასწაულნი წმინდისა გიორგისანი“, რომელიც ასევე ზეპირ გადმოცემებს ემყარება.

წმ. გიორგის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული აჭარაში დაცული ტოპონიმები: გორგაულის ხევი (ს. ბზუბზუ), გორგინაული (ს. ვაიო), გორგული (ს. ხარაულა, ქიძინიძეები), გიორგილაქელი (ს. ტომაშეთი), გორგიმელეთი (ს. ტომაშეთი), გორგაულები (ს. ჩაისუბანი), სოფელი გორგაძეები (ქობულეთისა და ხულოს რაიონებში) და სხვ.

ქედის რაიონში, სოფელ ცხმორისში, არის ადგილი, რომლის ეტიმოლოგიას წმ. გიორგის სასწაულსა და მტრის აგრესიას უკავშირებენ. გადმოცემის თანახმად, აჭარელთა წინაპრებმა, წმინდა მხედრის შემწეობით სძლიეს ოსმალებს.

იმავე წმ. გიორგის სახელს უკავშირდება ქედის რაიონის სოფელ დანდალოში, ფიქსირებული ტოპონიმი – „ნაომგარი/ნაომგალას“ – ისტორია. თურმე, თურქობის უამს წინდახედულ ცხმორისელებს ამ ფერდობზე მთის მეორე ფერდამდე გვირაბი გაუთხრიათ ისე, რომ მეორე ბოლომდე არ გასულან. მტრის ერთ-ერთი შემოსევის დროს ქართველებს თავი გვირაბისთვის შეუფარებიათ. წმინდა გიორგის მადლითა და ღვთისშეწევნით ქართველებს ოსმალოებისგან არა მარტო თავი დაუღწევიათ. გაგულისებულ მტერს ამ ადგილას ქვა ქვაზე აღარ დაუტოვებიათ. დღეს ეს ადგილი **ნაომგალათი** მოიხსენიება.

ეს და სხვა თქმულებები გვაფიქრებინებს, რომ მუდმივ ბრძოლებში ჩართულ ქართველ ხალხს ამხნევებდა „შარავანდელით მოსილი სახე თეთრ ტაიჭზე ამხედრებული შუბოსანი წმინდა რაინდი“ და თავის მხრივ, აჭარაშიც ავლენდნენ წმ. გიორგის მიმართ დიდ თაყვანისცემას, რადგან იცოდნენ, რომ წმ. გიორგი უთანასწორო ბრძოლაში ხილულად თუ უხილავად, ქართველ ხალხს შეეწეოდა და მფარველობდა (გადმოცემები “ფეიღამბრის ფეხისა” და “გომანის ქვის” შესახებ).

აჭარის ფოლკლორში, განსაკუთრებული სიმრავლითაა წარმოდგენილი თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ტოპონიმები. მოსახლეობა ყველა ციხის, ეკლესიის, ხიდის, ციხის მშენებლობას თამარს მიაწერს. აქაურები მსატვრულად გადმოგვცემენ თამარის დროინდელ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში მის მიერ ჩატარებულ ქველმოქმედებასა და აღმშენებლობაზე. ვარიანტებადაა გავრცელებული თქმულებები – აჭარისწყლის, ჭვანის, კავიანის,

ყაღებიონის, ხირხათისა და სხვა ისტორიული ძეგლების მშენებლობაზე. ამასთან დაკავშირებით აზიზ ახვლედიანი აღნიშნავდა: „...იმ დროისათვის, როდესაც აჭარა ოსმალებმა დაიპყრეს, ხალხს თავისუფლებისა და ძლიერების სიმბოლოდ თამარი და მისი დრო მიაჩნდა და ყოველივე კარგს, დიდებულს ამ ხანას მიაწერდა, უმღეროდა მას და მარად უქრობ ლამპრად გადასცემდა თაობიდან თაობას. კიდევ მეტი, გამაჰმადიანებულ ქართველებს ისე უყვარდათ თამარ მეფე, რომ იგი რელიგიურ კულტად გახადეს (ახვლედიანი, 1960: 115).

აჭარული ზეპირსიტყვიერების თავისებურებანი ერთგვარი საზომია იმისა, თუ რა სიმტკიცით შეინარჩუნა აჭარის მოსახლეობამ ქართული კულტურა ოსმალოს პერიოდში. რა მარტო, მხატვრულ, არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც. აქაური სიტყვიერება უამრავ მასალას გვაწვდის, თურქობის პერიოდში აქ ქართველობის შენარჩუნებისთვის წარმოებულ ჭეშმარიტ გმირულ ბრძოლებზე. აქ წარმოდგენილ ტოპონიმები: „სერი ყანა“ – ადგილი ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში, სადაც ჭეშმარიტი მამულიშვილი სელიმ ხიმშიაშვილი, ეროვნულ იდეებს შეეწირა. ტოპონიმ „გვანცა-ღელას“ გადმოცემა ქალწულ მოწამეების შესახებ მოგვითხრობს. ნაღოგიური შინაარსისაა გადმოცემები „აკეთას“, „კაკაშვილების ქედის“, „ძმაგულა“//„ამაღლების“ შესახებ. ყაღებიონის ციხე (შუახევის რაიონი), დანდალოს ხიდი (ქედის რაიონი), წითელი ხიდი (აჭარისწყლის ხეობა) - ეს ის წმინდა ადგილებია, სადაც ქრისტიანული სარწმუნოების მსახურებას შეეწირნენ. „წმინდისერი“ (შუახევის რაიონი)-ადგილი, რომელსაც დღესაც „მამათა სავანედ“ მოიხსენიებენ. თავგანწირულ ბრძოლასა და შეურიგებლობაზეა საუბარია ტოპონიმურ გადმოცემებში: „ცხრამუხლიდელე“, მანჩხაური“, ჯან ქალაქი“, კუნტი ჯვარი“, დედაბრისაფრინავა“, „მარიამხევი“, „თარანგელო“ და მრავალი სხვა.

აჭარაში მრავლად ვხვდებით ვხვდებით ოსმალთა აგრესიასთან დაკავშირებულ ტოპონიმებს: ნაოხრევი ჯუმუშაურში; ნაოხრები – ხიხაძირში; ნაოხვარა მაწყვალთაში, გორგაძეებსა და წაბლანაში. ზოგიერთ მათგანში ფიგურირებს თურქული სიტყვა „ყანლი“ (სისხლიანი): ყანლიდელე – ზოტიყელიდან გურიაში გადასასვლელ გზაზე, ყანლი – მთა გოდერძის უღელტეხილთან ახლოს, “სერიყანა” კი ის ადგილია, სადაც სელიმ ხიმშიაშვილს მოჰკვეთეს თავი.

ამგვარად, ტოპონიმები მრავალმხრივ აირეკლავენ ისტორიულ სინამდვილეს, რაშიც განხილული თქმულება-გადმოცემები დაგვარწმუნებენ. ეს არის ცოცხალი



მასალა, რომლის ნაწილიც ჯერ კიდევ წარმართული ეპოქიდან იცქირება, რის გამოც სამრეწიგიაგამოვლილი ტოპონიმები სხვადასხვა ეპოქის ნიშნებით არიან აღბეჭდილნი.

## ტექსტები

### 1. ქვაკაცები ვერნებში

სოფელ ვერნების თავზე მთაზე ილოცებენ, ქვაკაცებთან ახლოს ილოცებენ. ვინც ქვაკაციდან ქვას გადააგდებს, ცოდვას შეიძენს. აქ მომსვლელმა „ქვაკაცასაც“ უნდა მუაროს. ამაზე ქვები უნდა გაასწოროს, ჩამოვარდნილი დადოსნა ზეთ.

### 2. ქვაკაცები-ადგილი „მაღალთი“

„ვერნებს რომ გადმოდგომია, „მაღალთი“ ჰქვია... იქ მეიყრებოდა ხალხი ყარადერედან, სხალთიდელედან, შუბნიდან, დარჩიძეებიდან, კობალთიდან... იქ ყოფილა შესაწირის დაკვლა. მორიგეობით იკითხავდნენ ლოცვას. ხალხი ამინს იტყოდა. შესაწირს ყველას დუურიგებდნენ... ქვაკაცებს ახლაც ვაკეთებთ.

### 3. ერთი რიტუალის შესახებ

„ერთხელ მე დავამწყალობნე ხალხი ახალ წლის დამეს, ჯვარი ჩამოვაბრძანე სამებისა“... „დეკანოზი ხატებს გამოაბრძანებს... ჩვენ მამაწმინდობის ვერცხლის ჯვრები გვაქვს, მას დროშის თავებსაც ეძახიან. ის იქ ხდება, სადაც ნიშია გაკეთებული და არჩეული ადგილია მამა-პაპიდან. იქ ხალხი მიდის სალოცავად, მიყავთ საკლავი-კურატი, მიაქვთ ხატაპური, ქადა. დეკანოზი ნახევარს იტოვებს, ნახევარს კი აძლევს მასვე, ვინც დალოცვა-დამწყალობებისათვის მოვიდა. დალოცავს მის საბრძანის შიგა ვაჟიშვილსა ან რძალსა. დაკლული შესაწირის სისხლით ჯვარს უკეთებენ შუბლზე იმას, ვისაც ალოცებენ: ახალგაჩენილ ბაღდისა, ახალმოყვანილ რძლისა და სხვა“.

### 4. დიდგორზე ლოცვა

„ერთი კაცი წასულა ჰაჯ. მისთვის უთქვამთ, – ჰაჯ წასვლას აგერ წელათში რომ დიდგორია, იქ ასულიყავ და გელოცა, უფრო დიდ მადლს მეიგებდიო. დაბრუნებულს ყველაფერი აქაურებისთვის უთქვამს. მის მერე ჰაჯ არავინ არ მიდიოდა. ამ სოფლიდან ყველა დიდგორზე ადიოდა. აქაურები ზიარეთ იჯება და მადლი მოსაგებად დიდგორზე წელიწადში ერთჯერ ადიოდნენ. იქ ილოცავს, ღმერთს შეეხვეწება, – კარგად მიმყოფე ჩემი ოჯახი, კარგი მოსავალი მომეცი, კარგი ამინდები წეიყვანე მოსავლისთვისო. კტრებსაც

ასხენებენ. ეს ლოცვა რომ კაცმა ჯამეში შეასრულოს არ იქნება. ჯამეში ხოჯა ლოცვილობს და სხვა ამინ იტყვის. შენ რა გინდა, ხოჯამ რა იცის; ის ერთნაირად ლოცვილობს ყუელთვინ. ცალკე კაცს კი როცა უნდა, დიდგორაზე ეხვეწება გამხენელ ღმერთ. აქ ამოსული და მლოცავი ბარსამი მინახავს გუშინ ტომამეთელი ორი კაცი ამოვდა და ილოცაო.

## 5. ქვაკაცები შუბანში

ძველად შუახევის რაიონის შუბნის საკრებულოს სოფელ დარჩიძეების მოსახლეობა ზაფხულში ავდიოდით მაღალ მთაზე, რომელსაც „სამელია სერი“ ერქვა. ამ სერზე ზაფხულობით მიდიოდნენ: ქალები, ბავშვები, კაცები. ისინი ადიოდნენ მაღალ მთაზე და ერთობოდნენ მხიარულობდნენ. მოსახლეობას მიჰყავდათ ცხვარი ან სხვა შესაწირი და იქ კლავდნენ. ისინი ღმერთს, გამოდარებას, ბერეკეთს, ოჯახურ ბედნიერებასა და ჯამრთელობას ევედრებოდნენ. იქ ახლო-მახლო ნაქილისვარიც იყო.

## 6. ლაზარობა

„მეი ვყოფილვარ ღარიბი, მორწმუნე. იესო ქრისტე დადის და ხალიჩებს უფენენ, პატივი დასდეს. მე ვიფიქრე, რომე ხალიჩები არა მაქ, ზეზე ავედი, მაღლა. იესო ქრისტე ზის ჯორიკაზე, რო გამოიარა, მე მაღლიდან ვარ. ლაზარეო, შენ უფრო დიდი პატივი მეციო. შენაო, იცი, რა ძალას მოგცემო? ძალიან გვალვა რო იქნება, წმინდა ლაზარს დაგარქმევენ და ივლიან:

„ლაზარ მოდგა კარსაო,

იღორღოშებს თავსაო,

იბრიალებს თვალსაო,

**პატივს სცემს მამა უფალსაო**

ცხრილი აგორებულაო,

წვიმაც გაჩერებულაო“.

## 7. სარმიყელის მთაზე არსებულ ქვაკაცებზე

გადმოცემის მიხედვით, მთა გვანცას ასული, კარჩხალის ვაჟზე დაწინდული, ხინოსათვის მიუთხოვებიათ. კარჩხალამ ეს ვერ აიტანა და ღმერთს სიძე-პატარძლისა და მაყრიონის გაქვავება შესთხოვა, რაც ვითომ აღასრულა კიდევ.

## 8. ქედელაური და იაველა

ქედის რაიონის სოფელ დანდალოს ხიდის ერთ-ერთ ბურჯზე თითქოს ადამიანის ფეხის კვალი ჩანს. გადმოცემის თანახმად, კარჩხალის ერთ მოსახლეს უნდა შეერთო გვანცელი ქალიშვილი, პატარძალი საქმროს სახლში ერთი გვანცელი ვაჟკაცის ცოლის თანხლებით მოვიდა, რომელიც მასავით ლამაზი იყო. დედამთილს, რომელიც მათ კარის ზღურბლზე შეხვდა, ცუდად ენიშნა ეს ამბავი და ორივე დასწყევლა, ორივე უმალ გაქვავდა. ისინი არიან სწორედ ის ორი ქვის კონუსი, რომელიც კარჩხალის მალლობზეა აღმართული. „იაველად“ წოდებული პატარძლის ამხანაგის ქმარი ვერ შეურიგდა მეუღლის დაკარგვას. იგი ყოველდღე ადიოდა გვანცას მთის მწვერვალზე, უყურებდა თავის გაქვავებულ ცოლს და გოდებდა. ვაჟკაცის მოთქმა არყევდა მთასა და ბარს, მოსვენებას არ აძლევდა მოსახლეობას. შეშინებული დედაკაცები მშობიარობის უნარს კარგავდნენ, ხოლო მამაკაცები უძღურდებოდნენ. მაშინ გამოჩნდა „ქედელაურად“ წოდებული ვაჟკაცი, რომელმაც დაავლო ხელი იაველას (კაცი რომელიც ვალალებს), ჯაჭვით შეკრა, გადაიყვანა ხიდზე და იქ ერთ ადგილს მიაჯაჭვა, რომელსაც დღესაც „საბელაურს“ ეძახიან. „იაველა“ დაჰპირდა გმირ ქედელაურს, ამ ქვეყანას აღარ შევაწუხებ გოდებითო და ჯაჭვის ახსნისთანავე დაჰკრა ფეხი ხიდის ბურჯს, გადაახტა გვანცას მთას და სამუდამოდ დაიკარგა. მისი ნატერფალი კი ქვაზე დარჩა. მეორე გმირის სახელი სოფელმა ქედელაურმა შემოინახა.

## 9. „გვანცა-ლელა“

ქედის რაიონის სოფელ დანდალოში არის გორა, რომელსაც „გვანცასა და ლელას გორას“ – უწოდებენ. ამ გორაზე ცხოვრობდნენ დები გვანცა და ლელა, რომლებიც გამუსლუმანებას გაქცევიან და ამ გორაზე დამალულან. ისინი მალულად ხალხში ქრისტიანობის შენარჩუნებას ქადაგებდნენ. ერთ ბოროტ დედაკაცს ეს დები სოფლის მუფტთან დუუსმენია, მათი ადგილსამყოფელი უსწავლებია. თვითონ მზაკვრულად დაახლოებია, დები მუუტყუებია და თურქთა ხელში ჩუუგდია. თურქებს მათი სულთანთან წაყვანა გუდუწყევტიათ, რადგანაც დები ძალიან ლამაზები ყოფილან. შეპყრობილ დებს გორის გადასასვლელთან, კილდეზე ცხენი დუუფრთხიათ და ხრამში გადაჩეხილან. ამის მერე ამ ადგილისთვის ხალხს „ლელასა და გვანცას გორა“ დაურქმევია.

### 10. „გვანცა-ლელა“

ნაჯვარევი გვანცას მთასთან ახლოს მდებარეობს – ქედის რაიონის სოფელ ტაკიძეებში, ივანესა და ბაგრატაულის უბნებს შორის. ოსმალთა ბატონობის ხანაში აქაურები საიდუმლოდ, ღამით დადიოდნენ და გამჩენს გადარჩენას შესთხოვდნენ. ოსმალომ ვერ გაიგო, ვინ აკეთებდა ამას. ბოლოს ჩაუსაფრდნენ, დაადგინეს, რომ მათ ყოველთვის მზეთუნახავი გვანცა და ლელა მოუძლოდნენ და თავად ასრულებდნენ რიტუალებს. რაც შეეხება მათ ისტორიას, გვანცასა და ლელას მშობლები უთანასწორო ბრძოლაში ადრე დახოცვიათ, თავად კი მთაში მიიმალნენ და მოსახლეობას იცავდნენ. ოსმალებმა ოქრო-ვერცხლი არ დაიშურეს, ოღონდ გვანცა და ლელა თავიდან მოეშორებინათ, მაგრამ ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდათ, ვინაიდან გვანცა და ლელა ხალხს ძალიან ყვარებიათ. ბოლოს ისინი თურმე ერთმა პირშავმა დედაბერმა გასცა. დები თავდამსხმელებს ვერ გაუმკლავდნენ, მაგრამ არც დანებდნენ და კლდეზე გადაიჩეხნენ. ამიტომ აქაურობას „გვანცა-ლელა“ დაერქვა. ამ კლდეს ისინი დღესაც პატივს სცემენ.

### 11. გვანცა-ლელა“

დედამთილის ქმარს თურმე მეორე ცოლი მოყავდა, ეს ამბავი მისი სახლის რძალს ძალიან უხაროდა. დედამთილს დუუწყევლია მისი რძალი და მაყრიონი, ღმერთმა გააქვავოსო. ღმერთს შუუსმენია და იქ მოსული მაყრიონი გუუქვავებია.

### 12. გვანცა-ლელა – თურქეთელი ქართველების მიხედვით

„ანაი (დედა – ნ. მ. ) იტყოდა: კარჩხალელამ ბანცალელას (<გვანცა-ლელას – ნ. მ. ) ქალი მიცეს. მოვდენ მაყრები კარჩხალზე. დოდოფალმა გულში გეირუნია: ღმერთო, ჩემ მიყუნამდი დედამთილი მოკალიო. მეგომ დედამთილი ევლია (გულთმისანი – ნ. მ. ) იყო და შეიტყვა. იმანაც დაწყევლა: – ჰაცა ხართ, ღმერთმა იქ ქუასევით გაქხადონო. გერჩექ (მართლაც – ნ. მ. ) გაქუავდენ დადიები და დოდოფალი ტყვიან, ახლაც დგარან ქვა ინსნებიო(ადამიანი-ნ.).

### 13. წმინდანის ნაფესური

ჭვანის ხეობის სოფელ ჭალის სოფლის ზემოთ, ტყეში, გომარდულისკენ მიმავალ ბილიკთან ახლოს, მდინარის პირას არის დიდი ქვა, რომელსაც

ადამიანის ფეხის მსგავსი ფორმა აქვს. ამ ქვასთან ხშირად დადიოდნენ და მასზე საინტერესო ისტორიებს ყვებოდნენ. ამ ქვაზე „წმინდანს“ ცალი ფეხი რომ დაუკრია იქეთა ხეობის მეორე მხარეს გადასულა და იქ ხელის ჩამონაკრავიც – აჩნდაო.

#### 14. (ა) წმინდა გიორგი

ბებიას გადმოცემით, ჭვანელები გვალვის დროს ეხვეწებოდნენ წმ. გიორგის გააწვიმეო. დიდი გვალვების დროს ჭვანელები საერთო ფულით შეიძენდნენ საკლავს, ჩაიყვანდნენ ჭვანის „თაღოვან ხიდზე“, ხიდის ქვეშ ჩამოკიდებდნენ და წმ. გიორგის ევედრებოდნენ – წმ. გიორგი წვიმა მოგვივლინეო. “–დაკლულს კი ხიდზე ჩამოკიდებულს ტოვებდნენ.

#### 14 (ბ) საკლავის შეწირვა ჭვანის ხიდზე

უწინდელ დროს რომ არ გაწვიმდებოდა და გვალვებისგან მოსავალი დეიწვოდა, ხალხი მიეყრებოდა, დუას იზამდენ, ფულს შეაგროვებდენ, იმ ფულით ხარს იყიდდენ და ჭვანის ხიდთან დაკლავდენ, იქ შეწირავდენ. ასევე ხარს აქ წელიწადში ერთხელ მაინც წირავდენ და ხორცსაც ხელს არ კიდებდენ, იქ ადგილზე დატივებდენ. ისინი ამას ღმერთს სწირავდენ, რომ ამ მდინარეში ვინმე არ დამხჩვალყო.

#### 15. გომანის ქვის ისტორია

ამ ქვაზე უწინდელ დროს დედაკაცები ადიოდნენ და ლოცულობდნენ, მაგრამ რას, არ ვიცით... ამ ქვის დასავლეთით, „წმინდისერია“, ხოლო ქვემოთ ამავე სოფელს საზაფხულო ყიშლები აქვს. ისინი იაილებიდან დაახლოებით 3-4 კილომეტრს ადიოდნენ და ქვასთან, ან ქვის თავზე ლოცულობდნენ. ძველების გადმოცემით, ამ ქვაზე ხეზრეთი აღის გუდუუვლია თავისი ცხენიანად, კლდე შუაზე გუუპია და ისე გაუგრძელებია გზა „წმინდისერისკენ“. კლდეზე ახლაც ატყვია ცხენის ნაფეხურები და ცხენის კუდის მიერ გაპობილი ნაპრალი (კუდი რომ გაათრია, იმან დატოვა ნაპრალი). მოსახლეობა ამ ადგილს დღესაც განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა – ქალები, კაცები, ბავშვები იმ ცხენის ფლოქვების ნაკვალევში კენჭებს ტიებენ, სურვილს ჩუუთქმენ და უკანმოუხედავად მოდიან იმ მთიდან. მათ სჯერათ, რომ ეს ქვა, მისი ნაფეხურები სურვილებს უუსრულებს. ამ ქვასთან მისვლა ძალიან მადლია.

## 16. გომანის ქვის ისტორია

ეს ქვა, კლდე წმინდაა, მას რასაც სთხოვ, შეგისრულებსო, ოღონდაც ადგილზე უნდა მიხვიდე, კენჭები აიღო, წმინდანის ნაფეხურებში ჩააწყო და უკან მუუხედავად დატოო იქაურობა. ზუსტად არ მახსოვს ბებიაი, ასე იტყოდა, არ ახსოვს რომელი წმინდანია, რომ წმინდა კაციო // ფეილამბერიო. ფეილამბერი ცხენზე ამხედრებული მოსულა ამ მთაზე. ის ზოვლი ძლიერი ყოფილა, მას უკან თურმე მტრები მოყვებოდნო. ამ მთაზე მან მისი ცხენიანად გედეიარა და მტრები ხანჯლით შუაზე გააპო. ეს განახეთქი ქვა მის ცხენის კუდს გუუპია. პელბეთ ხმალი აქაც დაარტყაო. მისი ნაფეხურები წმინდაა. მას რასაც თხოვ, აგისრულებს. აქ მოსულმა კენჭებინა ჩააწყო. ზოგის თქმით ეს კაცი გამეირჩეოდა სიძლიერით, ის მტერს მიჰყვებოდა და ამარცხებდა კიდეც (შეიძლება მას მოჰყვებოდნენ ვიღაცები და მან ისინი დაამარცხაო). ხელში ხმალი ეჭირა (ზოგი ლახტსაც ამბობენ) და ირგვლივ ყველანი დაამარცხა და კლდეც შუაზე გააპო და ზედ გედეიარაო. იმის მერე ეს ადგილი წმინდაა და აქ მოსული რასაც სთხოვს, „გამჩენელი“ შუუსრულებს. ადამიანისა და ცხენის ნაფეხურებში, კენჭების ჩაწყობის მერე უკან მუუხედავადნა გააგრძელო გზა, თუ გინდა სურვილი შეგისრულდესო. იქ ქვის ნაკვალევზე კენჭებს ჩაწყობილ ყველთვინ ნახავ, ახლაც არის.

## 17. ხეზრეთი ალი

ხეზრეთი ალის ისეთი ცხენი ჰყავდა, რომ ჰაეროპლანივით ფრინევდა. ცხვირიდან იმფერ ფუტ უშვებდა, რომ ნახევარი ჯარი იმით წყდებოდა.

## 18. ხეზრეთი ალი

ხეზრეთი ალის ცხენი ფეხებს რუმ გადაადგამს, სერი სერს ეხუტება და ისე მიდიან, რუმ სერიდან სერზე ფეხს გადაადგმენ და მემრე ისევ შორავდება სერები ერთიმეორეს.

## 19. ფეილამბრის ფეხი // ფეილამბრის ქვა

ხულოს რაიონის სოფელ ალმეს საზაფხულო იაილაში, ალმის მთაში, არის ადგილი, რომელსაც იქაურები „ფეილამბრის ფეხს“- // „ფეილამბრის ქვას ეძახიან. ამ მთაზე, ძველადაც და ახლაც, ადიან მლოცველები, ახალგაზრდები,

ბავშვები. იქ წასულებს მიაქვთ ცოტა პური, საჭმელი, ხილი და სხვა. საჭმელს ვჭამთ და რაც დარჩება, იმას ვტივთ, მადლია, ვინცხაი გვიარს, შეჭამს, ვტოვებთ ადგილზე. ამ ქვას იმ ნატერფალს სასწაულ ძალა აქ. შეიძლება ამ ქვაზე დეიძინო და შენი საბედო დაგესიზმროს. თუ რამე სათხოვარი გაქ თხოვო და შეგისრულოს. თუ ფეიღამბრის ქვის ნაფეხურში წყალია, იმით პირ-სახეს დევბანთ, სამკურნალოა: თვალებისთვის, თავი ტკივილისთვის და ა. შ.

ამ ქვაზე შემდეგი ამბავი მომხდარა: ხალხის გასანადგურებლად მოსულან დევები და გველეშაპები. მათვინ ამ ადგილზე ჩამუსწრია ფეიღამბერს და ისინი მათრახით შუაზე გუუპია და ლოდებად უქცევია. ეს ის ლოდებია, რომელიც „ფეიღამბრის ნატერფალის“ ქვემოთ მიწაშია ჩაზრდილი. აქ იმიტომ ჩამოსულა და ეს ქვები შუაზე გუუპია, რომ ხალხმა მირწმინონ და დეიჯერონ რომ მე აქ ვიყავო, ეს ჩემი ნიშანია. იქ მისი ფეხდანადგამია მარჯვენა ფეხი აქ დადგმული. ქვას ატყვია ქალაბნის კოპები. იმის გვერდზე არის ყილიჯი (ხანჯალი ნ. მ), რომელიც ქვაზე დაარტყა, – ჩემმა უმეთმა დეინახოსო” (ჩემმა მორწმუნეებმაო ნ. მ). ის ჯორით დადიოდაო. ქვაზე ყილიჯით განაპობიც ეტყობა და ნაფეხურიც. ფეიღამბერს უთქვამს – ჩემი ერთი ფეხდანადგამი აქ არის და მეორე ქედის მთაშიო”, მარა რომელ თაზე არ ვიცი. ეს ადგილი წმინდაა, აქ ლოცულობენ და კითხულობენ. რაცხას გინდა იმას ჩუუკითხავ. ადგილები ზიარეთია-წმინდაა.

## 20. თამზის ცხენი

როდესაც ავღანელები ირანს თავს დაესხნენ და ფერეიდანს მიადგნენ, უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას მფარველად მოვევლინა უზარმაზარ ქვის ლოდოდან გადმოსული, თეთრ ცხენზე ამხედრებული, ხმალშემართული კაცი, რომლის წყალობით ფერეიდნელი ქართველები დამარცხებას გადაურჩნენ. გადმოცემით, ომის დამთავრების შემდეგ მხედარი ისევ ლოდში გაუჩინარებულა. აღნიშნულ ლოდს დღესაც მოსახლეობა „თამზის ცხენს“ ეძახის და მასთან ახლოს სანთლებს ანთებს.

## 21. გაქვავებული გოგანას ისტორია

სოფელ ფორთის მცხოვრებლების გადმოცემით „ზიარეთი ადგილის ქვემოთ არის ადგილი, სადაც გაქვავებული გოგონაა ტაბლით ხელში, რომელიც მტრისგან გადაურჩენია წმ გიორგის, მაშინ როცა მტრებისგან (დევებისგან)



საფთხე ემუქრებოდა. გოგონას უთხოვია გამჩენელისთვის „მტრის ხელში ჩაგარდნას ქვად მაქციეო“, წმ. გიორგის შეუსმნია მისი თხოვნა. ის მართლაც ქვად უქცევია, მტრები კი დაუხოცია. მის მერე – თვითონ კი ადგილობრივ კლდეში გაუჩინარებულა. წმ. გიორგი აქაურთა რწმენით, კლდეში ცხოვრობს და გაჭირვების ჟამს გამოდის და ადამიანებს ესმარება.

## 22. სერთი ზიარეთი

ფორთაში, კარჩხლის მთების გადმოღმა არის „სერთი ზიარეთი“ – „წმინდა ადგილი“. იმ მიდამოებში ასევე ყოფილა ეკლესიის ნანგრევი. რაც შეეხება „წმინდა ადგილს“ – ესაა ბაზილიკური ტიპის პატარა ოთხკუთხედი შენობა. მის ეზოში 2, 20-მეტრიანი საფლაავია, მათი გადმოცემით, ეს საფლაავი წმინდა გიორგისაა, რომელიც ამ მხარეში სასწაულებით გამოირჩეოდა. „ჩვენებურები“ ამ ადგილზე გასაკურნებლად, სურვილების შესასრულებლად, ქვემო სოფლებიდან ამოდოდნენ. მოსულმა, სანამ „წმინდანის სასაფლაოზე“ დაიძინებს, მანამდე, აუცილებელია, თეთრი პერანგით უნდა შეიმოსოს, ყოველგვარი სამკაულებისა და ნივთების გარეშე. მის შემდეგ საფლაავზე დაწვეს, დაიძინოს – ინვალიდები, ავადმყოფები, დავრდომილები, უშვილო დედაკაცები. სასაფლაოზე დაიძინებულებს კი მათი რწმენით, სიზმარში ვიდაც თეთრწვერა მოხუცი ეცხადება და ურჩევს, თუ როგორ განიკურნოს.

## 23. „ზიარეთი“ ადგილი

„სერთი ზიარეთი“ ადგილის ქვემოთ არის ადგილი, სადაც გაქვავებული გოგონაა ტაბლით ხელში, რომელიც მტრისგან გადაურჩენია წმ. გიორგის, მაშინ როცა მტრებისგან (დევეებისგან) საფთხე ემუქრებოდა. გოგონას უთხოვია გამჩენელისთვის, „მტრის ხელში ჩაგარდნას ქვად მაქციეო“, წმ. გიორგის შეუსმნია მისი თხოვნა. ის მართლაც ქვად უქცევია, მტრები კი დაუხოცია. მის მერე – თვითონ კი ადგილობრივ კლდეში გაუჩინარებულა. წმ. გიორგი აქაურთა რწმენით, კლდეში ცხოვრობს და გაჭირვების ჟამს გამოდის და ესმარება.

## 24. ზიარეთი

თეთრაქედელები, ცხადია, მუსლიმები, მიყვებოდნენ, თუ როგორ დადიოდნენ სალოცავად (ზიარეთი) ქრისტიანულ ეკლესიაში, რომელიც ახლა ნანგრევებადაა ქცეული: ზიარეთში წავალთ, მუმს გავაკეთებთ, გავადნობთ, ძაფს ჩავყობთ და

ამევიღებთ, წავიღებთ, ზიარეთათ ფორტას წავალთ და მერის, აჭარას. ფორთის ზემოთ არის ჩვენი ზიარეთი, ერთ საათს გოუწევს. ზიარეთზე მარტოდ მოშენებული სახლი არი ქვიდან, ყულაი მოშენებული, ყულანდელი, მაშინდელი. ზიარეთში დაწვებიან. სიზმარში ნახვენ. ეტყვის სიზმარში, ეს დაკალი, და ფული აჩუქეო, შინ დაკალიო, და აქ დაკალიო, რაცხასაც რომ ეტყვის, დაკლავს. ყოჩი (მამალი ცხვარი), ცხვარ ეტყვის, ხარ, ზროხას ეტყვის. ქათამი გაგვიგონია, სხვა ჩიტი არ გაგვიგონია.

## 25. ზიარეთი

ზიარეთში მიდიან ფორთას, ჭკუა რომენ დაკარგული ექნება, შვილი არ ეყოლის, კარი არა აქ, შევა შიგ კაცი და ქალი, პერანგს ჩაიცვამს მარტო, ოქრო ვერცხლი არ იქნება. მარტო პერანგი და ნიფხავი (ფიშტონი), რომ აანთებს სამ, შვიდ. ხუთ, ცხრას. ჩემი დერდი რაცხა არიო. ვნახო სიზმარიო. და დაწვება. თუ არ ნახა სიზმარი, არ მოუხდა. თუ ნახა, თვალს დააბანიებს სიზმარში (მოუტონს რაცხას, ისე ეჩვენება) ასვამს და ეტყვის, ყურბანიო (ქართ. ყურბანდო) სანთლებს ქვაზე აკრავენ. მლოცველები იქ რჩებიან 1-3 დღე, შორიდან მოსულები უფრო ხანგრძლივი დროითაც. საზიარეთოდ მიემართებიან მაისსა და ივნისში, მიდიან ფეხით.

## 26. ზიარეთი

„სამუსლიმანო საქართველოში ჩვეულებადაა ზიარეთში წასვლა. ეს უდრის ჩვენებურ ხატობას. ზიარეთი სამლოცველო ადგილს ქვია და ისეთი ადგილებია, სადაც ძველი ეკლესიების ნანგრევებია, ან ყოფილი საჯვარეა. აქ მოდიან სხვადასხვა ადგილებიდან, ნამეტნავად ქალები; მოაქვთ ჩამოქნილი თაფლის სანთლები, აანთებენ სანთლებს და ლოცულობენ. აქ რჩებიან ერთ-ორ დამეს; თუ შორიდან მოსული არიან, უფრო მეტსაც. და ამათ უნდა დაესიზმრონ დამე, თუ რა ცხოველი დაკლან სამსხვერპლოდ, ცხვარი თხა ხბო, პროხა თუ ხარი, და რაც დაესიზმრებათ, იმას დაკლავენ ხოლმე. ასეთ ჩვეულებას ასრულებენ პორტას (ძველი შატბერდის) მონასტრის ნანგრევებში და ბევრ სხვა ადგილას. მოლები უმლიან, რასაკვირველია, ასეთ ქცევას ხალხს, მაგრამ ვერაფერს ხდებიან. ასეთი ზიარეთი აქვთ ხახულის მცხოვრებთაც მათი ხევის სათავეში, მთაზე, სადაც ეკლესიების ნანგრევებია დაცული.

## 27. ტოპონიმ „ძეგლის” ისტორია

„ძეგლი ფორთას თავზეა. შავშეთის გზატკეცილიდან ფირნალის გზაზე თუ აუხვევ, ასახვევიდან ძეგლამდე 22 კილომეტრია. ზემო ფორთასთან მისვლამდე მარჯვნივ უნდა მიუყვებ და ახვიდე ფორთის იაილამდე. მას „ზიარეთი იაილას” უწოდებენ. ეკლესიის ნანგრევების წინ ორი საფლაავია. იქაურების გადმოცემით, შეიძების, ანუ წმინდანებისა. საფლაავები განახლებული და მოვლილია. ეკლესიისა და საფლაავების გვერდით აუგიათ ე. წ. დასაძინებელი, ფარდავით დაფარული ფიცრული საწოლი, რომელიც შემოღობილია და გადახურული. შეიძების შესახებ ლეგენდებსაც ყვებიან: უხსოვარ დროში აქ ხეზრეთი ალი მოსულა. მას ბერთის მხრიდან გადმოუვლია და თან ორი წმინდა კაცი (შეიდი) ხლებია. მსლებლები „ძეგლად” წოდებულ ადგილას, გამოქვაბულში დაუტოვებია, თავად სადღაც წასულა და როცა დაბრუნებულა, ორივე დახოცილი, დაკლული დახვედრია. იქვე დაუსაფლავებია.

## 28. ხეზრეთი ალი და თამარ მეფე

უხსოვარ დროში აქ ხეზრეთი ალი მოსულა. აქ ერთი თამარაი ყოფილა, თამარასთვის უთქვამს, – გამუსლიმანდიო. ან საკუთარი სურვილით უნდა გამუსლიმანდე, ან სისხლს დავღვრი, თავებს დავაჭრი ყველას და ასე გავამუსლიმანებო. თამარას უთქვამს – სად მედინა და სად ფორთაო, შუაში ექვსი თვის გზაა და იგულისხმება (ჯარით როგორ მოხვალო მ, ჩ). ეს რომ გაიგონა, ხეზრეთი ალი შეჯდა ფრთოსან რაშზე, გაიქროლა და თამარას ჰკითხა: შენი სარწმუნოება უფრო ჭეშმარიტია, თუ ჩემიო. თამარამ უთხრა – ჩემიო. რატომ შენიო? – აქ სალოცავია, იქ ღმერთის სახლიო, – თავისებურად აუხსნა თამარამ და თან დასძინა, – თუ შენი სარწმუნოებაა მართალი, მთებში რომ გველეშაპია, ის მოკალიო.

ამ გველეშაპს, თურმე, ყოველდღე ერთი კაცი მიჰყავდა არტანუჯის ტყეში და ჭამდა. ხეზრეთი ალი ავიდა მთაში (მთხრობელი ძეგლის მიმართულებას მიუთითებს) და დაუძახა გველეშაპს. ის კიდევ გამოხტა და გაიქცა ართვინის მიმართულებით. ხეზრეთი ალიმ ქვა ესროლა და ვერ დააწია. მერე აიღო და ხმალი ესროლა. მთა შუაზე გადაიხსნა, ხმალს გზა უტია. ხმალი გველეშაპს ჩაერჭო და მოჰკლა. ხეზრეთი ალიმ გამარჯვების ყიჟინა დასცა. თამარამ დუა (ლოცვა) ჩაიკითხა. თამარამ იცოდა, რომ ხეზრეთი ალი უნდა მოსულიყო და მიუვალ კლდეზე თავისი ოქროსა და სიმდიდრის დასამალად ააშენა ნუკა

ქილისა. იქედან არის დარჩენილი სახელწოდება „ნუკა-საყდარ“ ანუ „ნუქი-სახლი“. ნუქი-ოქროს ნიშნავს, პატარა ოქროს სახლა. იგივეა რაც „ღამაღე“ „შეინახე“.

### 29. „ზიარეთი“ აჭარაში

ამ ადგილას ეგლიების (წმინდანების) საფლავია. თურქობის დროს იქ აღიოდნენ და ზიარობდნენ, როცა რამე გაუჭირდებოდათ. იქ მისული ხალხი საფლავზე იძინებს და ნახულობს სიზმარს. საფლავი იმასაც გიცხადებს, გეხმარება თუ არა. თუ დაგეხმარება, ისევ საფლავზე გაიღვიძებ, თუ არ შეგიძლია დახმარება, საფლავი გვერდზე მოგისვრის, მაგრამ შენ ვერ იგრძნობ, ისე გაგელვიძება სხვა ადგილას“.

### 30. ალმის მთის წმინდა ქვის ისტორია

ზიარეთის“ ადგილიდან ქვის წამოღება არ შეიძლება, იმას გამჩენელი ილღა დასჯის. ერთხელ ერთმა კაცმა გადაწყვიტა, ეს წმინდა ქვა მის სახლთან ჩამოეტანა და ხალხისთვისაც გაეადვილებია მისვლა და ლოცვა, ვითომდა მადლინა ექნა, მარა საპირისპიროდ გამოუგდა. მართლაც ჩამეიტანა ხარებით, „იაილაში“ სოფელ ალმის მთაში, მის ეზოში დადვა და კიდევ შემოღობა. იმ დამეს ისეთი გაწვიმდა, ახიშერი გეგეონებოდაო. წვიმას მის სახლის ირგვლივ დიდი ღარები გუუკეთებია. მეორე დღეს კი ხალხს უთქვამს „წმინდა ქვამ“ არ მიიღო ახალი ადგილი, მისი ადგილი მაღალ მთაზეაო. სანამ რაცხა უბედურება მოხდება უკან ეიტანეო. იმ კაცს სიზმარში თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი გამოცხადებია და გუუფთხილებია – ეიტან, თლა კაი, თუ არადა აქაურობას დავაქცევო. შეშინებულს უუწევია იმავე ხარებით, ის ლოდი უკან უუტანია და მის ადგილას დუუდვია. იმის მერე ამ ქვას ვინმე ხელ არ კიდებს. გამჩენელი არ იჯებაო.

### 31. დადეში და ერკოტა

დღევანდელი ასპინძის რაიონში ერუშეთის ფერდობზე არის ნასოფლარი „დადეში და ერკოტა“. ისინი XX საუკუნის I ნახევარში სიცოცხლით სავესე სოფლები იყო. მათ ჰქონდათ საერთო მთა ზიარეთი, რომელსაც „უნაგირასაც“ ეძახიან. იქ მთის წვერზე იდგა ამაღლების ეკლესია, სადაც ზიარეთობას ანუ ამაღლებას აღიოდნენ, არა მხოლოდ ქრისტიანები, არამედ მუსლიმანებიც,

რომლებიც ცხოვრობდნენ ვარნეთში. ეს სოფელიც დღეს ნასოფლარია. მუსლიმთა ზიარეთობა გამოიხატებოდა სანთლების დანთებითა და პურ-მარილში მონაწილეობით. ქრისტიანები კი ამადლების დღესასწაულს ზეიმობდნენ. იქვე ახლოს იყო მეორე ზიარეთიც, ისიც მთა, ოღონდ ნასოფლარ **როკეთისა**. აქ როკეთელებთან ერთად აწვევითელები, ქუნცელები ამოდიოდნენ. ამ მთას ეძახდნენ „ზიარეთსაც და ამადლებსაც“. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს სოფლები სარო და ხიზაბავრა ამ ადგილს ამადლებას და საკვირიკეს უწოდებდნენ. დიდი ზიარეთია მითითებული იმავე ასპინძის რაიონში, ერთ-ერთი მწვერვალის სახელად ძველ რუსულ რუკაზე. ტოპონიმი „ზიარეთი“ გვაქვს სამცხეთშიც.

### 32. ბაძგირეთელთა ზიარეთი

„ინეწმინდას“ გადაღმა, უკვე იმერხევში, ბაძგირეთელთა „ზიარეთია“. „ბაძგირეთზე ასე მარჯვნივ ტყია, იქარის „ზიარეთი“. „ზიარეთზე“ ორ-სამ წელიწად მარუნია ჩემმა დედამ. იქზე ერთი დიდი ქვა იყო, ქვაში, გეგონება, ცხენის ფეხი ეტყობოდა. ავად ვიყავი და დედას დავეყავდი, იქ დამაწვენდნენ, მორჩებაო, იტყოდნენ. სამ-სამი ღამე ვრჩებოდით“. „ზიარეთზე წამიყვანეს, 7-8 წლისა ვიყავი. ცოტა ჭკუიდან ლენჩობა მქონდა. მაზინეს, მაზინეს, ვერ დამაზინეს. ვატყუილე რომ დავიძინე, ვერ დამაზინეს...

ბაზგირეთელები თავიანთ ზიარეთში ორი გზით ადიოდნენ: ერთი ბილიკი საძგირეთელს ველიდან მარცხნივ მიემართება: „გაივლი გაკაფულაის და ჩახვალ ზიარეთში“, ხოლო მეორე ადგილი „ჯანჯირის მთიდან გაიარ, ნახევარ საათში იქ ხარ“, იქ ბევრი ძველი საფლავებია, ღამაზი ადგილია, ქვებია და ღამაზი კორდია“. „ზიარეთ ჯანჯირთან ახლოა. ვიარებოდით იქზე“.

### 33. იახსარი

ფშავის ერთ-ერთ საყმოს ქისტაურთა მფარველი ღვთისშვილია იახსარი (რომელიც ოსურად „ძლიერს“ ნიშნავს). იგი, თავდაპირველად, ხორციელი ყოფილა, წმინდა ბერი, ღვთის მლოცველი და ღვთისაგან ძალამიცემული დევების წინააღმდეგ საბრძოლველად. რომეცაში დღესაც გაჩვენებენ კლდეს, რომელიც დევებთან ბრძოლისას ლახტით გააპო იახსარმა. იახსარმა ადამიანები დევებისგან დაიცვა. ისინი სრულად ამოჟლიტაო.

### 34. ალპანას გიორგობა

სოფელ ალპანას იციან გიორგობა. ვითარ იგი 23 აპრილს სასწაულმოქმედის წმინდის გიორგის დღესასწაული. ამ სოფლებს ასხია მთელი ხალხნი... ალპანის სოფლისა ხორცსაც ჭამენ. ხოლო აჭარის მხოლოდ პურ-ღვინო-ღობიოს შეექცევიან „ურა, მრავალჟამიერთ“. იციან აგრეთვე წირვა, მარხვა და გალობა, თაყვანს სცემენ ჯვარს ნასაყდარში, მღერიან „ნადურს“ და სხვა.

### 35. ხახული თურქეთი

„ხახულისწყალზე“ ტაძართან ახლოს, ერთ დიასახლისს საოჯახო ჭურჭელი გამოეტანა და რეცხავდა. დაღლილი წელში აიძარტა და ტაძარს შეხედა. ღვთის ძალით დაინახა, რომ ტაძარი ღოცულობდა, წელში იხრებოდა და იმართებოდა. გაიფიქრა, ალბათ, საჭიროა კვლავ გავადლოთ ტაძრის კარები და ღოცვა აღვასრულოთ. დაე, თუნდაც ეს იყოს მუსლიმური ღოცვა, ღმერთი ერთიაო. მერე სოფელელებიც დარწმუნდნენ ღვთის ნებაში, რომ უფალს სურდა შეეღოთ ტაძრის კარები და ელოცათ. აქედან მოყოლებული ოთხ საუკუნეზე მეტია თავიანთ სულებს ამ ტაძარში ავედრებდნენ უფალს დღესაც ტაძრის მცველი, ხოჯა, აქ ღოცულობს. მან თქვა: ვიფიქრე, აქ მეტს აღარ ვილოცებ-მეთქი. მის მერე სიზმარი ვნახე დავიფიცე, სანამ ცოცხალი ვარ, ტაძარს არ მივატოვებო“.

### 36 წმინდი სერი

გადმოცემის თანახმად წმინდა ბერები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნ. მათი ნასიარულევი ბილიკები არ ტყევდება. მათ მათი სამყოფელი იქ მთაზე ჰქონიათ, ხანდახან ჩამოდოდნენ ისიც საჯვარებოშიო. ოსმალოს მერე ისინი ვინმეს აღარ უნახავსო.

### 37. საჯვარებო

ადგილი ქიძინიძეების ზევით. თურქების შემოსვლის მერე, აქაურებს ჯვრები და ხატები დაუმაღავთ. სოფლის სადავო საქმე იმ ქვებთან, იქ წყდებოდა. იქ

ნათქვამს ვინმე ვერ გადათქვამდა. იმ ადგილზე ნათქვამ სიტყვას დიდი ძალა ჰქონდაო.

### 38. გომანის ქვა

ეს ქვა, კლდე, წმინდაა, მას რასაც სთხოვ შეგისრულებსო, ოღონდაც ადგილზე უნდა მიხვიდე, კენჭები აიღო, წმინდანის ნაფეხურებში ჩააწყო და უკან მოუხედავად დატოო იქაურობა. ეიხედავ, არ შიგისრულდება. აქ ფეიღამბერს გუდუველია ცხენით და კლდე შუაზე გუუპია. აქ დღესაცაა მისი და თავისი ცხენის ნაფეხურები. აქ მოდიოდა, მას გზაში ტრები დევსიენ. ირგვლივ ყველანი დაამარცხა და კლდეც შუაზე გააპო და ზედ გედიარაო. მის მერე ეს ადგილი წმინდაა და აქ მოსული რასაც სთხოვს, „გამჩენელი“ შეუსრულებს.

### 39. შეიდის ტბა (ა - სოფელ ნაღვარევის ზემოთ მთაში)

კიკიბოს მთის გადაღმა, სოფელ ნაღვარევის ზემოთ, არის ტბა, რომელსაც მოსახლეობა შეიდის ტბას უძახის. ეს ტბა ძველ დროში ოქროით ყოფილა სავსე. მასში ყოფილა მეხელოდი (სასაფლაო) ვიდაც წმინდანისა, რომელიც არ ფუჭდება (იხრწნება) აქ მლოცველები მიდიან და აბდეს ღებულობენ. ამბობენ ამ ადგილას ლოცვა მაღლიაო.

### 39. შეიდის ტბა (ბ - სოფელ ნაღვარევის ზემოთ მთაში)

კიკიბოს მთის გადაღმა, სოფელ ნაღვარევის ზემოთ, არის ტბა, რომელსაც მოსახლეობა შეიდის ტბას // წმინდანის ტბას უძახის. ამ ტბის გვერდით არის ქვის გროვა, რასაც აქაურები საფლავს ეძახიან. ამ ქვებთან დაკავშირებით ამბობენ – რომ აქ წმინდა ადამიანია დასაფლავებული. ამიტომაც აქ მიდიან მორწმუნეები და ლოცულობენო.

### 40. „გოგო მეხერის“ – ამბავი

საყურადღებოა, მემხლიანობის პერიოდში წმინდა ადგილების მონახულებაც, რასაც თან სდევდა განკურნებისა და შვილიერების ვედრება. განსაკუთრებით საინტერესოა, უშვილო ქალების სვლა დევსქელის მთის საძოვრებიდან „გოგო მეხერის“, ანუ წმინდანის საფლავის მოსანახულებლად. აქ მყოფი ქალები რამდენიმე საათით იძინებდნენ და სიზმრის აკვარგიანობის

მისედვით მსჯელობდნენ მომავალზე. ადგილობრივი მოსახლეობა „გოგო მეზერს“ შვილიერების ფუნქციას მიაწერს.

#### 41. ლაშარის მუხა

ხმელგორზე, სადაც ახლა ლაშარის ჯვრის სალოცავია, ერთი ბერმუხა მდგარა, რომლის წვერი ცას სწვდებოდა თურმე. ამ მუხის ჩრდილი ხოშარამდე უწევდა. უხის წვერზე ოქროს შიბი ეკიდა და ზედ ანგელოზები ჩამოდოდნენ ციდან და მუხის ტოტებზე სხდებოდნენ.

ზურაბ ერისთავმა მოინდომა ფშავ-ხევსირეთის დამორჩილება, მაგრამ ვერაფერს გახდა. ზურაბმა ფშავ-ხევსურეთის ბევრი ხატი გატეხა, აურაცხელი სიმდიდრე გაიტანა, ლაშარის ჯვარს კი ვერაფერი მოუხერხა. მიადგნენ მისი ყმები ლაშარის მუხას, დაუწყეს ჭრა, მაგრამ რამდენი ნაფოტიც გადმოვარდებოდა, იმდენივე უკან აფრინდებოდა, მიეკვრებოდა და ხე ისევ იკურნებოდა. ზოგის გადმოცემით კი, ზურაბის ჯარისკაცებს ხის ჭრაში უღამდებოდათ, ბნელში ვერაფერს არჩევენდნენ და მუშაობას წყვეტდნენ, მეორე დღეს კი ხე ისევ გამრთელებული იყო.

ზურაბი საგონებელში ჩავარდნილა. უნდოდა, როგორმე შეეცყო მუხის მოჭრის საიდუმლო და ოქროს შიბი ხელში ჩაეგდო. ბოლოს, ზურაბს დაუბარებია ფშავის თორმეტი თემიდან კაცები და მოუთხოვია მათთვის, გაეცათ ლაშარის მუხის მოჭრის საიდუმლო.

პირველად გოგოლაური დაუბარებია, უთქვამს: ან ამ მუხის მოჭრის საიდუმლო უნდა გამიმუღავნო, ან კლდიდან უნდა გადახტეო. მაღალი კლდე ყოფილა, ფრიალო. იქიდან გადამხტარ კაც დაბლა სულიც არ დაჰყვებოდა.

ოგოლაურს კლდიდან გადახტომა აურჩევია და გადამხტარა კიდევ. ჩავრდნილა არაგვში, გაუცურავს მდინარე და გაღმა ტყისთვის შეუფარებია თავი.

#### 42. ლაშარის ჯვარის მუხა

ჩვენ ლაშარის ჯვარის ყმან ვიყვენით, იქ სკამ გვქონ. წელშუა დავდიოდით საზღვრულად მინდიკაურები და მიგვეყვანდ სარიგო საკლავი (ხარი, ხბო ან ჭედილა). ხე ყოფილ ერთი ლაშარის გორზე. იმას წვერში შიბ ხქონიავ მაბმულივ და ცაში ყოფილავ ასულივ. ეს უჭრევავ ზურაბ ერისთავს. მაგრამ ხე თურმე არ იჭრებოდ, სისხლ გადმავიდისავ, ისევ განიკურნისავ წყლულივ.



ერთ ჩვენ გვარის კაც ყოფილ, რომელსაც ცულ არ დაუკრავ ხისად და ძაღლის ხორცი უჭამავ (ვინც ცულს არ დახკრავდ, იმას ძაღლის ხორცი უნდა ეჭამა). პატივსაცემად ჩვენ გვარისად სკამ უბოძებავ, თავის ყმად მაუნათლავ ჯვარს.

#### **43. თამარისა და ლაშარის სალოცავები**

ეს ხატები ნელად (გვიან) არიან დაარსებულები. შუა ნასოფლარებში არიან. ნათქომია, რო მხარგრძელი ყოფილა ივანე, ეგეთნი დამხვდნენ ფხოველნიო, როგორც მხეცნიო. ზოგი დაეწვიო. ალბათ მაშინდელია, რო ნასახლარებია. ეს ხატები თამარ მეფის უწინვეა დაარსებულები. ლაშარის ჯვარს რო ვეძახით, ჯვარი იყო. თამარმა შასწირა შვილის სამწყალობნოდა და, რაკი თამარმა შასწირა, დაარქვეს ლაშარის ჯვარი, თურმე ისე წმინდა გიორგობით ხსენდება, მუხის ანგელოზობითა. ოდე-მოძმეთ კი ეძახდნენ თამარსა და ლაშარარსა და დედა-შვილნი კი არიან.

თამარი რო მომკვდარა, რვა კუბო გაუსვენებიათ. ერთი კუბო მანდ არი დამარხული და იმაზე დაარსეს თამარის ჯვარი, მანდ წყაროც არი – პირსაბანსაც ეძახიან. რო მახვდებიან, ფულებს ჩაჰყრიან – იბანებიან. წამალიაო.

#### **44. გემისამბუფი კარხსლებზე**

კარხსლებზე ახლაცაა „გემისამბუფი“, ქვეყანა რომნა დაქცეულიყო, ნოვეს გამჩენელმა გამუცხადა, გემი ააშენეო. ნოვემ კიღობანი კარხსლებზე გააჩერა. იქ ჯენჯირები ახლაცაო. ამ კლდეზე დიდი ნახვრეტია, რაზეც გემებს ამბავდნენო“. იმის ქვეიდან კი კარხსლებს შორის მოვაკებულ ადგილს „ჯვარი მინდორი“ ჰქვია.

#### **45. მეწყერის მიზეზი**

წაბლანაში მეწყერი იმიტომ ჩამოწვა, რომ იქაურმა მონადირეებმა შველი მოკლეს.

#### **46. არგინეთის მითი**

„ნოემ გადმოვიდა და გემი მიაბა მთაზე. ბაბოი იტყოდა: არგინეთის მთაზეო რომ ჯაჭვია, იქ მიაბაო ნოვემ, მეგემ, გემიც ამ მთაზე უშენებია. მერე უცურვია გემს, უცურვია და ისევ აქ დაბრუნებულა. ხალხში არსებული

თქმულების თანახმად, ვინც არგინეთის // არგინეთის მთაზე ავა და იქ დაბმულ ჯაჭვს ნახავს, გამდიდრდება. დუნია რომ მეისვარა, აქ ერთი ანგელოზის გემი მოსულა, იი გემი მის მსახურებს მთებზე დოუბამთ, მემრე იმ კაცს დოუწყია ლოცვა-ვედრება-გამხენელო, მზე და სითბოვო, თუ არა და აქ რაც ჯეელები მყავს, ესენიც დიმიწყდებაო.

– გამხენელს შეუსმენია იმის ლოცვა-ვედრება და წვიმა გუუჩერებია, მერე თანდათან დუუწყია წყალს კლება და სულ დაწეულა ძირში, იი ანგელოზის სახლი მთებზე დარჩენილა და ხალხი ძირში ჩამოსულა და დუუწყია ცხოვრება. ”ანგელოზს კი (ამ შემთხვევაში მთქმელს აღარ ახსოვს სახელი), ნოეს ულოცია, უფლისთვის უთხოვია, რაკი, შენი დავალება შევასრულე, წამიყვანე შენთან, ცაშიო. მუბარექს მუუსმენია და სავსე მთვარობას ცაში წაუყვანია. იმ დღიდან მოყოლებული „ყველა დუნიაზე გაჩენილ კაცს იქ ასვლა უნდა”.

ამბობენ, ვინცხაი დილას, მზის სხივის მოკიდებაზე, იქ ავა და არგანის ჯოხს დაკრავს იმ ჯაჭვებს, სულ ოქროს წვიმა წამუა და გამდიდრებს იმ კაცსო.

...თურმე აადწია არგინეთის მთაზე ერთმა კაცმა, რომელმაც მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, დაჰკრა ჯოხი ჯაჭვებს და გამდიდრდა.

არგინეთის მთის სასწაულმოქმედი ჯაჭვის შესახებ ხალხში დარჩენილა ლექსიც:

არგინეთის თას თუ წახვალ,  
გზა გექნება დიდია.  
არღანს დუუკრავ სალამად,  
ჯავრი ნუ გექნება დიდია.  
არგინის ჯოხს თუ დაჰკრავ ჯაჭვებს,  
ოქრო მექნება ძვირია,  
შინ რომ შემობრუნდები,  
ცოლ-შვილი დაგიხვდება წვრილია.

ასევე საინტერესოა, როცა ნოეს ცაში ასვლის დრო მოვიდა, ვარსკლავებმა სიმღერა დაიწყეს, ციდან კი ოქროს წვიმა წამოვიდა და ნოეს კილობანი ერთიანად დაფარა. დილას, ვიდრე მზე ამოვიდა, ამოვარდა ქარი და ყველაფერი გაქრა, კილობნის ჯაჭვების გარდა.

#### 47. კარასერის მთის ამბავი

კარასერზე ჯენჯირებით ყოფილა დაბმული ფეილამბერის გემი. აქაურობა ზღვას უწვია. იმ დროს მუხამედ ფეილამბერს მისი გემი აქ ღუშმბია. აჭარა დალოცვილია, ამ მხარეს არაფერი არ მუყა.

#### 48. ხარიათალი // კარასერი

ქვეყანა ექვსჯერ ავსილა და დავსილა, მაგრამ საბოლოო მეშვიდეაო. ღუნის მეექვსედ დავსების დროს ნოვეს გამოცხადებია მელაიქები და უთქმინ ყველაფერი. ნოე კიდობანს // გემს „კარა სერზე“ ორ წელწადს აშენებდა. ზოვლი დიდი კიდობანი უშენებია. მშენებლობის დროს ერთ დედაბერს უხვეწნია ნოესთვის, მეც წამიყვანე და გადამარჩინე, სანაცვლოდ ერთი ძროხა მყავს და იმის რძეს ყველა დღეს შენ და შენ უსტიებს მოუტანო. ნოე დაპირებია, მაგრამ წარღვნის დროს დედაბრის წაყვანა დავიწყებია. ქვეყანა რომ დაქცეულა და მერე გამოდრილა, ყველაფერი მის ადგილზე დამდგარა, ნოეს უნანია მისი საქციელი და დედაბერი მუშუქებნია. დედაბერი კი ამ დროს ისევ მის ქოხში ყოფილა. ნოეს უკითხავს – ნენი აქ ახიშერი არ ყოფილაო? რაო, უთქვამს ნენეს. პაწაი წვიმა იყო, იმდენი რომ ძროხა დასველდაო, სხვა არაფერიო. დედაბერი ისევ ეხვეწებოდა ნოეს, არ დამტიოო. ნოეს გაუკვირდა მარა მიხვდა, რომ მოხუცი გამჩენელმა მისი მადლის გამო გადაარჩინა და დედაბერს უთხრა, აწი ქვეყანა აღარ დეიქცევაო. ამ ადგილს კი „კარა სერი“ იმიტომ დარქმევია, რომ ნოეს (ფეილამბერს) გემის კარი წარღვნის მერე პირველად აქ გაუღია.

#### 49. ხარიათალი // კარასერზე

ამ ღუნიაზე ძალიან მომრავლებულან ბოროტი ადამიანები და მარტო ცუდ საქმეებს აკეთებდნენ თურმე. ღმერთი ამაზე გაბრაზებულა, გადილხორებულა და გუუფთხილებია, რომ ყველაფერს დავაქცევ, გავანადგურებო, მარა ხალხი იმ დონეზე გაურჯულებულა, ამ გაფთხილებისათვის ყურიც კი არ გუუბერტყია. მის მერე ერთი რჩეული უურჩევია ღმერთს–ნოვეი, რომელიც აჭარაში ცხოვრობდა. მას გამოცხადებია უჩუმარაი და უთქმია ამ ღუიიდან დასაღუპავად არ მემეტებო. ნოე კიდობანს „კარა სერზე“ აშენებდა. მას ზოვლი დიდი კიდობანი უშენებია. მშენებლობის დროს ერთ დედაბერს უხვეწნია ნოესთვის მეც წამიყვანე და გადამარჩინე, სანაცვლოდ ერთი ძროხა მყავს და იმის რძეს ყველა დღეს შენ და შენ უსტიებს მოუტანო. ნოე

დაპირებია, მაგრამ წარღვნის დროს დედაბერის წაყვანა დავიწყებია. ქვეყანა რომ დაქცეულა და მერე გამოდრილა, ყველაფერი მის ადგილზე დამდგარა, ნოეს უნანია მისი საქციელი და დედაბერი მუუძებნია. დედაბერი კი ამ დროს ისევ მის ქოსში ყოფილა. ნოეს უკითხავს – ნენი აქ ახიშერი არ ყოფილაო? რაო, უთქვამს ნენეს. პაწაი წვიმა იყო, იმდენი, რომ ძროხა დასველდაო, სხვა არაფერიო. დედაბერი ისევ ეხვეწებოდა ნოეს, არ დამტიოთ. ნოეს გაუკვირდა, მარა მიხვდა, რომ მოხუცი გამჩენელმა მისი მადლის გამო გადაარჩინა და დედაბერს უთხრა აწი ქვეყანა აღარ დეიქცევაო. ამ ადგილს კი „კარა სერი“ იმიტომ დარქმევია, რომ ნოეს (ფეილამბერს) გემის კარი წარღვნის მერე პირველად აქ გაუღია.

#### 50. კარასერი // ხარიათალი // შურმული

კარასერზე ადრე ნოეს გემი ყოფილა დაბმული. იქ კარგა ხან ჟენჯირები იყო შემონახული და მერე იქნა განადგურებული. იქ ხარების ყიშლაც ყოფილა. ძველების გადმოცემით აქ ერთი დედაბერი ცხოვრობდა. გემის გამზადებისას სულ ეხვეწებოდა, არ დამტიოთო. ქვეყანა რომ დაქცეულა, აქაურობა სულ წყლით ავსილა. დედაბერი დავიწყებიათ. უკან მობრუნებულებს ამ სერზე ისევ მუუძებნიან დედაბერი. მალე უნახავთ ქოსში დედაბერი. ის მადლს გუდუურჩენია. დედაბერს წარღვნა ვერ გუუგია და ისევ ეხვეწებოდა არ დამტიოთო. მასთან ერთად ის ხარიც გადარჩენილა, რომელსაც ნოეს ახმარდა სამუშაოებზე. ამის მერე ამ ადგილს ხან კარასერს, ხან ხარიათალს უძახიან. ხარიც და დედაბერიც მათმა გაკეთებულმა მადლმა გადაარჩინაო. კარასერზე კომუნისტების დროს რაღაც სამხედრო ბაზა ჰქონიათ. ის ისეთი მაღალია, იქედან ყველა მთა მოჩანს. ეს ტერიტორია სამხედრო კარი იყო და ამიტომაც დაერქვაო.

#### 51. კარასერი

კარა კილდეა. ეს ქვეყანა წყალსა აქვს წადებული. პარახოდი გააკეთებებს, დედალ-მამალიდა შეიყვანეს, დანარჩენი დეირნო. მემრე ხელახლა გამრავლდა ხალხი. იი პარახოდი იქ, კარა სერზე, ყოფილა დაბმული მსხვილი ჯაჭვით. ჯაჭვი ახლაცაა დარჩენილი“.

#### 52. ნოეს კილობანი – წარღვნა

როცა ქვეყანაზე გაჩნდნენ ურწმუნო ადამიანები და მათ არ სჯეროდათ უფლის არსებობის, უფალმა გადაწყვიტა, მთელი სამყარო წყლით დეეფარა. ნოე ღმერთის საყვარელი ადამიანი იყო, ვინაიდან მას ღმერთის სჯეროდა. ნოემ გადაწყვიტა, დიდი კიდობანი აეგო და შით ყველა სულიერი ცოტ-ცოტა შეეყვანა. კიდობანზე აიტანეს საჭმელ-სასმელი, ორმოცი დღის მარაგი. მისი შვილი კი ურწმუნო იყო. ის მანამ არ გახდა მორწმუნე, სანამ წყალი არ წამეიწია, მას ნოე ურწმუნობაში არ უშვებდა კიდობანში. ის კიდობანში ბოლო დღეს უუშვაო. წარღვნის მერე ბოლო დღეს ხალხს კიდობანში საჭმელი გამოეღიათ. ნოემ ხალხი მშიერი რომ არ დარჩენილი ყოფილა შვიდი სახის მარცვალი უურია, რაც იყო მოხარშა და ხალხს აჭამა. კიდობანში მყოფ ნოეს მაშინ გაახსენდა ერთი მოხუცი ქალი, რომლის კიდობანზე აყვანა დაავიწყდა. ნოე უკან როცა დაბრუნდა, მოძებნა დედაბერი და ნოემ დეინახა, რომ ის ქალიც და მისი სახლიც გადარჩენილიყო. ნოემ ჰკითხა, წვიმები რომ იყო, მაშინ რას შვრებოდით. დედაბერმა უპასუხა, წვიმა არც შიმიტყვია, ძროხა რომ დაბრუნდა, პაწად იყო სველიო. ის გამჩენელმა გადაარჩინა მისი მადლების გამო.

### **53. „ირმისა“-ლეგენდა**

ადიგენის რაიონის სოფელ არალის მახლობლად მდებარეობს ერთი ეკლესია, რომელსაც „ირმისა“ ჰქვია... ერხელ ირემმა დააგვიანა მოსვლა, რომ მოვიდა, დასვენება არ აცადეს და მაშინვე დაკლეს, ამის მერე წმინდანი გამწყრალა და ირემი აღარ მოუდიოდა.

### **54. ირემი საყდრის გალავანში**

ზესტაფონის რაიონის სოფელ საქარაში. ყოველ მთავარანგელოზობას, ნაშემოდგომებს მოდიოდა გაღმა ტყიდან თურმე ირემი საყდრის გალავანში, დაწვებოდა და დაიწყებდა ნაცოხრობას, მევიდოდა ხალხი და დააცლიდა, სანამდი დეინაცოხრებდა. მერე დაკლავდნენ და შეწირამდნენ. ყველას უნდა რგებოდა მისი ხორცი.

ერთ წელიწადს, თურმე დააგვიანდა მოსვლა ირემს დაღონდა ხალხი, მარა მოგვიანებით მოვიდა. „მერე ხალხმა, თურმე იმის შიშით, არ წავიდესო,

დანაცოხრებადის დაკლა. ამაზე განრისხდა ღმერთი და იმის შემდეგ ირემი აღარ მოდიოდა.

### 55. რა შველი მოგიკლავს და რა შვილიო.

### 56. შველის მომკვლელი

შველის მომკვლელი ყოველთვის ისჯება. სოფელ გეგელიძეებში წყლის სმის დროს ერთ კაცს შველი მოუკლავს, ამის გამო იგი ღმერთს დაუსჯია. ამ კაცს სანამ გატყავებული ხორცი სახლში აუტანია და მისულა სახლში მის ორ ვაჟს ერთმანეთი დაუხოციათ. ე. ი. ვინც მოკლავს შველსო, კაი დღე არ დაადგებაო.

### 57. ვინც ამ ცხოველს მოკლავს, ამ წუთისოფელში ჰარამი მიქნიაო

ფეილამბერი რომ დაიჭირეს ქრისტიანებმა, ფეილამბერს არ უშვებდნენ, ტყიდან თუ შველი ჩამუაო, მაშინ გაგიშვებთო. იმათ ეგონათ, შველმა რა იცის და რას ჩამუაო, რას გეიგებსო, საიდან იგრძნობსო. ფეილამბერს უთქვამს, რომ ჩამოვიდეს, მართლაც გამიშვებთო? - კიო. შველი მთიდან მართლაც წამოსულა, მაგრამ იმათ გზაში მისთვის ხაფანგი დაუგიათ და შველი იქ ჩაუგდიათ, მოდიოდა და დიება, მარა მოგლიჯა თურმე ხაფანგი და ფეილამბერთან მაინც მივიდა. ფეილამბერმა გახსნა ხაფანგი და ჩლიქში (შველს უკანა ფეხებთან, ჩლიქებთან თეთრი აქვს) იოდიანი ბამბა ჩაუდო, შუუხვია და გუუშვა და თქვა: შველის ხორცის ჭამა აკრძალა, ვინაიდან ის ჩვენ სიცოცხლეს ეწირებოდაო“.

### 58. შველს უკანა ფეხზე თეთრი ბეწვი აქვს

ერთხელ შველი დაუჭერიათ. შველი როცა უნდა დაეკლათ, ენაზე მოსულა და უთქვამს: პატარა ნუკრი მყავსო, მშიერი მოკვდება, ახლა წავაღ, ვაჭმევ და მერე მოვალო. ამ კაცებს გაუშვიათ. შველს სიტყვა შუუხსრულებია და უკან დაბრუნებულა. მუბარეექ ღმერთს ხელი უკანა ფეხზე მურტყმია (ეს იმიტომ აქვსო) და „წაიო“ უთქვამს: „შენ იმდენი დაგვიჯერე, ნუკრს აჭამე და უკან მოხვედიო, რომ არ მოგვატყუე და დაბრუნდი, ახლა ადექი და წადი შენ შვილებთან შენ იყავიო“.

### 59. შველი მუბარეკის ცხოველია

შველს მუბარეკის ხელი აქვს გადასმული უკანა ფეხზე, ამიტომაცაა ჩლიქებთან თეთრი რომ აქვსო“.

### 60. შველი ღმერთის ცხოველია

„შველი ღმერთის ცხოველია და არ უნდა მოეკლათ. ალბათ ღმერთმა შური მაგიტომ იძიაო“.

### 61. შველი ღმერთის ცხოველი

ღმერთს მის წინსაფარზე დუუძინებია შველი და ხელი გადაუსმია. დაჭრილი ყოფილა და უმკრნალებია და ჰარამი უქნია, ვინც ამას მოკლავსო.

### 62. „შველის მოკლა ცოდვაა“

შველის მოკლა რომ ცოდვაა, როგორც ჩვენ საქონელი გვყავს და ვპატრონობთ, ისე შველსაც ჰყოლია პატრონი. ერთი მონადირე ოსმანა ყოფილა, რომელიც შველებს კლავდა. ერთ დღეს ოსმანას კოხზე დაუნახავს, რომ ქალი დამჯდარა, შველს წველის. ოსმანას მოუკლავს, დადაგორებულა ქვევით ეს შველი. ამ დედაბერს ოსმანაი დუწყევლია. მართლაც არ გასულა ერთი კვირა და აუჯი ოსმანა მომკვდარა. ცოდვა მუუწია წველაში მოკლაო. ცხოველები ხომ არიან ყველანაირი. სელიმ იბრაიმი ყოფილა მორწმუნე და ბარაქიანი კაცი. მას ღმერთმა ბევრი საქონელი მისცა, მაგრამ მას ამათი მოვლა გაუჭირდაო, ამდენი ჰა ნა წვეყვანო? \_ ღმერთმა მას ჯებრაილი გამუგ ზაენა. \_ ამ კაცმა იბრაიმს უთხრა: ) \_ რომე, მომყიდუო ნისიად გამატაიო, ყველანაირი: ძაღლი, ძროხა ცხვარი და ა. შ. მართლაც გაატანა ნისიად, მაგრამ ჯებრაილს სად უნდა წაეყვანაო. გვედა ცოტა, იქით ტყეში დატაიო, მარა ყველას პატრონობას უწევსო.

### 63. წინაპრისეული ტრადიციებიდან გამომდინარე ჩვენში

#### შველებს არ კლავენ

შველის მოკლა და მასთან დაკავშირებულ შურისძიებაზე მოგვითხრობს ერთი ამბავი: ხისადირის ხეობაში, ამ ადგილებში ძალიან ბევრი შველი იცის,

წინაპრებისეული ტრადიციებიდან გამომდინარე ჩვენში შველებს არ კლავენ, მაგრამ ახალგაზრდებს მაინც მოუკლავთ შველი, ამიტომაც ხალხი ნაწილობრივ ამ ადგილის - „სოლგომანის“ მოხეტქვა-ჩამოქცევას ამ ცოდვას აბრალებს, შველი ღმერთის ცხოველია და არ უნდა მოეკლათო. მადლმა მარტო ის ადგილი გადაარჩინა, ჰაცხა ქითაბი იყო, ამ სახლს აქეთ იქედან ჩამუარა სოლგომო.

#### 64. წაბლანის ჩამოხეტქვის ისტორია

ეს ადგილი, ძველების გადმოცემით, ორმოც წელში ერთი ილლა ჩამოდის. ჩემი დედი იტყოდა, – რომ ეს ჩანჩურხევი დაწყველილია. იმიტომ რომ ამ სერის ქვეით ერთი კაცი ცხოვრობდა და ღელეში ხიდი ჰქონია გაკეთებული. ხიდის გაღმაზე ხეხილის ბაღი ჰქონია გაშენებული. ამ ხიებზე ბაღეები ასულან, თან მუუპარიან და თან ტოტებიც დუუტეხიან. გაბრაზებულ კაც იმფერი ღუა ჩუუკითხია, რომ ეს სეები ბაღეები წყალში ჩაცვენილან და დამხჩვალან. გამჩენელს ეს ადგილი დუუწყველია და ამ ამბის მერე ეს ადგილი ყველთვინ ჩამოდის, იფლატება. ახლა ზამანი გაფუჭდა, გამჩენელის აღარ ეშინია, აღარ წამს და ყველაფერი იმის ბრალია.

თურმე, სანამ ჩანჩურხევი ჩამეიქცეოდა, ჭათებში ერთი ქალი გაგიჟებულა. უწყვიან ეს ქალი და კრავოტის ფეხზე დუუმბიან. ამ სახლში ერთი ორსული ქალი ყოფილა სტუმრად. გიჟი ქალი მიდგომია: გეიქე, გეიქე, ჩანჩურხევის სერი მოდისო. ამას ჩამოქცევამდე სამი დღით ადრე ყვიროდა ისე, რომ ვერ აჩერებდნენ. სახლის შერლიგს გუდუწყვეტიან, წასულიყვნენ და ხოჯები მოეყვანათ და ელოცათ. იფიქრეს, ახალი მთვარეა და, ალბათ, გამუუცხადაო. მამამთილს ხოჯები-რაქეთიდან, ფუშრუკაულიდან მუუყვანია, ულოციათ. მარა ქალი ამ ლოცვაზე უფრო გაგიჟებულა და ხოჯიებისთვის უთქვამს: მე ზათი გიჟად მთვლით, მარა თქვენ მაინც გაასწართ, ჩანჩურხევი მოდისო. ხოჯებს მართლაც გუუსწრიან იმ ადგილისთვის, იმ ორსულ ქალს კი ვერა. ჩვენ აქედან გუყურებდით, თუ როგორ ნაკეც-ნაკეც მოჰქონდა ყველაფერი, საშინელება იყო. ფახიდან ყველაფერი ჩანდა.

#### 65. ჩანჩურხევის ჩამოხეტქვის ისტორია

ეს ადგილი, ძველების გადმოცემით, ორმოც წელში ერთი ილლა ჩამოდის. ჩემი დედი იტყოდა, რომ ეს ჩანჩურხევი დაწყველილია, მერე იმ ადგილზე



დგება წყალი, მერე ისევ ჩამეიქცევა და ასე გრძელდება. თურმე სანამ ჩანჩურხევი ჩამეიქცეოდა, ჭათებში ერთი ქალი გაგიჟებულა, რომელიც ფანხიდან ყოფილა გათხოვილი, სახელად ნინო. ეს ქალი რომ გაგიჟებულა მასთან ხოჯა მუუყვანიან სალოცავად. იმ დროს ამ ოჯახში სტუმრად ორსული ქალი ჰყოლიათ სტუმარი. ის ავადყოფი მიმდგარა ამ ქალს, ჩქარა წაი, გაასწარო, მარა იმასაც ვერ მოუსწრია შვაგზე გასწრება და ისიც დაღუპულა. ამას ჩამოქცევამდე სამი დღით ადრე ყვიროდა ისე, რომ ვერ აჩერებდნენ.

#### 66. ქვეყნის დაქცევის ისტორია

უხსოვარი დროიდან არსებობს თქმულება, რომ დედამიწა დაფარა წყალმა. აჭარაში ცნობილი იყო ერთი მორწმუნე კაცი, სახელად ნოე, რომელმაც გააკეთა უზარმაზარი გემი, რომელსაც კიდობანი დეერქვა. ამ გემში შედიოდა მრავალი ცხოველი, ფრინველი და თვით ადამიანები. ეს გემი ზღვის პირას იდგა. მას არ ჰქონდა შესასვლელი კიბე. ცხოველები შით ბუნებისა და უფლის მადლით – ძალით შედიოდნენ. ამ გემის ახლო-მახლო ცხოვრობდა ღმერთის მორწმუნე სულტან-სულეიმანი. ამ კიდობნის გემის მშენებლობის დროს სულთანი უზიდავდა საკვებს და თხოვდა, ნოე როცა მშენებლობას დაამთავრებდა, წაეყვანა. სულთან-სულეიმანი ცხოვრობდა ვიწრო, პაწა სახლში, რომელიც ეწოთ იყო დახურული. სულეიმანი წვედა და დეიძინა მის სახლში. ამოვარდა ქარბუქი, ადიდდა მდინარეები და ზღვები. წყალმა გემი გეიტაცა. მთლიანი დედამიწის ზურგი დაფარა წყალმა, არ იყო არსებობა ერთი თვის მანძილზე. ერთი თვის მერე გემი დაეჯახა დიდ გორას და გაჩერდა. როდესაც გამოიდარა. მოვიდა კარგი კაშკაშა მზე. წყალმა კარგა დეიკლო და გამოჩნდა – გორები, მთები. ყოველი არსება – გადმოფრინდა ძირს გემიდან. სულთანი მივდა ნოესთან და უთხრა: დაგინახეთ და წამოვედიო. მე როდესაც დეეძინე და გამოვიღვიძე ჩემს სახლში სილა იყო და ამიტომაც შენთან მოვედიო. სულთანს მთელი იმ ხნის განმავლობაში ეძინა, რამე არც დაშავებია.

#### 67. ჩანჩურხევის ჩამოხეთქვისა და ცოდვა-მადლი

ჩანჩურხევს შორიდან რომ შეხედავ, გეგონება, ერთი პაწი სერია, ამან რანა ქნას, რატომნა მოსკდესო, მარა ზოვლი საინტერესო ისტორია აქ. ეს სერი მისდღეში 40 წელში ერთხელ მაინც სკდება. ზოგჯერ მაგრად (დიდად) მოშვავდება, ზოგჯერ ისე სუსტად. მისდღეში აქაურებს აწვალებს, მარა ხალხი

აქაურობას არ სცილდება. ასე ამბობდნენ, ეს ძველი ხალხის ცოდვაა და ამიტომო. მათ ძველი რწენა დუუკარგიან, წინაპრების საფლავებიც დაკარგულა. ჭურები, რომლებსაც ნახულობენ პატივს არ სცემენ. სხალთის ტაძარიც გაავერნეს და ამიტომო.

#### 68. ჩანჩურხევის ჩამოხეთქვისა და წყევლის ისტორია

ძველად, ჩვენ წინაპარს, აქაურები ჩანჩურხევი წასულან და შველებზე უნადირიან. აქ, თურმე, გამჩენელის საყვარელი ცხოველი შველი ბინადრობდა, ნადირობისას მათ შველიც მუუკლიან. ამ შველისთვის გამჩენელს განსაკუთრებული ყურადღება აქ დაწესებული. ის მისი რჩეულია. მას მტრებისგან დაგებულ ხაფანგში დაზიანებული შველისთვის გამჩენელს ფეხში თეთრი იოდით დასველებული ბამბა ჩუუდვია და ყველასთვის უთქმია, ეს ჩემი ცხოველია და არ მოკლათო. ეს ყველას ცოდნია, მარა სანადიროდ ურწუნო ბადვი წასულა და რამე რომ ვერ მუუკლია, მისულა და შველი მუუკლია. სოფელში დაბრუნებული ბიჭი, რომ დუნახავთ ფეიდამბრის ცხოველის ერთაი, მათ უთქვამთ: გამჩენელი დაგვწყევლის, ამას არ გვაპატიებსო. მის მერე ის ადგილი სულ სკდება. ღმერთი ამ ადგილს აღარ მფარველობსო.

#### 69. ჩანჩურხევის ისტორია

ჩანჩურხევის სერი იმიტომ დარქმევიან, რომ აქ ადრე ერთი ჩანჩურაი // ჩანჩურად ჩაცმული კაცი ცხოვრობდა. მეორე გადმოცემით ამ ხეობაში უწინდელიდან მოყოლებული სხვა სარწმუნოებაზე მორწმუნე ხალხი ცხოვრობდა. აქ დღესაცაა მათი სალოცავი, აქაურობი ამ ადგილებში ყანის მოხნისას ნახულობენ ქვევრებს. წინდელ დროში, თურქები რომ მოსულან, აქაურების ნაწილი ნებით, ნაწილი კი ძალით გუუმუსლიმანებიან, სარწმუნოების ამბებს, ბევრი გუუწვალიან. თათრებს აქაურები უწამებიან და მუუკლიან. ხალხის თქმით, ეს ადგილები იმიტომ სკდება, რომ აქაურებმა ქართველებმა, მათ რჯულს უღალატეს და ღმერთი იმიტომ სჯისო. აქ თუ ხალხი არ გაქრისტიანდა, მისდღემში მოსკდება და მოსკდებაო.

#### 70. სოფლომანის ისტორია

უწინდელ დროს ეს ხეობა ყველაზე ქრისტიანული მხარე ყოფილა, თურქების შემოსვლას აქაურების გამუსლიმანება მოჰყოლია. მტერს აქაური არა

ერთი ქრისტიანი ბერი და მორწმუნე უწამებია, წინაპრისეული წესები უარუყვიათ და ყველფერ ამის გამო ეს ადგილი დაწყველილია და 40 წელში ერთხელ იღლა ჩამეიქცევა, ასეა გამჩენელიდან დაკანონებულიო“. სოლგომანიც მაგიტომ დარქმევიან... მოხეთქვის დროს მთელი სოლგო (გროვა) ჩამოვდაო.

### 71. წმინდა კაცის გაფთხილების ამბავი

ტბის გასკდომამდე ადრე ამ სოფელში ერთ მოხუც კაცს უნახავს სიზმარი, რომ სოფელი უნდა წყალმა წვილოსო. ვისაც დაუჯერია ამ მოხუცისათვის, დაუცლია სოფელი და წასულა ზოგი მახალაკურში, ზოგი ომანახევში. ვისაც არ დაუჯერიათ, დარჩენილა და დაღუპულა.

### 72. ვერნების ისტორია

უწინ სოფელ ვერნების თავზე დიდი ტბა ყოფილა, უშეველებელი, კაცს შეხედვა შეეშინდებოდაო. მის ზეიდან მდგარა პატარა ქილისა (ეკლესია ნ. მ) ამ ტბაზე ხალხს არხები ჰქონია და ყურადში ყანებს ამ არხით რწყავდნენ. ამ ტბაში ერთი შავი ხარი ცხოვრობდა თურმე, მარა ეს არავის არ ცოდნია. სოფ ვერნებში ერთი კალაიჯი ყოფილა, ამას ერთი კაი ბუღა ხარი ყოლია, ისეთი, ვინმეს ხარი რომ ვერ ერეოდა. ერთი დღე ეს ხარი ზოვლი გვიან მოსულა, თანაც დასისხლიანებული. გაკვირვებია კალაიჯის, რა ჭირს ჩემს ხარსო, ხარი კი მთელი დამე ღმუოდა და კნესოდაო. მკალავმა (კალაიჯი) გადაწყვიტა მეორე დღეს ხარს ჩუმად გაჰყოლოდა. მას ეგონა, ვინცხა სულიერმა ცემა (ადამიანმა). მართლაც მეორე დღე ყველაფერი მიატია და ჩუმად გაჰყვა. ხარი იალუმზე (დილა) გუუშვა თუა არა, ხარმა პირდაპირ ტბისკენ წვედა. მისი ხარი მივდა ტბასთან დეიღმუვლა თუა არა, იქიდან შავი ლამაზი ხარი გამოვდა. დეიტაკენ მარა რა დეიტაკენ. კალაიჯის შეეშინდა მარა რას იზამდა. მერე დეინახა, რომ მისმა ხარმა წააგო. კალაიჯიმ იმ სადამოს მის ხარს რკინის ქიები გაუკეთა, მასზე აღმასები დაამაგრა და მის ხარს რქებზე გუუკეთა და ისევ წაყვა უჩუმარაი. ხარებმა ისევ იჭიდავეს, მარა ხმელეთის ხარმა აჯობა, შავი ხარს დღამფალი მუადენია წყალში. დასისხლიანებული ხარის ჩავარდნა და წყლის აქაფება ერთი ყოფილა. დიდი ხმა უქნია, ის ეკლესიაც და ირგვლივ ადგილები, სოფელი ვერნების ტერიტორია, თლა წუუღია. ხალხს გავერნებული სოფელი უუღდგენია და ისევ ამ ადგილებში ცხოვრება დაუწყია. ამ სოფლისთვის კი ვერნები დუურქმიან.

### 73. ვერნების ტბის ისტორია

სოფელ ვერნების თავზე დიდი ტბა ყოფილა, ამ ტბაში ერთი წყლის ხარი ცხოვრობდა თურმე, მარა ეს არავის არ ცოდნია. სოფ ვერნებში ერთი მომკალველი ყოფილა, ამას ერთი კაი ბუდა ხარი ყოლია, ისეთი ვინმეს ხარი რომ ვერ ერეოდა. ერთი დღე ეს ხარი გასისხლიანებული და შიერი მოსულა, კალაიჯის გუღუწვიტია მეორე დღეს ხარს ჩუმად გაჰყოლოდა. პატრონმა ხარი იალუმზე (დილა) გუუშვა თუა არა, ხარმა პირდაპირ ტბისკენ წვედა. მისი ხარი მივდა ტბასთან. იქიდან წყლის ხარი გამოვდა. ხარები ერთმანეთს შეებრძოლენ. ვერნებელის ხარმა წააგო. კალაიჯიმ იმ საღამოს მის ხარს რკინის ქიები გაუკეთა მასზე აღმასები დაამაგრა და მის ხარს რქებზე გუუკეთა და ისევ წაყვა უჩუმარაი. ხარებმა ისევ იჭიდავეს, მარა ხმელეთის ხარმა აჯობა. წყლის დასისხლიანებული ხარის ჩავარდნა და წყლის აქაფება ერთი ყოფილა. დიდი ხმა უქნია, ის ეკლესიაც და ირგვლივ ადგილები, სოფელი ვერნების ტერიტორია თლა წუჟდია. ხალხს გავერნებული სოფელი უუღღგენია და ისევ ამ ადგილებში ცხოვრება დუუწყია. ამ სოფლისთვის კი იმის მერე ვერნები დუურქმიან.

### 75. ფაჩხის კლდის ლეგენდა

ეს სოფელი ფაჩხმატელებმა გააშენეს. იმ დაგორებულ ლოდზე ჯვარცმული ქრისტე იყო გამოსახულიო...

### 75. ფაჩხის კლდის ლეგენდა

წაბლანა-ფაჩხის ეკლესია მომხდურებმა დაანგრიეს, ჯვრებგამოსახული ლოდები დაუგორებიათ, რათა გადაკარგულიყო და აქაურებს დაევიწყებინათ. ისე მოხდა, რომ ერთ-ერთი ლოდის ჯვრის მხარე პირით მიწისკენ იყო დაგდებული. ქალებმა ეს არ იცოდნენ და ლოდზე სარეცხს რეცხდნენ. ერთხელ შემოესმათ: „წადით, თორემ მთა დაგორდებაო, მაგრამ არ დაიჯერეს, მალე ისევ იგივე ხმა გაისმა. ერთი მაინც არ წავიდა, მთა კი მართლაც მოსკდა და კიდევ ჩაიყოლია; აქედან მოდის ხატოვანი გამოთქმა: „რას იბახი ფაჩხის კლდესავითო“.

### 76. ფაჩხის კლდის ლეგენდა

სოფელ ფაჩხა ერთ დროს დაწინაურებული სოფელი ყოფილა. ამ ხეობაში ყველაზე კარგი ჯიშის ყურძენი იწურებოდაო. ამ სოფლიდან სხალთის

მარნამდე დიდი ხის ღარები ჰქონიათ. ყურძენს ფაჩხაში წურავდნენ და ღარების საშუალებით პირდაპირ სხალთის მარნის ჭურვებში ჩაედინებოდაო. ამ სოფლის ყურძნით მთელი აჭარის ეკლესიები მარავდებოდა.

### 77. ტბა ხინოს აღმოსავლეთით

„ტბაში ყოფილა ერთი რაღაც ცხოველი, რომელიც ყოველდღე ამოდიოდა წყლიდან და იქვე მინდორზე გადიოდა. მინდორზე შესვდებოდა სოფლის ხარი და დაეტაკებოდა მას. სადამომდი ჭიდაობდნენ, ხოლო სადამოს განშორდებოდნენ ერთმანეთს და დაღლილ-დაქანცული, მშიერი ხარი სახლში ბრუნდებოდა. ასე რამდენჯერმე განმეორდა. ეს შენიშნა ხარის პატრონმა, გაიგო მთელმა სოფელმაც. დაინტერესდნენ ყველანი. საბალახოდ გასულ ხარს დილით გაჰყვინენ ტბასთან. ცოტა ხნის შემდეგ დაინახეს, რომ წყლიდან ამოვიდა რაღაც შავი ცხოველი და მაშინვე ეტაკა ხარს... ხმელეთის ხარი ისევ დამარცხდა. ხარის პატრონი ყოფილა მოლა-დღეე მახარაძე, რომელიც მჭედელი ყოფილა. მან თავის ხარს რქებზე რკინის მახვილი გაუკეთა და გაუშვა საბალახოდ. იმ დღეს წყლიდან ამოსულმა ცხოველმა ხარი ვერ დაამარცხა, ხარმა კი რკინის მახვილით მოკლა ის ცხოველი. მის მერე ხარი ნორმალურად ძოვდა და სახლშიც მაძღარი ბრუნდებოდა. გასულა ხანი და ხალხი ძალიან დაინტერესებულა, რა იყო ამ ტბაში. გადაუწყვეტიათ ამ ტბის დაშრობა. ერთ მშვენიერ დღეს აუღიათ ხელთ სამუშაო იარაღები და სოფლის მცხოვრებნი წასულან ტბასთან. დაუწყიათ მუშაობა თუ არა ტბიდან წყლის გადმოსაშვებად, უცებ ცა მოღრუბლულა, ამტყდარა ჭექა-ქუხილი, მოსულა კოკისპირული წვიმა და დაშინებული ხალხი იძულებული გამხდარა თავი დაენებებინა დაწყებული საქმისთვის. მეორეჯერ წასულან, მაგრამ მაშინაც ასეთი საშინელი ამინდი შექმნილა. ამ გარემოებას ხალხი დაუშინებია და ამიტომ ხელი აუღიათ ამ იდეაზე.

### 78. ყარაგოლი ტბის ისტორია

ყარაგოლი ხისადირის ზევითაა, ძალიან დიდი ტბაა და თან საშიში. იმ ტბაში ბევრი ხალხია დამხეზარი. ამ ტბას შით თვალები ჰქონია. მიწის შით, იქ გეედინება. ის ტბა ხმელეთზე არ გადმოდის. ჩვენი წინაპრები ამბობდნენ, რომ ამ ტბაში რაცხა შავი ცხოველი ცხოვრობს, ვინც ახლოს მივა, წყლის ცხოველი მისგან (ყურბანს) შესაწირს ითხოვს და ამიტომაც ყველაფერს შით იტაცებსო.

აქ ხალხი ხშირად ირჩობოდა, მარა დამხნავალს ვერავინ ნახულობდა. ტბა სულ შავი ფერისაა, ამიტომაც „ყარაგოლი“ დაარქვეს. ამ ტბაში სულ სილაა და ფეხს რომ შედგამ, შიგნით გეკიდება და გითრევს და გაღრჩობს. ამ ტბაში შესვლას მისდღემში ერიდებიან“.

### 79. ყარაგოლი ტბის ისტორია

ხისაძირის მთაზე არი რამდენიმე ტბა, კეძოდ, იაილა საიჩაირში არის ორი ტბა-ყარაგოლის ტბა (შავი ტბა). ბაიზ გოლი (თეთრი ტბა) ყარაგოლის ტბა დიდი ტბაა- იქ კაცია დამხნავალი. ამ ტბას აქვს თვალეები // ტბის ხერელები. ამ ტბაში არის ჩაწომბილი წითელი ქვები, რომელიც, ყოველთვის არ ჩანს. ხალხი მას ხან ხედავს, ხან ვერ ხედავს. ეს ტბაში სილა შავია, ამიტომ ხალხმა ამ ტბას „ყარაგოლი“ ანუ „შავი ტბა“ დაარქვენ. ამ ტბაში დახრობილი კაცი ვეღარ უნახით. შავი რომაა, ამიტომ დუურქმევიათ.

### 80. ყარაგოლი ტბის ისტორია

ყარაგოლი დიდი და შავი ტბაა. იქ მისვლა ხალხს ძალიან ეშინია, იმიტომ რომ აქ ბევრია დამხნავალი, მარა ცოცხალი ვინმეს არ უნახია. ამიტომ მის ახლო-მახლო ხალხი გავლასაც კი ერიდება. ძველების თქმით ამ ტბას იმფერი გიპნოზი აქვს ახლოს რომ მიდიხარ, უფრო ახლოს და ახლოს მისვლა მოგინდება. ასე ამბობენ შით ჯაზები ცხოვრობენო. უბედურების მომტანი რომაა ვიცი, მაგრამ რატომ, არ ვიციო.

### 81. მწვანე ტბის-ლეგენდა

მწვანე ტბაში რაღაც გარეული „ხვლიკისებური ცხოველი“ ყვეარი ცხოვრობს, რომელიც შით შესულ საქონელსა თუ ადამიანს ითრევს. მაგრამ მისი კვალის მიგნება ძნელია. დამდენიმე წლის წინათ ვიღაც დაიხრო. დიდხანს ეძებდნენ. რამდენიმე საათის მერე დამხნავალი ადამიანი როცა იპოვეს, მიცვალებული დაზიანებული იყო. შეშინებული ხალხი ამას იმ ცხოველს უკავშირებსო.

### 82. საყდრიონის ეკლესიის ლეგენდა

ეს ტბა ერთ გველეშაპს გაუჩენია. თურმე ყოველდღე წავიდოდა ზღვაზე, ჩაიგუბებდა წყალს და აქ ასხამდა. ტბა თანდათან იზრდებოდა და მთებზე მოსახლე ხალხს წალეკვას უქადდა. გველეშაპთან შებმას აბა, ვინ გაბედავდა. ჰოდა, ერთ კაცს საოცარი მოზვერი ჰყოლია. რქები დანასავით ჰქონია გალესილი. ერთ მშვენიერ დღეს გაპარულა ეს მოზვერი, შეჭიდებია გველეშაპს და სულ დაუფატრია, მხოლოდ კუდი დარჩენია. ის კუდი არის ჩვენი იორი, ახლაც რომ ჩაგვიდის და არ გვიწყდება.

### 83. ჭინჭაოს ტბის ლეგენდა

ჭინჭაოს უძველეს დროს ამ ტბაში შავი ხარი ცხოვრობდა, რომელსაც წითელი თვალეები ჰქონია. ეს ამ წყლის პატრონის ხარი ყოფილა. ამ წყალში, რაიმე პირუტყვი ან ადამიანი თუ შეველოდა, ის უკან იშვიათად ბრუნდებოდა. ეს წყალი მბრუნავია და შიგ ყველაფერს, შემსვლელს ძირავდა. ჩაძირულს კი იშვიათად ნახულობდნენ. ამ ტბას სიღრმეში ხვრელები ჰქონია, ის ხვრელი ფოთის ზღვას უერთდებოდა. წყლის ხარი // შავი ხარი კილდესთან ცხოვრობს და მარტო მზის ამოსვლისას გამოდიოდა ხმელეთზე, მოძოვდა ბაღახს, იქ ხმელეთის ხარსაც შეებრძოლებოდა და საღამოს მზის ჩასვლისას წყალში ჩადიოდა. ამ ხარს ყოლია რაცხა პატრონი, რომელიც მის ადგილში გასულეებს ძირავდა, აქეთ საშიში არ არის. ის ხარი ხან ჩდება, ხან არა. გააჩნია, ვის გამუხნდება. ეს ტბა ადრე უფრო დიდი ყოფილა ახლა თანდათან პაწავდება. კლდის ძირში ზოვლი ღმაა და თანაც იქ ბრუნავსო და ხალხს ძირავსო. შორიდან მწვანეა აქ წყალი.

### 84. თაზე ხარების შეჯიბრის შესახებ

ჭინჭაოს ტბასთან ახლოს ერთ-ერთ უბანს სახელად „ხარიათალი“ ჰქვია. ამ ადგილას ხარების შესაჯიბრი ადგილი ყოფილა. აქ ძველად მოდიოდა უცხო შავწამწამა ხარი, მისი პატრონი ვინ იყო, ვინმემ არ იცოდა, ზოგი ამბობდა – წყლიდან ამოდისო. ის ხარი ჩვენ ხარს მისდღეში ამარცხებდა. ერთხელ აქაურებს სპეციალურად გაუზრდიათ კარგი ხარი და შეუჯიბრებიათ ამ ხარისთვის. მოსახლეობის ხარს უჯობნებია და ის ხარი გაქცეულა და იმის მერე აღარ გამოჩენილა. მაშინდელი წესის მიხედვით, გამარჯვებულ ხარს წითელ ბადადს ამბავდნენ, ხოლო დამარცხებულს – შავს. რაზე არ ვიცი. ერთი

კია, ახლა წითელ ბადადს, ან სეტკას, თვალი რომ არ ეცეს, იმისთვის ვუკეთებთო. აქაურებს კი ამ ადგილისთვის ეს სახელი დაურქმევიათ. ამიტომ ადგილს ხარიათათაღი ქვია.

### **85. ნაღვარევის ტბა**

სოფელ ნაღვარევიში, სოფლის ზემოთ, არის ტბა.... ამ ტბაში თურმე ცხოვრობდა ხარი // ტბის ხარი. ამ სოფლის მცხოვრებლები ყოველ წელწადს აჭიდავებდნენ სოფლის საუკეთესო ხარს. წყლის ხარი ხმელეთის ხართან ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა და წყალში მშვიდად ცხოვრობდა. ერთ წელწადს სოფლებმა საჭიდაოდ გაყვანილ ხარს რკინის რქები დაადგეს და საბრძოლველად წყლის ხართან გაუშვეს. ამ ბრძოლაში სოფლის ხარმა დაჭრა წყლის ხარი. დაჭრილი წყლის ხარი წყალში შევარდნილა, ამის მერე ტბა აბობოქრებულა გადმოსულა ნაპირზე და სოფელი დუუღვრია. ამის მერე ამ სოფელს „ნაღვარევი „ დარქმევია.

### **86. ნაღვარევის ტბა**

ნაღვარევი თავში დღესაც არის ერთი ტბა. უწინდელ დროს, ამ ტბაში ცხოვრობდა ტბის ხარი, რომელსაც სოფლის ხარი დაჭედებია და მორეგია. მაზე გაბრაზებულ ხარს სოფელი წყლით დუუქცევია. ამის მერე ამ სოფელს ნაღვარევი ჰქვია.

### **87. ჯაზგოლი (ჯაზის ტბა)**

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოტის ზემოთ (თავში) არის ტბა, რომელსაც „ჯაზგოლს“ ეძახიან. ეს ტბა, ძველების გადმოცემით, საშიშ ტბად ითვლებოდა და დღესაც ასეა. აქ აქაურები მისვლასაც ერიდებიან, ცურვისგან ხომ, რა თქმა უნდა, თავს იკავებენ. იქ ახლოს მისვლა არ შეიძლება, მოგაჯადოებს და დეიხნობი. ეს არის მბრუნავი ტბა. ამ ტბაში არ აქ მნიშვნელობა, ვინ შევვა, მორწმუნე თუ ურწმუნო, ვინც შევა, ცოცხალი ვეღარ გამოვა, ამიტომაც ამ ტბას „ჯაზგოლი // ჯაზის ტბა“ დაერქვა. უწინდელ დროს ამ ტბაში დუუნახიათ ერთი კამეჩი შესული, მარა კამეჩი რავარც შესულა, იმ წუთში ჩუუთრეგია და მისი გადარჩენა ვერ მოუხერხებიათ. ძველები



იტყოდენ: ქვეშ რაცხა მდინარე გეედინებაო, შით ჯაზები ცხოვრობენ და რაცხა ამ ტბაში შევა, დეეპატრონებიან და გარეთ არ უშვებენო. ყველაფერი მათით ხდება.

### 88. ბაიზ-გოლის ტბა // თეთრი ტბა

ბაიზ გოლი // თეთრი ტბაა, მისი ხალხს არ ეშინია, აქ არაფერი არ დამხწვალა და თანაც გამჭირვალეა, ამიტომაც მას თეთრი ტბა დაარქვეს. აქ ხალხი კიდევ ცურავს. საქონელსაც აბალახებს, ტბის ირგვლივ საშიში არაა.

### 89. წმინდა ხარის ისტორია

სოფელ გეგელიძეებში, სადაც ეხლა წყაროა, იმ ადგილას წყალი არ ყოფილა. ხალხი წყლის უკმარისობას განიცდიდა. ერთხელაც ერთ ბუღა ხარს უბუღრაჲია და ამგვარად გამოუდენია წყალი. გახარებულ ხალხს ეს ხარი წმინდა ხარად მიუჩნევია, იმავე წყაროს წყლისთვის შუუწირავს, – დუუკლავთ ხორცი ხალხისთვის დუურიგებიათ და სისხლი წყალში ჩუუსხამთ. ამის მერე, ყოველი წლის ივლისის თვეში, ყველთინ ამ წყალს უკლავდენ ხარს.

### 90. რკინის ჯვარის – ისტორია

სანალიას მთაზე არის ადგილი, რომელსაც „რკინის ჯვარს“ – ეძახიან. ძველების გადმოცემით, რომ აქ უძველეს დროს რკინის ჯვარი ყოფილა, რომელიც მათ წინაპარს აღუმართავს. ამიტომაც ამ ადგილს დარქმევია ეს სახელიო.

### 91. ჯვარი ჭეჭო // ჭოჭი ჯვარის ისტორია

ჩირუხშიც არის ადგილი, რომელსაც „ჭოჭი ჯვარი“-ჰქვია. ამ ადგილს, მაღალ მთაში, დიდი რკინის ჯვარი მდგარა. იქ ნანგრევები ყოფილა, უწინ იქაც ხალხი ცხოვრობდაო. თურქების შემოსვლის დროს ამ ტერიტორიაზე დიდი ომი მომხდარა. პირველ ბრძოლაში, ქართველებს დუუმარცხებიათ თურქები „ჭოჭი მუუციათ“ (შეუშინებიათ ნ. მ) და ამიტომაც ამ ადგილისთვის „ჭოჭი ჯვარი“ დუურქმევიათ. მერე კი თურქებს დუუპყრიათ აჭარა, მათ ჯვარიცა და ეკლესიაც მიწასთან გუუსწორებიათ. ისე ამ მთის ქვემოთ, სადაც ჯვარი ყოფილა იმ მიდამოებში ჭეჭყო ადგილიც ყოფილა.

## 92. ფეილამბრის წყლის ისტორია

სანაღის მთაზე არის ადგილი, რომელსაც „ფეილამბრის წყალს“ უწოდებენ. ფეილამბერს ამ მთით გუუვლია. მთასთან კლდეზე ხელი მუუდვია და იქედან (კლდის შუა ნაწილიდან) გადმოსულა წყალი. მის მერე ამ ადგილს „ფეილამბრის წყალს“ უწოდებენ.

## 93. ნაოშვარის ისტორია

სოფლის იმ ადგილას, რომელსაც ახლა „ნაოშვარს“ უწოდებენ, XVI ს. ჩვენმა წინაპრებმა სძლიეს ოსმალებს. მათი შთამავონებელი ძალა წმ. გიორგი ყოფილა. მომხდურებმა გაიგეს ქართველი ვაჟკაცების „საიდუმლოება“, რის გამოც მიწასთან გაასწორეს ეკლესია და საყდარი, ნანგრევები ღელეში გადაყარეს. ამ ადგილს ახლა ნასყდრალი ჰქვია.

## 94. ნაოშვარს/ნაოშვალს

„თურქობის უამს წინდახედულ ცხმორისელებს ამ ფერდობზე მთის მეორე ფერდამდე გვირაბი გაუთხრიათ ისე, რომ მეორე ბოლომდე არ გასულან. მტრის ერთ-ერთი შემოსევის დროს ქართველებს თავი გვირაბისთვის შეუფარებიათ. ოსმალოებს მიდამო დაუთვალიერებიათ და სხვა გასასვლელი რომ ვერ უნახავთ, გვირაბის თავში დაბანაკებულან იმის იმედით, რომ ქართველები წყურვილსა და შიმშილს ვერ გაუძლებდნენ და გვირაბიდან გამოვიდოდნენ. ამასობაში ქართველებს გვირაბი ბოლომდე გაუთხრიათ, მთის მეორე ფერდობზე გასულან და მტერს ზურგიდან დასხმიან თავს. მხოლოდ ერთი ასკერი გადარჩენილა და სულთანთან ამბავი მიუტანია, ქართველებს ვიდაც „წმინდა გიორგი“ ეხმარებოდათ და ამიტომაც გვძლიესო.

სულთანს ახალი ღაშქარი გამოუგზავნია ცხმორისისაკენ. ამ ღაშქარს გზად სამი ძმა შეუპყრია და მათთვის მეგზურობა დაუვალებიათ. ძმებს იმდენი მოუხერხებიათ, რომ მტერი შორ-შორი გზით უტარებიათ. ამასობაში ქართველებს შეუტყვიათ მტრის შემოსევის ამბავი, შეკრებილან და მტერს სათანადოდ დახვედრიან. მართალია, ოსმალოებს სამივე ძმა დაუხოცავთ, მაგრამ ქართველებს არც მათგან დაუტოვებიათ ამბის წამლები. ბრძოლის ადგილისათვის ხალხს „ნაოშვარი/ნაოშვალი“ უწოდებია.

### 95. თეთროსანის ეკლესია

ამ სოფელში ეკლესია რომ შენდებოდა, აშენების დროს აქ მოსულა თეთრ ცხენზე ამხედრებული კაცი და მას უუგია ეს ეკლესია, ამიტომ ამ ეკლესიისთვის თეთროსანი დუურქმევიათ. ვინ იყო და საიდან მოვდა არ იციან.

### 96. სხალთის ეკლესია

ჩვენი ქრისტიანობის დროს სცხოვრობდა ერთი მეფე, რომელსაც სახელად თამარ დედოფალი ერქვა. ამ მეფეს ცხოვრება დიდად უყვარდა. ერთხელ ამ ხეობისაკენ მოუნდა გამოვლა და დარჩენა იმ ალაგას, სადაც დღეს სხალთის ეკლესიაა სდგას. აქ ყოფილა ერთი დიდი მსხლის ხე, რომელიც თავისი ტოტებით მთელ ადგილს ჩრდილადა და ჰფარავდაო. თამარ დედოფალმა ის ხე სიზმარში ნახა, მეორე დღეს ბრძანა, აქ ეკლესია უნდა გააკეთო. რამდენიმე ხნის შემდეგ ეკლესიისთვის შენობის მზადება დაიწყო. მალე იმ ცნობილ ხესაც დაუწყო მოჭრა, მაგრამ რამდენსაც მოჭრიდნენ იმ ხეს, იმდენჯერ იმას მეორე დღეს ისევ ისე შეერთებულს, მთელს ხედავდნენ. ხალხმა ვერაფერი გააწყო და შეწუხდა ძლიერ. ბოლოს ერთმა დაარიგა ასე, დღეს ხე მოსჭრათ, მონაჭერის ძირს ცულები დაურჭეთ და ისე დატოვეთ ამაღამ და ხვალო და აღარ შეერთდებო. ხე მოსჭრეს, ცულები ისე დაურჭეს, იმ ღამეს ისევ დატოვეს. მეორე დღეს მივიდნენ და ნახეს, რომ ხე მოჭრილია, აღარ შეერთებია, ცულებიც ისევ წინანდებურად დატოვებულნი იყვნენო.

მალე დაიწყო ეკლესიის კეთება. ეკლესიის ერთი კარები სწორედ იქ მოაქციეს, სადაც ის დიდი ხე იდგა. კარებში ორ ალაგას მისი ბოძები გაუშვეს, რომელზედაც უნდა შეებათ ეკლესიის კარები. და აი სწორედ ის ხეები, რომლებიც დღეს კარებშია ჩატანებული, ეს სწორედ იმ ხისაგან არის დარჩენილი.

სხალთა კიდევ იმისთვის დარქმევიან ამ ეკლესიას. იმის შენება დაუწყვიანო, ეს ამბავი მთელს ამ მხარის ხალხს გაუგია და ვინც ამ ადგილიდან შორს იყვნენ და ვერ ხედავდნენ ეკლესიის შენობას, ისინი ისეთ პირს კითხავდნენ ხოლმე, რომელთაც ეკლესიის შენობა ენახათ: – დიდ ეკლესიას სად აკეთებენო? მნახველნი მიუგებდნენ: „მსხალთან“ დიდი მსხლის ხე რომ დგასო. ეს ხე ყველას სცოდნია მაშინ და შემდეგ დროებში სიტყვა მსხალთან სხალთად გადაკეთდაო.

### 97. სხალთის ეკლესიის ისტორია

თურმე პირველად, როცა დეიწყეს ეკლესიის აგება, ამ დროს ეკლესიის საფუძველი გამოზომილი იქნა ყინჩაურის შუა ცენტრში. ამ ცენტრთან ყოფილა ერთი დიდი სხალი. ძალიან სხვილი ყოფილა. მის მოჭრა მოუწადინებია, დოუწყვიან ჭრა. სისხვილის გამო რამოდენიმე კაცს უჭრია და ვერ მუუჭრია. როდესაც ჭრიდენ იმ დღეს დარჩებოდა მოუჭრელი. მეორე დღეს რომ მოვიდოდენ, მიდუღებული ყოფილა. ამ დროს ერთ გამოცდილ კაცს შეკითხებია, რომ ჩვენ ვერ ვამთავრებთ მის მოჭრას, როცა მივალთ, ისევ მიდუღებულია და როგორ მევიქცეთო. ამ დროს ეტყვის ეს გამოცდილი კაცი: „ცულები შით შეტეთ, ნუ გამოიღებთ და არ შედუღებთ“. მართლაც დატოვეს ცული, წევდენ. როცა დილას მოვიდენ, რომ ნამდვილად არ მიდუღებულა. ასე მოიჭრა ის სხალი. დაიწყეს აქ საფუძველი. „სად კეთდება ეკლესია?“ ერთმანეთ ეკითხებოდენ. უპასუხებდენ „სხალთან“. ამით დარჩენილია სახელწოდება „სხალთა“. ეს ეკლესიის მასალა გადმოტანილი ყოფილა თენნარიდან, თენნარის სერიდან. აქ ყოფილა ქვის მარაგი და მახარაი გადმოუზიდვან. მისი საფუძველი იმ ეკლესიის კიდევ იქვენ არის. იმ ქვის ნაშთი კიდევ იქვენ არი. ქვის მარაგთან იქ გამოდებულია რკინის ზენჯირი. იმ ადგილს კი ეწოდება „ზენჯირ კილდე“. ამ მუშაობის პერიოდში გაყოფილი იყო უსტიები, ორ ნაწილად მშენებელი და მასალის დამამზადებელი. როცა დამთავრების პერიოდში მიდგა საქმე, ამ დროს მშენებელმა შეუთვალა, რომ მე მჭირდება „ამდენეთი მასალა“. იმან მოსწერა ხამათ, რომ „შენ მაგდონი კია არ გჭირდება, ნამდვილად გჭირდება ამდონეთი“. დაგეგმის გამოანგარიშებით სწორად უთხრა ქვის დამამზადებელმა. ამ დროს როცა ეს წერილი უსტას მუუტანენ, ამ უსტას უფიქრია, ამ მასტერს ჩენზე მეტი ცოდნია გამოანგარიშებითო. დუფიქრია და ჯავრი მუუტანია და, თითქოს გადმოვარდნილა შენობიდან. მისი საფლავი ეკლესიის გვერდზე იყო. ამ ეკლესიას უმოქმედია რამოდენიმე ხანს და, როცა სამულიმანო შემოსულა, მაშინ კიდო დარჩენილა ეს ეკლესია და ერთი პაპი ყოფილა. იგი დადიოდა. ამ პაპიდან დარჩენილია გვარი პაპოშვილები. იგი ახლა სოფლის სახელია. იგი, პაპი, ეკლესიაში დადიოდა, ლოცვილობდა. სამუსლიმანოს შემდეგ ეკლესიის გვერდით ჯამე გუუკეთებია. ის ჯამე დამწვარა და ეკლესიაში ულოცავს ხალხს. ქართველები წესის მიხედვით ლოცვილობდენ. მუსლიმანები ჰიბლისკენ ლოცვილობდენ.

## 98. პაპოშვილების ისტორია

სოფელ პაპოშვილებში ცხოვრობდა ღმად მოხუცებული პაპი, რომელიც საეკლესიო პირი ყოფილა. ეს პაპი მომწვარიდან (გორა, რომელიც სხალთისა და პაპოშვილების მოსაზღვრე. ეს ის ადგილია, იმ მთაზე, ყოველ დღე სხალთაში გადადიოდა და წირვას ესწრებოდაო... ამ სოფელსაც მის საპატივცემულოდ ეს სახელი დარქმევიაო.

## 99. სხალთის ტაძარი

საქართველოში მტრის შემოსევების დროს თამარ მეფე თავს აჭარაში აფარებდა. ერთხელ თამარ მეფეს აქ დასვენება გადაუწყვეტია. მეორე დღეს თამარ მეფეს და მის მსლელებს, როცა ადგილი დაუთვალა იერებით, გადაუწყვეტიათ, ამ ადგილას ეკლესია აშენებიათ. თამარისთვის უკითხავთ, თუ მისი უდიდებულესობა სად ისურვებდა ეკლესიის აშენებას, მას უთქვამს – აი იმ სხალთანო. ეკლესიის ადგილას მდგარა დიდი მსხალი, რომელიც ძალიან ფართო და მსხვილი ყოფილა.

ეკლესიის აშენებამდე ამ მსხლის მოსაჭრელად ოთხი-ხუთი კაცი მისულა და დაუწყიათ მსხლის მოჭრა, საღამოს კი დაუნებებიათ და სახლებში წასულან. მეორე დღეს მოსულ მუშებს ხე სრულიად მთელი დახვედრიათ, ხეს ცულის დანარტყამიც კი არ ემჩნეოდა. ასე გავიდა ოთხი დღე. ამ ამბით სოფლის ყველა მცხოვრები დაინტერესებულა. ხის მჭრელებს ღამით მოუგროვებით შეშა, მთელი ღამე ცეცხლი ჰქონიათ, არ დაუძინიათ და ეს ხე ღამით მოუჭრიათ. ამ ხის ადგილას კი აშენებიათ ეკლესია და მისი სახელწოდებაც აქედან წარმოდგება „სხალთა“. როცა ეკლესიას აშენებდნენ, ხალხი კითხულობდა, ეკლესია სად შენდებო? ისინი კი პასუხობდნენ სხალთანო და სწორედ მის სახელს აქედან ჩაეყარა საფუძველი.

ეკლესიიდან ათი კილომეტრის დაშორებით, ყოფილა კლდე, საიდანაც დამუშავებულ ქვებს ეზიდებოდნენ. კლდიდან ეკლესიამდე მახარა-ჯაჭვი ჰქონიათ გაკეთებული და ამით გადაქონდათ ეკლესიისთვის საჭირო მასალები. მშენებელს თავიდანვე შეუძომებია და განუსაზღვრავს ქვის რაოდენობა. როცა მშენებლობა დამთავრებულა, აღმოჩნდა, რომ ეკლესიის მშენებლობას მის ნავარაუდზე ნაკლები ქვა დასჭირვებია. მშენებელს ეს ვერ აუტანია. მშენებელი ზემის ნაცვლად ეკლესიიდან ჩამოვარდნილა და მომკვდარა.

ამ მხარეს, სოფელი ძირძველი რომაა, ისიც ამტკიცებს, რომ აქაურები ყანის მოხნისას დღესაც ნახულობენ ჭურის ნატეხებს, ხან ქვევრებს, რომლებიც წინაპრების მიერაა ჩამარხული.

### 100. სხალთის ტაძარი

სხალთის ტაძრის მშენებლად გამორჩეული ოსტატი ყოფილა მოწვეული. ოსტატს საჭირო ქვის მასალას შეგირდი უმზადებდა ერთი კლდის ძირას, სხალთიდან ნახევარ დღის საგალზე. გამოჩენილ ოსტატს შეგირდიც თავისი შესაფერი ჰყოლია. უკანასკნელს წინდაწინ გამოუანგარიშნია, რამდენი ქვაც დასჭირდებოდა ტაძრის დამთავრებას და სწორედ იმდენი მოუმზადებია, არც მეტი და არც ნაკლები. ოსტატს შენება რომ დაუმთავრებია, გამოსაცდელად შეგირდისათვის შეუთვლია, ქვა დამაკლდა და მომაწოდო. შეგირდს თამამად შეუთვლია: რაც გამოგიგზავნე, ის ეყოფოდა, მეტი საჭირო არ არისო. ოსტატს სწყენია თავის შეგირდის მიხვედრილობა: ახლავე რომ ასეთი ნიჭი გამოიჩინა და მაჯობა, მერე რაღა იქნებო? არა, ჩემი სიცოცხლე არ ღირსო. აუწევია და ეკლესიის სახურავიდან გადმოშვებულა და თავი გაუფუჭებია.

### 101. ლაშარის ჯვარის მუხა

ჩვენ ლაშარის ჯვარის ყმან ვიყვენით, იქ სკამ გვქონ. წელშუ დავედიოთ საზღვნელად მინდიკაურები და მიგვეყანდ სარიგო საკლავი (ხარი, ხბო ან ჭედილა). ხე ყოფილ ერთი ლაშარის გორზე. იმას წვერში შიბ ხქონიავ მაბმულივ და ცაში ყოფილავ ასულივ. ეს უჭრევაგ ზურაბ ერისთავს. მაგრამ ხე თურმე არ იჭრებოდ, სისხლ გადმავიდისავ, ისევ განიკურნისავ წყლულივ.

ერთ ჩვენ გვარის კაც ყოფილ, რომელსაც ცულ არ დაუკრავ ხისად და ძაღლის ხორცი უჭამავ (ვინც ცულს არ დახკრავდ, იმას ძაღლის ხორცი უნდა ეჭამა). პატივსაცემად ჩვენ გვარისად სკამ უბოძებავ, თავის ყმად მაუნათლავ ჯვარს.

### 102. წმინდი სერის ისტორია

წმინდისერზე წმინდა მამები ცხოვრობდნენ. მის ქვევით ყოფილა სტრატეგიული ციხე, რომლის საშუალებით აქაურები, მტრების შემოსვლას დანარჩენ ციხეებს: შუახევის ყალაიბონთან, შუბნის, ცინარეთის ციხეებს – აქედან აგებინებდნენ. იქვე ყოფილა საყდარი, სადაც წმ. მამები ცხოვრობდნენ.

წმინდა მამები წმინდისერიდან საჯვარებოზე ჩადიოდნენ, მათთვის სპეციალური ბილიკი არსებობდა, რომელიც არ იფარებოდა, არც ბალახით და არც ბუჩქებით. ისინი მორწმუნეები იყვნენ და იმიტომ.

### 103. წმინდისერის ისტორია

წმინდისერზე ძველად წმინდა მამები ცხოვრობდნენ. ისინი ქრისტიანები ყოფილან. როცა თურქები შემოსულან, იმათ მერე მაგაზე ვინმემ რამე აღარ იცის. სად წვედენ, რატომ წვედენ, ვინმე რამეს არ ამბობდაო. იმის ქვევით ყოფილა ქრისტიანული სალოცავი, საყდარი // ნასაყდრევი, სადაც ნანგრევები კაი ხან იყო, გათლილი ქვები ახლაცაა. კიდე ქვევით, ჭალების ქვემოთ პატარა ქრისტიანების სამლოცველოა, რომლის საშუალებით აქაურები მტრების შემოსვლას დანარჩენ ციხეებს ატყობიებდნო.

### 104. საჯვარებო

ქიძინიძეების დასავლეთით არის ჭალა, რომელსაც აქაურები საჯვარებოს, ვეძახით. ძველების გადმოცემით აქ ადრე ქვის ნანგრევებიც ყოფილა, რომელიც მერე თლა დანგრეულა. აქ ძველ დროში, თურქების შემოსვლის მერე ხალხი ღამით მაინც იპარებოდა და ჯვარს იწერდაო. მემრე კი ეს ამბავი დავიწყებას მიეცაო. ისე, ამ ადგილს ისინი ხან საკარტოფილე ყანად, ხან ჭალად იყენებდნენო. მუშაობისას ისინი რაღაც-რაღაცებს ნახულობდნენო, მარა რას, კარგად არ ვიცით.

### 105. საჯვარებო

ქიძინიძეების ჩრდილო-დასავლეთით არის სამეურნეო ნაკვეთი, რომელ ადგილსაც საჯვარებოს უძახიან. გადმოცემით ამ ადგილას, ქიძინიძეების მთელი მოსახლეობა აქ იყრიდა თავს. ყველა ძველი ლოცვა და დღესასწაული აქ ტარდებოდა. ამ ადგილებში კაი ხანს ნანგრევებიც კი იყო შემორჩენილი, მიუხედავად თურქების დანგრევისა. მერე ხალხი ჩუმად მაინც იპარებოდა ღამით და ამ ადგილებში ღოცულობდა, ან შესაწირი გაჰქონდაო. იქ, ძველ დროში, თურმე, ნახულობდნენ ჩამარხულ ჯვრებსა და ხატებს. მის ზევით კი მთავარი ცენტრი ყოფილა, სადაც ბერები ცხოვრობდნენო. საიდანაც დიდ წირვებზე „საჯვარებოს ამოდიოდნენო, წმინდისერზე ცხოვრობდენ–თურმე წმინდა ბერები, რომელთა ნავალი ბილიკი არ ტყვედებოდა–თურმე და ეს

ბილიკები დღესაც სუფთააო. იქ ასევე ყოფილა საყდარი, რომელსაც დღესაც ნასაყდრალი ჰქვია.. „წმინდისერის“ მიდამოებში მცხოვრები წმ. ბერები-ოსმალოს აგრესიის მერე აღარ გამოჩენილანო. თურქები ყველა ქრისტიანს ემტერებოდნენ და წმ. მამებს განსაკუთრებითო. მათი შემოსვლის მერე აქაურებს ხატ-ჯვრები გაუტანიათ და სოფლის განაპირა ადგილას მიწაში ჩაუფლავთო. მორწმუნეები კი ღამით მიდიოდნენ და აქ ღოცულობდნენო, ნაწილი კი ამბობს, აქ ჯვარს იწერდნენო.

### 106. საჯვარებო

ქიძინიძეების ზემოთ არის „საჯვარებო“, აქაურთა გადმოცემით აქ (ეხლანდელ ყიშლების, ჭალების მიმდებარე ტერიტორიას გულისხმობს) ეს ადგილი სოფლის განაპირასაა. სადაც ნანგრევების ნაშთები შეინიშნებოდა. აქ ძველ დროში ნახულობდნენ ჩამარხულ ჯვრებსა და ხატებს. გადმოცემით აქ ძველ დროში ეკლესია ყოფილა, სადაც აქაურები ჯვარს იწერდნენ და ღოცვებს ისმენდნენო.

### 107. თვარანგელოს ისტორია

სოფელ ნენიაში, აღმოსავლეთით, სოფლის თავში, არის ადგილი, რომელსაც თვარანგელოს ეძახიან. აქ ძველად თვარანგელოზის სახელობის ეკლესია ყოფილა. თურქების შემოსვლის მერე ეს ადგილი გავერნებულა. ეკლესიის ზუსტი ადგილსამყოფელოც კი არ იციან. ტყეში ვაკე ჭაღას ეძახიან თვარანგელოს.

### 108. ქაშვეთი

სოფელ ჯაბნიძეებში, ქაშვეთის ადგილას, ამ ადგილას ეკლესია მდგარა, მის ირგვლივ ქრისტიანული სასაფლაოებია. უწინდელ დროში აქ ღოცულობდნენ და წმინდა ადგილი იყო.

### 109. ნეფე წყალი

თამარი რომ აქ ჩამოსულა, აუშენებია მაჭახელის პირზე ციხე (საუბარია გვარას ციხეზე – ა. ა) თამარს ადგილობრივი წყალი არ მოსწონებია, ზედა კირნათში მიუგნია კაი წყალისათვის, იმას აზიდვინებდა და სვამდა დაერქვა იმ წყალს „ნეფე წყალი“.



### 110. თამარ დედოფალმა ყალეს (ციხის) მშენებლობა

ეს ყალიები, ეს ციხეები გააკეთა თამარ დედოფალმა, მაგას ჰყავდა ბევრი მოწინააღმდეგე; მისდევდნენ, მოსდევდნენ, მარა თამარი გევლოდა, გააკეთებდა ყალეს (ციხეს). მოაწველა ისე საქმე, ვეღარ დადგებოდა, გევლოდა სხვა ყალეში. ყალეს აკეთებდა ასე: დააგროვებდნენ ქვას, ეიწკაპებოდნენ, აძლევდნენ ხელიდან ხელში და კეთდებოდა მაგრე. იმფო და იმფო (უფრო-ნ. მ) მაგარს აკეთებდა, მარა ბოლოს მიხდა, რომ უნდა დამიჭირონო და შეიწამლა თავი.

### 111. ოშანახევი

ოშანახევში ყოფილა ქრისტიანული ტაძარი, სადაც ხშირად დადიოდა მეფე თამარი და ესწრებოდა აქ გამართულ ღვთის სადიდებელ წირვა-ლოცვებს. სხალთის ეკლესიიდან თამარი სოფელ ვერნების გავლით სოფელ ოშანახევში აუცილებლად გაივლიდა. მეფე რაც არ უნდა დაღლილი ყოფილიყო, აქ მოისვენებდა, რამდენიმე დღეს რჩებოდა, ეკლესიაში წირვას ესწრებოდა „ოშანას“ ყურძნის ჯიშის ღვინოს დალევდა და გზას ხიხანის ციხისკენ ისე გააგრძელებდაო. ამ სოფლის ხალხს იმ ყურძნის ჯიშის „ოშანა“ სახელი (თამარ მეფეს რომ უყვარდა) მის საპატივცემულოდ დაურქმევიათ „ოშანახევი“ დაურქმევიათ. ეს სოფელი ამ სახელს დღესაც ატარებს და თამარს დიდი პატივით მოიხსენიებენ. ამ ყურძნის ჯიშში დღესაც არსებობს ამ სოფელში და ამ უძველეს ჯიშის ყურძენს ძალიან უფროხილდებიან წინაპრისეული ანდერძის თანახმად. სოფელ ოშანახევის ქვევით ყოფილა ადგილი, სადაც საიდუმლო გვირაბი ყოფილა, რომელიც კალთის ქვემოთ ვარდციხეზე გადიოდა. აქედან კი კალთის ეკლესიის მახლობლად ამოდიოდა. მას უძველეს დროში თურმე სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონია. ეს გვირაბი ერთმანეთს აკავშირებდა ღორჯუმისა და ხიხადირის ხეობების სტრატეგიული თუ რელიგიური მნიშვნელობის პუნქტებს (ნადარბაზევი, ხანუმის გზა, საყოლიფერდი, ნამონასტრევი, თარანგელოზი და ა. შ. ).

### 112. ნამონასტრევის შესახებ

300 წლის წინათ, ნამონასტრევის ადგილებში, ჩემი წინაპრები ამოსულან. იმათ დახვედრიათ ძველი ნასახლარები და დიდი ქრისტიანული სალოცავები,

რომელიც შემდეგისთვის დანგრეულა და გაპარტახებულა. ამ სოფელს კი „ნამონასტრევი“ სახელად შერჩენია. ეს ტაძარი თამარ მეფის აშენებული იყო“.

### 113. ნადარბაზევსა და ნაქალაქარს ძველად დიდი ფასი ჰქონდა

„ნადარბაზევი და „ნაქალაქარი“ ხეობაში დიდად მნიშვნელოვანი ცენტრს წარმოადგენდა. ძველ დროში ამ ადგილებში, თურმე, თამარ მეფე ხშირად დადიოდა და დიდი დარბაზობა იმართებოდა. აქედან კი დიაკონიძეების სერიდან სხალთაში, სხალთიდან ოშანახევში. ოშანახევიდან ხიხანში და ხიხანიდან კი ზარზმაში გადადიოდაო. ეს იყო მნიშვნელოვანი დანიშნულების ადგილი, სადაც მეფეები დადიოდნენო. წინაპართა გადმოცემით, მათ „ნაქალაქარი“ და „ნადარბაზევი“-ჰქვია“.

### 114. ხანუმის გზა // დედოფლის გზა

სოფელ გობაძეებს ესაზღვრება შავაძეების სამზიარედ, გრძელდება ტყემალათი, ტყემალათის ქვემოთ არის გობაძეების უბანი, სოფლის ზემოთ არის ნაკაფი, სადაც აღმოჩენილია ეკლესიის ნანგრევები. როცა მუსლიმანობა იყო შემოსული, ამ ადგილებში ჩუმად ადიოდნენ და ძველებურად ლოცულობდნენ ძველ სალოცავში, იქ ასასვლელ გზას რქმევია „თარანგელოზი“ ანუ „თამარანგელოზი“. ამ ეკლესიისთვის ეს სახელი იმიტომ დუურქმევიათ, რომ უძველეს დროში იმ ეკლესიაში ასვლა და ლოცვა მუუწადინებია თამარ მეფეს და მის ამაღლას. იქ ასასვლელი გზა ხეირიანი არ ყოფილა, ამიტომ აქაურებს სასწრაფოდ ტყე გუუკაფავთ და ამ გზისთვის „ხანუმის გზა“ // დედოფლის გზა დუურქმევიათ, დღესაც ეძახიან ამ სახელს. ხანუმში თამარ მეფეს მოიაზრებდნენ. მაგაზე შემორჩენილია ლექსი, რომელიც თამარ მეფეს ეხება:

„ცაში, ტყეში ტაბელაო,  
ჩემო ნიკორწითელაო,  
ნუკრუაი მიკრეფია,  
ია ჭურში ჩამიყრია.  
ჭური ადუღებულაო,  
ქალი ატირებულაო.  
ქალასა შვილი ჰყოლია:  
ერთი მუნჯი, ერთი კუტი,  
ერთი სულაც უკეთესი.“

ადე ჩემო ტატუნაო,  
 ყანა ხოხოს დაუძახე,  
 ცას შეხედე მაღალსაო,  
 დაუძახე თამარსაო.  
 თამარ ჩემი რძალიო!  
 შეჭკედილი ვერცხლითაო  
 წელზე ქამარ აბიაო.

### 115. ნანეფვარი // ნეფიკალო

**ნანეფვარი // ნეფიკალო** - ამ სახელით სოფელ უჩხოში, ერთ-ერთ გორის. ვაკეს მეიხსენებენ, სადაც თურმე თამარ მეფე დადიოდა. იქ ახლოს ყოფილა „თამარის ხიდიც“. ხიდის ზემოთ მდებარე კი რქმევია – „საყდრი სერი“ // „თარანგელოზი. ამ მთიდან, საყდრი სერი“ // „თარანგელოზი-იდან, გზა სამად ნაწილდება: ერთი გზა გურიაში მიდის. მეორე გზა – მაჭარელათში, ხოლო მესამე – სოფელ უჩხოსკენ. „საყდრი სერი“ // „თარანგელოზი“ თამარ მეფის აშენებული ყოფილა, სადაც მეფე ხშირად დადიოდაო. ამავე სოფლის სახელწოდებაც სამი გზისა და სამი ხევის კავშირშია. უჩხო-თურქულია, რაც ქართულად რაც „სამ ხეეს“ ნიშნავსო. თამარის ხიდიდან ერთი გზა გურიაში, მეორე ხირხათის ყალესკენ და მესამე სოფლისკენ მიდისო. აქ ბევრი ნანგრევები ყოფილა. აქ ყანები რომ ჰქონდენ, მუშაობაში ყველთვინ ნაშენების ნარჩენები ყვებოდნენ, ახლა მიანებეს თავი, ადრე კომუნისტების დროს იყო საკარტოფილები.

### 116. ნანეფვარი

სახელი „ნანეფვარი“ ჰქვია ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში ერთ ადგილს. გადმოცემის თანახმად ზემო აჭარაში მიმავალი თამარ მეფე ცხმორისის ეკლესიიდან წირვის დამთავრების მერე „ნანეფვარში“ ისვენებდა და გზას მერე აგრძელებდაო. ძველად ამ ადგილას სამეფო სახლი ყოფილა, რომელიც შემდგომში განადგურებულა. ამ ადგილის სახელწოდება „ნანეფვარი“ კი შემორჩენილა.

### 117. ნანეფვარი კალო

სოფელ ცხმორისში არის ადგილი. ამ ადგილას ძველ დროში თურმე უაღრესად კეთილი და მორწმუნე თამარ მეფე დადიოდა და ცხოვრობდა, მერე ის მეფე მომკვდარა. ხალხს მერე ამ ადგილისთვის ნანეფვარი კალო დაურქმევიათ.

### 118. ნანეფვარი კალო

თქმულების მიხედვით, თამარის დავალებით აჭარაში უმოგზაურიათ დავით სოსლანსა და შოთას. ხიხანიდან სხალთას სტუმრობიან, იქიდან კავიანში გაუვლიათ, დანდალოს თადიანი ხიდიდან გეგელიძეებისკენ აუღიათ გეზი. გეგელიძეების თავში წყაროს „თამარის წყარო“ დარქმევია. მის შემდეგ, ახოს ზეით, პერანგას მთის ძირას მშვენიერ ადგილს კი „ნანეფვარი“ ჰქვია.

### 119. თამარის სარკე

ეს სარკე ღმერთს მაღალ მთაზე თამარისთვის გუუკეთებია, გამჩენელმა იქ, იმ სიმაღლეზე იმიტომ გააკეთა, რომ თამარის გარდა ამ სარკით არავის არ ესარგებლა. თამარი იქ სიარულის დროს სარკესთან თმებს ივარცხნიდაო. ჩვენი ძველები ამას ამბობდნენო.

### 120. შვილდისერი // „ოხორდი-კოდალი

ცინარეთის ზემოთ, მაღალ კლდეზე, ციხის ნანგრევია, ადგილობრივები მას „ციხიყელს“ ეძახიან. ეს ციხე ქართველების ყოფილა; უჩამბის ხეობით აქ მტერი შემოსულა, გაღმა გასვლა ვერ გაუბედია და გამოღმა დაბანაკებულა და ციხისათვის შვილდისრების სროლა დაუწყია, მაგრამ ციხეს ვერაფერი ავნო; საიდანაც მტერი ციხეს შვილდისარს ესროდა, იმ ადგილს ეხლაც ჰქვია „შვილდისერი“. ქართველი ჯარი ციხიდან გამოსულა და მიახლოვებია მტერს და ისრებს ესროდნენო, იმ ადგილს ახლაც ჰქვია.

### 121. კვირიაული

სოფელ უჩამბაში არის სოფელი, რომელსაც „კვირიაული“ ჰქვია. ცინარეთის ციხე თამარ დედოფალს უუშენებია. თამარ მეფე თურმე აქ ხშირად დადიოდა. ერთხელაც, როცა თურქებს გუუგიათ, თამარი ამ ციხეშიაო, თამარისა და ციხის აფეთქება გუდუწყევტიათ. მათ კაცი გაუგზავნიათ და შუუთვლიან: „ნებით ჩაგებარდიო“.. „დუშმანი“ (მტერი) სოფელ „კვირიაულში“, ციხის გამოღმით,

დაბანაკებულა. განრისხებულ თამარს უარი შემოუთვლია, საპასუხოდ თურქებს ზარბაზანიც კი უსვრიათ, მაგრამ ციხე ისეთი მაგარი კირით ყოფილა ნაშენები, რომ მტერს ციხისთვის ვერაფერი დუჟკლია, იმ ადგილს, საიდანაც ზარბაზანს ისროდნენ, „ნაზარბაზნევი“-დუჟქმევიათ. თამარ მეფეს რამე რომ ვერ მუუფიქრებია, უუწევია და ცინარეთის ციხიდან თეთრი კირი გადმოუყრია. კირს იქაურობა სულ გაუთეთრებია. ამაზე თურქებს უკითხავთ აქაურებისთვის, რა გადმოყარაო? ადგილობრივებს კი უპასუხნიათ, თამარ მეფეს ძველი ფქვილი ჰქონდა და გადმოყარაო. თათრებს უფიქრიათ, ამას თუ ამდენი დარჩენილი ფქვილი ჰქონია და ხეობაში ყრის, ჩვენ აქ ყოფნას რა აზრი აქვს მაინც ვერ დავამარცხებთო. ამდგარან და წასულან. შემდეგ იმ ადგილს, სადაც თურქები გაჩერდნენ და თამარის ციხის აფეთქება სურდათ „კვირიაული“-დაურქმევიათ. იმიტომ რომ ეს ამბავი კვირა დღეს მოხდარაო”.

## 122. მომწვარი

სხალთისხეობისა და მარეთის ხევის საზღვარზე, მთაზე არის ადგილი, პატარა უბანი, რომელსაც „მომწვარი“ ჰქვია თამარ მეფე ზოვლი ჭკვიანი და მორწმუნე მეფე ყოფილა, მარა მტერი მისდღეში გასაქანსა არ აძლევდა. ერთხელ, თურმე, სოფელ პაპოშვილებიდან თამარ მეფე და მისი მხლებლები სხალთაში სალოცავად მიდიოდნენ, ამ დროს თამარ მეფის ლაშქარს გამოჰკიდებია მტრის ლაშქარი. თამარს ამ დროს ცოტაი ჯარი ხლებია, მას დროში რომ მიეგო, ამფერი რაცხა მუუფიქრებია – გზად ბამბა დაუფენია და ცეცხლი წაუკიდებია, რითაც დიდი ცეცხლი გაჩაღებულა და მტრის ჯარი შეფერხებულა. ამ დროს კი თამარი სამშვიდობოს გასულა. ამ ადგილს კი ამის მერე კი „მომწვარი“ დარქმევიათ.

## 123. თამარის ბორცვი

ტრაპიზონიდან მომავალ თამარ მეფესა და მის თანმხლებ ქალებს, ამ ადგილას შეუსვენით, ტალახიანი ფეხები აქ გაუწმენდიათ. ისინი ბევრი ყოფილან და მათი განაწმენდი ტალახისგან – გორა, ბორცვი გაკეთებულა. შემდეგში ხალხს ამ ადგილისთვის „თამარის ბორცვი“ დაურქმევიათ. ადრე ეს ტერიტორია და მის მიმდებარე ადგილები ყოფილა ქალაქის ცენტრი, ხოლო ახლანდელი ბათუმის ადგილას კი ყოფილა მდინარე ჭოროხის დელტა, შემდეგ,

ბუნებრივი პროცესების გაუმჯობესებას კი ქალაქი თანდათან აქეთ გადმოუნაცვლებიათ.

#### 124. თამარის ციხის-ამბავი

საქართველოდან მომავალ თამარ მეფესა და მის თანმხლებ ქალებს, ამ ადგილას შეუსვენით, ტალახიანი ქოშები გაუწმენდიათ. ისინი ბევრი ყოფილან და წარმოქმნილა გორა, ბორცვი გაკეთებულა. მერე მეფეს აქ ციხის აშენება უბრძანებია. მერე მართლაც უშენებიათ აქ ციხე. შემდეგში ხალხს ამ ადგილისთვის „თამარის ბორცვი“ დაურქმევიათ.

#### 125. კავიანის ციხე

გაჭირვებაში ჩავარდნილ აქაურ მცხოვრებლებს გადაუწყვეტიათ ციხე-კოშკის აშენება, მაგრამ სამშენებლო მასალის მიტანა ყველაზე უფრო მეტად გაძნელებულა. მაშინ ერთი მანდილოსანი გამოსულა ხალხის წინაშე და განუცხადებია: „– საკვირველი ის არის, რომ ამდენი მამაკაცები აქა ხართ და ამოდენა მიღეთის გადარჩენაზე არ ფიქრობთ. შვილდკოდები ბევრად არაფრადაა სახმარი, ისა სჯობია, ცოტა გავისარჯოთ და თავშესაფარი ციხე-გალავანი ავაშენოთ მანდილოსნის სიტყვები ხალხს მოსწონებია. დედაკაცისთვის ხოტბა შეუსხამს იქ მყოფ და ციხე-კოშკის მშენებლობისთვის მზადების თადარიგს შესდგომიან....“

აურაცხელი მტერი შემოსევია ჩვენს მიწა-წყალს. შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სოფლები და ქალაქი ბათუმი აუოხრებია. რაკი გული უჯერებია იქაურთა ჟღერით, შემდეგ აჭარისწყლის ხეობაში განლაგებული სოფლებისათვის დაუწვია ანგარიშის გასწორება. სწორედ ასეთი ავბედითობის დროს ბჭობა გაუმართავთ ჭვანელებსა და დანდალოელებს. თავი მოუყრიატ ხიჭაურთან ახლოს, იქ, სადაც ჭვანისწყალი აჭარისწყალს ერთვის და ციხე-კოშკის მშენებლობა დაუწვიათ.

სულმოუთქმენლად მუშაობდა დიდი თუ პატარა. რიყის ქვები მდინარის ნაპირიდან ციხე კოშკის ასაშენებელ ადგილამდე სულ ხელიდან ხელში გადაცემით მიუზიდავთ. გმირ ქართველ ვაჟკაცებს პიტალო მთის თავზე დაუწვიათ მშენებლობა – კოშკი აღუმართავთ.

#### 126. კავიანის ციხე და თამარ მეფე

ხიხანს მიმავალი თამარ მეფე კავიანის ციხეში შეუვლელი არ გააგრძელებდა გზას. ციხეზე ასვლა კი ზოგლი ძნელი ყოფილა. კავიანის ციხეს რომ აშენებდენ, თამარ მეფეს უთქმია, ერთინა ვნახო, რაფერ აშენებენო და დელიპირიდან აღმა წასულა. აღმა მიმავალს ოქროს ქოში წაძრობია ფეხიდან. მეფეს უარი განუცხადებია ქოშის აღებაზე და ცალფეხას აუვლია. დროთა განმავლობაში ქვის ქოში შემორჩენია იქაურობას. მერე იქაურები იმ ადგილზე მიდიოდნენ და თავყანს სცემდნენ ქვის ქოშს. ოცულობდნენ ამ ქვის ირგვლივ, ამ ქვის გვერდით მუჭით მიწას დებულობდნენ, წაიღებდნენ და მლოცველებს მიუტანდნენ, შეალოცინებდნენ და პატარა ბავშვებს აკვნის ბალიშის ქვეშ შემოუდებდნენ. სწამდათ, რომ ავი სულისა და ავადმყოფობისგან თამარის ნაკვალევი მიწა დაიცავდა მათ.

#### **127. კავიანის ციხე და თამარ მეფის ნაქოშარი**

კავიანის ციხის მშენებლობისას თამარს ციხეზე ასვლა და დათვალიერება მუუწადინებია. მშენებარე ციხისკენ მიმავალ თამარს, თან რიყის ქვა წუულია და უთქმია, ერთი ქვანა წველო და მენა ჩავაშენო. გზაში მას ფეხიდან ოქროს ქოში წაძრობია, მარა მეფეს უკვე ნახევარი გზა ავლილი ჰქონია და უარი უთქვამს ქოშის ამოტანაზე. ფეხშიშველას აუვლია აღმართი და ის ქვა მართლაც ჩუუშენებიათ. ამ ქვასთან აქაურები მიდიოდნენ ლოცულობდნენ.

#### **128. კავიანის ციხე და თამარ მეფე**

ურჯულო მეფეს გამოქცევია თამარ მეფე. ხიჭაურის ციხეში გამაგრებულ თამარ მეფეს კავიანის ციხის ტერიტორია ზოგლი მოწონებია, უბძანებია და ერთ ღამეში უშენებია ციხე. ხალხი კავიანის ციხემდე ჩამდგარი რიგში, ერთმანეთს ხელიდან ხელში აწოდებდნენ და ისე ააშენეს ეს ციხეო. მერე ისე მოწონებია თამარი ურჯულო მეფეს აქ დამალვია და იქედან ებრძოლებოდაო. მაღალ მთაზე აღმართულ ციხეზე პროდუქტი და მასალები კავებით აჰქონდათ და ამიტომ დაერქვა „კავიანო“.

#### **129. „ჯან ქალაქი“ ანუ „წმინდა ქალაქი“**

„ყავადღულის ბატონი ღრმა მოხუცებულობაში გარდაცვლილა, დარჩენილან მისი მოხუცი დედაბერი და ორი ვაჟიშვილი – ჩირუხელა და ცხვირკოხელა; უფროს ძმას– ჩირუხელას ღამაში ცოლი ჰყოლია; ერთ დღეს ძმები ყალბონში

წასულან. სოფელს მტერი დასცემია, მცხოვრებლები გაუქვლიათ და უფროსი ძმის მეუღლე გაუტაცნიათ; დედაბერი მაღალ მთაზე გაქცეულა და გამწარებულს ისე ძლიერ დაუყვირია, რომ მისი ხმა შვილებს ყალბობინში გაუგონიათ, თვითონ კი დაკუტებულა, რის გამოც მთას „კუტი-ჯვარი“ დარქმევია. ძმები გამოქცეულან, მთელი სოფელი დადევნებია მტერს და არტაჰანთან ახლოს დიდი ბრძოლა გამართულა. ორივე მხარეს დიდი ყოფილა მსხვერპლი, მაგრამ ქართველებს მაინც გაუმარჯვიათ და ქალიც დაუბრუნებიათ; ბრძოლის ადგილზე ქართველებს ქალაქი გაუშენებიათ და „ჯან ქალაქი“ ანუ „წმინდა ქალაქი“.

### 130. კუტი-ჯვრის ისტორია

ერთხელ, როგლის დროს თურმე, ჯერ კიდევ თურქთა მიერ აჭარის დაპყრობამდე, როცა ამ სოფლის მცხოვრები თავდგირიძენი ყოფილან. ვენახები სოფ. შუახევში ჰქონიათ. ერთხელ ყურძნის საკრეფად წასულან. შოფლად მხოლოდ ერთი ავადმყოფი ქალი დარჩენილა, ამასობაში მტერი დასხმია სოფელს და ცხენები სულ წაუღალავს. ავადმყოფი ქალი, სერზე ასულა და გაჭირვებისაგან ისეთი ძალით დაუკივლია, რომ თავისიანებისთვის ხმა მიუწვდენია, მაგრამ თვითონ კი დაკუტებულა და მის მოსაგონებლად „კუტის-ჯვარი“-დაურქმევიათ.

### 131. კუტი-ჯვრის ისტორია

შემოდგომაზე, დარჩიძებს თურქები შემოსევიათ. კაცები შუახევში ყოფილან წასული, სოფელში მარტო მოხუცი დედაკაცები ყოფილან. ერთი კუტი ქალი ყოფილა და იმხელა დაუყვირია, რომ შუახევში გაუგონიათ. ისინი ამოსულან და მტერი დაუმარცხებიათ. ეს კუტი ქალი კი მომკვდარა და ამ ადგილისთვის „კუტი-ჯვარი“ დაურქმევიათ. ამ მიდამოებში გამოღმი დარჩიძეების ციხეა და გაღმით კი „ნაქილისვარი“.

### 132. სოფელი გულები

ქედის რაიონში შედის სოფელი გულები. იგი მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, მას რაიონის ცენტრალური ადგილი უჭირავს და შესაძლებელია, მისი სახელწოდება აქედან წარმოსდგება. აღნიშნულ სოფელში ამჟამად 25-30 კომლამდე მცხოვრებია, მაგრამ ძველად უფრო ხშირი



დასახლება უნდა ყოფილიყო. მას ადასტურებს სოფლის ზემოთ ნასახლარები, ხოლო ამის ზევით მაღალ კლდეზე ნანგრევები. ”—აღნიშნული ნანგრევები, როგორც აღნიშნავენ, მდებარეობს სოფლიდან ხუთი კილომეტრის მოშორებით, ეს ნაშთები დაუთვალიერებიათ ექსპედიციის წევრებს და შესაბამისი დასკვნებიც გამოუტანიათ: ეს ნაგებობა, როგორც აჭარის უმეტესი ნაგებობებისა, მაღალ და სხვებისთვის მიუვალ ადგილს წარმოადგენდა. „დათვალიერების შემდეგ ნაგებობის კედლები გარდა სახურავისა, უვნებლადაა დაცული. სიგრძე 6 მეტრი, სიგანე 5 მეტრი, სიმაღლე 3 მეტრი და 20 სანტიმეტრი. კედელში დასავლეთით დატანებული აქვს ორი ფანჯარა. სამხრეთ-აღმოსავლეთით აქვს შესასვლელი კარები—სიმაღლით 1 მეტრი. კარების ჩარჩოზე მთელ სიგრძეზე ქვის ლოდი ძევს. რომელსაც 2 ადგილზე აქვს ამოკვეთილი და მათ შორის ღარი, სადაც ხის კარები იქნებოდა ჩასმული. შესასვლელი კარები 1 მეტრი და ცოტა მეტის სიმაღლეზე არის, რაც მოწმობს იმას, რომ აქ ასასვლელი კიბე იქნებოდა, მაგრამ დროთა ვითარებაში დანგრეულა... „ადგილობრივი მცხოვრებლები აღნიშნულს „ეკლესიის“ ნანგრევს უწოდებს. ეს გადმოცემა საეჭვოა, რადგან მას ეკლესიის ფორმა არ აქვს, ის უფრო წააგავს 16X18 კვადრატული მეტრის მოცულობის ოთახს, სადაც ალბათ ცხოვრობდნენ აქაური განდგომილი ღვთის მორწმუნე ბერები. რომ ეს შენობა რაღაც მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენდა, ამას ადასტურებს მის ქვემოთ სერის დაქანებაზე ხუთას მეტრში ხელოვნურად გაკეთებული წყარო. წყაროს, რომელიც ქვებით გაკეთებულ აუზიდან გამოდის, უბრალოდ ტყეში არ გააკეთებდნენ. მაშინ როდესაც ამ შენობაში უხდებოდათ ცხოვრება. ისინი ღვთის ან საერო მსახური იქნებოდა, მათთვის წყალი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა.

### 133. ქილისა // გულების ციხე

ქედის რაიონის სოფელ ზესოფლსა და გულების საზღვარზე გორაზე, მთაზე იყო ნანგრევი, რომელსაც ქილისას უწოდებენ. ეს ნანგრევი უძველეს დროს სამი მეტრის სიმაღლეზე აუშენებია თამარ მეფეს. ზოგის თქმით ეს ქილისა კი არა ციხეაო. ამასაც ამბობდნენ, თამარ მეფე აქ დადიოდაო. ნანგრევი ახლაცა. ჩვენი მამაოს, სერაფიმე ბერიძის ლოცვით ეს ნანგრევი შეალამაზეს.

### 134. გულების ამბავი

ამ სოფლის თავზე (სოფელ გულების) მიუვალ ადგილას, ჩაქვისა და გულების საზღვარზე მდგარა ეკლესია. ხალხი ამ ეკლესიას თამარის ეკლესიას ეძახიან. აქაურებს ეს ეკლესია სპეციალურად მიუვალ ადგილას უუშენებიათ. ამ ეკლესიას პირველ სართულად „სარდაფი“ ჰქონია, რომელიც აქაურებს ჩამარხული მიწისაგან გაუთავისუფლებიათ. ეს სარდაფი (მათი ვარაუდით) ძველ დროში მარანისა და საწყობის მოვალეობას ასრულებდაო. წინაპრების გადმოცემის თანახმად, თურმე თამარი აქ დადიოდა და ღამითაც რჩებოდაო. ამ ეკლესიას ერთი მხრიდან ჰქონია მისასვლელი და ისიც გზასთან სამი მეტრით ხრამით ყოფილა დაშორებული. გადასასვლელი საშუალება ხეებისაგან გაკეთებული ძელი ყოფილა. ამ ძელს თუ არ გადებდნენ, ეკლესიაში შესვლა შეუძლებელი იყო მიმსვლელთათვის, როცა ახლობელი მიდიოდა, ხიდს (ძელს) გასდებდნენ, მერე კი ისევ შეინახავდნენ. ეკლესიის გადასასვლელთან გუშავი ყარაულობდა, თუ ვინმე მტერი გამოჩნდებოდა, სხვებსაც გააგებინებდა და მტერს მედგრად მოიგერიებდნენ. ერთხელაც ამ ეკლესიას თორმეტი შეირადებული დასხმია თავს, მათ ამ სიწმინდის ხელყოფა განუზრახავთ. ეკლესიის გუშავს თორმეტივე კაცი მოუკლავს და სხვების დასაშინებლად თორმეტივესთვის გული ამოუცლია და ჯვარზე წამოუცვამს, ეს ჯვარი კი ყველასათვის უჩვენებია. ამის შემდეგ ამ სოფელს „გულები“ დარქმევია.

### 135. გულების ისტორია

ძველად სოფელ გულების შესასვლელთან ცხოვრობდა ერთი კაცი, რომელიც სოფელს იცავდა. მათ სოფელში სხვა ქვეყნის კაცი თუ მონღოლები შესვლას ან ცუდს ჩაიდენდა, ან მონღოლები ცუდის გაკეთებას, ის კაცი მომხდურს კლავდა გულს უღებდა და ეკლესიაზე ჰკიდებდა, ამიტომაც ამ სოფლისთვის დუურქმევიათ „გულები“.

### 136. წითელი ხიდის ისტორია

სოფელ კირნათში თურქები როცა შემოსულან, მათი პირველი მიზანი ხალხის გათათრება ყოფილა. ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ იმისთვის, რომ ამ კუთხეში ძირძველი რწმენა ჩაენაცვლებინათ სხვა სარწმუნოებით, ხოლო ამ კუთხის ხალხი კი განსაკუთრებული რწმენით ყოფილა გამორჩეული. თურქებს კი მათთვის ვერაფერი მოუხერხებიათ. მათ ადგილობრივებისათვის ქონება,

სიმდიდრე, პატივი და რა არ შეუთავაზებიათ, მაგრამ აქაურებს ისინი უარით გაუსტუმრებიათ. თურქებს და მათ წარმომადგენლებს. ასეთი ხერხისთვის მიუმართავთ: ერთ დღეს სოფელში, სადაც 50 კომლი ცხოვრობდა, მათთვის გამოუცხადებიათ, ან გამუსლიმანდებით, ან აღიდებულ ჭოროსში შეხვალთ და გადაცურავთო. ოჯახის უფროსი, რომელიც ჭოროსს მშვიდობიანად გადაცურავდა, მის ოჯახს ხელშეუხებლობასა და ქრისტიანად დარჩენას პირდებოდნენ, თუ არა და სიკვდილით დასჯიდნენ. გამაჰმადიანებულ ოჯახს კი ფუფუნებასა და ყოველგვარი გადასახადისგან გათავისუფლებას ჰპირდებოდნენ. ამ სოფლის 50 კომლიდან არც ერთი ოჯახის უფროსი, არც კი დაფიქრებულან, ისე შესულან აღიდებულ ჭოროსში, ამათგან მხოლოდ ხუთი გადარჩენილა, ხოლო დანარჩენები ჭოროსს წუულია. ეს ადგილი ზუსტად არ იციან, ჰად არის. ამ ადგილს მოსახლეობის ნაწილი „წითელ ხიდს“ ეძახიან. ამ ადგილას, ძველად სხვანაირი ხიდი ყოფილა, შემდეგ კი შეუცვლიათ და დღეს აქ რკინის ჩვეულებრივი ხილია. მთქმელების გადმოცემით, დაახლოებით იმ მიდამოებში მომხდარა ეს ამბავი. ნაწილი მოსახლეობისა, ამ ამბავს „წითელი ხიდს“- კი არ უკავშირებს, არამედ მის ზემოთ მიმდებარე ტერიტორიას ასახელებს... რაც შეეხება ტერმინს „წითელ ხიდს“ რუსეთის მმართველობასაც უკავშირებენ.

### 137. წითელი ხიდის ისტორია

ამ ხეობაში თურქების შემოსვლა და დამკვიდრება დიდ სირთულეებს უქმნიდა ადგილობრივ მოსახლეობას. მათი გამუსლიმანება არც ისე ადვილი იყო, როგორც თურქებს წარმოედგინათ. გადასახადებისა და მძიმე პირობების მიუხედავად, ისინი უარს აცხადებდნენ სარწმუნოების შეცვლაზე. ოსმალომ უკიდურეს ფორმას მიმართა, წითელ ხიდთან შეკრიბა მთელი ხეობის მოსახლეობა და გამოუცხადა, ვინც გამუსლიმანდებოდა, გადასახადისგან თავისუფლდებოდა, ხოლო ვინც უარს იტყოდა, ხიდზე გაჰყავდათ და იქ ჭრიდნენ თავს. ისინი ამ ადგილს სპეციალურად ირჩევდნენ, მიცვალებულს ხიდიდან პირდაპირ წყალში ყრიდნენ, ამით მიცვალებულის ოჯახს უფრო ამწარებდნენ. ერთ-ერთი ასეთი დასჯის დროს მათ ხიდთან 50 ოჯახის უფროსი მიუყვანიათ და ანალოგიური მოთხოვნა წაუყენებიათ – ან სიკვდილი ან გამუსლიმანება. აქედან 45 კაცი ხიდზე მიუყვანიათ და დაუსჯიათ. ხუთ კაცს კი განუცხადებიათ, გაემუსლიმანდებითო. სინამდვილეში, ქრისტიანად დარჩენილან, ისინი და ყველა, ძალით გამუსლიმანებული მაჭახლეელი სოფელ შუშანეთის სახლის (ამჟამად

ფოთელიძეები ცხოვრობენ) ეკლესიის კუთხეში დადიოდა და მალულად ლოცულობდა. მაგრამ ეს მალული შეხვედრები დიდხანს არ გაგრძელებულა. მტერი არ ენდობოდა ადგილობრივებს და ეს ამბავიც მალე გაუგიათ... მტერს მათვის ყველა გზა მოუჭრია... მათ კი სხვა გზა აღარ დარჩენიათ და გამუსლიმანებულა. იმ ადგილისთვის კი, სადაც იმდენი უბედურება დატრიალებულა, „წითელი ხიდი“ დაურქმევიათ, ვინაიდან აქ გამველეს გასისხლიანებული ხიდი და ცხედრები ახსენდებოდა. ასე შემორჩა მაჭახლის ფოლკლორის ისტორიას წითელი ხიდი და მასთან დაკავშირებული ტრაგიკული ისტორია.

### 138. გვარას მოსახლეობის ერთი ისტორიული ამბავი

ძალით გამაჰმადიანებული აჭარლები მაინც ქრისტიანობდნენ და ესენი საიდუმლოდ ღორის ხორცსაც ჭამდნენ. ამ ამბით მოლები გადარეულან და უთქვამთ სოქვით, რომ დღეიდან თათრები ხართ, ქრისტიანობაზე ხელს იღებთ და ღორის ხორცს აღარ სჭამთო. მოსახლეობისაგან სასტიკი უარი მიუღია, მოლას საპასუხოდ განუცხადებია, რაკი არ შეგიძლიათ, მაშ, შედით მაგ ჭოროხში და ვინც შიგ გაცურდება, გაღმა გავა, ის გადარჩება ქრისტიანად, ვინც არ შევა, იმას ხმალი დახვდება უკან. ამაზე ბევრი შეშინებულან და განუცხადებიათ, რომ დღეიდან ნამდვილი მაჰმადიანები ვიქნებით და ყველა ბრძანებას შევასრულებთო. ვინც წინაღმდეგი ყოფილან, ისინი სულ შესულან ჭოროხში; ჭოროხი ამ დროს დიდი ყოფილა და ყველა ეს საბრალოები შიგ დამხვალან და და ერთიც არ გასულა გაღმა. ამ დროს ქვედა მარადიდში 50 კომლი იყო და ყველა ესენი ჭოროხში ისე დაიღუპნენ ქრისტიანობის გულისათთვის, რომ რომ სოფელში ხუთი კომლიდა დარჩაო”.

### 139. სოფელი აკეთა წმ. მოწამე კონსტანტინე

აქ სოფელი აკეთა იყო. მუსლიმანობის შემოსვლას ხალხი დიდ წინააღმდეგობას უწევდა. თურმე, ჯამეს აგების შემდეგაც, ნაწილი მცხოვრებლებისა ეკლესიაში მაინც მიდიოდნენ სალოცავად. ამ სოფელში ყოფილა ვინმე კონსტანტინე—დიდმორწმუნე ქრისტიანული სარწმუნოებისა, რომელიც ეკლესიაში შედიოდა სალოცავად. ლოცვის დროს ის მოლას შეუპყრია, დაუკრავს ნაძვის ხეზე და წაუთრევია ჯამემდე, რომელიც

იმყოფებოდა 500 მეტრში, მაგრამ მიუხედავად ასეთი წამებისა, კოსტანტინეს მაინც არ მიუღია მამაჰადიანური სარწმუნოება და დაღუპულა“.

#### 140. კაკაშვილების ქელი

ქელის რაიონის სოფელ ქეშიოღლებში არის ქელი, რომელიც კაკაშვილების სახელს ატარებს. გადმოცემის მიხედვით, თურქთა ბატონობის ხანაში, აქ ცხოვრობდა ერთი მეტად საპატიო და ღრმად მოხუცი პიროვნება სახელად კაკა. თურქებმა მოხუცს გამაჰმადიანება მოსთხოვეს, რაზედაც უარი მიიღეს. მაშინ მომხვედრებმა ორი ახალგაზრდა წიფლის კენწერო გადმოდრიკეს და მოხუცი გააფთხილეს: თუ არ გამაჰმადიანდებოდა, კენწეროებს ფეხებზე მოამბამდნენ და შუაზე გაგლეჯდნენ. სარწმუნოების დამცველი მოხუცი არ შეუშინდა ამ ხვედრს და მოწამებრივად აღესრულა. მადლიერმა შთამომავლობამ მის შვილებს კაკაშვილები უწოდა, ხოლო ქელს, სადაც მოხუცი აწამეს – „კაკაშვილების ქელი“.

#### 141. გვანცა და ლელას კლდეკარის ისტორია

სოფ. დანდალოში არის გორა, რომელსაც გვანცასა და ლელას გორას უწოდებენ. ამ გორაზე ცხოვრობდნენ დები გვანცა და ლელა, რომლებიც გამუსლუმანებას გაქცევიან, ამ გორაზე დამალულან და ჩუმად ხალხში ქროისტიანობის შენარჩუნებას ქადაგებდნენ. ერთი ბოროტი დედაკაცი ლელასა და გვანცას ღამით ჩუმად უკან გაჰყოლია და მათი სამალავი აღმოუჩენია. სამალავი მაღალი მთის კლდეზე ყოფილა, გამოქვაბულს მაგარი კარი ჰქონია. დედაბერს შით შესვლა და დათვალიერება გადაუწყვეტია, მაგრამ კარი ვერ გაუღია და მას უთქვამს კლდეა ეს კარი თუ რაა არიო? ამის მერე ამ ადგილისთვის „კლდეკარი“ დაურქმევიათ. დედაბერს ეს დები სოფლის მუფთთან დაუსმენია, მათი ადგილსამყოფელი უსწავლებია. თვითონ მზაკვრულად დაახლოებია, დები მოუტყუებია და თურქთა ხელში ჩაუგდია. თურქებს მათი, სულთანთან წაყვანა გადაუწყვეტიათ, რადგანაც დები ძალიან ღამაზები ყოფილან. შეპყრობილ დებს გორის გადასასვლელთან ცხენი დაუფრთხიათ და ხრამში გადაჩეხილან. ამის მერე ამ ადგილისათვის ხალხს ლელასა და გვანცას გორა დაურქმევიათ.

#### 142. ლელასა და გვანცას გორა

ქედის რაიონის სოფელ დანდალოში არის გორა, რომელსაც „გვანცასა და ლელას გორას“ უწოდებენ. ამ გორაზე ცხოვრობდნენ დები გვანცა და ლელა, რომლებიც გამუსლუმანებას გაქცევდნენ და ამ გორაზე დამალულან. ისინი მალულად ხალხში ქრისტიანობის შენარჩუნებას ქადაგებდნენ. ერთ ბოროტ დედაკაცს ეს დები სოფლის მუფტთან დუუსმენია, მათი ადგილსამყოფელი უსწავლებია. თვითონ მზაკვრულად დაახლოებია, დები მუუტყუებია და თურქთა ხელში ჩუუგდია. თურქებს მათი, სულთანთან წაყვანა გუდუწყვეტიათ, რადგანაც დები ძალიან ლამაზები ყოფილან. შეპყრობილ დებს გორის გადასასვლელთან, კილდეზე ცხენი დუუფრთხიათ და ხრამში გადაჩეხილან. ამის მერე ამ ადგილისთვის ხალხს „ლელასა და გვანცას გორა“ დუურქმეგია.

#### 143. თავსაკვეთები აჭარაში

ისტორიულ ზემო ქართლში ოსმალთა ბატონობის დროს ეროვნული დამოუკიდებლობისა და ქრისტიანობისთვის ბრძოლას ბევრი სიცოცხლე ემსხვერპლა. საუბედუროდ, ისტორიას არ შემორჩა მათი სახელები, უსახელოდ დარჩენილ წამებულებს სათვალავი არ ეყოფათ. ცნობილია, რომ მდინარეების – მტკვრის, ჭოროხისა და აჭარისწყლის გასწვრივ ბევრგან თავსაკვეთი ადგილები იყო მოწყობილი. წამებულებს წყალში ყრიდნენ, წყალი წითლად იღებებოდა. წამებულთა გვამები ხის შავი კუნძებზე მიჰქონდა შეწითლებულ მდინარეს.

#### 144. თამარის ხიდი დანდალოში და მასთან ჩადენილი ამბები

მტრის აგრესიაზე საუბრობენ ხულოს რაიონის სოფელ უჩხოს მკვიდრნი „თურქების, მათი რწმენის, შემოსვლას აჭარაში დიდძალი პრობლემები მოჰყოლია. განსაკუთრებით ქვემო აჭარაში. ძველების გადმოცემით, აჭარლები ძალით გაუმუსლიმანებიათ. მათი გამუსლიმანება დაუწყიათ ბათუმიდან. დიდძალი წინააღმდეგობა მაჭახლის ხეობას გაუწევია, მერე თანდათან წამოსულან ზევით, ასეთივე წინააღმდეგობა შეხვედრიათ ქედაში. თურქებს დასაშინებლად და საწამებლად **თამარის ხიდებზე** ჰქონიათ მოწყობილი თავსაკვეთები და „ტალავარჯი“–ჩამოსახნობელი ბოძი, სადაც მიჰყავდათ და სჯიდნენ ქრისტიან მორწმუნეებს. ასეთი დასჯების შედეგად მთელი აჭარის მოსახლეობა თითქმის გაუნადგურებიათ. ამ ამბავს ამოუღწევია ხულოში. ყადიოღლებში შეკრებილან აქაურები – ხუცესი და აქაური მკვიდრნი და მოუთათბირებიათ, რომ გურიაში გაეგზავნათ კაცი, რათა დახმარებოდნენ

აჭარლებს. მათ მართლაც გააგზავნეს, მაგრამ იმათ მოსვლამდე თურქები უკვე ამოვიდნენო. ხუცესმა ხალხს მიმართადა უთხრა: „როგორც იცით ქელაში 1500 კაცია ჩამოკიდული ტალავარჯზე, ისინი ერთი კვირეა არიან ჩამოკიდებულები. მათი ბრძანება ასეთია ვინც გამაჰმადიანდება ხომ კარგი, ხოლო ვინც უარს იტყვობდა, მას ტალავარჯზე ჩამოკიდებდნენ და ხალხს ერთი კვირა აყურებიებდნენ. ან კიდე თამარის ხიდზე გეიყვანდნენ და თავს მოჭრიდნენ. ქელაში ნახევარზე მეტი გამწყდარა. ასევე კავიანის ციხეზე ჭვანელებიც ჩამოუხვიათო. ჩვენ რა ვქნათ, სხვა გზა არ გვაქვს, ქართველობანა შევნარჩუნოთ სახელად. მათ აჭარის მოსახლეობანა გაანადგურონ და ამას ჯობია, სახელად, ნებით გაგმუსლიმანდეთ და ისე კი ქრისტიანებად დავრჩეთო. ჩვენ წინაპრისეულ წესები სახელში ჩუმად შევასრულოთ მერე კი დავამარცხებთ და ისევ ჩვენ რწმენას გამოვიტანთ სააშკარაოზეო. ეს გადაწყვეტილება ყველას ერთად მიუღიათ. ხულოში სისხლი აღარ დაღვრილა.

#### 145. თამარის ციხე // ყალეიბოინის ციხის“-ისტორია (ა)

ყალეიბოინის ციხეზე თურქებს თავსაკვეთი ჰქონდათ მოწყობილი. აქ ამ რაიონის სოფლებიდან მოჰყავდათ ის ადამიანები, ვინც გაქრისტიანებაზე უარს აცხადებდა და ხალხის წინაშე სასტიკად უსწორდებოდნენ. ძველები ამ ციხის აშენებას თამარ მეფეს უკავშირებდნენ და მას „თამარის ციხედ“-მოიხსენებენ. ზოგი მოსახლეობისა ამ ციხეს „ყალე-ბოინს“ ეძახის. ამ სახელის წარმოშობას ისინი აჭარაში ოსმალთა ბატონობას უკავშირებენ. მათი ანალიზით სიტყვა „ყალეიბოინი“ თურქული სიტყვაა და ქართულად სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: ყალე – ციხეს და ბოინი – ქედს (ადამიანის კისერს). აღნიშნული სახელი ციხეს შემდეგი გადმოცემის თანახმად დარქმევია: „ოსმალებს შეუყრიათ ერთად შუახევის სოფლების მკვიდრნი, მათთვის შეუთავაზებიათ ცხოვრების უკეთესი პირობები, წყალობა, სულთნის სამსახურში დაწინაურება-წინსვლა, სანაცვლოდ კი მოუთხოვიათ სარწმუნოების შეცვლა. თუ ადგილობრივნი შემოთავაზებაზე უარს იტყვოდნენ, ოსმალები მათ სიკვდილით დასჯით ემუქრებოდნენ. ურჩთა დასასჯელად ოსმალოებს თავის მოსაკვეთი ადგილი გაუკეთებიათ. პირველი ვერსიით თავსაკვეთი ციხეში მოუწყვიათ, რომლის ბოლო ციხის კედელში გადიოდა, საიდანაც დასჯილი სხეული პირდაპირ მდინარეში ვარდებოდა, ხოლო მეორე ვერსიით თავსაკვეთი პირდაპირ მდინარეზე გადებულ ხიდზე ჰქონიათ. ციხეში მიყვანილ აჭარის მკვიდრებს უარი უთქვამთ ისლამის მიღებაზე.

განრისხებული თურქებს კი, ამ ხიდზე მრავალი ქრისტიანისთვის თავი მოუკვეთიათ და მდინარეში გადაუყრიათ, მოწამეების სისხლით მდინარე გაწითლებულა. იმ საღამოს კი კოკისპირული წვიმა მოსულა, მთებში მდინარეები აღიდებულა, ღვარცოფი წამოსულა და ის ადგილი და მიმდებარე ტერიტორია მთლიანად წაუღეკავს.

#### 145. თამარის ციხე // ყალებოინის ციხე (ბ)

ოსმალთა შემოსვლის დროს მათ აჭარლებზე გამუსლიმანება მუუთხოვიან, მარა მათ უაი უთქვამთ. ოსმალებს ისინი შუახევში, უჩამბისწყლის შესართავთან, თამარის ციხესთან მუუყრიან, შემადლებულ ადგილას, და იქ წყალზე გუუკეთებიან თავსაკვეთი. ვინც არ გამუსლიმანდებოდა თავს ჭრიდნენ და პირდაპირ წყალში ყრიდნენ. ამ ადგილისათვის კი ხალხს ყალე-ბოინის ციხე დაურქმევიათ. ყალე ციხეს ნიშნავს, ბოინი კი კისერს // ქედს.

#### 146. ნაგარანაეული

ცხმორისა და დადნდალოს შორის არის ყანა – ადგილი, რომელსაც „ნაგარანაეული“ ჰქვია. ამ ადგილს ამჟამად მოსახლეობა სათესად იყენებს. ძველ დროში თურმე აქ სოფელი ყოფილა. მთელი სოფელი თურქების შეეწირნენ. მერე ეს სოფელი გავერნებულა და ამის მერე დარქმევია ამ ადგილს „ნაგარანაეული“. ამ სოფლის მოსახლეობიდან თურქებს ხუთი გოგონა მოწონებიათ, გადაურჩევიათ დასასჯელი ხალხისგან. ისინი წასაყვანად მოუმზადებიათ. თურქები ლამაზებს ფაშებისთვის თურქეთში აგზავნიდნენ თურმე, მაგრამ ეს გოგონები მიმხვდარან და ფაშების „ხასობასა“ და ნამუსის შერცხვენას ცხმორისის მდინარეში თავის დახრჩობა უურჩევიათ. მართლაც ხუთივე ხიდიდან გადამხდარა და თავი მოუკლავს.

#### 147. ვარანეულის ისტორია

ვარანეული, გადმოცემით, მშვენიერი სოფელი ყოფილა ახლანდელ სოფელ გობრონეთთან. ქართველებისათვის რჯულის შეცვლის მოსურნე ოსმალ დამპყრობლებს სოფლის მცხოვრებლები დანდალოს ხიდთან მიურეკიათ, ხიდზე XII ს-ის წმინდა გიორგის დარბეული ეკლესიიდან გამოტანილი ხატები დაუყრიათ და ხალხისათვის მათზე გადავლა უბრძანებიათ. ოსმალოს ასკერები მათრახებითა და ხმლებით დარევიან ხალხს, მაგრამ არც ერთ ადამიანს



ნაბიჯიც არ წარუდგამს წინ. მაშინ ჩვილები ხელიდან გამოუგლეჯიათ დედებისათვის, ხიდზე გაუყვანიათ და ჰაერში აქნეულებს ხმლით შუაზე კვეთდნენ და წყალში ყრიდნენ. მის დამნაშავე დედებიც პირდაპირ აქაფებულ წყალში ცვიოდნენ, თურმე. მაგრამ მაინც არ შემდრკაღან ვარანეულები. ბოლოს სოფელთან ხუთ ყმაწვილი ქალი შეურჩევიათ ჰარამხანისათვის ოსმალებს, მაგრამ შუა ხიდზე ისინიც ხელიდან დასხლტომიან მტერს და წითლად შეღებილ აჭარისწყალში გადაშვებულან. გაჩანაგებული და გავერანებული სოფლისათვის ვარანეული (ვერანეული) უწოდებია ხალხს.

#### 148. დღვანის ისტორია

სოფელი დღვანი – თურქთა გაბატონებამდე, მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. მამა-პაპური ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისა და გამაჰმადიანებაზე სასტიკი წინააღმდეგობის გამო მისი მცხოვრებლები თურქებს სულ გაუქლექტიათ, ხოლო სოფელი გადაუბუგავთ. ასე უკაცრიელი ყოფილა იგი კარგა ხანს, ვიდრე ბოლოს იქ დასახლდებოდა მაჭახლის სოფელ საფუტკრედან სამი ძმა, უფროსი ძმის რიდღვანის ინიციატივით... ”მის საპატისაცემულოდ – რიდღვანის მიხედვით, ამ სოფლისთვის „დღვანი“ დაურქმევიათ.

#### 149. დღვანის ისტორია

სოფელ ჩხუტუნეთიდან, ჩვენი წინაპარიდან, ერთი ძმა წასულა შუახევის რაიონში და იქ დარჩენილა საცხოვრებლად. მისი სახელი ყოფილა რიდღვანი. ის იქ დასახლდებულა. ხალხს კი სოფლისთვის მის საპატისაცემულოდ დღვანი დაურქმევიათ.

#### 150. მადლიანი საჯვარებო

წმინდი სერის ქვეით მომცრო ეკლესია მდგარა. თურქების შემოსვლის მერე აქაურებს ღამით ამ ეკლესიასთან გაუტანიათ და მიწაში ჩაუმარხავთ რამდენიმე ჯვარი. ამ ჯვრებს აქაურები დიდხანს მაღავდნენ. ღამით ამ ადგილებში მიდიოდნენ და ლოცულობდნენ, რის გამოც ამ ადგილს „საჯვარებო“ დაარქვეს. ეს ადგილი ყველაზე მადლიანი იყო. 100 წლის ჩიხეგ აბაშიძის გადმოცემით, ეს ადგილი მნიშვნელოვანი ყოფილა იმითაც, რომ სოფლის ხალხი მნიშვნელოვან

ამბავს იმ ქვებთან (ეკლესიის ქვებს გულისხმობს) წყვეტდნენო. იქ ნათქვამ-გადაწყვეტილს ვერავინ შეცვლიდაო.

### 151. ტრაგედია – ნამონასტრევი // ამაღლება

სხალთიდან 7 კმ-ის დაშორებით არის პატარა სოფელი „ძმაგულა“. რომლის ერთ-ერთ უბანს „ნამონასტრევი“ // „ამაღლება“ ეწოდება. უძველეს დროს ჩვენ წინაპარს აქ უშენებიათ ეკლესია, ამაღლებაში ეკლესიის ხუცესად აქაური მღვდელი განუწესებიათ, ხოლო ეს ეკლესია კი ამაღლების დღეს გახსნილა და ამიტომაც „ამაღლება“ რქმევია ამ ადგილს. მტრის შემოსვლის მერე ეს ადგილები ძალით გუჟამაჰმადიანებით, მაგრამ მღვდელი, თურმე, თავისას არ იშლიდა და წირვას მაინც ატარებდა. ერთ-ერთი წირვის დროს, როცა ზარი ირეკებოდა, მოსულან თურქები, ხუცესი შეუპყრიათ და სასტიკად უწამებიათ - მიწაში ჩუუკირაუთ. მასთან მისვლის საშუალება არავისზე მიუციათ და ადგილზევე გარდაცვლილა. ამ მღვდელს ჰყოლია ძმა, სახელად გულა, რომელიც ამ ამბის შემდეგ იმ მიდამოში დასახლებულა, სადაც „ამაღლების ეკლესია იდგა და ცხოვრებაც იქ გაუგრძელებია. ამიტომაც ამ უბანს „ძმაგულა“ დარქმევია. ამჟამად ამ უბანში 3-4 კომლი ცხოვრობს.

### 152. ძველებური დასჯის მეთოდი

უნამუსობის ან კაცის ღალატისთვის, კაცი იქნებოდა თუ ქალი, დეისჯებოდნენ. ეიყვანდნენ სოფლის შუა ადგილზე და მუუსჯიდნენ ამოკირვას. მოკირავდნენ წელამდი და დატევდნენ. გამვლელ-გამომვლელი ქვას შემოკრავდა. როიცხა რომ წახდებოდა, ქვებს აყრიდნენ და ისე იერბიერ (ადგილზევე) დატევდნენ. დასჯის ამ მეთოდს, თურქებიც იყენებდნენ ქართველ მორწმუნეების დასაშინებლად.

### 153. სიკვდილით დასჯის უძველესი წესი აჭარის მაღალმთიანეთში

წინაი კაცი რომ იტყოდა, ის ნა გაკეთებულიყო. ითათბირა და თქვა, მოლა ლომანი გაავადოთ სოფლიდანო. ვის შეეძლო შეწინააღმდეგებოდა! კაცი გაავადეს და უუკრძალეს სოფელში სტუმრობაც კი. გონჯი კაცი იყო ლომანი. მნიშვნელოვან მასალას შეიცავს ავტორის მიერ ჩაწერილი ფოლკლორული გადმოცემა, რომელიც სოფელ ვერნებში მცხოვრებ შაბან შაქირის ძე აბაშიძის ნაამბობია: „ვინმე რომ ნამუსს შეეხებოდა, ან ღალატს იზამდა, იმას

ამოკირავდენ. ჯორის კუღზე გამობმაც იყო ჯორის კუღზე გამობმაც იყო... მამაჩემი ას ოცი წლისა მოკვდა. ის მოესწრო კაცის ამოკირვას”. ამასვე ადასტურებს სოფელ ხიხაძირის მცხოვრები ტაშტან ეუბისძე გაბაიძე: „... შეიყვანდნენ სოფლის შუა ადგილზე და მიუსჯიდნენ ამოკირვას. მოკირავდნენ წელამდე. გამვლელ-გამომვლელი ქვას დააყრიდნენ და ასე ტოვებდნენ”.

#### 154. დედაბრის საფრინავა

ხულოს რაიონის სოფლების–კვატიასა და ფუშრუკაულს შორის არის ადგილი, რომელსაც აქაურები „დედაბრის საფრინავს“ ეძახიან. აქ, ძველად, ერთი პატარა ბილიკი ყოფილა. ყველა ამ გზით სარგებლობდა. ერთ დღეს მოხუცი ქალი, თავის შვილიშვილთან ერთად, მიდიოდა მეზობელ სოფელში. მოსახვევში მას თვალი მუუკრავს თურქებისთვის. დედაბერს უკან დასახევი გზა არ ჰქონია. უფიქრია დევლუპო, მარა, თურქების ხელში ჩავრდნას, სიკვდილი უურჩევია. მოხუცს შვილიშვილისთვის ხელი მუუკიდია და მისთან ერთად ხრამში გადაჩეხილა. ხალხს ბევრი უძებნია, მარა კდრები ვერ უნახავთ. ძველების გადმოცემით მიცვალებულები მელაიქებს გამჩენელთან წუყუყვანიათ, რის გამოც ამ ადგილისთვის „დედაბრის საფრინავა“ უწოდებიათ.

#### 155. დედაბრის საფრინავა

ხულოს რაიონის სოფელ კვატიაში დღესაცაა შემორჩენილი ბებია-შვილიშვილის დაღუპვის ამბავი, რომელიც ასევე თურქებთანაა დაკავშირებული. თურქების შემოსვლის შემდეგ, აჭარაში ეშინოდათ ლამაზი შვილის ყოლა და იტყოდნენ, ნეტაი არ გამჩენოდაო. სხალთისკენ მიმავალ ბებიასა და შვილიშვილს შორიდან შუუნიშნავთ თურქი ასკერები, უკან დასახევი გზა არ ჰქონიათ, ან ამათ უნდა ჩავარდნოდათ ხელში, ან დაღუპულიყვნენ. ბებია არც კი დაფიქრებულა, მისი ლამაზი შვილიშვილი გულში ჩუუკრავს და კლდეზე გადაშვებულან. მოხუცს სიკვდილი უურჩევია, ოღონდაც თურქების ხარჭა არ გამხდარიყო მისი შვილიშვილი. ამ ადგილს ამის მერე აქაურები „დედაბრის საფრინავას“ ეძახიან. აქაურებს ახლო-მახლო დიდხანს უძებნიათ, მაგრამ დაღუპული კდრები (მიცვალებულები) ვერ უნახავთ–„ჰური მელაიქივით გაფრინდნენო“ (ანგელოზებივით).

### 156. დედაბრის საფრინავა

ყველაზე გვიან ხიხანის ხეობის სოფლები გამუსლიმანებულია. ერთ დედაბერს ლამაზი შვილიშვილი ჰყოლია. ის რომ თათრებს არ ჩავარდნოდა და მუჰაჯირობის ბედი არ სწვეოდა, საკუთარ შვილიშვილთან ჩახუტებული კლდეზე გადავარდნილა. მის შემდეგ დარქმევია ამ ადგილს „დედაბრის საფრინავი“.

### 157. ქუფთა დელე

ამ სოფელში ძალად გამუსლიმანებული ქალი შეჰყვარებია სომეხ ყმას (მოსამსახურეს) ფაშისას, ფაშას რომ გუუგია ეს ამბავი, მოსამსახურეცა და მისი ორსული ცოლი ფაშის ყმებს მიუყვანიათ. მდინარესთან და „ქუფთა-ქუფთად“ (ნაწილ-ნაწილ) უქცევიათ. დაჩეხილი გვამები მდინარისთვის გაუტანებიათ. იმ დღიდან ამ დელესთვის ხალხს „ქუფთა დელე“ დაურქმევია. ამ წამების მერე 33 დღე წვიმა არ შეჩერებულა, მდინარეები ადიდებულა და კალაპოტებიდან გადმოსულა. შეშინებული ხალხი გარეთ არ გამოდიოდა და იმას ამბობდნენ, ცოდვამ უწიაო“.

### 158. თქმულება ცხრამუხლიდელის შესახებ

თურქობის დროს ამ სოფელში ბეგებთან თურქები დადიოდნენ. აქ მოსულ მუფთებს თურმე ძალიან მოსწონდათ აჭარელი ქალები, მაგრამ აქაური ქალები თავისი ნებით არასოდეს მიყვებოდნენ თურქებს. ერთხელ მუფთს ხალხს ჩუმად ერთი გასათხოვარი გოგონა მოუტყუებია, შიშითა და ძალით შეუცდენია და დუუფეხმძიმებია. ამ გოგონას ეს ამბავი ვინმესთვის ვერ გუუმხელია, მემრე თანასოფლელებს გოგონასთვის მუცელი შუუნიშნავთ. გადარეულან, როგორ გაგვიბედაო და მისი დასჯა გადაუწყვეტიათ. სოფლელებს ეს გოგონა მუხლებზე დაუჩოქებიათ და როგორც ოჯახისა და სოფლის შემრცხვენელი, ორღობებში ჩამოუტარებიათ. ბოლოს სოფლის პატარა მდინარესთან მიყვანამდე ცხრა მუხლი (მანძილის საზომი ერთეულია) ჰქონია დარჩენილი, როცა ეს ქალი გარდაცვლილა. გასისხლიანებული ცხედარი სოფლელებს მდინარეში ჩაუგდიათ და ღორღი მიუყრიათ. ამ ადგილსაც და მდინარესაც ამის შემდეგ „ცხრამუხლიდელე“ ეწოდება.

### 159. ცხრამუხლიდელის ამბავი

შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულის განაპირას, ქვემოთ, გზისკენ დაბლა არის ადგილი, რომელიც წმინდა ადგილია. ამ ადგილას მიდიან მუსლიმანი მლოცველები. მდინარესთან აბდეს ღებულობენ და ლოცულობენ. ცხრა მუხლ ლოცვას წეიკითხვენ, ამიტომაც ჰქვია ამ ადგილს „ცხრამუხლიდელე“.

### 160. მანჩხაურის–ისტორია

სოფელ ნიგაზეულში, თათრების მოსვლისთანავე, ყველა ჯიშის ყურძენი ამოუძირკვავთ, მოუგროვებიათ სოფლის შუაგულში და დაუწვავთ. ამ სოფლის ერთ უბანში ახალციხიდან მოყვანილ რძალს თხემლისა და ნაძვის ტოტებს ქვეშ დუშუმალია ჩხავერა ყურძნის ნერგები. ახალციხელი რძალი ზოვლი ლამაზი ყოფილა, მოწონებია სოფლის მუფთს, მაგრამ ნებით მისი დათანხმება ვერ მუხერხებია. მუფთი გადაჰკიდებია მას, მარა მაგარი ქალი ყოფილა და ვეფერს ვერ უხერხებდა. ერთხელაც ეს ქალი ვიდაცას გუუცია, რომ ქალი მაღავდა ჩხავერის ნერგებს. გამიზეზებულ მუფთს ყურძნის ნერგების დამალვისათვის ეს ქალი ცხენის კუდზე გამოუბმია, ყურძნის ლერწებით ხელ-ფეხი შეუკრია და ყველას დასანახად დუუსჯია. მიუხედავად ყველაფრისა, ამ ადგილს დღესაც ხარობს ჩხავერის ჯიშის ყურძენი, ხოლო ადგილს კი „მანჩხური“ ჰქვია.

### 161. მარიამხევის ამბავი

შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულში არის ადგილი–სახელად მარიამხევი, სადაც თურქების მორიგი მსხვერპლი მარიამი გამხდარა. მარიამი ლამაზი ქალი ყოფილა, მუფთი გადაჰკიდებია. მისი ხელში ჩაგდება მუუნდომებია, მაგრამ მარიამს უარი უთქვამს. ერთ მშვენიერ დღეს ჩასაფრებია და უკან გაჰკიდებია. მარიამს უკან დასახევი გზა არ ჰქონია და პირადპირ ხევისკენ უულია გეზი. ხალხს დაუძახნია: მარიამ, ხევიო, მაგრამ მარიამი არ შეჩერებულა და ამ ხევში გადაჩეხილა. ხალხს ხევისთვის მარიამხევი შეურქმევია.

### 162. მარიამხევის ისტორია

შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულში არის ადგილი სახელად მარიამხევი, ამ სოფელში ერთი ქალი ყოფილა, რომელსაც ქმარი მოკდენია და

ნერვიულობისგან დაბრმავეებულა. ერთხელაც ბრმა ხევში გადაჩეხილა. ხალხს დაუძახნია: მარიამ, ხეიო, მაგრამ მარიამი არ შეჩერებულა და ამ ხევში გადაჩეხილა. ხალხს ხევისთვის „მარიამხევი“ შეურქმევია.

### 163. სოფელ გობრონეთის შესახებ

ერთხელ, ადრე გაზაფხულზე, სოფელს თურქი მარბიელები—15-20 კაცი სარჩო-საბადოსა და საქონლის გასარეკად შემოსევია. ქალებსა და ბავშვებს სოფლის ეკლესიისათვის შეუფარებიათ თავი. სოფლიდან წასადები რომ ვერაფერი უნახიათ, ეკლესიას მიდგომიათ, ეკლესიიდან ბავშვებისა და ქალების ტირილის ხმა გამოდიოდა. სოფლის მამაკაცებმა მომხდურებს შეუტყეს, ისინი გაიქცნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ კი მტრებმა კვლავ შეესიენ სოფელს. სოფელმა ახალგაზრდა გობრონმა მარტომ შეუტია მომხდურებს და ყველანი ამოხოცა, ეკლესიის კარები გააღო და ბავშვები და ქალები გამოუშვა; ისინი გობრონს ეხვეოდნენ და ტიროდნენ: შენ ხარ ჩვენი მხსნელი გადამრჩენიო. იმ დღიდან სოფელს გობრონეთი დარქვა.

### 164. ხუციქელი

სხალთის ხეობაში ხუციქელი შემადლებული ადგილია, სოფლის თავშია, მას სერსაც უწოდებენ. ძველად აქ სოფლის უხუცესი, ხუცესი ცხოვრობდა და დაარქვეს ხუცის ქელი ანუ მერე „ხუცი ქელი“.

### 165. ნაქილისვარი

შუახევის რაიონის, სოფელ ზემოხევში, კლუბთან ახლოს, ძველ დროში ყოფილა ნაეკლესიარი // საყდარი. გადმოცემის მიხედვით აქ მუშაობდა ვინმე ჩერქეზი მღვდელი, რომელიც ლოცვებს ატარებდა. თურქების ბატონობის დროს თურქებს ახალციხიდან მოუყვანიათ ვინმე ხოჯა. ამ ხოჯას ეს ჩერქეზი ძალით, ხალხიც დუშმინებია და ეს მღვდელი გუუგდებია. თვითონ გაბატონებულა და ამ სოფელში მუსლიმანური ლოცვების სწავლებაც დუუწყია. ეს ქილისა კი მიწასთან გაუსწორებიათ. რამდენიმე ათეული წლის მერე აქ გაჰყავდათ ახალი გზა ზემო სოფლის მიმართულებით – გათხრისას აქ ადამიანების ჩონჩხები და ქვევრები მოჰყოლიათ.

### 166. მახინჯაური

ერთ-ერთი ვერსიით მზეჭაბუკი თავისი რაზმით თურქ დამპყრობლებს შეებრძოლა. ბრძოლაში დაიჭრა და დასახინრდა. ამიტომაც მტრებმა მახინჯი გიაური უწოდეს. ჭაბუკი შემდეგ დაიღუპა და მის საპატივცემულოდ სოფელს ასე შეარქვეს.

### 167. მახინჯაური

აჭარაში როდესაც შემოვიდა თურქეთის დამპყრობლური ჯარი. აქაურები ძალიან ცუდ დღეში ჩაუვდიათ. ისინი მათ ძალით აწამებდნენ და ამუსლიმანებდნენ. ახლა სადაც არის მახინჯაური, ამ ადგილას ცხოვრობდა ერთი ვაჟკაცი, რომელიც თათრებისგან შევიწროებულებს ეხმარებოდა. მას შეუქმნია პატარა ჯგუფი და მათ წინააღმდეგობას უწევდა. ერთხელაც ის თურქებს შეუპყრიათ და უწამებიათ – მისთვის ცხვირი აუთლიათ, ყურები მოუჭრიათ, ე. ი. დაუმახინჯებიათ. ის ამ წამებაში მის პატარა რაზმს გაუნთავისუფლებია. მერე ეს ბიჭი ისევ აგრძელებდა ბრძოლას მათ წინააღმდეგ. ის თურქებს დიდ ზიანს აყენებდა, თურქები მის დანახვაზე გაიძახოდნენ, რომ მახინჯი გიაური მოდისო. ამიტომ იმ ადამიანის საპატივცემულოდ ამ ადგილს მახინჯაური დაარქვეს.

### 168. მახინჯაური

თურქების შემოსვლას დაბა მახინჯაურში ცუდად შეხვედრიან. ოსმალო რომ შემოსულა, მათ რასაც მოისურვებდნენ, იქაურებს ის უნდა გაეკეთებიათ. ვინც მოეწონებოდათ, მათი უნდა გამხდარიყო. მერე და მერე დაუწყიათ ხალხის აბუჩად აგდება. ერთხელაც მათვინ აქაურ ბიჭი შეწინააღმდეგებია. თურქებს ამის გამო ეს ბიჭი სასტიკად უწამებიათ, დაუმახინჯებიათ, მისთვის „მახინჯი გიაური“ უწოდებიათ. ბიჭის საპატივცემულოდ, ხალხს ამ ადგილისთვის „მახინჯაური“ დაურქმევიათ.

### 169. ნატიფარა

ხინოში ერთი ვაჟკაცივით მაგარი ქალი ყოფილა, რომელიც თათრებს შეუპყრიათ. თამარს მათვის გამოსასყიდი შეუთავაზებია, თურქებს მის სანაცვლოდ ფარა მოუთხოვიათ. თამარს მართლაც მიუცია ფარა (ფული) და

უთქვამს: „აჰა ნატოს ფარაო“, ნაწილი იმასაც კი ამბობდა რომ ეს ადგილიც მისცა მის სანაცვლოდ და ამის მერე ამ ადგილს „ნატიფარა“ – დარქმევია.

### 170. სერი ყანა

„სერი ყანა“ ადგილი, სადაც სელიმ ხიმშიაშვილს თავი მოკვეთეს „სელიმი ციხიდან გამოიყვანეს და ბაკოს ზემოთ იმ ადგილს ახლაც „სერი ყანას“ თავი მოკვეთეს.

### 171. სელიმ ფაშას ამბავი

სიკვდილის წინ სელიმს ბაბა-ფაშასა და ხალხისათვის განუცხადებია „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალეთს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებსაც დაგუტოვებო“.

### 172. სელიმ ფაშას ამბავი

ხიხანის ციხეში თავშეფარებულ სელიმ-ფაშას, თავისი დარჩენილი ჯარითურთ, არაფერი არ უჭირდა, მტერი მას ვერაფერს ვერ დააკლებდა, რომ არა ერთი გარემოება—სულთნის კაცი სასტიკი და დაუნდობელი კაცი ყოფილა, მას სელიმისთვის რომ ვერაფერი დუუკლია, შემდეგი ხერხისთვის მუშმართავს: მან კარგად იცოდა, რომ სელიმი თავისი ხალხისთვის იბრძოდა და მათვის უკან არაფერზე დეიხევდა, ამიტომაც მას, ციხის მიმდებარე სოფლების მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება დუუწყია. ეს კი სელიმის კაცობას შეარცხვენდა. მან ციხეში დამალული და ხალხი კი წვალობდა. სელიმი არც კი დაფიქრებულა ისე შემუშუთლია სულთნისთვის, ჩემ ხალხს თავი დაანებე, მე ჩაგბარდებო. მართლაც სელიმი მისი ნებით ჩაბარებია. ის ახლანდელ „სერი ყანას“ – ს ადგილას სომეხს მუუჭრია მისთვის თავი. ის იმფერი ლამაზი და ვაჟკაცი ყოფილა, არც თურქებს და არც ქართველებს ხელი არ უხლიათ. სომეხისთვის ფული მუუციან და იმას მუუჭრია თავი. ეს გამხდარა მიზეზი მისი ნებით ჩაბარებისა. ისე ამბობდნენ, თავი თურქეთში წვიდესო და იქ არიო.

### 173. სელიმ ფაშას ამბავი

ხიხაძირში, ციხეში, გამაგრებულ სელიმ-ფაშას სულთანის ჯარები შემოსევიან, მათ სელიმის ხელში ჩაგდება უნდოდათ. სელიმი ხიხანის ციხეში გამაგრებულა. მტერი არ მოშორებია ხიხანის ციხეს. ოლოს, მტერს ციხე რომ



ვერ გუუტყვია, გუდუწყვეტიან, რომ ახლო-მახლო სოფლები ეეწიოკებიენ და ამით სელიმი გეებრაზებიენ. მართლაც სელიმი დაფიქრებულა და მის ერთ-ერთ ცოლთან მისულა, რომელიც აკვანზე დამხობილი ბაღვს აჭმევდა. სელიმი გამომშვიდობებია და უთქვამს – შენ რომ ოქროს ბეჭედი გაქვს მომეცი, როცა სულთნის მსახურები მომკლავენ და ჯიბეებს გამიხხრიკავენ, არ მინდა თქვან – შემაგინონ, კაცობა შემირცხვიონონო, ეს რა ცარიელი ჯიბეები ჰქონია ამ შობელძადლსო, ამ ბეჭედს ჯიბეში დავიტოვებო. სიკვდილის წინ მტრებისთვის უთქვამს, აჭარა თქვენ მაინც არ დაგრჩებათო.

#### 174. სელიმ ფაშას ამბავი

სელიმის დასჯა ოსმალის ფაშას, მისი კარგი ვაჟკაცობის გამო, გადაუფიქრებია და ამის დასტურად ფირმანი გამოუგზავნია. ბაბა-ფაშას ეჭვი ჰქონია, სელიმის კაიკაცობის გამო ოსმალის ფაშა რომ აპატიებდა, ბაბა-ფაშა და მისი მომხრეებს, ფურტიოს ხილთან თავისი ხალხი ჰყოლია დაყენებული. მცველები გამველ-გამომველს შინჯავდენ. მათ თურქეთიდან მომავალი კაცი დუუჭერიან, რომელსაც პატიების წერილი მოჰქონდათ. მარა მცველებს კაცი მანამ არ გუუშვიან, სანამ სელიმზე თავი არ მუუჭრიან. სულთანისთვის სელიმის მოკვეთილი თავი რომ ჩუუტანიათ, გადარეულა სულთანი და უთქვამს, ამფერი ლამაზი მოსაკლავად რაფერ გეიმეტეთო და ჩამტანისთვისაც თავი მუუჭრია.

#### 175. სელიმ-ფაშამ ორი ფული აჩუქაო...

ზ. ჭიჭინაძეს 1891 წელს შუახევის რაიონის სოფელ დარჩიძეებში, საინტერესო თქმულება ჩაუწერია: „მირათის ხევის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობენ დარჩიძეები; ამათ სოფელს და მთებსაც ეს სახელწოდება აქვს მითვისებული. ერთი დარჩიძე 1878 წელს გარდაცვლილა 65 წლისა. მის მამა გარდაცვლილა 75 წლისა 1830 წელში. ამ მოხუცის დედა ქრისტიანი ყოფილა, რომლის ქმარმა თურმე 1815 წელს სელიმ-ფაშას ხირხატის ციხეში სიმინდი მოუტანა, რისთვისაც ორი ფული აჩუქა მას სელიმ-ფაშამო“.

#### 176. სელიმ ფაშას ამბავი

ჩვენი მამამთავარი, სელიმ-ფაშას თანამებრძოლი და მედროშე იყო. მას ბუქალი ბაირახტარადაც იხსენებდნენ და თითქმის ყველა ლაშქრობის დროს თან ახლდა სელიმ-ფაშას, როგორც მისი ერთგული მსახური და მამაცი

მეომარი. ხირხათის ციხეში ჩაკეტილ ფაშას არაფერი უჭირდა, რადგან დროდადრო ამისათვის საგანგებოდ მომზადებული მსახურები სურსათ-სანოვაგით ამარაგებდნენ, მაგრამ როცა ბაბა ფაშამ ციხეს ალყა შემოარტყა, სურსათის მარაგი გათავდა, შეუძლებელი გახდა გარედან სურსათის შემოტანა და რამდენიმე ადამიანი შიმშილით გარდაიცვალა. სელიმ ფაშამ ცოლი იხმო და განუცხადა: „ჯიბეში ფული აღარ დამრჩა, შენი ოქროს სამკაულები მომეცი. ვიცი, როგორც კი გავალ, ოსმალები ჯიბეებს გამინხრიკავენ ცარიელი რომ იქნება, დედას და შენ თავს შემიგინებენო“. ელმას ხანუმს ორი ბეჭედი გამოართვა, ამის შემდეგ ციხის ალაყაფთან მივიდა და თავის სარდალს თვითონვე გასცა ბრძანება, კარები გაეღო, რათა ღირსეულად ჩაბარებოდა მტერს, ამით თავისი 15 000 თანამოძმე შიმშილისაგან სიკვდილს, ხოლო სოფლები დაწვა-აწიოკებას გადაარჩინა; მართლაც, მაშინ სელიმი დასაჯეს, მაგრამ მის გარდა არავინ დაღუპულა, დროებით სოფლების აწიოკებაც შეწყდა. ოტომანთა პორტას წინააღმდეგ ამხედრებული სელიმ ხიმშიაშვილისთვის ხისანის ციხეში მოძმეთაგან არავის უღალატია. მოღალატენი „მოკავშირე“ რუსეთის გენერლები არიან, ხოლო სელიმის დაღუპვის საიდუმლო მისსივე გამირობასა და თავგანწირვაში უნდა ვეძიოთ და პატივი მივაგოთ, როგორც თავდადებულ რაინდს და ეროვნულ გმირს.

### 177. სელიმის კაიკაცობის ერთი ამბავი

სელიმი ჰალალი და ამავე დროს ფიცხი კაცი ყოფილა, თუმცა მის სიკეთეს საზღვრები არ ჰქონებია. ერთხელ, ნიგაზეულში ცხოვრებისას, მას თავის კარზე მოსამსახურე ბიჭი მოწყენილი დუნახავს, მიზეზი გამუჟკითხავს. მოახლეს დასანიშნი ქალისთვის არაფერი ჰქონია მისატანი თურმე, ამისთვის გოგოს მშობლები უარს ეუბნებოდნენ და მიზეზიც მისი მოწყენისა ეს ყოფილა. სელიმს თავის დედის ნაქონი გულსაბნევი ამოუღია და მიუცია მოსამსახურისთვის, რათა ცოლი მოეყვანა და ბედნიერად ეცხოვრა.

### 178. მუჰაჯირები და თამარი

თამარ დედოფალი ყოფილა ზამანუნდა. ხალხსა ძალუან ყუარებიან, გაჭირვებულსა, იეთიმსა, ავატყოფსა, ეხმარებოდა მეგემ და იმი გულობაი. მისი გაკეთებული ქემერქოფრები ბევრია შავშეთ, აჭარას, ახისხას. სე იტყოდა ჩემი

ბაბოი, მემედ ეფფენდი გულო ბაიარასტოდლი, გოგნიავრიდან გამოსული. ზოგი ლექსები მასსოვს ზოვლი. ვიმღერებდით:

ვორირავ და ქამარავ, რეროვ, რერავ და ქამარავ,  
 ვორირავ და ქამარავ, რეროვ, რერავ და ქამარავ  
 ზითვალ გიგავს პირიო, მე შენთვინა და ვტირიო,  
 რას დაგვაკლებს მტერიო, მეც იმაზე ვმღერიო.

ვორირავ და ქამარავ, რეროვ, რერავ და ქამარავ  
 ჩუენო დიდო დედაო, ეს რა დეგვებედაო.

ჩუენო დიდო ანაო, აქ რამ და მოგვიყვანაო,

ვორირავ და ქამარავ, რეროვ, რერავ და ქამარავ  
 შორ დიგვირჩა მემღექეთი, ღმერთო მეგვე ბერექეთი,

ვორირავ და ქამარავ, რეროვ, რერავ და ქამარავ,

ვორირავ და ქამარავ, რეროვ, რერავ და ქამარავ!

### 179. თამარ დოდოფალი

თამარ დოდოფალი რუმ ყირალი გახდა, ძმამ ვერ გეტანა, რატომ გახდა ის ყირალიო. გუუხსნა ჰარბი. თამარმა მეერია. იესირათ ეილო ძმა. მარა – ძმას ზოვლი ლამაზათ შეხედა, ძმას ააფერი უზამა. ასკრები მისი დაამწყრია. მერმე სულ ქოლეებათ დაყიდა, მეგემ. ესკრებში, ზოგი ყოფილან აბაზები, ესენი არ იყიდა არვინ. – ეიდა, რატომ ზოგი ვერ გიგიყიდიან ქოლეულაო, – მეიკითხა თამარ დედოფალმა ერთ დღესა. – რაცლა –ადარ ყიდულობენ ხალხიო, ვერ ხტომილობენ, ვინ არიანო. – მაგათ კაბები ჩაააცვით, გეიყუანეთ და გეიყიდეიანო, – უთქმია თამარსა. „კაბიანებ“ იმითვინ უძახიან აბაზებსა... – ახლაც ჩემ ემრის ქუემ იმცხოვრეთო, – უბრძანებია დედოფალსა.

– ყოფილან ერთი გურჯი, ერთი აბაზაი, ერთიც ლაზი. მიდიან ისტამბოლიდან ტრაპიზონ. დაუდენ თიარეზე. თიარესი ცაში ფრინვაში ქუემა ჩამშპარა. ზედაზე მოკვატებულან. აბაზას უთხრომია, გულჩორიანია აბაზი: – შენ, გურჯოო, შენ გუდუუხტი და ჩუენ დავსუბუქდებით, გადავრჩებითო. გურჯსაც უთხრომია: – თამამ, მენა გუდუუხტენაო, მარა ჩემ გადახტომიხან თქუენ დუუტაშუნოთნაო. დუუტაშუნებიან აბაზას და ლაზსა, ისინი გადაცვენილან, გურჯი გადარჩენილა.

### 180. თამარ დოდოფალი

თამარ დოდოფალსა პარხალი ქილისა რომ გაუკეთებია, იმდენი დუხარჯია, ოქრო აღარ დასჩომია. თმის დასაჭირნებელი ქონებია ოქროსი. უთქუამს, ისინი გამაყიდნია ამ საქმემო. ასკერებითუნ, პური გომოცხოვისთუნ ქერი და თივა-ჭუავაი არ დავტიე ამ სოფელშიო.

იქ ერთი აღა ყოფილა: – ნაწუელით მე დეგეშველები, ნამუშავთ მიართვი, მაგრათ ამუშავო. ზე რითნა ჩეიტანო, მე არ გეგერვიო.

დედოფალმა უთხრა: – ეგ ადვილია, მაგას მე მუაფერებო.

მიცა ცულები ასკერებ, ღარები გააკეთეს. დასჭრეს წმინდა ჭერები, ამეიდეს გული, ღარი გააკეთეს, დუხსართეს ერთმანეთზე, ეიდა, თიდან პარხალ ნაწუელი ჩამეიტანეს. იქ მოწუელა კაცმა, გამოდინდა პარხალში. რზის წყარომ ამაშენებია პარხალიო, – უთქუამს თამარსა.

თამარმა დოდოფალმა სავრიათი წყალიდან რუ გააკეთა. წყალსა გადააგდებდეს დელეში. რუ რავლია იცი? მაღალი კაპნებია. გუმუთლია ასე. რით გამოთხარეს, რავლა გუდულია, არვინ იცის. უთქვია თამარ ქალსა: – ამას გუერთა პარხალი ქილისა ადვილი იყო. სავრიათი რუმა ათავებამდინ, წყალი წაგდებამდინ, კბილი ტვინები გამაყრევნიაო.

### 181. თამარ დოდოფალი ღმერთისა მოყუარული ყოფილა.

– ჩუენ ზუელანდელებმა ისე მითხრეს, თამარ დოდოფალი ღმერთისა მოყუარული ყოფილა. ჩუენ ზალიან შამაყუარეს, რისთვინ იცი?

– ჩუენ პატიტუანი ღარჭები ვიყავით. მაშინ ეს მანქანის გზევნარი არ იყო ზეგან სოფლებთან, ქუაბაგი ზემოთ არი. ქომოთკენ წამოსულიხან ბაბოი ჯორზე დამსუემდა. ცხენზე იადა ჯორზე რომ დამსმიდენ, ქომოთკენ წევდოდით. იქ პარიკევი არი. ფრო ბეთი გზევნარზე რომ ჩევდოდით, ცხენიდან ჩამომსმიდა (მურღუღელი იტყვის – ჩამომასტუმლებდა). იმის ქომოთკე ფეხდაფეხ წევდოდით. დაჭი ვიყავ, მევღალოდი. პარიზევში დელეზე რომ მუახლოვდებოდი, ჩემი ანაი-აიშოი მეტყოდა: – ოღულ მეიდალე: ! – მეც ვეტყოდი: ჰოვ, მევღალე, ანი.

იქა, გზიპირში, ფიქლები არი. ასე შეწკარებული, ბელქიდა თამარ დოდოფლისი დაწყობილია. ანაი მეტყოდა: – თამარ დოდოფალსა, ის რომ მოდალულა, ღარჭი ასუჭებული ყოლია, იმა გზიპირში ქეებზედამ უყუედებია. იმ ბაუშუისი ფეხი ქუაში ჩაფლობოდა. ასე ფეხის კუალი არი, თოვლში რომ რავარ ჩანს. იმაზე ფეხ მომასმევნიებდა. – ფეხები გეისუნეფს, აღარ

მეიდალვიო. – ის ქვა დღესაც მის ადგილ არი. ქუაბელთ და ბალხელთა, ხეველთა იციან, ორმოც წლის ზემოთკენ კაცებთ თელთ იციან. ასზე პატიტუნებთ, წუირილთ არ იციან, იმისთვინ ქი, ქომოდამ ხევიპირილამ ქუაბაისკე, ხევაისკე გზა გეიკეთა თავრობამა. წყალიპირილამ უმფრო ადვილა წეისვლებო და გზა იქილამ გააკეთა. ზემოდამ ფეხდაფეხ აღარვინა იარება...

იმ ადგილის სახელი პარხევია. მის ზემოთაი საჩინოთია. საჩინოთილამ გედეიარ, ზემოთკენ წასლუხან ქედ გედეიარ, წითლეკარი გამოჩნდება... მიხუალ წითლეკარი წყაროზე, წყალ შესუამ, ცივი წყალია. წითლეკარი გემრელი ადგილია.

ეკარი წყაროზე, წყალ შესუამ, ცივი წყალია. წითლეკარი გემრელი ადგილია.

### ტექსტთა წყაროები

1. „ქვაკაცები ვერნებში“. ბსკიფა, საქმე №170, მოქმელი ხასან აბაშიძე. 1972 წ. (თანდილავა. გვ. 133-134) – (თანდილავა 1974: 80).
2. „ქვაკაცები-ადგილი „მაღალთი“. მოქმელი შ. აბაშიძე, 75 წ., ხულოს რაიონი, სოფელი ვერნები. ჩაიწერა ჯ. ჯაყელმა 1972 წ.
3. „ერთი რიტუალის შესახებ“. მოქმელი ა. დ. წიკლაური. (ჯაყელი 1975: 63).
4. „დიდგორზე ლოცვა“. (თანდილავა 1974: 17).
5. „ქვაკაცები შუბანში“. მოქ. ნ. ცეცხლაძე, დაბ. 1942 წ. სოფ. დარჩიძეებში და მცხ. ქ. ბათუმში, შ. ცეცხლაძე, დაბ. 1940 წ. სოფ. შუბანში და მცხ. ქ. ბათუმში, ჩავ. 2012 წ. პირადი არქივი.
6. „ლაზაობა და სხვა ქრისტიანული წეს-ჩვეულებები აჭარაში“, გიორგაძე მარინა, ჟურნალი „ჯვარი ვახისა“ 1989წ. №1.
7. „სარმიყელის მთაზე არსებულ ქვაკაცებზე“. (ქათამაძე 1940: 13).
8. „ქედელაური და იაველა“, ჟ. მურიე, „ბათუმი და ჭოროხის აუზი“, სახ. გამ. ბათ., 1962, გვ. 40.
9. „გვანცა-ლელა“. მოქმელი ესმა ცინცაძე, ქედის რაიონის მკვიდრი, 67 წ. ჩავიწერე 2007 წ. პირადი არქივი.
10. „გვანცა-ლელა“. (ქათამაძე 1940: 13).
11. „გვანცა-ლელა“. მოქმელი ს. ავალიანი, დაბ. და მცხ. სოფელ დანდალოში, 77 წ. ჩავიწერე 2011 წ. პირადი არქივი.
12. „გვანცა-ლელა – თურქული წყაროების მიხედვით“, მოქმ. სულტან და საბრი იაგუზები (ფუტკარაძეები), სულტან სეზერი (ტაკიძე) – ფუტკარაძე 1993: 144.
13. „წმინდანის ნაფეხური“, პროფესორ რ. სურმანიძე, „ინტერვიუ ავტორთან“, ხელნაწერთა უფლებით, ჩავ. 2012 წ.
14. (ა) „წმინდა გიორგი“, პროფესორ რ. სურმანიძე, „ინტერვიუ ავტორთან“, ხელნაწერთა უფლებით, ჩავ. 2012 წ.
- 14 (ბ) „საკლავის შეწირვა ჭვანის ხიდზე, მოქ. თ. ქარცივაძე დაბ. სოფელ ჭალაში და მცხ. სოფელ ზემოხევში. ჩავ. 2012 წ. პირადი არქივი.
15. „გომანის ქვის ისტორია“, მოქმელი შ. გოგიტიძე, დაბ. სოფელ ქიძინიძეებში და მცხ. ქალაქ ბათუმში. 2012. პირადი არქივი.

16. „გომანის ქვის ისტორია“, მთქმელი ნაწული გოგიტიძე, 57 წ. დაბ. და მცხ სოფელ ქიძინიძეებში. ნათელა მიქელაძე, დაბ. სოფ ნენიაში და მცხ. სოფელ ქიძინიძეებში 57 წ.
17. „ხეზრეთი ალი“, ნბიფა, საქმე №257, გვ. 44. თ. შიოშვილი, „ხეზრეთი ალის ციკლის ლეგენდები აჭარის ფოლკლორში“. წიგნში „ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში“, თ. შიოშვილი... სსიპ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ბათუმი, 2010, გვ. 174.
18. „ხეზრეთი ალი“, ნბიფა, საქმე №194, გვ. 62. თ. შიოშვილი, „ხეზრეთი ალის ციკლის ლეგენდები აჭარის ფოლკლორში“. წიგნში „ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში“, თ. შიოშვილი... სსიპ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ბათუმი, 2010, გვ. 174.
19. „ფეიღამბრის ფეხი“ // „ფეიღამბრის ქვა“, მთქმელი ხენიფე ჯაყელი – მელაძე, 80 წ. სოფ. აღმეს მკვიდრი, პირადი არქივი, 2008 წ.
20. „თამზის ცხენი“, ბუბულაშვილი 2009: 94.
21. „გაქვავებული გოგანა ისტორია“, პროფესორი შ. ფუტკარაძე, „ინტერვიუ ავტორთან“, ხელნაწერის უფლებით. 28. 08. 2012.
22. „სერთი ზიარეთი“, შ. ფუტკარაძე 2012: „ინტერვიუ ავტორთან“, ხელნაწერთა უფლებით. პირადი არქივი.
23. „ზიარეთი ადგილი“, შ. ფუტკარაძე „ჩვენებურების ქართული“ ტომი II, გამოუქვეყნებელი), „ინტერვიუ ავტორთან“, ხელნაწერის უფლებით. 28. 08. 2012.
24. „ზიარეთი“, Март Н. Дневник поездки в шавшию и Кларджию, წიგნში: Георгии Мерчул, Житие св. Григория Хандзтииского. \_ Тексти и рассказы по армяно-грузинского филологии, кн. VII, с- Петербург. გვ. 79. მ. ბერიძე, რ. გუჯეჯიანი, ზიარეთობის ტრადიცია ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, დიდაჭარობ” საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტი, სხალთის ეპარქია., საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა“ ხულო-დიდაჭარა, 2010, (მასალები) გვ. 179.
25. „ზიარეთი“, Март Н. Дневник поездки в шавшию и Кларджию, წიგნში: Георгии Мерчул, Житие св. Григория Хандзтииского. \_ Тексти и рассказы по армяно-грузинского филологии, кн. VII, с- Петербург. გვ. 79). (მარი: 79. მ. ბერიძე, რ. გუჯეჯიანი 2010: 176 - მ. ბერიძე, რ. გუჯეჯიანი, ზიარეთობის ტრადიცია ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, დიდაჭარობა” საქართველოს

საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი, სხალთის ეპარქია., საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაქარობა“ ხულო-დიდაჭარა, 2010, (მასალები).

26. „ზიარეთი“, ე. თაყაიშვილი, „სამუსლიმანო საქართველო, დაბრუნება“, მრავალტომეული, ტ. I, გ. შარადის საერთო რედაქციით, თბ., 1991.

27. „ტოპონიმ „ძეგლის“ ისტორია“, მ. ჩოხარაძე „ კლარჯეთის „ათორმეტ სავანეთ მხარე“ და წმინდა გიორგის ეკლესია“ – მოხსენება წაკითხულია ბსუ-ს ქართველ. ინსტიტუტის თეორიულ სემინარზე 2012 წლის 19 ივნისს.

28. „ხეზრეთი ალი და თამარ მეფე“, მ. ჩოხარაძე „ კლარჯეთის „ათორმეტ სავანეთ მხარე“ და წმინდა გიორგის ეკლესია“ – მოხსენება წაკითხულია ბსუ ქართველ. ინსტიტუტის თეორიულ სემინარზე 2012 წლის 19 ივნისს.

29. „ზიარეთი“-აჭარაში“, მ. ჩოხარაძე „ კლარჯეთის „ათორმეტ სავანეთ მხარე“ და წმინდა გიორგის ეკლესია“ – მოხსენება წაკითხულია ბსუ ქართველ. ინსტიტუტის თეორიულ სემინარზე 2012 წლის 19 ივნისს.

30. „ალმის მთის წმინდა ქვის ისტორია“, მთქელი ხ. ჯაყელი – მელაძე, 80 წ, დაბ. და მცხ. სოფელ ალმეში. 2002. პირადი არქივი.

31. „დადეში და ერკოტა“, მ. ბერიძე, რ. გუჯეჯიანი, ზიარეთობის ტრადიცია ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, დიდაქარობა“, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი, სხალთის ეპარქია., საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაქარობა“, ხულო-დიდაჭარა, 2010, (მასალები).

32. „ბაძგირეთელთა ზიარეთი“, მ. ბერიძე, რ. გუჯეჯიანი, ზიარეთობის ტრადიცია ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, დიდაქარობა“ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი, სხალთის ეპარქია., საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაქარობა“, ხულო-დიდაჭარა, 2010, (მასალები).

33. „იასხარი“, (მითოლოგიური ენციკლოპედია 2004: 42).

34. „აღპანას გიორგობა“, რ. ერისთავი, „ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები“, თბ., 1986,

35. „სახული-თურქეთი“, გ. თურმანიძე, „მიწიერი საქართველო შევავედროთ ზეციურ საქართველოს“, გაზეთი „აჭარა“, 1999 წლის 27 ნოემბერი.



- 36 „წმინდი სერი“, მთქმელი შ. გოგიტიძე, დაბ. სოფელ ქიძინიძეებში და მცხ. ქალაქ ბათუმში, 2012. პირადი არქივი.
37. „საჯვარებო“ მთქმელი ჩ. აბაშიძე, ჩაიწერა და მომწოდდა რ. მ უკუტაძე, დაბ. ს. ჯაბნიძეებში და მცხ. სოფ ქიძინიძეებში 2003 წ. პირადი არქივი.
38. „გომანის ქვა“, მთქმელები: ნანული გოგიტიძე, დაბ. და მცხ. სოფ ქიძინიძეებში, 57 წ. მიქელაძე ნათელა, დაბადებული სოფელ ნენიაში და მცხ. სოფ ქიძინიძეებში, 55 წ. ჩავიწერე 2010 წ. პირადი არქივი.
39. „შეიდის ტბა“(ა-სოფელ ნაღვარევის ზემოთ მთაში), მთქმელი ასიე კილაძე, დაბად. სოფ. ცეკვა და მცხ. სოფ. ზემოხევში, ჩავიწერე 2005 წ, სოფელ ზემოხევში.
39. „შეიდის ტბა“ (ბ- სოფელ ნაღვარევის ზემოთ მთაში), მთქმ დ. ვაშაყმაძე დაბადებული და მცხოვრები სოფელ ჭალაში, ჩავიწერე 2004 წ. პირადი არქივი.
40. „გოგოს მეზერი-ამბავი“, (მაღაყმაძე 2008: 143).
41. „ლაშარის მუხა“, თსუვა 26022. მთხრობელი ილო მინდიკაური, ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, ხახაბო, 1983.
42. „ლაშარის ჯვარის მუხა“, მთხრ. ილო მინდიკაური, ჩამწ. ნოდარ ზვიადაური, ხახაბო, 1983. თსუვა 26022.
43. „თამარისა და ლაშარის სალოცავები“, თსუვა 3000. მთხრობელი ბიჭურ ბადრიშვილი, ჩამ წ. თინათინ ოჩიაური, შუაფხო, 17. 07. 1979.
44. „გემისამბუვი-კარხსლებზე“, მთქმელი ა. კილაძე, დაბადებული შუახევის რაიონის სოფელ ცეკვაში და მცხ. სოფელ ზემოხევში, ჩავ. 2002 წ. პირადი არქივი.
45. „მეწყერის მიზეზი“, გ. მახარაშვილი, „დიდი წარღვნის ლეგენდა აჭარის ფოლკლორში“( ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად) ბათუმი 2008.
46. „არგინეთის მითი“, გ. მახარაშვილი, ავტორის პირდი არქივიდან, მთქმელი ჯემალ ქამადაძე, 67წ, მცხოვრები შუახევის რაიონის სოფელ ნენიაში, ჩაიწერა ბსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა თეონა ქამადაძემ, 2003; მასალა მოგვაწოდა ჩამწერმა) გ. მახარაშვილი, „დიდი წარღვნის ლეგენდა აჭარის ფოლკლორში“, ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), ბათუმი 2008.
47. „კარასერის მთის ამბავი“, მთქმელები: დ. ქათამაძე ა. კილაძე, სოფელ ზემოხევში მცხოვრები, 2004 წ. პირადი არქივი.

48. „ხარიათაღი // კარასერი“, მთქმელი თ. ქარცივაძე, დაბ. სოფ ჭალაში და მცხ. სოფ. ზემოსვეში. 78 წ. 2004 წ. პირადი არქივი.
49. „ხარიათაღი // კარასერი“, მთქმელი ნ. მამულაძე, დაბ. და მცხ. სოფ. ნენიაში, 70 წ. პირადი არქივი, 2004 წ.
50. „კარასერი // ხარიათაღი // შურმული“, მთქმელი ჟუჟუნა ზოიძე, დაბადებული სოფელ ჩანჩხალოში და მცხოვრები სოფელ ნენიაში, ჩავიწერე 2000 წ.
51. „კარასერი“, (ბსკიფა, №259).
52. „ნოეს კიდობანი – წარღვნა“, მთქმელი ნოდარ გაბაიძე, 44 წ. დაბ. სოფელ სკვანაში და მცხოვრები დაბა ხელვაჩაურში, გაუგონია დედისგან, ჩავიწერა ნიკა გაბაიძემ 2009 წ. პირადი არქივი.
53. „ირმისა“ ლეგენდა, (ქურასბედიათი 2001: № 146).
54. „ირემი საყდრის გაღავანში“, თსუ, ფოლკლორის არქივის საქმე N1726. სამუზეუმო საარქივო ფონდი.,
55. „რა შველი მოგიკლავს და რა შვილიო“, ჩამწერი თინა შიოშვილი, „ინტერვიუ ავტორთან“, 2004 წ.
56. „შველის მომკვლელი“, მთქმელი ემინე ხორავა, 67 წლის. მცხ. სარფში, გამოსოვილი სოფ. ურეხიდან, პირადი არქივი.
57. „ვინც ამ ცხოველს მოკლავს ამ წუთისოფელში ჰარამი მიქნიაო“, მთქმელი თ. ხოზრევანიძე, დაბ. და მცხ. სოფ. კვატიაში. პირადი არქივი, 2005 წ.
58. „შველს უკანა ფეხზე თეთრი ბეწვი აქვს“, მთქმელი თ. ჭაღალიძე, 76 წლის. დაბადებული და გათხოვილი სოფელ ჭალაში, პირადი არქივი, 2005 წ.
59. „შველი მუბარეკის ცხოველია“, მთქმელი ბერიძე ხემიდ შაქირისძე, სოფ. ბრილი 78წ, პირადი არქივი, 2012 წ.
60. „შველი ღმერთის ცხოველია“, მთქმელი ხოზრევანიძე ნურიფე, დაბადებული და მცხოვრები სოფელ კვატიაში, 74 წ. პირადი არქივი, 2005 წ.
61. „შველი ღმერთის ცხოველი“, მთქმელი ე. მამულაძე დაბ. და მცხ. სოფ. ნენიაში, 81 წლის, 2005 წ. პირადი არქივი.
62. „შველის მოკლა ცოდვაა“. მთქმელი ხ. ჯაყელი დაბ. და მცხ. სოფელ ალმეში, 81 წ. პირადი არქივი.

63. „წინაპრებისეული ტრადიციებიდან გამომდინარე ჩვენში შევლებს არ კლავენ“, მოქმელი ქ. აბაშიძე დაბადებული და მცხოვრები სოფელ ვერნებში, 56 წ. ჩავიწერე 2005 წ. პირადი არქივი.
64. „წაბლანის ჩამოსეთქვის ისტორია“, მოქმელი ხოზრევანიძე თენზილე, დაბადებული და მცხოვრები ხულოს რაიონის სოფელ ფახხაში, 70 წლის, ჩავიწერე ქალაქ ბათუმში 2004 წლის აპრილში.
65. „ჩანჩურხევის ჩამოსეთქვის ისტორია“, მოქმელი დავითაძე მედეა, დაბადებული ხულოს რაიონის სოფელ ფახხაში მცხოვრები ბათუმში, 38 წლის, ჩავიწერე 2006 წ. პირადი არქივი.
66. „ქვეყნის დაქცევის ისტორია“, მოქმელი გურამ ჯინჭარაძე, დაბადებული სოფელ დოლოგანში და მცხ. დაბა ხელვაჩაურში 64 წ. ჩაიწ. ლინდა ჭინჭარაძე 2010 წ. პირადი არქივი.
67. „ჩანჩურხევის ჩამოსეთქვისა და ცოდვა-მადლი ისტორია“, მოქმელი მუხამედ შაინიძე, დაბადებული და მცხოვრები სოფელ სხალთაში, 70 წ. ჩავიწერე ხელვაჩაურის რა-ში 2004 წ. პირადი არქივი.
68. „ჩანჩურხევის ჩამოსეთქვისა და წყევლის ისტორია“, მოქმელი დემურალ ხოზრევანიძე, დაბადებული და მცხოვრები სოფელ ფუშრუკაულში, 68 წ. ჩავიწერე ხელვაჩაურის რა-ში 200 4 წ. პირადი არქივი.
69. „ჩანჩურხევის ისტორია“, მოქმელი გულისა დავითაძე, დაბადებული სოფელ ფახხაში, მცხოვრები მოსკოვში, 41 წ. გაუგონია ბაბუასგან, ჩავიწერე მოსკოვში 2006 წ. პირადი არქივი.
70. „სოლგომანის ისტორია“, (მიქელაძე 2005).
71. „წმინდა კაცი გაფთხილების ამბავი“, ბსკიფა, №171, 1972.
72. „ვერნების ისტორია“, მოქმელი ქემალ აბაშიძე, დაბადებული სოფელ ვერნებში, მცხოვრები დაბა ხელვაჩაურში, 67 წ. ჩავიწერე ხელვაჩაურის რა-ში 2004 წ. პირადი არქივი.
73. „ვერნების ტბის ისტორია“, მოქმელი რუსლან აბაშიძე, დაბადებული სოფელ ვერნებში. მცხოვრები დაბა ხელვაჩაურში, 67 წ. ჩავიწერე ხელვაჩაურის რა-ში 2004 წ. პირადი არქივი.
74. „ვერნების ტბის ისტორია“, მოქმელი ბიჭიკო აბაშიძე, დაბადებული სოფელ ვერნებში. მცხოვრები დაბა ხელვაჩაურში, 67 წ. ჩავიწერე ხელვაჩაურის რა-ში 2004 წ. პირადი არქივი.

75. „ფაჩხის კლდის ლეგენდა“, (სახოკია 1985: 234).
76. „ფაჩხის კლდის ლეგენდა“, მოქმელი ქ. აბაშიძე, დაბ. და მცხ. სოფ. ვერნებში. 50 წ. პირადი არქივი, 2005 წ.
77. „ტბა ხინოს აღმოსავლეთით“, (ქათამაძე 1940: 19-20).
78. „ყარაგოლი ტბის ისტორია“, მოქმელი გულნარა ცეცხლაძე, დაბად სოფელ სკვანაში, ამჟამად მცხ, შუახევში, ჩავიწერე გომის მთაში 2005 წ. პირადი არქივი.
79. „ყარაგოლი ტბის ისტორია“, მოქმელი ფატყუმე გაბაიძე, მცხ. და დაბ. სოფელ სკვანაში. 71 წლის. ჩავიწერე 2004 წელს.
80. „ყარაგოლი ტბის ისტორია“, მოქმელი ქამაშიძე ჯ. დაბ. და მცხ. ხისადირის რაიონის სოფელ თხილვანაში. 79 წლის, ჩავიწერე 2005 წ.
81. „მწვანე ტბის – ლეგენდა“, მოქმელი ი. მელაძე. დაბ და მცხ. დაბ ხელვაჩაურში, 2004 წ. პირადი არქივი.
82. „საყდრონის ეკლესიის“-ლეგენდა“, ფოლკ. არქ კ, 165.
83. „ჭინჭაოს ტბის ლეგენდა“, მოქმელი ასიე კილაძე-კონცელიძე, მცხ. სოფელ ზემოხევში, 78 წლის, ჩავ. 2005 წ. პირადი არქივი.
84. „თახე ხარების შეჯიბრის შესახებ“, მოქმელი ფ. ჭაღალიძე, დაბ. სოფელ ინკივრეთში და მცხ. სოფ. ვარჯენაულში, პირადი არქივი. 2010 წ.
85. „ნადვარევის ტბა“, მოქმელი მემედ ნაგერვაძე- გაუგონი დედისაგან, ჩაიწერა თამარ ნაგერვაძე 2006 წ.
86. „ნადვარევის ტბა“, მოქმელი ეთერ ქარცივაძე, დაბადებული სოფ ნადვარევი და მცხოვრები ბენხეში, 55 წ. გაუგონია დედისგან, ჩავიწერე 2001 წ. პირადი არქივი.
87. „ჯაზგოლი (ჯაზის ტბა), მოქმელი გულნაზ ვანაძე, დაბადებული ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოტში, მცხ. დაბა ხელვაჩაურში, 55 წ. ჩავიწერე 2008 წ. პირადი არქივი.
88. „ბაიზ-გოლის ტბა“ // „თეთრი ტბა“, მოქმელი ფატყუმე გაბაიძე. მცხ და დაბად. სოფელ სკვანაში. 71 წლის. ჩავიწერე 2004 წელს.
89. „წმინდა ხარის ისტორია“, ბსკიფ, საქმე №199.
90. „რკინის ჯვარის – ისტორია“, მოქმელი გ. მაკარაძე. ჩამწერი ო. ფუტკარაძე ([www.w.litklub.ge.biblioteka-publicistika.O.futkaradze.maretis.xeobi.s.narkvevi](http://www.litklub.ge.biblioteka-publicistika.O.futkaradze.maretis.xeobi.s.narkvevi)).

91. „ჯვარი ჭოჭო //ჭოჭი ჯვრის-ისტორია“, მთქმელი ვ. ვაშაყმაძე, დაბადებული შუახევის რაიონი სოფელი შუბანი (წელათი), მცხოვრები დაბა ხელვაჩაურში, 70 წლის, ჩავიწერე 2012 წ. პირადი არქივი.
92. „ფეიდამბრის წყლის ისტორია“, მთქმელი ებრაელი იოსებ, დაბ. და მცხ. სოფ. შუბანში, 78 წ. ჩავიწერა და მასალა მოგვაწოდა ნათია ებრაელიმ, პირადი არქივი, 2005.
93. „ნაოშვარის ისტორია“, დ. ანანიძე, გაზეთი „კოლმეურნე“, ქელა 24. 5. 1977 წ.
94. „ნაომვარს“//„ნაომვალს“, ნ. ნოლაიძე, „თქმულებები ქრისტიანობისათვის თავდადებულთა შესახებ აჭარაში“, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის, სხალთის ეპარქია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა“ 2010 წ.
95. „თეთროსანის ეკლესია“, მთქმელი ბაუუაძე დარიკო, 43 წ. მცხ. სოფ დაგვა (ხუცუბანში) ჩავიწერე 2007 წ.
96. „სხალთის ეკლესია“, ზ. ჭიჭინაძე, სხალტის ტაძარი, ივერია“ 172, 1895.
97. „სხალთის ეკლესიის ისტორია“, ბსკიფა №23, გვ. 46. მთქ. ჯუმუშაძე ნიაზ რეხაყის ძე, 30 წ. შუბანი, ჩამწ, ზოსიძე.
98. „პაპოშვილების ისტორია“, მთქმელი ლ. ფუტკარაძე, დაბადებული სოფელ ცეცხლაურში და მცხოვრები დაბა ხელვაჩაურში, ჩავიწერე 2004 წელს.
99. „სხალთის ტაძარი“, მთქმელი მიხეილ შაინიძე. დაბადებული და მცხოვრები ხულოს რაიონის სოფელ სხალთაში. 65 წლის. ჩავიწერა შაინიძე ხათუნა მცხოვრები დაბა ხელვაჩაურში 2007 წელს. პირადი არქივი.
100. „სხალთის ტაძარი“, თ. სახოკია, მოგზაურობანი, გამ. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1985, გვ. 301-302.
101. „ლაშარის ჯვარის მუხა“, მოხრობელი ილო მინდიკაური, ჩამ წ. ნოდარ ზვიადაური, ხახაბო, 1983, თსუფა 26022
99. „სხალთის ტაძარი“, მთქმელი მიხეილ შაინიძე. დაბადებული და მცხოვრები ხულოს რაიონის სოფელ სხალთაში. 65 წლის. ჩავიწერა შაინიძე ხათუნა მცხოვრები დაბა ხელვაჩაურში 2007 წელს. პირადი არქივი.
103. „წმინდი სერის ისტორია“, მთქმელები ნ. გოგიტიძე 59 წ. ა. აბაშიძე, 54 წ. რ. აბაშიძე 80 წ. დაბ და მცხ. სოფელ ქიძინიძეებში. პირადი არქივი.
104. „საჯვარებო“, მთქმელი რ. აბაშიძე 80 წ. დაბ. და მცხ. სოფ. ქიძინიძეებში. 2010. პირადი არქივი.

105. „საჯვარებო“, მოქმელი ვარდენ ნიუარაძე. 50. წ. დაბ. და მცხ. დაბა ხელვაჩაურში. ჩავიწერე 2005 წ. პირადი არქივი.
106. „საჯვარებო“, ჩიჩევა 100 წ. დაბ. და მცხ. სოფ. ქიძინიძეებში. ჩაიწ. რ. მუკუტაძემ 2002. წ. პირადი არქივი).
107. „თვარანგელის ისტორია“, მოქმელი შოთა მიქელაძე, დაბადებული და მცხოვრები სოფელ ნენიაში 70 წ. ჩავიწერე 2004 წ.
108. „ქაშვეთი“ მოქმელი ა. აბაშიძე, დაბ და მცხ. სოფ ქიძინიძეებში 2010 წ. პირადი არქივი).
109. „ნეფე წყალი“, ბსკი №3 გვ 51, (ა. ახვედიანი 1970: 45).
110. „თამარ დედოფალმა ყალეს (ციხის) მშენებლობა“, ბსკი №1, გვ 85, მოქმელი დ. ტაკიძე (ა. ახვედიანი 1970: 46).
111. „ოშანახევი“, მოქმელი ქ. აბაშიძე, 48 წ. დაბადებული და მცხოვრები, სოფელ ვერნებში, ჩავიწერე 2005 წ. პირადი არქივი.
112. „ნამონასტრევის შესახებ“, მოქმელი რეჯებ ისმაილის ძე მეკვიძე, დაბადებული და მცხ. სოფელ დიდაჭარაში, ჩაიწერა თამრიკო ბერიძემ, 2001 წ. პირადი არქივი.
113. „ნადარბაზევისა და ნაქალაქარს ძველად დიდი ფასი ჰქონდა“, მოქმელი მ. სოზრევანიძე, დაბ სოფ. დიდაჭარაში, მცხ. ხელვაჩაურში, 55 წ. ჩავიწერე 2005 წ. პირადი არქივი.
114. „ხანუმის გზა // დედოფლის გზა“, მოქმელი რეჯებ ისმაილის ძე მეკვიძე, დაბ. და მცხ. სოფელ დიდაჭარაში, ჩაიწერა თამრიკო ბერიძემ, 2001 წ. პირადი არქივი.
115. „ნანეფვარი“ // „ნეფიკალო“, მოქმელი ო. აბულაძე, დაბ და მცხ. სოფ. უჩხოში. 75 წ. ძირკვაძე თ. დაბ. და მცხ. სოფ. უჩხოში. 49 წ. ჩავ. 2011 წ. პირადი არქივი.
116. „ნანეფვარი“, მოქმელი ცინცაძე ეთერ, დაბადებული და მცხოვრები ქედის რაიონის სოფელ ცხმორისში. 68 წ. პირადი არქივი.
117. „ნანეფვარი კალო“, მოქმელი რეზო ნაკაშიძე, 38 წ. დაბ. სოფ. ცხმორისში და მცხოვრები დაბა ხელვაჩაურში, ჩაიწერა ზამირა ნაკაშიძე 2005 წ. პირადი არქივი.
118. „ნანეფვარი კალო“, შ. აბაშიძე, ალი ნაკაშიძე, მშობლიური სახელები, გამომცემლობა „ალიონი“, ბათუმი. 2012.

119. „თამარის სარკე“, მთქმელი. მ. შავაძე, დაბ. და მცხ. სოფ. უჩხოში. პირადი არქივი.
120. „შვილდისერი“ // „ოხორდი-კოდალი“, მთქმელი ისმაილ სულეიმანის-ძე ბეჟანიძე, 110 წ. სოფელ უჩამბის მკვიდრი, შ. ზ. რუსიძე, ნარკვევი მართის ხეობის ისტორიული ძეგლების შესახებ, ქ. ბათუმი, 1950.
121. „კვირიაული“, მთქმ. მ. ფევაძე, დაბ. 1961 წ. სოფ. უჩამბაში. მცხ. სოფ. ნენიაში. 2005 წ. პირადი არქივი.
122. „მომწვარი“, მთქმელი შალვა გოგიტიძე, დაბ. სოფ ქიძინიძეებში, მცხოვრები ქ. ბათუმში 2005 წ. პირადი არქივი.
123. „თამარის ბორცვი“, მთქმელი რამაზ სურმანიძე, 79 წლის დაბ. შუახევის რაიონის სოფ. ჭალაში. მცხ. ქალაქ ბათუმში. 12. 08. 2012. პირადი არქივი.
124. „თამარის ციხის-ამბავი“, მთქმელი ა. ბერიძე, 70 წლის, დაბად. და მცხ. სოფელ სამეხაში. 2012 წ. პირადი არქივი.
125. „კავიანის ციხე“, ა. ანანიძე, „აჭარისწყლის ხეობაში“. გაზეთი „კოლმეურნე“, 1972 წლის 25 ივლისი.
126. „კავიანის ციხე და თამარ მეფე“, მთქმელი ხ. ქათამაძე, 75 წ. შუახევის რაიონის სოფელ ხიჭაურის მკვიდრი. ჩაიწერა 2005 წ. შ. ქათამაძემ. პირადი არქივი.
127. „კავიანის ციხე და თამარ მეფის ნაქოშარი“, მთქმელი ფ. ქათამაძე, 71 წ. შუახევის რაიონის სოფელ ხიჭაურის მკვიდრი, ჩაიწერა 2005 წ. შ. ქათამაძემ. პირადი არქივი.
128. „კავიანის ციხე და თამარ მეფე“, მთქმელი ნ. ქათამაძე, 82 წ. შუახევის რაიონის სოფელ ხიჭაურის მკვიდრი. ჩაიწერა 2005 წ. შ. ქათამაძემ. პირადი არქივი.
129. „ჯან ქალაქი“ ანუ „წმინდა ქალაქი“, შ. რუსიძე, „ნარკვევი მართის ხეობის ისტორიული ძეგლების შესახებ“, ქ. ბათუმი, 1950, №115.
130. „კუტი-ჯვარი“-ს ისტორია“, (სახოკია 1985).
131. „კუტი – ჯვარი-ს“ ისტორია“, მთქმელები: ნ. ცეცხლაძე, დაბ. 1942 წ. სოფ. დარჩიძეებში და მცხ. ქ. ბათუმში. შ. ცეცხლაძე დაბ. 1940 წ. სოფ. შუბანში და მცხ. ქ. ბათუმში, ჩავ. 2012 წ. პირადი არქივი.
132. „სოფელი გულები“, (რუსიძე 1952: 23).

133. „ქილისა // გულების ციხე“, მთქმელი ბესილე ბერიძე, დაბადებული და მცხოვრები სოფელ ზესოფელში, 65 წ. ჩავიწერე 2003 წ.
134. „გულების ამბავი“, მთქმელი რ. დიასამიძე, დაბ. და მცხ. სოფ. გულებში. 55წ. ჩავ. 2006 წ. პირადი არქივი.
135. „გულების ისტორია“, მთქმელი გულიკო გოგიტიძე, მცხ. ხულოს რაიონის სოფ. ბოძავრში, დაბ. ქელაში ჩაიწ. 2006 წ. შავაძე ესმა, მომაწოდა ჩამწერმა. პირადი არქივი.
136. „წითელი ხიდის ისტორია“, მთქმელი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ზემო ჩხუტუნეთის მკვიდრი ქაზიმ კახიძეს, 75 წ. პირადი არქივი. ჩავ. 2005 წ.
137. „წითელი ხიდის ისტორია“, მთქმელი ლადო კახაბერიძე, დაბადებული სოფელ კირნათში, კობალთა. 69 წლის. ჩავიწერე 2011 წლის ნოემბერში, პირადი არქივი.
138. „გვარას მოსახლეობის ერთი ისტორიული ამბავი“, ზ. ჭიჭინაძე, „ქართველთა გამუსლიმანება“.
139. „სოფელი აკეთა წმ. მოწამე კონსტანტინე“, შ. რუსიძე, „ნარკვევი აჭარისწყლის ხეობის. ოზურგეთის ისტორიული ძეგლების შესახებ“. №135.
140. „კაკაშვილების ქელი“, (მახარაძე 2010: 129-130).
141. „გვანცა და ლელას კლდეკარის ისტორია“, მთქმელი ე. ცინცაძე. პირადი არქივი, 20011 წ.
142. „ლელასა და გვანცას გორა“, შ. ფუტკარაძე, „ქრისტიანობის ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, წმ. თეოდორე აჭარელი“, გაზეთი „აჭარა“, №253, 2002. წელი 31 დეკემბერ. გვ. 4.
143. „თავსაკვეთები აჭარაში“, შ. ფუტკარაძე, „ქრისტიანობის ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, წმ. თეოდორე აჭარელი“, გაზეთი „აჭარა“, №253, 2002.
144. „თამარის ხიდი დანდალოში და მასთან ჩადენილი ამბები“, მთქმელი ა. აბულაძე, დაბ და მცხ. სოფელი უჩხოში, 2011 წ. პირადი არქივი.
145. „თამარის ციხე // ყალციხის ციხის“-ისტორია“, (ა) - მიქელაძე: 2010-362.
145. „თამარის ციხე // ყალციხის ციხე“, (ბ) მთქმელი ვ. ქარცივაძე, დაბად. შუახევის რაიონის სოფელ ზემოხევში და მცხ. ქ. ბათუმის ჩაისუბანში, 70 წ. ჩავიწერე 2003 წ. პირადი არქივი.
146. „ნავარანაუელი“, მთქმელი დ. ტაკიძე. დაბ. სოფ. დანდალოში და მცხ. დაბა ხელვაჩაურში. 2009 წ. პირადი არქივი.



147. „ვარანეულის ისტორია“, ნ. ნოლაიდელი, „თქმულებები ქრისტიანობისათვის თავდადებულთა შესახებ აჭარაში“, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის, სხალთის ეპარქია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა“ 2010 წ. 241-242)
148. „დღვანის ისტორია“, ი. სიხარულიძე, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია“, წიგნი I, სახელმ. გამომც. „ბათუმი“, 1958 წ.
149. „დღვანის ისტორია“, მთქმელი რ. ფუტკარაძე, 45 წ. სოფელ ჩხუტუნეთის მკვიდრი, ჩავ. 2009 წ. პირადი არქივი.
150. „მადლიანი საჯვარებო“, მთქმელი ჩ. აბაშიძე, ჩაიწერა და მომაწოდა რ. მუკუტაძე, დაბ. ს. ჯაბნიძეებში და მცხ. სოფ ქიძინიძეებში 2003 წ. პირადი არქივი.
151. ტრაგედია – „ნამონასტრევი“ // „ამაღლება“, მთქ. ა. გორგილაძე, დაბ. 1950 წ. და მცხ. სოფ. ჭერში. 2012 წ. პირადი არქივი.
152. „ძველებური დასჯის მეთოდი“, ნბიფა, საქმე №137, გვ. 35. (ჩამწ. ჯ. ჯაყელს 1972 წელს, მთქმელი ზაბით გორგილაძე).
153. „სიკვდილის დასჯის უძველესი წესი აჭარის მაღალმთიანეთში“, მთქმელი ხულოს რაიონის ს. ხიხაძირის მცხოვრებნი, 75 წლის ბათან სულეიმანის ძე იშხნელიძე და ტაშტან ეუბისძე გაბაიძე, სოფელ ვერნებში მცხოვრები შაბან შაქირის ძე აბაშიძე, ჩაიწერა, ჯ. ჯაყელმა, გამოქვეყნებულია. ჯ. ჯაყელი „ფოლკლორული ტრადიცია აღ. ყაზბეგის შემოქმედებაში“, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, ტ. II გამომც. „მეცნიერება“, 1975.
154. „დედაბრის საფრინავა“, მთქმელი მ. დუმბაძე, სოფელ კვატიის მკვიდრი, პირადი არქივი, 2005 წ.
155. „დედაბრის საფრინავა“, მთქმელი ხოზრევანიძე, დაბად. და მცხ. სოფელ კვატიაში, 74 წ. პირადი არქივი, 2005 წ.
156. „დედაბრის საფრინავა“, მთქმელები ს. მიქელაძე, ო. შაინიძე, ჩაიწერა დ. შავიანიძე, 2009 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია დიდაჭარაში“, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის, სხალთის ეპარქია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა“ 2009 წ.
157. „ქუფთა ღელე“, მთქმელი ქ. კეკელიძე, დაბად. და მცხ. სოფელ ნიგაზეულში, 79 წ. მასალა მომაწოდა ნ. ხიმშიაშვილმა 2008 წ. პირადი არქივი.

158. თქმულება „ცხრამუხლიდელეს“ – შესახებ, მთქმელი ნ კაკალაძე, შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულის მკვიდრი, 70წ, ჩაიწერა 2007 წ. ნ. ხიმშიაშვილი. მომწოდდა ჩამწერმა. პირადი არქივი.
159. „ცხრამუხლიდელი“-ს ისტორია”, მთქმელი ხ. კაკალაძე, შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულის მკვიდრი, 55 წ. ჩავიწერე 2007 წ. პირადი არქივი.
160. „მანჩხაურის“-ისტორია”, მთქ. ნ კაკალაძე, შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულის მკვიდრი, 70 წ, ჩაიწერა 2007 წ. ნ. ხიმშიაშვილი, მომწოდდა ჩამწერმა, პირადი არქივი.
161. „მარიამხევის ამბავი”, მთქმელი ნ კაკალაძე, შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულის მკვიდრი, 70წ, ჩაიწერა 2007 წ. ნ. ხიმშიაშვილი. მომწოდდა ჩამწერმა, პირადი არქივი.
162. „მარიამხევი ისტორია”, მთქმელი ქ. ხიმშიაშვილი, შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულის მკვიდრი, 70წ, ჩაიწერა ქ. ხიმშიაშვილმა 2010 წ. მომწოდდა ჩამწერმა, პირადი არქივი.
163. „სოფელ გობრონეთის შესახებ”, ჩამწერი ასმათ ბაჯელიძე, რომელსაც ჩააწერინა 1966 წელს სოფელ უჩხითში მცხოვრებმა 85 წლის ფადიმე კახიძემ, (შ. აბაშიძე, ალი ნაკაშიძე, წიგნიდან „მშობლიური სახელები“, გამომცემლობა „ალიონი“, ბათუმი. 2012).
164. „ხუციქელი”, მთქმელი მიხეილ შაინიძე, დაბადებული და მცხოვრები სოფელ სხალთაში, ჩაიწერა ხათუნა შაინიძემ 2000 წ. პირადი არქივი.
165. „ნაქილისგარი”, მთქმელი თენზილე ქარცივაძე, დაბადებული 1932 წ. სოფელ ჭალაში და მცხოვრები სოფელ ზემოსევში. ჩავიწერე 2004 წ.
166. „მახინჯაური”, ახვლედიანი ვახტანგ, „მახინჯაური – ჩემი მშობლიური სოფელი”, გაზ. „აჭარა”, 27 ივლისი, 1991.
167. „მახინჯაური”, მთქმელი ბადრი მახარაძე, 55 წ. ჩაიწერა მალვინა მახარაძემ 2004 წ, პირადი არქივი.
168. „მახინჯაური”, მთქმელი გ. მახარაძე, დაბ. სოფ. ინწკივრეთში, 38 წ. 2005 წ. პირადი არქივი.
169. „ნატიფარა”, მთქმელი ქათამაძე ეთერ, დაბადებული სოფელ ჩაქვში, იზრდებოდა ბებიასთან სოფელ ხინოში, მცხოვრები ჩაქვში 55 წ. ჩავიწერე 2010 წ, პირადი არქივი.
170. „სერი ყანა”, მთქმელი ცეცხლაძე ტარიელ, დაბ. და მცხოვრები სოფელ სკვანაში, 65 წ. ჩავ. 2005წ. პირადი არქივი. //ე. მახარაძე. „ჩვენი სახელოვანი

მამულიშვილები”, გაზეთი „კოლექტიური შრომა”, №122. 1979 წლის 13 ოქტომბერი.

171. „სელიმ ფაშას ამბავი”, ზ. ჭიჭინაძე, „ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი”, ბათუმი. 1912წ.

172. „სელიმ ფაშას ამბავი”, მთქმელი ქ. ხიმშიაშვილი, ნ. კეკელიძე, პირადი არქივი, 2011 წ.

173. „სელიმ ფაშას ამბავი”, მთქმელი ნ. მიქელაძე, 80 წლის, ჩავიწერე 1993 წ. პირადი არქივი.

174. „სელიმ ფაშას ამბავი”, მთქმელი ქ. ხიმშიაშვილი, ნ. კეკელიძე. პირადი არქივი, 2011 წ.

175. „სელიმ-ფაშამ ორი ფული აჩუქაო”. ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. თფილისი.

176. „სელიმ ფაშას ამბავი”, შუახვევის რაიონის სოფელ ჭალაში მცხოვრებ ისმაილ ჭაღალიძისგან (ბუქოლლი ბუქალიშვილები) 1962 ჩაუწერია: რ. სურმანიძეს, ჟურნალი, „ლიტერატურული აჭარა” №2, 2003.

177. „სელიმის კაიკაცობის ერთი ამბავი”, მთქმელი ნ. კეკელიძე, სოფელ ნიგაზეულის მკვიდრი, 68 წ. პირადი არქივი, ჩავიწერე 2005 წ.

178. „მუჰაჯირები და თამარი”, მთქმელი: ხასან ჩიბუკი (გოგიტიძე) და მერჯან ნაარინი ფუტკარაძე (ფუტკარაძე 1993: 55).

179. „თამარ დოდოფალი”, მთქ. მუქქერემ ჩიბუკი (გოგიტიძე) – ფუტკარაძე 1993: 49).

180. „თამარ დოდოფალი”, მთქმელი მუსტაფა იენიდუნია (დევშირიანი-ბერიძე), 45 წლის. ფუტკარაძე 1993: 176.

181. „თამარ დოდოფალი ღმერთისა მოყუარული ყოფილა”, (ფუტკარაძე 1993: 17).

## ლექსიკონი

ა

**აბდეს ღებულობენ** მუსლიმანური ლოცვის წინ რიტუალურად ხელ-ფეხისა და თავ-პირის დაბანა; (ნიჟარაძე 1957: 131).

**აეჯი** (თურქ; აჭარ. დ) – მონადირე.

**ამდენეთი** ამდენი // გარკვეული რაოდენობის დასახელება (ნ. მ).

**ანაი** ზემო აჭარული დედა; (ნიჟარაძე 1971: 89).

**აუჯი** მოუსვენარი, ქვეყნის მაქცევაარი ადამიანი (ნ. მ).

**ახალი მთვარეა (ფრაზ)** ძვ. გადმოც. სულიერად დავადებულ ადამიანების გამოცხადების პერიოდი. ახალი მთვარის დადგომისას ასეთი ადამიანები ავად ხდებიან (ნ. მ).

**ახიშერი** ქვეყნის დაქცევა, ცუდი ამინდი (ნ. მ).

ბ

**ბადადი** ჩვარი, ჭინჭი, დასტამალი, ბანდი; (ნიჟარაძე 1971: 100).

**ბარსამი** ბევრი, მრავალი; (ნიჟარაძე 1971: 102).

**ბაიზ-გოლი** თეთრი ფერის // გამჭირვალე ტბა (ნ. მ).

**ბაღვები** (ზ. ა) ბავშვი, ბაღლი (ნიჟარაძე 1971: 103).

**ბერექეთი** (არაბ), ბარაქა, დოვლათი, სიუხვე, ხვავრიელობა (ნიჟარაძე 1971: 106).

ბ

**გამჩენი** უფალი სამყაროს, ყოველივე ხილულისა და უხილავის შემქმნელი (ნ. მ).

**გედეიარა** გადაიარა კლდე (ნ. მ).

**გერჩექ** მართლაც, ნამდვილად (ნიჟარაძე 1957: 139).

**გიაური** (სპარს. ) მუსლიმთა სალანძღავი სიტყვა: ურჯულო, არამუსლიმანი, ქრისტიანი (ნიჟარაძე 1971: 146).

**გულუუვლია** გადაუვლია გომანის კლდეზე ზემოდან (ნ. მ).

**გულში გეირუნია** (ფრაზეოლ. ) გაიფიქრა (ნ. მ).

**გუუქვაგებია** (აქ) გულისხმობს მტრებს, რომლები ფეიღამბერს // მოციქულს ლახტის საშუალებით რომ დაუმარცხებია და ქვებად გადაუქცევია (ნ. მ).

დ

**დედეი** (ზემო აჭარ) ბაბუა (ნ. მ).

**ღუა** (არაბ) ძვ. მუს. ლოცვა, ვედრება, ღვთისმსახურება, ღვთისმოსაობა.

„ღუაზე“ გამოდით, ესე იგი ვეხვეწოთ წვიმის მოყვანისთვისო (ნიჟარაძე 1971: 184).

ქ

**ებბედი** (იმერს) მუდამ, ყოველთვის, მარადჟამს (ნიჟარაძე 1957: 143).

